

114  
1960



# მნათობი

114

1 2

0358360



1960

# მ ნ ა მ მ მ მ მ



საქართველოს მწერთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 37-ე

№ 1

იანვარი, 1960 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი მწერების კავშირის ორგანო

8035

## ზ ი ნ ა ა რ ს ი

ირაკლი აბაშიძე — ჭომა, ლექსი . . . . .	3
არჩილ სულაიაური — თბილისის სიყვარული, ლექსი . . . . .	5
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქვრივი, რომანი, წიგნი მეორე ანა კლანდოძე — ლექსები . . . . .	6
მარიჯან — ლექსები . . . . .	49
ჭაბუა აშირეჯიბი — რატომ არ დამაცადე! მოთხრობა. ✓ . . . . .	52
გიორგი წავჭარსკი — ლექსები, თარგმანი პოლონურიდან თეიმურაზ ჯანგულაშვილისა და ნოდარ გურგუნიძისა . . . . .	54
ოთარ მელიძე — ქალაქის მსგავსი ადამიანი, პოემა . . . . .	61
	65

### კრიტიკა და კუბლიცისტთა

ელენე ჭართველიშვილი — დემნა შენგელიას „განაში“ . . . . .	75
ნადია შალუტაშვილი — მ. შრეგლიშვილის დრამატურგია . . . . .	80
ანა ლეონიშვილი — „შენ ხარ ენაში“ . . . . .	91
მ. ჯინჭელაშვილი — კომუნისტური პარტიის მკლავი იდეური იარაღი . . . . .	96
გივი გაჩეჩილაძე — მხატვრული თარგმანის ისტორიისათვის დასაგეგმვა და რუსეთში . . . . .	106
ვ. კარნაგა — საბჭოთა ჩიი . . . . .	117
ა. კვლიაშვილი — ვაჟა-ფშაველა და საქართველოს ბუნების დაცვა . . . . .	126

### ჩემოვანის დაბადების 100 წლისთავი

გ. ტალიაშვილი — ა. პ. ჩეხოვი საქართველოში . . . . .

(იხ. მეორე გვ.)

გამომცემლობა  
«საზოგადოებრივი მწერების კავშირი»





ლიბრარული მემკვიდრეობა

დედა თაქთაქიშვილი-ურუნაძე — ჩარჯობი უორდრობი და ქართული საზოგადოებრიობა 142  
 დატი გოციელი — თბილისი ქართული კომანტიკოსთა პოეზიაში 149  
 ბედან გორგაძე — ახალი დოკუმენტები: სპეციალურ ირუბაქიძე-წოდოფაშვილის შესახებ 157  
 ზიგლინიძე

ხელოვნების საკითხები

მაცინი ლუნდბერგი — კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა და მემკვიდრეობა 162  
 ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე 177

წიგნების მიმოხილვა

სიმონ არველაძე — არნო ონელის საბავშვო ლექსები 175  
 გიორგი ზუზუაშვილი — დიდი გზის დასაწყისთან 177  
 გურამ გვარდნიძე — ს. მანუელიანის მოთხრობების კრებული 180  
 ზ. მესხიანი — რუსი და უკრაინელი მსახიობები საქართველოში 183  
 შერანაძე „მ.ოობის“ 1959 წლის ნომრების შინაარსი 186  
 ახალი წიგნები : გარეკანის შესამე გვ:

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანაძე (პრეზ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დაბეჭდვად 27/1-60 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანწყობის ზომა 7 1/4×12 1/2. ფიზიკურ ფორმატა რაოდენობა 12. პირობით ფორმატა რაოდენობა 16. უე 00525. ტირაჟი 6000. შეკვეთა № 930.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიოლოგრაფიკომის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.



ჭ ო მ ა

ციკლიდან „შაბლონება...“

ახლაც მოგესმის,  
ახლაც მოგესმის,  
თითქოს ეს წუხელ გქონდეს ნახული:  
პირველ სინათლეს რთავს რიონქესი,  
არის ზეიმი მართლაც ხალხური.

სუფრულს მაყრული მისდევს პაერში,  
მაყრულს—რანუნნი, რანუნს—ოდელი;  
ჩასტუმრებული ვართ ქუთაისში,  
შუალამემდე ქუხს „გრანდ-ოტელი“.

ნაშუალამევს ატყდა ჯიქია:  
— არ მინატრიხართ ფიცხელ შრომაში,  
ახლა ვილხინოთ, როგორც რიგია, —  
ერთიე ქართულად დავსხდეთ კომაში.

და ლურჯ ფილაქანს ასწყდა კარეტა:—  
კომას ფხიზელი გვყავს მამობილი...  
და ალაღიძის დუქნის კარებთან  
მიწას დააკვდა ავტომობილი.

გამოგვეგებენ ნათელ ღიმილით,  
თითქოს ჯერ ძილი არ უთმენიათ;  
ხმელ ლაფაროში დაკლეს ფრინველი,  
წვადი დაუდეს ამ უთენია.

მოდებულიყო უკვე ეკალა,  
ვარცლზე ვერცხლისფრად ეწყო  
ქანარი;  
მზეს ჯერ დოე-დამე არ გაეყარა—  
მარგილზე ენთო შეშის ფანარი.

ჯერ ფრთას ბინდ-ბუნდად,  
გაუღვიძებლად  
შლიდა გომათი, შლიდა სორმოში...  
და ბრმა მეარონემ ჩიენ სადიდებლად  
დახლთან დაგუდა „740“.





თბილისის სიყვარული

1

უბრალოდ გეტყვი: შენ ხარ თბილისი,  
მამადავითი შენი მხრებია,  
მხრებზე ნათელი და თბილი ნისლი  
დალაღებით შეგირხევია.

უბრალოდ გეტყვი: ვარ დაუღლელი,  
ჩემს გულს ფესვები შენში გაუღგამს.  
მე დამიბერდა შენზე წუხილი  
და სიხარული გამიჭაბუქდა.

2

ვერა, ვერა ვთქვი, რაც უნდა მეთქვა,  
ვერ შევეუზავე სიტყვას მარბილი...  
მე სადაც უნდა გამრიყოს ბედმა,  
შენკენ წამოვალ მაინც მტკვარივით.

დავიკარგები ქუჩის ხმაურში,  
ყელზე დაგვიდებ ლექსებს გირჩებად,  
გავეჯიბრები შენს სიყვარულში  
ვინც შეგიყვარა თუ დაგიჩემა.

ვერა, ვერა ვთქვი, რაც უნდა მეთქვა,  
უფრო დიდია ჩემი სათქმელი.

რომ გაგაგონო ამ გულის ფეთქვა,  
ლიად დაეტოვე ყველა სარკმელი.

და გისმენ, გისმენ და მიხარია,  
რომ გისმენ ასე გულმშვიდად, ჩუმად.  
შენი ნისლია, შენი მთვარეა,  
ღამეში შენი ქადრები სდუმან.

3

ჩემი ფანჯრიდან გამოდის ნისლი  
და, როცა ნისლი მკერდს ჩაგკონვია,  
ამ დროს მე შენზე ვფიქრობ და ვიწვი,  
შენ მართლა ნისლი ნუკი გგონია.

გამოფრინდება ფანჯრიდან მთვარე,  
გადაგედვრება ვერცხლის ჩანჩქერი...  
ამ დროს მე გიმზერ, მე გაპყრობ  
თვალეებს,  
გაგიყვებული ეს მე ჩაგცქერი.

მაინც ვერა ვთქვი, რაც უნდა მეთქვა?  
განა ეს არის ჩემი სათქმელი?  
რომ გაგაგონო ამ გულის ფეთქვა,  
ლიად დაეტოვე ყველა სარკმელი.



## ჭარისკაცის ძმრივი

რომანი

ნიგნი მეორე

კავი პიჯელი

### თავი პირველი

მუხნარიდან დაბრუნებულ ხათუნას შინ არავინ დაუხვდა. კარს ბოქლომი ედო. შედგა და ბოქლომს უაზროდ მიაჩერდა. „სად უნდა წასულიყვნენ?“ — ფიქრობდა თან. უკან გამობრუნებას აპირებდა, როცა მეზობელი ოთახის კარმა ჭრიალი მოიღო და დერეფანში არტელის ნისკარტა მოანგარიშემ გამოიხედა.

— ხათუნა, ბავშვებს ხომ არ ეძებ? საშიში აბა რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქალის დანაოკებულ სახეზე გამონატულმა ღიმილმა ხათუნა ერთბაშად დააშოშინა.

— ეს წუთია გავედი, ვუთხარი, ჩემს მოსვლამდე ფეხი არსად გადგათ მეთქი...

— ზაქარას გოგოებმა გამოიარეს, იმათ გაჰყვნენ სამკედლოში.

— დიდი ხანია?

— ფეხად გაგასწრეს.

ხათუნა კარს მოსცილდა.

— სად მიდიხარ? — დაადევნა მოანგარიშემ.

— გადავხედავ, არაფერი მოიწიონ...

— რა უნდა მოიწიონ, შე ქალო, ოთხ კედელს შუა ხომ არ ამოაღრჩობ!

— გასაღები დატოვეს?

— აგერ, ა! — წამით კარს უკან გაუჩინარდა მოანგარიშემ და მალე ისევ გამოჩნდა, — მომილოცავს! საშხაურს იწყებს...

— შენ რა იცი? — გაიბადრა ხათუნა.

— თქვეს.

— ჯერ რა მოსალოცია.

— თუ მშენებლებმა იხეირეს, ამ გაზაფხულზე მაინც მოისვენებთ წერილ-შვილის პატრონები.

— ვნახოთ, — გასაღები გამოართვა ქალს ხათუნამ და მძიმე ბოქლომს ხელი შეეკლო.

საღერღელაშლილ მოანგარიშეს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა. ჭროდა, თითქოს გახუნებული თვალები ეშმაკურად უეკიმციმებდა.

ხათუნამ კარი გააღო და მეზობელი შინ შეიპატიჟა.

— შედი, შედი და მოვალ — შეთქმულივით წაიჩურჩულა მოანგარიშემ.

— უწყისი მაქვს ჩასათავებელი.

„ღმერთო, რას ჰგავს — გაითქრა ხათუნამ, როდესაც ოთახში შევიდა და კარი ფრთხილად მოხურა, — ეგვი ქალია ვითამ. არ ჯობია, სულ არ გაჩნდე ქვეყანაზე?“

განჯინის თავზე შემოდგმულ სარკესთან მივიდა. სარკე პატარა იყო, ხ. აუნას კი უნდოდა მთლიანად გამოჩნდარიყო შიგ, რათა თავი შარშანდელ გვიმრასავით გამშრალ მარგალიტა მოანგარიშისათვის შეედარებინა დასაკუთარი უპირატესობა ეგრძნო.

თავშალი მოიხადა. ნოტიო თმაზე ხელი გადაისვა. ჩქარი სიარულისაგან სახე წამოწებოდა, მხოლოდ აქა-იქ აჩნდა ოდნავშესამჩნევი თეთრი ტალები.

„გადიელის. ალბათ, სუსხის ბრალია,“ — ჩაითქვა და თავშალი სკამზე დააგდო. სკამზე ნაცარი ეყარა. ნაცარი ღუმელის ფეხთანაც დაებნიათ, იატაკზე ღუმელის კარი ღია იყო. თუნუქის ზხლში ქარი ქშუტუნებდა.

„ნაცარი მინც რაღასთვის დასკირდათ!“ — ალერსნარევი საყვედურით გიფიქრა ხათუნამ, ღუმელის კარი მიხურა და გადაქცტა.

ოთახი მთლიანად მიერ-მოერით ბავშვებს, ყველაფერი თავზე წამოეცვათ.

ხათუნამ გაიფიქრა, პატარების მოსვლამდე მოერჯულებინა აქაურობა, მაგრამ გული ვერაფერს დაუდო, რადგან თვალწინ ისევ გორიჯვრის მუხნარი, ნაყარი მიწით დალაქავებული სპეტაკი თოვლი და ბალავერიდან ამოწვერილი კედლები ედგა.

მამ გათავდა! დღეიდან ბოლო მოელო მის ტანჯვა-წვალებას. დღეიდან ისიც გაახელს თვალს და...

ხათუნას ჯერ კიდევ ნათლად ვერ წარმოედგინა სამუშაო, რომელსაც ის იყო ზელს ჰკიდებდა, მაგრამ უბრალო გახსენებაე კი — დღეიდან მეც რაღაც მეკითხებო, ერუანტელს ჰგვრიდა. სიხარული იმდენად ძლიერი იყო, მას თითქოს ეშინოდა კიდევ ვაითუ ყველაფერი სიზმარია ან მეჩვენებო.

საბავშვო ბაღი!

მერე რა ახლოსაა, ხუთი წუთის სავალიც არ იქნება კარის ვენახის ბოლოდან! თითქმის იქვეა, ყურის ძირში. რა ჯობია ამისთანა სამსახურს! როდესაც საქმეს გულით მოეკიდება, ხალხი ბრმა არ არის — ყველა დაინახავს.

ხათუნა ოცნებამ წაიღო.

იქნებ ნელნელაობაში ახალი სახლიც ააშენოს? რამდენი ახალი სახლია სოფელში, ყოველ ნაბიჯზე მუხისა და თელის ოდებია წამოკიმული!

ეჰ, ნეტავ შალიკოსაც მოსწრებოდა შინ მოსვლა. ისინიც მოითბობდნენ ზელს. მაშინ... მაშინ სულ სხვანაირად მოეწეობოდა ცხოვრება. უპატრონობა

ძნელი ყოფილა. ქალს თუ თავზე ვაჟი, კაცი ქმარი არ დასტრიალებს, მის მზგივრობას ვერც მამა გ უყუვს და ვერც შვილი. ტყუილად ნურავინ მისდება. ამის მეტი რა ნახა ხათუნამ, განა არ დარწმუნდა?

მან ამოიოხრა, ტახტზე დაეშვა და თვალები დახუჭა.

„რა იქნებოდა, ისიც ჩვენთან იყოს ახლა...“

უცებ რაღაც მოაგონდა და გაიჩინდა. თვალი ოთახის შიშველ კედლებს მოავლო, თუმცა კარგად იცოდა, რომ ის, რასაც ახლა ეძებდა, კედელზე არ ეკიდა. მ-შინვე წამოვარდა და იატაკზე ჩაიჩოქა.

ტახტევეშ წყვილი მუშამბაგადატყა-ეებული ჩემოდანი იდო.

ხათუნამ ჯერ ერთი გამოსწია, ამოურიო, მერე მეორე გახსნა და ყველაფერი საოცარის მოუსვენრობით ამოყარა.

გულზე მოეშვა: შალიკოს სურათი აქ იყო.

ახლავა გაახსენდა: ჩარჩო თან არ წამოუღია, კალოსუბანში დასტოვა.

სურათი სარკეს მიაყუდა და უკან დაიხია.

შალვა ნდობით შემოჰყურებდა. მის შავ ღრმა თვალებში, რომლებიც ისე წააგავდნენ შალიკოს თვალებს, ფიქრი ჩასახლებულიყო. შალვა სულ ოდნავ, ოდნავ იღიმებოდა...

ხათუნას მოეჩვენა, რომ ახლა ეს ღიმილი სევდიანი იყო. სურათს მიუახლოვდა. მკლავი იმე მოჰხვია, როგორც ცოცხალ ადამიანს მოეხვევიან ხოლმე. მაგრამ უცებ გამოერკვა. სურათი თავის ადგილას დასდო, კართან მიიბრინა. გადაარხა და კვლავ სურათს დაუბრუნდა:

უნდოდა რაიმე ეთქვა სურათისათვის, მაგრამ იცოდა, რომ ეს უაზრობა იყო და ქმრის ფიქრიან თვალებს ხმის ამოუღებელიე ჩააცქერდა.

ცრემლი მოერია. მის თვალწინ ბინდა გადაეკრა ერთბაშად ყველაფერს.

სურათი გულიდან მოიგლიჯა და კიდევ დახვედა ხედ. ახლა შალიყო ბუნდოვნად ჩახდა, თითქოს ცრემლში გააღუნარიყო. მოსხლტა. ჯერ ეგონა, გული მიმდისო. შეშინებულმა სურათი მაგიდაზე დასდო და აშლილ ლოგინზე მძიმედ დაეშვა.

გულის ფრიალმა მაინც არ გაუარა. რაც თავი ახსოვდა, დღეს მეორედ დაემართა ეს... პირველად მაშინ, როცა ბორისმა გზა აუქცია თოვლში გატანილ ვიწრო ბილიკზე და მამაკაცის ნაცნობი სუნე ეცა. დაიბნა. გონს მაინც მალე მოეგო. გადაჩვეული იყო ამ უხეშ, თანაც განუზომლად სასიამოვნო სუნს. გახსენებაც კი თ. ვებრუს ახვევდა...

ხათუნამ ბინდით დანისლული ეჭვიანი თვლებით გაჰხედა კარს, სუნთქვა შეიგუბა, ხელი ზურგს უკან გადაატარა და მკერდსაკრავის დილი მოძებნა. იპოვნა თუ არა, ღონიერად ჩააფრინდა ცერა და შუათითით. მკერდსაკრავი გაწვდა. სამკუთხად ჩაჰრილ გულისპირს სავსე მკერდი მოაწვა. ხათუნამ ამოიკენესა, მერე კი, თითქოს გაშმაგებულ წადილსა და სირცხვილსა ერთად ემალებო. შიშველ ძბებებზე ხელები მიიფარა და ბალიშს პირქვე დაემხო...

## თავი მეორე

ხათუნას შიში იპყრობდა. სირცხვილის ნაცვლად სრულიად სხვა გრძნობა უძერებოდა სულში. თვლების დახუჭვა უკვე აღარ შეეძლო. თავს ვეღარ მოიტყუებდა — ცხოვრებაში ასე მარტოდმარტო ყოფნა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენსო. რალაც გაურკვეველი, ბუნდოვანი შიში აკვიტებული სირცხვილის ადვილს იკავებდა და ქალს ძვალ-რბილში უჯდებოდა.

„ჩემი თავი ჩემს ხელთ არ არის?“ — გულს იმაგრებდა ხათუნა.

ეს სიჯიუტე იყო, რომელსაც სახელად შეუბღალავი ნამუსი ერქვა, თვალთქაქობა იყო, რომელსაც პატიოსნებად ნათლადნენ, მაგრამ ხათუნა აქ

მაინც ვერ ხედავდა რაიმე უკადრის, რადგან მთელი ქვეყანა, ყველა ქალი, ვისაც კი იცნობდა, ამ თვალთქაქობით ცხოვრობდა.

„ჩვენი ცხოვრება ბალებების თამაშსა ჰგავს, — ფიქრობდა დროდადრო, — საკვირველია, გულუბრყვილო ტყუილს როგორ ვიჯერებთ და ვემონებით!“

ამაინი ფიქრი მტანჯველიც იყო და შვებასაც ჰკერიდა. ქალი ბუნდოვნად გრძნობდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რათა თავისთავი „ცუდი ფიქრებში“ აღარ დაეჭირა და ძველებურადვე ჰყვარებოდა მორცხვი, მორიდებული ხათუნა, რომელსაც შვილები სახთლად ენთო, ქმრის მოგონება კი უზენაეს სალოცავად გადაჰქცეოდა.

ერთადერთი ხსნა ხალხში გარევა იყო და ისიც ისე ჩაეჭვიდა „ცუდი ფიქრებისაგან“ განკურნების ამ ერთადერთ წამალს, როგორც წყალწაღებული ხავსს ჩაეჭვიდება.

დილით დამეწულად დგებოდა, ბავშვებს საუზმეს მოუშმადებდა, თუ გასარეცხა ან დასაკერი იყო რამე, ამასაც გათენებამდე მოითავებდა და ზურისთან ერთად გამოდიოდა სახლიდან. წინა დღეს იმდენი იმარჯვა, საბჭოს თავმჯდომარის მიწერილობით წიფლისწყაროში გადავიდა, ღვინის ქარხნის დირექტორს მოელაპარაკა და დამამბებისას თეოფილე ლაბაძის მარხილზე შემოდებული ტუმბო მიაყენა მშენებლობას. საქმეში გართული კლავტონები მზიარული ხორბოკით შეხვდნენ საბავშვო ბაღის გამგეს.

ტუმბო, მართალია, ძველი იყო, ღვინის ქარხნის მუშები უკვე დიდი ხანია აღარ ხმარობდნენ, რადგან ახლა იქ მოტორიანი ტუმბოებით ჭაჩავდნენ წყალს, მაგრამ მშენებლობაზე ხომ აქამდე ესეც არ ჰქონდათ. მაშინვე ჩაიტანეს გუმბურასთან. ცხელ გულზე გამართეს. ერთი-ორი დაქაჩვა და ამღვრეულმა წყალმა ნაკადად გადმოჰხეთქა ხრახნიან მილში.

რეზინის მკლავი, რითაც ტუმბო მშე-



ნებლობას უნდა შეერთებოდა, მოკლე აღმოჩნდა. ერთი ამდენი კიდევ იყო საჭირო.

ამ დღიას ხათუნას კიდევ დასჭირდა წითლისწყაროში გადასვლა. იცოდა, ღვინის ქარხნის უცხვირპირო ღირეჭტორი მეტა აღარაფერს გაიმეტებდა. ამიტომ ძაშინევე სახანძრო რაზმის გარეშე ძიასურა. იქ აუცილებლად ექნებოდა ბრეზენტის გრძელი მილები. გამგემ ჯერ უარი სტყიკა: ვის გაუგია მილების განათხოვრება, ჩადით, სადაც საჭიროა და იყიდეთ, რკინეულობის მაღაზიებში რა ყრია მაგის მეტიო. ბოლოს, ხათუნა შეეცოდა თუ რა იყო, მაინც დაჟაბულდა.

ხათუნას გულში ეწყინა კიდევ, როცა გამგემ ზედაც არ შემოხვებდა და გორგლად დახვეული გრძელი სახანძრო მილი დაუგდო წინ მანქანის ზეთით დასერილ ასფალტზე, წაიღე, მაინც ჩამოწერილიაო.

სხვა დროს ხათუნა ვერ მოითმენდა ახალგაზრდა კაცის ამგვარ უზრდელობას, ახლა კი შიშით — ისევე არ ამაცალოს თავისი წყალობაო, ხნა გაკმინდა, გორგალს ხელი დაავლო და მაღლობაც არ უთქვამს, ისე გამოვიდა ქუჩაში.

ბედად, ზაქარა მკვდლის ნაშეგირდალი ჰქია აემგზავრა. დილის მატარებელს ამოჰყოლოდა. ჰქია ამჯერად მექანიკური სახელოსნოს მუშა იყო და თავი, ცოტა არ იყოს, ამაყად ეჭირა. როდესაც მძიმე ტვირთით წელში გაზნეჭილ ხათუნას წამოეწია, მაინც მიეშველა და თუმცა ძველმანების ბაზარზე ნაყიდა, საავიაციო ბენზინით ფაქრზად გაწმენდილი პალტო ეცვა, გორგლად დახვეული სახანძრო მილი მხარზე გაიღო.

ტუშო შუადღისას ამუშავდა. ხათუნა ისე იყო გახარებული, დაღლია კი აღარ ახსოვდა. ბალღივით ჰყლოპინებდა.

— ესეც ასე! — თქვა კმაყოფილმა ისაიამ, — საქმე ის არის, რაში დავაგროვით ახლა ეს ჩვენი?

— რა, ბატონო? — ასახელად გამზადებულ ქვისისა და ცემენტის გრძელს დაუპირდაპირა მილის მოლო: ხათუნამ

— წყალი. ასე ყოველ წუთს ხომ არ ვირბენთ გუბურასთან დასაქაჩავად!

— მე გეტყვი შენ, ისაია, — ყუამდე ალიზში ჩაფლული თოხი შეაჩერა ჯუჯა პარმენამ და ნიდაყვით ტარს დაეყრდნო, — ორმო ამოვთხაროთ.

— რომელი ორმო! — დაიღრინა მეკუბოვემ, რომელსაც პარმენასათვის ჯერ კიდევ ვერ ეპატიებინა იმდღევანდელი აცუნტრუქება.

— ორმო, კაცო, ორმო არ იცი?  
— მერე?  
— მერე მოგუყრით თავს შიგ.  
— ვაი, შე მართლა კრუხის პალო!  
— რა იყო?

— ორმოდან წყლის ამოღება არ გინდა?

— ვერ ამოვიღებთ თუ?  
— შენისთანა კალატოზი კი მთხოვა ღმერთმა! სანამ სავსე იქნება, ამოიღე, მარა. როცა განახევრდება, რალათი გინდა ჩაწედე, შიგ ჩახტები?

— ერთი ამას უყურეთ, ხალხო! — წამოიძახა პარმენამ და ღიმილისაგან დაღმეჭილმა ხათუნას გადაჰხვდა, — ვაი, შე მართლა მეკუბოვე, კი არ ჩავხტები, თოკს შევებამ ვედროს!

ისაიას რიდი კი ჰქონდა, მაგრამ ხათუნამ თავი ვერ შეიმავრა და გაეცინა. უფრო პარმენას სიცილზე გაეცინა. ამან კიდევ უფრო გაამხიარულა პარმენა. უმალ ისაიასთან მიიბრინა, ზურგზე ხელი მოუთათუნა, მერე ფეხის წვერებზე შესდგა და ყველას გასაგონად წასჩურჩულა:

— ჩვენი ურემი მაშინ გადაბრუნებულა, ბიძია, როცა მიქელ-გაბრიელის მოციქული დაგვიხვეს უფროსად!

— გადი იქით! — შეუტია ისაიამ და კრუხის პალო ორთაყვინრივით გრძელი ხელით ჩამოიცილა გზადან, — ვინ მიხედავს ახლა ამ ალიზს, ძროხის საფლავს ხომ არ აყეთებთ! გადასძახეთ,

ნულარ ქაჩავენ წყალს. პარმენა, მოკიდე თოხს ხელი!

— ახლა კი გაჯობა, ისაია, რაც მართალია, მართალია! — იკრივებოდნენ ხარაჩოვებზე შემდგარი პეწენიკი კალატოზები.

სახეგაბადრული ხათუნა აქამდე განუტეველი სიხარულით შესცქეროდა ამ ხალისიან, გულითად ადამიანებს და მათ გვერდით თითქოს ხელახლა იბადებოდა.

„მე კი ასე მეგონა, ყველაფერი გათავებულია მეთქი“, — ფიქრობდა იგი, როცა წყაროს გააცდა და სავეტომობილო გზაზე ამოსული ამბერკის წითელს გაუსწორდა.

ზაქარას სამჭედლო დაეკეტა. ზურია, ალბათ, შინ იქნებოდა მისული.

ხათუნამ ახლად იგრძნო დაღლა. მთელი დღის ფეხზე ნადგომსა და ნასიარულევს ათიოდე წუთით ჩამოჯდომა და სულის ამოთქმა ქვეყანას ერჩინა.

სოფლის კოოპერატივის წინ ვიღაც ქალებს მოჰკრა თვალი. ერთ მათგანს თუნუქის სანაფთე ეჭირა ხელში და ხათუნას მხარეს იყურებოდა.

ხათუნამ შორიდანვე იცნო პეტრე მიროტაძის სახლობა, ელუკი, მაგრამ მეორე, სქელ-სქელი და მალა-მალაი, კარგად ჩაცმული ქალი ვერავის მიამსგავსა. ინანა, ნეტავი ქვედა გზით წამოვსულიყავიო. ელუკის ქაქანის თავი სად ჰქონდა.

— არ მოდის და მოანათებს, იმანო, ნათლია? ვინ იფიქრებს, თუ ღმერთი გწამს, სამი შვილის დედა არისო, გუშინდელ პატარძალს არ გავს?

ხათუნას გაეღიმა. ეს მის ვასაგონად წამოიძახა ელუკი.

— საღამო მშვიდობისა! — მიესალმა დამხედურთ და რადგანაც იეორე ქალი ახლაც ვერ იცნო, ზედმეტი ცნობის-მოყვარეობა არ შემამჩნისო, თვალი წამით გადაჰკრა და, აქაოდა თმას ვისწორებო, შუბლზე გადაისვა ხელი.

— მშვიდობა ნუ მოგილიოს, დაია, —

მთლად დაიშატრა ელუკი, ხათუნას წელზე ძოპხვია ხელი და წინ წააყვება, — სირცხვილი კი არის, ნათლად ექმნება არ იცითოდეთ ერთმანეთს იეზობლები. ხათუნა, გაიცახი, გეხაცვალე, ეს გაზღავს ელენე ლაშხი, ჩვენი ელუფთერის ოჯახობა...

ხათუნამ და ელენემ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს ხმა არ ამოუღია.

— ჩემ კაცს დაუეწინია, ძალიან გვიანან ერთმანეთსო, — საგარეოდ ენამზეობდა ელუკი, — მართლა ქე გავხართ მეგონია.

— ვინ, ჩვენ, ელუკი? — გაიკვირვა ელენემ, თუმცა ეს ამბავი მეორედ ესმოდა.

ხათუნამ დრო იხელთა, თვალი შეავლო მის ფეროვან, კარგად შენახულ სახეს და თვითონაც მხრები აიჩჩია თავაზიანი ღიმილით:

— პეტრემ თუ არაფერი თქვა, ისე ხომ არ შეიძლება.

— არა, არა, იმანო, ხათუნა, თავი ნუ მომიკედება, მართალს ამბობს ი კაცი.

ქალებმა ჯერ ერთმანეთს გადაჰხედეს, მერე ელუკის. ბოლოს სამივეს გაეცინა.

სალაპარაკო მასალა აშკარად შემოლეული იყო, მაგრამ უცებ ელენემ ამოიღგა ენა:

— სამსახური დაგიწყიათ, წუხელ ელუფთერმა მითხრა...

— რა ვიცი... — ფარული სიხარულით ელუკის გადაჰხედა ხათუნამ, რომელიც ელენეს ნამდვილად მოეხიბლა, მაგრამ მისი დიდრონი, მამაკაცური ხელები მხედველობიდან არ გამოჰპარვია.

სამაგიეროდ ელენე მთლიანად დატყვევებული იყო. მას კარგა ხანია არ ენახა ამგვარი შემპარავი სილაშაზის ქალური ქალი.

ხათუნას თვალადობა ერთბაშად ვერ მიიტყვედა თქვენს ყურადღებას, მაგრამ რაც უფრო უყვრიდებოდი, მით უფრო გიზიდავდა მისი აუღმერეველი

სახის ბუნებრივი ფერი, რომელიც არც საგრძნობლად დაეძაბა იყო და არც საგრძნობლად გაფითრებული. თუმცა ხათუნას ახლა დაღლილობა ემჩნეოდა, შნო და ლახათი ოდნავადაც არ აკლდა. თეთრყირმიზა გავსილ სახეს თითქოს საგანგებოდ გამოქნილი წარბ-წამწამი და წაბლისფერი სქელი თმა უმშვენებდა. ჩაქენჭილი ქათქათა კბილები იმგვარის შუქით ანათებდნენ, სახეზე იმნაირი შარავენდელი დასდგომოდა, უნებლიედ გაიფიქრებდით, ამ ქალს თავის დღეში გზაზე წყირიც არ გადაპბრუნებიაო.

ელენე მალულად უყურებდა და ვერ გამძლარიყო მისი ცქერით. ბოლოს გამბედაობა მოიკრიბა, ხათუნას ხელი მოახვია და თითქოს პატარა დას ენას უჩლექსო, დაუფარავი სიყვარულით უთხრა:

— შენი ჭება ბევრჯერ მსმენია, ხათუნა. შეიღებს გაფიცებ, მოდი ჩვენთან, ბავშვებიც მოიყვანე, აუცილებლად. ელეფთერი მოყვა, შეშას ხერხავდნენო... აუცილებლად გამოგვიარედე და ნუ მომიკვდება, ადამიანის ხმის გაგონებას დანატრებული ვარ.

ელენეს გულწრფელ მუდარაში ხათუნას რაღაც არ მოეწონა. მაგრამ რათა უცხო ქალის წინაშე უზრდულობა არ გამოეჩინა, მადლობის ნიშნად ჩუმად ჩაიციხა და თავი ჩაღუნა.

— ხათრიანია. ნათლია, ძალიან ხათრიანია. — აქაჩანდა ელუკი, — რამდენი ხანია აქ არის და ერთხელაც არ მოუღგამს ფეხი ჩვენს კარზე.

— რა ვქნა, ელუკი, ისედაც ძალიან ვაწუხებ ყველას, — როგორც იქნა, სიტყვა სიტყვას გადააბა ხათუნამ.

— უიმე, ღმერთო კი მომკალი, ვის აწუხებ, ქალო! წვრილშვილის პატრონი ხარ, თავზე უნდა გადგეთ მთელი სოფელი, მარა რა ვუთხრა ამ უსახსრობას!

ხათუნამ გაუღიმა და ისევ ელენეზე გადაიტანა მზერა:

— მგონი თქვენი დედამთლი ყოფილა ავად. ახლა ხომ...

— წევს, — უსიამოვნებდა ელენეს, თუმცა ძალას საუბარში წელანდებური რბილი კილო დაეცვა.

— მოხუცდა, ბეჩა, ბავშვი კი აღარ არის, — სჩქაროდ ჩაერია ელუკი, — რამდენის იქნება?

— ელეფთერი ამბობს, ოთხმოცდაშვიდის უნდა იყოსო.

— ჰოდა, ღმერთო შეგცოდე, დროც არის. ახლა ახალგაზრდები მოვიყაროთ მაგ ხნობამდე.

ელენემ ამოიოხრა და ხათუნას ხელი შეუშვა.

— როგორ ატყობთ, ქალებო, კვირას მზიანი დარი იქნება?

ხათუნამ ცას აპხედა.

— ბე და ელეფთერი წიფლისწყაროში ვაპირებთ გადასვლას.

— ელით ვისმე თუ? — დაინტერესდა ელუკი.

— გავივლ-გამოვივლით. ამბობენ, ძალიან ლამაზია წიფლისწყარო. ჩვენ რომ ჩამოვედით, ღამე იყო, კი არაფერი დამინახავს.

— სილამაზით, ნათლია... აქაურობის სილამაზე მე რას მარგია, რძალად კი არ მომიყავს თუ გინდა იყოს ლამაზი, ჰე, ეგ გამოგვიძლებს კუქს?

— შენ მოგწონს, ხათუნა, აქაურობა?

— რა ვიცი... — თავაზიანად გაუღიმა სოფლის ახალ ზძალს ხათუნამ.

— მე მომწონს, წარმოიდგინე.

— გყვარებით. ადამიანზე ითქმის: ვისაც ვინ უყვარს, იმისი ლამაზიც ის არისო.

— მე საერთოდ ბევრი მივლია საქართველოში...

— შენ კი ივლიდი, ნათლია!.. — ჩაუერთო ელუკიმ.

— აქაურობას მაინც თავისებური სილამაზე აქვს.

ხათუნას გაქცევაზე ეჭირა თვალი. ბავშვების ჯავრი აწუხებდა.

ელუკი მიუხედა. ენის დაველებით ნასიამოვნები სანავთეს დასწვდა. ელენემ ყავისფერ ქალაღში გახვეული რალაც ნაყიდობა მიიხუტა გულზე.

— შენც უნდა ჩამოგვიარო, ნათლია, ხანდახან ამ ქვევით, — თქვა გამომშვიდობებისას ელუკიმ, — კიშკართან გამოვილი და არც გადმოგვხედავ. აგრე უნდა? პეტრუშა ზშირ-ზშირად დაიარება თქვენსა. თავი ნუ მოგიკვდება, გამოაგდე ზოღმე. იმან თუ ელუფთერი დაინახა, ჩვენ სულ აღარ ვახსოვართ.

— რა ქნას, კეთილი კაცია, — გამოესარჩლა პეტრეს ელენე და ხათუნას შეპლიმა, — აბა შენ იცი, თუ არ დაგვივიწყებ. ნახვამდის!

— ნახვამდის, ბატონო!

— ახალი ამბავი გაგებული გექნება, — წაჩურჩულა ელუკიმ ხათუნას, როცა შეყაში ვხა ერთად განაგრძეს.

— რა ამბავი?

ელუკიმ უკან მიიხედა.

— ამ კვირაში იწყებენ თურმე საეენახე მიწის გადაბრუნებას. მაგასთან აღარ გითხარი. ელუფთერს უსიამოვნება მოსვლია ბარუსისთან. კაცმა თქვა. კალისტრატე მასწავლსებელი წვერს იგლეჯსო.

ხათუნა შეფიქრიანდა.

— დიდი ამბავი იქნება, ნახე შენ თუ არა! — დაბეჯითებით წინასწარმეტყველებდა ელუკი.

— რა დიდი ამბავი უნდა იყოს?

— პეტრუშამ თქვა, კალისტრატე დაქადნებულაო.

— მე არაფერი არ მესმის მაგ ამბის, ელუკი, რა ჩემი საქმეა!

— კალისტრატეს საქმე კი არის თუ გიყვარდე?

— ეგ რა ვიცი ახლა!

ელუკი მიხედა: ქერიეს საყუთარი აზრის თქმა არ უნდოდა და პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა. მაინც არ მოეშვა.

— როგორც ყველა იქნება, ისე ვიქნები მეც! — მოუქრა ბოლოს ხათუნამ.

## თავი მესამე

შალვას და პალიკოს თვალგბი მოეცა ცათ ლოდინში. ზურია რა ხანია მოვიდა სამშვედლოდან, დედა კი მაინც არსად ჩანდა. სანამ მარტო იყვნენ, პავლე ღუმელთან იჯდა და „რწყილსა და კიანშველას“ იწერდა ორხაზიან რვეულში. სამელნე იატაკზე ედო, ღუმელის ფეხთან. პატარა შალვასაც იქვე მოეკეცა. ციხე-დაბაზს აშენებდა ნაქუჩებისაგან, მაგრამ როგორც კი უკანასკნელ სართულს დაადგამდა, კოშკი ინგრეოდა და ბრე სამელნეში ცვიოდა. ამ ამბის გადამკიდე ძმები ჩხუბობდნენ.

სამელნე გაწიეო, ყვიროდა შალიკო, ეს ადგილი ჩემი ადგილიაო.

პავლეს სამელნის გაწევა არ უნდოდა და იყვნენ ერთ ალიაქოთში.

მხოლოდ შუბლშეკრული ზურიას მოსვლამ დააწყინარა ძმები.

პავლემ სამელნე აიღო და თავისი რვეულითა და „დედა-ენით“ მაგიდასთან გადაბარგდა, შალვამ კი ღუმელის კარი გამოაღო და ცეცხლს შეუბერა.

ზურიას წისკვილში გამოეცლო. ფქვილი მოიტანა.

— დედა არ მოსულა? — ჰკითხა ძმებს, როგორც კი ოთახში შემოვიდა და ოფლში გაღვითქულმა კარი ხელუკულმა მიხურა.

— არა, ზურია, შენ არ გინახავს? — ერთხმად მიუგეს ძმებმა.

ზურიამ ტვირთი მოიხსნა, კოდის თავიდან თუნუქის ნაჭრებით დაიკრებულ გობი გადმოიღო და ტომარა კოდში ჩააპირქაჯა.

შალვამ მოირბინა, კოდს ორივე ხელით მოეჭიდა, შიგ ჩაიხედა.

— ფქვილია, ზურია?

— ვერ ხედავ? — შოოკია უფროსმა ძმამ, თანაც გზიდან ჩამოიცილა, — რას აკეთებდით?

— არათერს, — მოიხიო პავლემ, — მე ვსწავლობ, შალო თამაშობდა...

— მოამზადი გაკვეთილი?

— ვამზადებ...

— მანვენე აბა!

პავლემ გადაშლილი რვეული გაუწოდა.

— დააშრე, გინდა დაიღაბნოს?!

პავლემ დააშრო.

— ეა მოგცათ დასაწერად?

— დასაწერადაც და მოსაყოლადაც.

— აცი ბერე?

პავლემ თავი დაუქნია.

— ჭამეთ რამე?

— შუ.

— მერე არ მოგშივდათ? — ახლა შალვას მიუბრუნდა კობებშეკრული ზურია.

— დედა არ მოსულა.

ზურია თავადაც მოშივებული იყო, მაგრამ ვისთვის შეეჩივლა. განჯინა გამოალო. მსუნაგებს ყველის ორი პაწაწინა ნატეხილა გადარჩენოდათ. ხმელი თევზის საცივი, რომელიც ხათუნამ წუხელ ვახშმად გააკეთა, ხელუხლებლად იღო. გავირბენ და მალაზიიდან პურს მოვიტანო, გაიფიქრა ზურია და წასვლა დააპირა, მაგრამ გაახსენდა, რომ გვიანი იყო. მალაზია დაკეტილი იქნებოდა. ქურჭი გაიხადა და თუჯის მომცრო კეცები შემოაწყო ღუმელზე, მერე ცეცხლს შეუკეთა.

უმცროსი ძმებიც იქვე იდგნენ და თვალუბში შემოსციცინებდნენ, აბა რას დაგვაკლებსო.

— შენ წყალი გადმოასხი ამ კარდალში. მოიცა, ჯერ შეშა შემოიტანე! — პავლეს მიუბრუნდა ზურია, — შენ კიდევ, შალო, ფრთა მოძებნე და კეცები გადამისუფთავე.

ამის თქმა იყო და ბიჭებიც დატრიალდნენ. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი უფრო ასიამოვნებდა უფროს ძმას.

სანამ შალიკო კეცებს წმენდდა და პავლე შეშას ეზიდებოდა, ზურია იქვეილი აპოილო და ხელები დაიკაპიწა გასაცრელად.

— ვაიმე, ზურია, წყალი არ ყოფილა! — წამოიძახა პავლემ.

ზურია ამოიქშინა და ფქვილით სა-

ნახევროდ საესე საცერი გობში წაღგა. როდესაც გარეთ გავიდა, დაელოდა ხელში კობეზე დაეშვა, ძველ-ფანჯრის დან უთვალთვალუბდნენ, იქნებ აბასობაში დედაც გამოჩნდეს სადმეო. უცებ ორივემ ერთხმად შესძახა:

— დედა მოდის!

ფანჯარას მოწყდნენ, თვალის დახამხამებაში გარეთ გამოცვივდნენ.

ხათუნა ზურიას ელაპარაკებოდა ჭიშკარში, მერე პატარებს მოაშურა:

— აი, თქვე გადარეულებო, აიკელით აქაურობა განა!

— კი არ ავიკელით, შენ გიციდიდით, — მიეგება პავლე.

ხათუნა დაიხარა. შეიღები სათითაოდ ჩაიკრა გულში.

— ხომ არავინ გაგიჯავრებიათ?

— არა, ჭკვიანად ვიყავით. მოგვშივდა... — აიბუხა შალიკო.

— ნუ გეშინიათ, ვახშამი ახლავე იქნება.

ხათუნა წუთითაც არ დამჯდა. ტანზე გამოიცვალა თუ არა, ჯერ ღუმელთან ჩაიმუხლა, მერე საცერს აუყენა ტაკა-ტაკი.

— დედა. მილი მოიტანე? — საქმიანად ჰკითხა პავლემ.

— რა მილი, შვილო?

— ტუმბოს მილი.

— ჰო, კი, მოვიტანე.

— ახლა გადმოდის წყალი?

— როგორ არა, კარგად გადმოდის.

— ხვალ ჩვენც მოვდივართ.

— ხვალ ვერა, ტალახია. თოვლი გადნება და მერე.

— უუ! — თეხები დააბაკუნა შალვამ.

— სუ! გინდა ისაია ბიძიამ ყურები დაგაჭრას?

ამ დროს აივანზე ფეხის ხმა მოისმა და მალე მხარზე ჩაფშედგმული ზურია შემოვიდა.

— შეკაცო, ბექზე ვერაფერი დაიფინე? — უსაყვედურა შვილს ხათუნამ, როცა დაინახა. ჩაფის გამობერილ მუცელზე ჩამოღვენთილი წყალი წურწურით როგორ ჩამოსდიოდა ზურიას.

ბიჭმა დადლილობა არ შეიმჩნია, ჩაფი მსუბუქად ჩამოღვა ძირს.

— სკოლაში აღარ მიდიხარ დღეს? — ჰკითხა ხათუნამ.

— ხემს გადაველაპავ და წავალ.

— აბა სანამ მე ამას გამოვაცხობდე, შენ გავეეთილებს დაუტრიალდი. პაველმ ისწავლა?

— რა ვიცი, ვისწავლეო.

თავის გასამართლებლად პავლე მაციდას მივარდა, რვეული გადაშალა და დედას მოუბრუნინა.

— აი!

— ანგარიში? — ჰკითხა ხათუნამ.

— ანგარიშს ახლა დავწერ.

— აქამდე სად იყავი?!

— მალიკომ არ დამაცალა.

— შალო!

— ტუთილი! — ამდენ ცილისწამებას ვეღარ გაუძლო ნაწყენმა პატარამ და მუშტი მოუღირა შუათანა ძმას. ჩხუბში ზურია ჩაერია. გაწიწმატებული შალვა და აქოჩრილი პალიკო, რომელსაც ერთთავად დედისაკენ ეჭირა თვალი, დახე, რა ჰკვიანად ვიქცევით, ძლივს დააწიწენა ერთიმეორეს.

გვარიანი დაღამებული იყო, როცა მიწყნარდნენ.

დერეფანში გამუდმებული ფეხის ხმა და ლაპარაკი ისმოდა. ერთნი მიდიოდნენ, მეორენი მოდიოდნენ. ალბათ, ბორისი კაბინეტში იყო.

ნაეზშმევეს ზურია მჭურჭი გადაიკეცა, წიგნები ამოიჩარა ილიაში და სკოლისაკენ გასწია. მაგრამ უმცროსების დაოკება და ლოგინში ჩაწვენა ვერა და ვეღარ მოახერხა ხათუნამ.

საქმე ის იყო, ამაღამ ბორისი უნდა ენახა ხის ან ლითონის კასრების თაობაზე, რომლებიც მშენებლობაზე სჭირდებოდა, ამ ონაერების გადამკიდე კი შინიდან ვერ გადიოდა.

სანამ დედა გალახვით არ დაემუქრა, შალვა თავს იკლავდა, არ დავწვებო, ჯერ ზურია მოვიდეს და მერე ყველა ერთად დავწვეთო, მაგრამ როდესაც ხათუნამ საგანგებოდ ნაგულეები წავებ-

ლა გადმოიღო და შარვალი ჩაჭადა, იკადრა დაწოლა.

პავლესაც რაღა ძალა ჰქონდა მუშტი ტანზე გაიძრო და ფეხებში შეუწვია ალუქუნებულ ძმას.

ბორისი წასვლას აპირებდა, როცა კარზე შალწამოხურულმა ხათუნამ დააკაკუნა.

— შემოდი, რომელია! — დაიყვირა ბორისმა და ხათუნას დანახვისთანავე წამოდგა, — მობრძანდი, ხათუნა! რას დაგვიძვირე თავი, შე ქალო, მეზობელი მაინც არ იყო!

ამ სიტყვებზე ბორისმა ღონიერად ჩამოართვა ხელი მინდელის ჭვრივს, სკამი თავის სკამთან ახლო დაუდგა და თავაზიანად სთხოვა, დაბრძანდიო.

— მე ერთი წუთის საქმეზე შეგაწუხებ, ბორის. მგონი წასვლას აპირებდი. — მოიბოდინა ხათუნამ.

ოთახში მხოლოდ მარგალიტა მოანგარიშე იყო, რომელიც მაუდგადაფარებულ მაგიდას მისჯდომოდა და ნისკარტა ცხვირით რაღაც უწყისებში ჩარგული საანგარიშოს აჩხაკუნებდა.

— ტუმბო გადმოვიტანეთ, — განაგრძო ხათუნამ, — დღეს რეზინის მილიც გვათხოვა სახანძრო ინსპექციამ.

— ენახე. ამ საღამოს ვიყავი სწორედ თქვენს მშენებლობაზე.

— ახლა ერთი სათხოვარი მაქვს და თუ იმასაც მოგვიხერხებთ...

— ჰო.

— კასრები გვჭირდება. ან ხის ან რკინის, სულ ერთია.

— კასრები რად გინდათ, ქალო? — გაიღიმა ბორისმა და ნიკაზე და დაწვებ ჩამუდებული ნამგლები დ ექიმა.

— წყლის მოსამარაგებლად, — ოდნავ შეცბა ხათუნა.

— აჰა!

— ორმო გინდოდა ამოგვეთხარა, კიდევ თქვეს კაცებმა, მარა მე მგონია, არ ღირს. იმ ორმოს ამოთხარა ორ დღეს მოგვაცდენს. შენც იცი, თუ სადმე ცარიელი კასრები გიყრია, გვათხოვე-

როგორც კი საქმეს მოვრჩებით, ისევ ისე დაგიბრუნებთ უკან.

— კასრები... — დაფიქრდა ბორისი და წაიბთ თვალი შეველო ქალის შეფაკლულ სახეს, — გვიდილაურის მარანში გვაქვს ხუთიოდე კასრი. შაბიამინიანი ყველა.

— რა უქირს, სასმელ წყალს ხომ არ მოვიკავეთ შიგ!

— წაიღეთ, მე წინააღმდეგი არა ვარ.

— შენ აგაშენა ღმერთმა, ბორის. სამი რკინის კასრი კიდევ სამკვედლოს წინ დგას. იმასაც წავიღებ თუ...

— ის კასრები ემტევის არის.

— იყოს მერე, კი არ დავუკარგავთ. იქ მინც ტყუილა ყრია.

— ამას ვერ უყურებ, რა გამომძალველი ყოფილა! — კიდევ დაეკიმა ნამგლები ბორისს.

— შინ ხომ არ მიმაქვს, — გაიღიმა ხათუნამაც.

— სხვა?

— სხვა ჯერჯერობით არაფერი. თუ კიდევ რამე დაგვკირდა, აგერ არა ვართ?

— შენ ეს მითხარი: შრომის ანაზღაურების საქმე როგორ იქნება ახლა?

— შრომის? — თვალები ასწია ხათუნამ.

— შენ ხომ მუშაობ აგერ, მუქთად ხომ არ მუშაობ!

ხათუნა დაიბნა.

— შრომადღებთ გაგისწორდეთ თუ ფულით?

— მე რა ვიცი, ბორის, ეგ თქვენი საქმეა!

— ჩვენი საქმე როგორ, აგრე აღვილია? შენ, შეიძლება, ფული გირჩენია, მარა... ჯერ გადაწყვეტა უნდა. გამოვიანგარიშებთ...

— სხვაგანაც ხომ არის საბავშვო ბაღები. რამდენსაც იმათი გამგეები იღებენ, მეც იმდენი მერგობა. რა დიდი გამოანგარიშება კორღება მაგას!

— შენ რომ ჯერ გამგე არა ხარ?

— აბა? — თვალები გაუფართოვდა ხათუნას, — სერგომ მითხრა...

— სერგომ... გამგის შტატი ჩვენი შტატი არ არის. გაიგე ვაჭლენ უჩვენ გინდინარ და კიდევ გეტყვობ, რომ შენ იყო გამგედ, მაგრამ გადაწყვეტა სხვისი საქმეა.

ხათუნას ერთბაშად წაუხდა გუნება. კინალამ ტირილი დაიწყო.

— რა მოგივიდა! — გამოცოცხლდა ბორისი, — აგერ მოვილაპარაკოთ და მოვაგვაროთ საქმე.

— როგორ უნდა მოვაგვაროთ, რანაირად, რალა უნდა მოვაგვაროთ...

— მოიცა. მაისის დამდგამდე, როგორც ჩანს, ჩვენ ბალს ვერ გავხსნით, გახსნამდე კი გამგის დანიშვნაზე ლაპარაკი ზედმეტია. საცინად აგვიგდებენ. დამოჯერე მე შენ. ახლა ხომ მუშაობ მშენებლობაზე. რადგანაც მუშაობ. რალაც ხომ უნდა მიიღო, სანამ დაწესებულებას ჩაიბარებდე. დამხმარე მუშად ხარ, არა?

— ბორის, მეხუმრები?

— ხუმრობა რა შუაშია! — უხერხულად გაიღიმა თვემჯდომარეს.

ხათუნა ცრემლებს ყლაპავდა. ხმა ვეღარ ამოეღო.

— კარგი ახლა, სატირალი რა ვითხარი! — იწყინა ბორისმა.

ხათუნამ თავი ჩალუნა და მხრებზე წამოხურული შალის ყურით ცრენლი შეიმშრალა.

— ვიცი, ბორის, ჩემი საშველი არასოდეს არ იქნება.

— ყველაფერი შენზეა დამოკიდებული!

ხათუნამ ცრემლით სავსე თვალები ასწია.

— ცდას ვაკლებ თუ?

ბორისმა ნამალადეკად გაიღიმა და უწყისებში ჩაფლულ მოანგარიშეს გადაჰხედა.

ეტყობოდა, მოანგარიშე გულმოდგინედ უგდებდა ყურს მათ საუბარს. მაგრამ ახლა თავს იკატუნებდა. საქმეში ვარ გართულიო. წამლაუწუმ აჩხაკუნებდა საანგარიშოს კოჭებს და ოთხად



გაკეცილი გაზეთის კიდეზე რაღაც ციფრებს იწერდა.

## თავი მეოთხე

ელენეს ნატვრა აუსრულდა. კვირა დღე მზიანი გათენდა. სველი მიწა ბრწყინავდა. ვენახებში და ორღობეებში ზრიალით მოედინებოდა გამდნარი თოვლის ნაკადულები. ნამდვილი გაზაფხულის დილა იყო. თუმცა შინ, პალატში, თვით მეორე სართლის ოთახებში და თვალშეუდგამი კაქლეებით დანარდილულ აივანზეც კი ჯერ კიდევ საკმაოდ გრილოდა, გარეთ მზე აცხუნებდა მიდამოს.

თადარიგიან მუნჯიას ნაკვიანვეი კრუხ-წიწილა კარის ვენახში გადაერეკა და ისინიც ხალისიანი წიგწივითა და შებუბმული ფრთების სწორებით ეძებდნენ მზეზე გამოსულ ჰიალუსს.

ელეფთერი გვიან ადგა. მთელი ღამე თავს იტყვიებდა. წამალი სამჯერ დალია. ადგომისთანავე უნდოდა ეკითხა, დედა როგორ არისო, მაგრამ მონღია არსად ჩანდა, ელენე კი ისე გულმოდგინედ ემზადებოდა წიფლისწყაროში წასასვლელად, ელეფთერმა გაიფიქრა ვაითუ დედის ავადმყოფობის გახსენება ელენემ შინ დარჩენის მომიზეზებად მიიღოსო და ამიტომ დღემილი ამჯობინა. პერანგზე საშინაო ხალათი გადაიცვა და თვითონ ავიდა ზემოთ. დედის ოთახის კარი ფრთხილად შეაღო.

მოხუცს არ ეძინა. გულაღმა იწვა, მუქის სიშხო. ნაოჰებად ქცეული სახე კარისათვის მოეპყრო.

— დედა, გძინავთ? — მიმქრალი ხმით იკითხა ელეფთერმა.

— შემოდი. — გაისმა ავადმყოფის არამქვეყნიური ხმა.

ელეფთერი ფეხის წვერებზე მიუახლოვდა.

ავადმყოფს თვალები არ გაუხელია, მაგრამ იგრძნო, შეილი თაეზე ადგა. მარცხენა ხელით ოდნავ შეარხია საბნის კიდე და იმავე არამქვეყნიური ხმით წაიჩურჩულა:

— დაჯექი.

ელეფთერმა მიიხედ-მოიხედა. სკამს ეძებდა. სკამი ოთახში არ აღმოჩნდა. ფეხაქრფევით გავიდა აივანზე, კარი ღია დატოვა, ქვეშაგებლისა და თეთრეულის შესანახ პატარა ოთახიდან სელის სკამი გამოიტანა და ისევ ავადმყოფის საწოლთან დაბრუნდა.

— გარეთ როგორი ამინდია? — დაიხავლა დედამ.

— კარგი. გამოზაფხულდა, — სკამზე ფრთხილად დაეშვა ელეფთერი, რათა ხმაური არ გამოეწვია.

— მზეა?

— კი, მზეა.

— შე ვგრძნობ...

— თვალეში რატომ გაქვთ დახუჭული?

— ასე მირჩევნია.

— დარბებები გავალო?

— როგორც გინდა.

— ჩემთვის სულერთია.

— ჩემთვისაც სულერთია.

— ელეფთერი! — გაისმა ამ დროს ეზოში.

ელეფთერმა ფრთხილად წამოიწია.

— ვინ არის? — იკითხა ავადმყოფმა.

— ელენეა, ჩემი მეუღლე...

— ჩამოდი, პეტრე მ. კვიდა, — დაიძახა ელენემ, როდესაც ელეფთერის მძიმე ფეხისბმე აივანზე გაისმა.

— ახლავე, დამიცადოს.

— რა უნდოდა? — იკითხა ავადმყოფმა ელეფთერის დაბრუნებისას.

— პეტრე მოვიდაო.

— ძალიან ნო შემოიჩვევ... მამასავით გაუტანელია... მაგან ჯვარი გაჰყოდა.

— ჯვარი?

— ჯვარი... ქრისტეს ჯვარი. ჩვენი ეკლესიის სამრეკლოზე იყო.

— კარგი. დედა.

— ჩემთან რატომ არ ამოდიხარ?

ელეფთერს ციენა ოფლმა დაასხა.

— ცოლი არ გიშვებს? — უფრო ჩაუქრა ხმა ავადმყოფს.

— როგორ გეკადრება, დედა! — აი-

ქარდა ელფეთერი და ძალაუნებურად შეირბა სკამზე.

— არ უშავს... არც მე ვარ დამნაშავე, არც ის, არც არავინ...

ელფეთერმა გონება დაძაბა, მაგრამ ღედის სიტყვების ფარულ აზრს მაინც ვერ მიხვდა და წაილაპარაკა:

— არავინ არ არის დამნაშავე, დედა..

— მართალია, არავინ, — დეთანხმა ავადმყოფი.

ფანჯრის მინებმა ზრიალი მოიღეს. კიბეზე ვიღაც ამოდიოდა. ელფეთერმა წამოიწია. სწორედ ამ დროს აივანზე სახეწამოპარხლებული და ზომაზე მეტად გამხდარი პეპინა გამოჩნდა.

— დილა მშვიდობის, ნათლია! — შეშფოთებული სახით მიესალმა ის ელფეთერს და ჩაბლაჩი მოიხადა, — ბომ მშვიდობა არის?

პასუხს აღარ დაპლოდებია, ოთახში შემოვიდა და საწოლს მიუახლოვდა.

ავადმყოფი სუნთქავდა. ამან პეტრე გაახალისა.

— გამარჯობა, ბიცოლა! რა ხარ, შე ქალო, აგრე უნდა იწვე სულ?

— დედას ძინავს, — ტუჩებზე ხელი მიიღო ელფეთერმა და წამოდგა.

პეტრემ ისევ შეშფოთებული სახე მიიღო, თავი სინანულით გადააქნია, ერთხელ კიდევ დაჰხედა თითქმის დაცარიელებულ საწოლს და კარისაკენ გატრიალდა.

— ექიმი რას ამბობს? — ჰკითხა მან ელფეთერს, როცა ეს უკანასკნელი კიბეზე წამოეწია.

— სერგო იყო გუშინწინ და...

— იპ, შენგან არ მიკვირს, ამბერკიჩ, ბატონო? სერგომ რა იცის! ამას წინებზე ეგნატეს ნემსი გაუკეთა და კილამ შიგ შეატეხა. ჩემგან გესწავლება ახლა შენ? რაიონიდან უნდა გადმოვიყვანოთ ვინმე.

— გადმოვიყვანო, თუ საჭირო იქნა.

— წიფლისწყაროში მიბრძანდებით ბართლა?

— ელენემ აიჩემა, დამათვალეიერებინე იქაურობაო.

— კარგი აზრია სწორედ, მაგრამ დღეს რომ კვირა არის?

— აბა საქმის დღეს წვენი...

— მეც მქონდა პატარა საქმე წიფლისწყაროში და შეიძლება ქე მოგეწიოთ გზაში.

— მაგას რაღა აჯობებს.

— ახლავე მიღიხართ?

— ახლავე, ა, ჩავეცვამ და ეგ არის.

— აბა ჩავეირბენ მე და ელუკის გადაეძახებ.

— აგრე ქენი. საქმე ხომ არაფერი გქონდა?

— მქონდა კი, მარა...

— თქვი!

— არა, არა. სხვა დროს იყოს.

— ელენე! კოსტუმი გაწმენდილია?

— ყველაფერი მზად არის, ოღონდ ჩქარა ჩაიცვი, ასიცხდება, — პალატიდან გამოსძახა ქმარს ელენემ.

— აბა თუ არ გინდა თქმა, სხვა დროსთვის იყოს, — მიუბრუნდა პეპინას ელფეთერი და ქუსლებწათელილი ჩლატების ფლახუნით პალატისაკენ წავიდა, — ელენე, პირსახოცი მომწოდე, ერთი. რას გაწოლილა ეს სამგლე შემოსასვლელში! ჯალხანა!

ნავაზი ლასლასით წამოდგა, პეტრეს ჩაუარა და სახლის საძირკველთან მიეფიცხა მზეს.

ორიოდე წუთის შემდეგ ელენემ სუფთა პირსახოცი გამოიტანა და როდესაც დაინახა, პეტრე იქ აღარ იყო. ხმადაბლა ჰკითხა ქმარს:

— ეგეც ხომ არ მოდის?

— რა ვიცი, მოვდივარო. საპონი რატომ არ დევს პირსახანზე?

ავუსდუსებულმა ელენემ საპონი გამოარბენინა და პირსახანში წყალი ჩაასხა.

— ელფეთერ, — მიუბრუნდა შემდეგ ქმარს, — მოიხედე! აქამდე მე შენთვის არაფერი მითქვამს...

— რა? — გაიმართა პრისაბნაში...

— მუნჯიას ვერაოერს...

— რას უნდა ვამჩნევდე!

8035



ელენეს აღმური მოეცია.

— თქვი, რაღას მალოდინებ! — მოთ-  
პინება დაეკარგა ელეთფერს.

— რა და... რა და, ელეთფერ, მუნ-  
ჯია და ეს ვაჟბატონი მგობი... —

— ჰა?

ელეთფერმა მშრალი საპონი პირსა-  
ბანზე დასდო.

— დამიძახე ერთი, მომიყვანე აქ!

— რას ეტყვი, ვერც გააგებინებ.

— გაეგებინებ თუ არა, მე ვიცი!

ელეთფერი დერეფნიდან გამოვიდა  
და ბელეს მიაწერა.

ბელის — აივანზე მუნჯიას ძველი  
სკივრიდან ამოღებული დანა-ჩანგალი  
შემოეწყო და ნაცრით ხეხდა. ელეთფე-  
რის მიახლოებისას, თითქოსდა ფეხის  
ხმა გაიგონაო, უმალვე მოტრიალდა.

ელეთფერი გამწარებული იყო, თავს  
ძლავს იკავებდა.

— რად გინდა, რა ჯანდაბად გინდა  
ეგ, რად! — შიგ სახეში მიახალა მუნ-  
ჯიას, ერთად დაყრილ, ჩაქანგებულ  
დანა-ჩანგალს ხელი დაჰხვია და შორს  
მოისროლა.

დანა-ჩანგალი ქვრივით გაიფანტა  
აქეთ-იქით.

მუნჯია გაოგნებული იდგა. ელეთფ-  
ერს თვალბში შეჰყურებდა.

— წამოდი! — დაიქმინა ელეთფერმა.

დამნაშავე ბალღივით მორჩილმა მუნ-  
ჯიამ შიშველი ნიდაყვით ცხვირი მოი-  
წმინდა და ვეება ჯანსაღი ტანი დერე-  
ფნისაკენ წაიღო.

ელეთფერი წინ მიუძღვოდა, თან  
ფიქრობდა: „გავადგებ, ამ წუთში გა-  
ვადგებ სახლიდან, მაშის სულს ვფი-  
ცავ, გავადგებ!“

ოდის კიბეზე ასვლისას უკან მოი-  
ხედა.

მუნჯია გულხელდაქობილი იდგა  
და შემოჰყურებდა, მეც ამოვიდოე თუ  
არაო.

— ამოდი! — ანიშნა ელეთფერმა.

როდესაც ქვეშაგებლისა და თეთრე-  
ულის შესანახ პატარა ოთახში შევიდ-  
ნენ, ელეთფერმა კარი მჭიდროდ მიხუ-

რა, რათა მათი ხმა დედას არ გაეგონა.

მუნჯია კვლავ გაოგნებული იდგა.  
ელეთფერს სიმწრის ტყვეობაში  
დიოდა შუბლზე, რადგან სათქმელის  
დაწყება იყო საჭირო, მას კი დაწყება  
ვერ მოეხერხებინა. აბა ყრუ-მუნჯს  
როგორ უნდა მიახვედრო, ამა და ამ  
კაცთან ერთად ავბორცობაში ხარ შე-  
ნიშნულიო! ახლა ელეთფერს თავის-  
თავიც კი ეზიზღებოდა, იმდენად შემა-  
ზრზენი იყო დაუოკებელი ვნებით გაფ-  
ლენთილი მუნჯიას სხეული, რომელსაც  
თითქოს მოწოლილი მდუღარე სისხლი  
აიახთახებდა.

— დაჯექი და გულახდილად მომი-  
ყევი... — თქვა წყნარად ელეთფერმა  
და სცადა ხელების მოძრაობით იგივე  
გაემორბინა.

ძალიან ერთგული მუნჯია მიუხ-  
ვდა.

ქვეშაგების დასაწყობ მერხზე დაეშვა.

— ახლა მითხარი, რასაც აქამდე მი-  
ნალავდი და ჩვენ ყველას გვიმალავდი,  
— ყელს მოწოლილი ზიზღის შესანე-  
ლებლად ფაქრ სიტყვებს ეძებდა ელეთ-  
ფერი, მაგრამ ამ სიტყვების მუნჯიას  
ენაზე გადათარგმნა ძალიან ძნელი და  
თითქმის შეუძლებელი იყო.

— უუღმ! — ამოიღმუვლა მუნჯიამ,  
რომელიც ძალ-ღონეს ძაბავდა, იქნებ  
რაიმე გაევიგოო.

— შენ გათახსირებული ხარ, გარყე-  
ნილი ხარ, შენ ჩვენს ოჯახს თავი მოს-  
ტერი! — თითი კინალამ გულში ატაკა  
ქალს გაათრებულმა ელეთფერმა და  
მერე იგივე თითი თავის ყელ-კისერს  
შემოავლო.

— უუღმ! — დაიღმუვლა მუნჯიამ.

— მართალია, ხარ გარყენილი და  
გათახსირებული?

მუნჯია მშვიდად შემოჰყურებდა.  
ბოლოს საოცარის ძალით წამოვარდა,  
ოთახის უფანჯრო კედელთან ფეხების  
ბრაგუნით მიიბრინა, იქ მოხარატებულ  
სკივრს ახალა თავი და შიშველი მკლავი  
მხრამდე ჩასჩარა შიგ.

„პირუტყვი! — გაიფიქრა იმდგაე-

რუბულმა ელფთერმა, — ეს დაჟანგულ დანა-ჩანგალზე მელაპარაკება!”

— შე შენ გაგაგდებ, გაგაგდებ! — ხმას აუწია ელფთერმა და ხელით ანიშნა.

მუნჯიამ მკლავები დაიჭლო, თვალეში დახარა და მხრები აიჩეჩა.

— გაგაგდებ! იმ შენს დანა-ჩანგლიანა გაგაგდებ! — ახლა მხოლოდ სიტყვებით ამბობდა ამას ელფთერი და ხელებს უაზროდ იქნევდა.

პატრონის ერთგულებით, გულწრფელობითა და დაუოკებელი ვნებით აღსავსე დიდრონი, ოდნავ ჩასისხლიანებული თვალეები მუნჯიას ცრემლით ავსებოდა.

ეს კი ყოველად აუტანელი იყო ელფთერისათვის. ერთი წუთის წინ ამ ქალის გასაგლეჯად აქ შემოსული საოცარმა მღელვარებამ მოიცვა.

„რას მერჩით, — ეუბნებოდა მუნჯიას მეტყველი სახე და სხეული მას, — სიცოცხლე თქვენ შემოგწირეთ. მე და ჩემი და სულ პატარები ვიყავით, როდესაც აქ მოგვიყვანეს. ჩემი საბრალე და თქვენზე ზრუნვამ და მიწამ ამოიქაშა. ზეც იგივე მომელის. არ გამადლოთ. სიცოცხლე თქვენთვის შემომიწირია. კარგები ხართ თუ ცუდები, მიყვარხართ, რადგანაც შეგეჩვიეთ. რატომ მირისხდებით თუ მეც ერთი პატარა სიამოვნება გამოგელიჯე ამ ცხოვრებას, თქვენთვის ხომ არ წამირთმევია, მეც ხომ ადამიანი ვარ. მაშ რისთვის მირისხდებით? იქნებ ტყუილად დაქვევებულხართ. ხომ იცით, მუნჯი ვარ, ყურშიც არაფერი მესმის, ვერაფერს ვგებულობ, პასუხის გაცემა არ შემიძლია. მაშ რისთვის მაწამებთ. განა თქვენი ერთგული ადამიანი არ უნდა გეცოდებოდეთ? მე ხომ თქვენი გულისთვის ცეცხლშიაც ჩაყმდებარვარ...“

ელფთერს რაღაც მოაწვა ყელში. კინალამ თვალთ დაუბნელდა. კარის სახელური ძლივს მოძებნა, მოსწია და თითქოს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, აივანზე გამოფარდა.

## თავი მეხუთე

მთელი გზა უბრალ გაიქრეს ელფთერს კვლავ მუნჯის მეტყველი სახე ედგა თვალწინ და მოსვენებას არ აძლევდა.

„ეს რა ცეცხლში გავიხვიე თავი, ვყოფილიყავი ჩემთვის!“ — ფიქრობდა გზადაგზა.

ელენე გრძობდა, რომ მუნჯიასთან საუბარს ქმარი რაღაც უფრო საჩოთიროზე ჩაეფიქრებინა, ვიდრე თვით ეს საქმე იყო, მაგრამ გამოკითხვას ვერ უბედავდა.

ამასობაში შუადღეს მოეტანებინა. მზე ცის თავანზე ასულიყო და ისე მიწავედ აცხუნებდა, როგორც მკათათეში. საშემოდგომო ნახნაეში ჯეჯილს ამოეწვერა. ჯეჯილის სიმწვანე უფრო მკვეთრად ისახებოდა თეთრ, გამჭვირვალე ოხშივარში, რომელიც ნაზამთრალ მიწას ასდიოდა.

— ჩრდილი არსად არის, ელფთერ? დავისვენოთ, — წამოსცდა ნადრეც სიცხისაგან გასავათებულ ელენეს.

— ქვემოთ წყაროა, აკაციებში, — მიუგო ელფთერმა.

— რა მოგივიდა, რაღა ხარ აგარე მოღუშული?

— მცხელა.

— პიჯაკი გაიხადე.

წყაროსთან ბაზრიდან მომავალ დედაკაცებს შეესვენათ. გამოკვირებული აკაციების მეჩხერ ჩეროში ფეხთ გაეხადათ და ხმადაბლა მასლაათობდნენ. წიფლისწყაროს მხარეს მომავალი ქალი და კაცი შორიდანვე დაინახეს. უმაღლ თავთავიანთ წულებს ეცნენ, სასწრაფოდ ჩაიცივეს და წამოიშალნენ.

— ნუ წუხდებით, ნუ! — შეეხმინა ქალებს ელენე, — აქ ყველა დავეტევიო!

— დატევიო კი... — გაიღიმეს ცნობისმოყვარე ქალებმა, რომელთაც ჰრეული თავსაფრების მოხვევა მოესწროთ და უცხო მამაკაცს პირს არიდებდნენ.

— კარგი წყარო გვქონია! — გაიღიმა ელენემაც, რათა რაც შეიძლებოდა, თავი შინაურულად დაეჭირა.

— კი, ბატონო, კარგი წყაროა.

ელენე წყაროსთან მივიდა. ვილაყამ რეზინის სარწყული გამოაძრო ფუთიდან და მიუბრუნა.

— გამაღობთ, კირიმე!

— მოიცა, ოფლი შეიშრე, გინდა, ხუნავი დაგეტაკოს? — ამოიღო ხმა განზე გამაღვარმა ელენეთერმა.

— ე! — გაისმა წუთიერ სიჩუმეში, რომელსაც ღარიდან გადმომჩქვარე წყლის თქრიალი არღვიდა.

ელენეთერი ხუთიოდე წუთს იჯდა, მერე ადგა და უჯანაც არ მოუხდენია, ისე განაგრძო გზა. წყაროსთან ქალები, ჭაჭანებდნენ. დროდადრო წყლის თქრიალი ისმოდა.

„რქას ვეღარ გამოატეხს ახლა!“ — ღვარძლიანად გაიფიქრა მან ცოლზე.

— დაებრუნდეთ, თუ გინდა, — ჩაუღაპარა ელენემ, როცა განზრახ ფეხათრევით მიმავალს წამოეწია.

ელენეთერმა ცოლს გადაჰხედა და გზა განაგრძო.

— მაშ ისე გამოდის, არაფერი არ უნდა გითხრა, — საყვედურებს მოჰყვა ელენე, — როდემდე დამემალა!

ელენეს ხმის კილომ ელენეთერი გააღიზიანა, მაგრამ ისევ შეიკავა თავი. არ უნდოდა, ცოლისათვის ეწყენინებინა.

— მაშ დამემალა? — ჯიუტად იკითხა ელენემ, — მუნჯია იმდენად ხნიერი კი არ არის, შეიძლება დაორსულდეს...

ამან ერთბაშად ააფეთქა ელენეთერი.

— არ გაათავებ მაგ სულელურ ლაპარაკს? — შეუტია მეუღლეს.

— როგორ, სულელურს, ელენეთერ...

— როგორ! რად ეჩრები იქ, სადაც არაფერი გესაქმებია?

— მე, ელენეთერ? — ხმა აუკანაყლდა ელენეს, — თუ შენ რამე გეხება, მე არ შეხება? მე შენი ცოლი არა ვარ?

— ცოლი! — თვალები დააბრიალა ელენეთერმა და თუმცა ელენე უკვე ებრალებოდა, ზედაც არ შეხედა და ორიოდე ნაბიჯით დაწინაურდა.

ჩაუარეს ფურჩეს... მარჯვნივ სარკინიგზო სადგურის თეთრი შენობა

მოჩანდა, რომელიც ერთადერთი სამსართულიანი სახლი იყო დადგესდაც წიფლისწყაროში. სადგურის მიღმა მთაწინი მატარებელი იდგა. ძეწნებში ორთქლმავლის ქშენა და კანტიკუნტი შეკივლება ისმოდა. მთავარ ქუჩაზე სიციხის ბული და მტვერი დამაღვარიყო. ყოველ წამს მსუბუქი და საბარგო ავტომანქანები მიმოქროდნენ. ქუჩის მარჯვენა მხარეს, წოწოლასახურავიან სახლებს იქით ნაპქერით ადიდებული ლუბუნია შებოდა.

სანამ ხიდთან მივიდოდნენ, ელენეთერს რამდენიმე ნაცნობი შემოხვდა. მოესალმნენ. ელენეთერს უცებ გაახსენდა, რომ ცოლი უკან მოსდევდა. უნებურად შეანელა ნაბიჯი. ელენე წამოეწია და მკლავში ხელი გამოსდო.

— ელენეთერ, — გაუბედავად დაიწყო ქალმა და ამოდ შეეცადა ხმაში სიმშვიდე შეენარჩუნებინა, — ელენეთერ, იქნებ შენ... რაიმე გინდა მითხრა და ვერ შეუბნები...

ელენეთერი შედგა. ქალს ცრემლით ასეებოდა თვალები, ქვედა ბაგე უცახცახებდა. შეებრაღა ცოლი. დღეს პირველად იყო, რომ ასეთი აზრი თუ ეჭვი მოუვიდა თავში ელენეს...

„რა სულელია, ღმერთო, რა სულელია, — ამდენი ხნის საკუთარ სულში ფოთილის შემდეგ უცებ გუნება შეეცვალა ელენეთერს და კანალამ ხმამალა გადაიხარხარა, — განა შეიძლება ამაზე უფრო სულელური ეჭვი?“ რა შუაშია რაიმეს თქმა. რის თქმა უნდა უნდოდეს!

— მე მინდა და ვერ გეუბნები? — მხოლოდ ელენესათვის ნაცნობი ალერსის სხივი გაუქრთა თვალებში ელენეთერს, — როდის იყო, მე რაიმე მინდოდა და ვერ გეუბნებოდი!

ელენე ქმარს დააცქერდა, მართალს ამბობს თუ არაო და როდესაც ელენეთერმა გაიღიმა, მის სახეზედაც ერთბაშად გამოიღარა.

— კარგი, შევრიგდეთ, — თქვა ელენეთერმა და ცოლის ხელს, რომელიც

მკლავებზე ჰქონდა ამოდებული, თავი-  
სი ღონიერი ხელი დაადო.

— მე ისე მწყინს, ელეფთერ, როცა  
შენ...

— კარგი, შეერიგდეთ.

— არ შეგონა, შენ თუ...

— კარგი. შენ ყველაფერი მოგელან-  
და. რასაც შენ ამბობდი, შეუძლებე-  
ლია, — სწრაფად თქვა ელეფთერმა ამ  
ამბის მოსათავებლად, თუმცა ნათქვა-  
ვის სიმართლეში თვითონაც არ იყო  
დარწმუნებული, — თუნდ აგრეც იყოს,  
ეგ ჩვენი საქმე არ არის, — დაუმატა  
ბოლოს, — შენ არ ამბობდი, მუნჯია  
არტო ისე ხანში შესულიაო?

— მაგრამ, ელეფთერ...

— კარგი, გავათავოთ!

— გავათავოთ, — ძალაუნებურად და-  
ეთანხმა ელენე, — თუ შენ აგრე გინდა,  
გავათავოთ.

— ბაზარში შეივლი?

— რად გვინდა!

— მიიხედ-მოიხედავ, თანაც ვიყი-  
დით რამეს.

— მე შენთან ახლო ყოფნის მეტი  
არაფერი არ მინდა.

— მაგის დროა ახლა?

ისინი ხილზე გავიდნენ.

— როგორი აღიდებულა! — წამო-  
ძახა ელენემ.

ელეფთერმა მდინარეს გადაჰხედა.

მღვრიე ტალღები ზათქით და ღრია-  
ლით მოჯირითობდნენ. ამღვრეული  
წყალი მთელს რიყეს მოსდებოდა და  
ბაზრისაკენ მიმავალი გზა გადაეჭრა.  
ხალხი ხუთიოდე შარვალამოკარწყახე-  
ბულ ბიჭს გადაჰყავდა პაწაწინა ნავე-  
ბით.

— ვაიმე, მეშინია, მე ნავში ვერ  
ჩაეჯდები! — მკერდით ელეფთერის  
ძხარს მიეყრდნო ელენე.

ელეფთერმა ხელი შეაშველა.

— რას შერები, გაღარიბე?

ელენემ გაიღიმა.

ნაგზე ერთი თავისუფალი ადგილი  
აღმოჩნდა და მენავემ ელენე მიიწვია.

— ჩვენ ერთად გადავალთ! — ხელი  
აქინა ელეფთერმა.

მომდევნო ნავში ჩასხდნენ.

სანამ ნაპირთან იყენენ, <sup>ჩაფრთხილი</sup>  
მაგრამ როდესაც ელენემ <sup>შეხვედნის</sup> ქვეშ  
წყლის სიღრმე იგრძნო, ელეფთერის  
ხელს ორივე ხელით ჩააფრინდა.

— რომ იხრჩობოდე და საშველად  
მოვეურო, აგრე ჩამეკიდები? — წას-  
ჩურჩულა ელეფთერმა.

ელენეს გააქრყოლა.

— ორივეს ჩავვძირავს, — იღიმებო-  
და ელეფთერი.

— შენ არ გინდა?

ამასობაში ნაპირს მიადგნენ. ელენე  
პირველი გადავიდა მშრალზე.

— ნახე, გული როგორ მიძგერს! —  
თქვა ქალმა, როცა ქმარი მიუახლოვდა.

— ელენე, მე შენ ვერ გცნობ დღეს!

— რა დიდი მინდვრებია! — დაცე-  
მულ ჰალას გადადევნა თვალი ელენემ,  
რათა სიტყვა ბანზე აეგდო, — ალაზნის  
ველს არა ჰგავს?

წიფლისწყაროს ვაე მართლაც რაღა-  
ციტ წაგავდა ალაზნის ველს. მხოლოდ  
იმ განსხვავებით, რომ მისი შუაგული  
მთლიანად დასახლებული იყო. ველზე  
გაბნეული სოფლები პატარა-პატარა  
ბოსტნებივით სერავდნენ თვალაწიე-  
რამდე გაწოლილ მინდორს, ამ ბოსტ-  
ნებში კი ყუაწოსებრ ანთებულიყვინენ  
ცინცხალი კრამიტით გადახურული  
ოდა-სახლები.

— სად მივდივართ? — იკითხა ელე-  
ფთერმა.

— გავყვით ამ გზას. თავი ალაზნის  
ველზე მგონია, — უჩვეულო აღგზნე-  
ბით მიუგო ელენემ, — სადამდე მიგვი-  
ყვანს ეს გზა?

— ქართლში გადადის.

— აქედან შორია?

— ალბათ. ამ მთების იქით. ბაზარში  
არ შევიდეთ?

— რად გვინდა ბაზარი, აქ არ ჯო-  
ბია? შენთან მარტო ყოფნა მომენატრა.

ლუხუნუიას პაწაწინა ტოტს მიადგნენ.

— ეს წყალი რატომ არის წმინდა? —  
ვანცვიფრდა ელენე.

— ქვიშიდან ჟონავს.

— დალევა შეიძლება?

— როგორ არა, სევამენ. ახლომახლო სხვა წყარო არც არის. გწყურია?

— არა, ისე გკითხვ.

როდესაც ნაკადული გადაიარეს, ელენემ განმარტოებული ძელური სახლი შენიშნა. ძელური სახლი წისქვილი აღმოჩნდა.

— ჩვენი იყო, — დასძინა ელენეთერმა.

წისქვილის სათავესთან, საიდანაც წყლის გუგუნი ისმოდა, ერთიმეორეზე თოკით გადაბმული ორი უღელი ხარი ღეჭავდა ნახამთრალ ჩალას. პატრონებს წისქვილის წინ მოეკალათებინათ და, თუთუნს ახრჩოლებდნენ.

— კიდევ კარგი, პეტრე არსად მოგვეწია. — დაარღვია სიჩუმე ელენემ.

სათქმელი არაფერი იყო. ელენეთერს გულით უნდოდა, ცოლს აპყროლოდა ლაპარაკში, თავს ძალასაც ატანდა. მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

— სადამდე ვიართო ახლა? — იკითხა მხოლოდ, როცა ლუხუნისას რიყეს კარგა მანძილით გასცილდნენ.

— ელენეთერ, — დაიწყო უცებ ქალმა და მის შენიშვნას ყურადღება აღარ მიაქცია, — რაღაცა უნდა გითხრა. შეიძლება?

ამ სიტყვებზე ქმარს ხელში ხელი ჩასკიდა და თვალბეჭეში შეჭხედა.

ელენეთერი უხალისო ცნობისმოყვარეობით შემოჰყურებდა.

— ახლა რომ სამნი მივდიოდეთ ამ გზაზე, მართლა ბედნიერი არ იქნებო?

— ეინ სამნი?

— ეინ? ეინ და, ჩვენ და ჩვენი შვილი...

— ეპ, — ხელი ჩაიქნია ელენეთერმა და გზა განაგრძო.

— შენ ფიქრობ, არაფერი აღარ შეიძლება?

— ელიკო, გადამრევ დღეს პირდაპირ!

— მოდი, აქ დაჯდეთ! — გზის პირისაკენ გაქაჩა ქმრის მკლავი ელენემ.

— ...სიციხეში?

— რა უჭირს. რაღაც უნდა გითხრა... ელენეთერი უკმაყოფილო იყო, მაგ-

რამ გზის პირას, ქვაზე მინც ჩამოხდნენ.

— გახსოვს, იმ დღეს, ხათუნა მინც დღეს რომ ვლაპარაკობდით?

— მახსოვს, მერე? — გაკვირვებულმა ელენეთერმა გვერდიდან გაჭხედა ცოლს, რის თქმას უნდა ამბობდესო.

— გინდა დამიჯერე და გინდ არა: მაგისთანა სსიაშოვნო ქალი მე ჯერ არ მინახავს, — განაგრძო ელენემ.

— ეგ შენი ქალური თავდაბლობაა.

— უხალისოდ შეესიტყვა ელენეთერი.

— ქალბემაც იციო ერთმანეთის შეყვარება.

ელენე შორიასლო უტრიალებდა სათქმელს, ყოყმანობდა, თქმა ვერ გაებედა. ბოლოს ყოყმანს სძლია და გამოუტყდა ელენეთერს:

— მარტოხელა ქალია, სამი შვილი ჰყავს...

— მერე? — თვალი თვალში გაუყარა ელენეთერმა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, საით უშიზნებდა ელენე.

— ვიშვილოთ მისი უმცროსი ბიჭი, არ შეიძლება?

თქვა ეს ელენემ და თავი უფლად ამოისუნთქა. მთელი დღეებისა და ღამეების ნაოცნებარი ახლა უკვე გაქვავებული იყო.

ელენეთერი ჩაფიქრდა.

— ჰა, რას გაჩუმდი? — მხარზე მკერდით მიენდო ელენე და წილზე ხელი მოჰხვია.

ელენეთერი ერთხანს კიდევ ფიქრობდა, მერე თავი გადააქნია და გადაწყვეტილად თქვა:

— გთხოვ, მაგასე სიტყვას ნუღარ ჩამომიგდებ.

— რატომ? — ერთხანად გამბედაობა შეემატა ელენის, რადგან მახვდა, ახლა უკან დახევა აღარ შეიძლებოდა — ნავსი გატეხილი იყო.

— მაგ საქმიდან არაფერი გამოვა!

— რატომ არ გამოვა! მე თვითონ მივალ და ვთხოვ. ბავშვი თითქმის იმასთან იქნება, შორს ხომ არსად მიგვყავს!



როცა მოისურვებს, ნახვა ყოველთვის შეეძლება...

— მთავარი ეგ არ არის!

— აბა?

ელეფთერი დადუმდა. ცოლი მაინც არ ეშვებოდა:

— მე თუ რაიმეს მოვახერხებ, შენ წინააღმდეგი იქნები?

— არ ვიცი.

— არ ვაცი და არ ვიცი! თქვი ახლა, მე შენი თანხმობა მჭირდება.

— ჩემი თანხმობა მანდ არაფრის მაქნისია.

— თუ აგრეა, თუ თანახმა ხარ, — გული მოიცა ელენემ, — ჩვენ ვიცოდეთ! ქალი ქალთან ყოველთვის გამონახავს საერთო ენას.

— მე მეშინია, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდო თავი.

— მე კი არ მეშინია! ნახე თუ არ დაეითანხმო?

ელეფთერი გაუნძრევლად იჯდა და გზის გასწვრივ გაყოლებულ თბრილს ჩასცქეროდა, ელენე კი მიწიდან ამოწვრილ ბალახს წიწკნიდა.

მზე გადახრილი იყო, როდესაც უკან გამობრუნდნენ.

ელენე შორს გაეტაცნა ოცნებას. ისიც არ შეუნიშნავს, მგზავრების სიქარბის გამო ნაეი რომ გადაიზნიჭა უცაბედად და კინალამ ყველანი წყალში ჩაცვივდნენ.

წყაროსთან ბაზრიდან დაბრუნებულნი პეტრე მიროტაქე ელოდებოდათ. პეტრეს ჭინჭებით თმაგაყრული ლალიც თან ახლდა.

ელენე მაშინვე ქორივით დააცხრა ბავშვს, რითაც პეტრე დიდად ასიამოვნა.

ამრეზილი ლალი მამას ეტუზებოდა. მაგრამ ბავშვის აღერას დანატრებულმა ელენემ მაინც თავისი გაიტანა და სანამ ხაჭარას სამჭედლოს ჩაუვლიდნენ, გვერდიდან არ მოუშორებია.

კაცები უკან მომუსაიფობდნენ. დროდადრო პეპიჩას მყივანა წამოძახილები ისმოდა.

ელენემ ორლობეშივე მოიწყინა.

ჭიშკარში აწკმუტუნებული ჯალბანა ნემოხვდათ.

ერქივნილი

მთელ ქვეყნიერებაზე მჭიმრწყარალ მუნჯიას ხელში გრძელი ფიჩხი ჩაებღუჯა და კრუხ-წიწილას ამწყვედევდა.

თავი მემამსე

სულსწრაფ ელენეს ბევრი არ დაუყოვნებია. მეორე დღეს, მოსაღამოვდა თუ არა, გამოეწყო, ბუხართან მოფუსფუსე მუნჯიას ანიშნა, მე ქვემოთ მივდივარო და ბალატის კედელზე დაკიდებულ სარკეში ერთხელ კიდევ ჩაიხედა. თავის და გასაოცრად, გუნება უცებ გაუფუჭდა. ელეფთერის გუშინდელი ყოყმანი და გაფრთხილება მოაგონდა. ამას ისიც ზედ დაერთო, რომ თავისთავი ზედმეტი სიფაქიზით. ჩაცმულად მოეჩვენა, ვიდრე ახლა საჭირო იყო. ტახტზე ჩამოჯდა და აუჩქარებლად შეუდგა გახდას.

მაგრამ რა ჩაეცევა?

ჩემოდნებში დიდხანს იფათურა. ბოლოს, როგორც იქნა, იპოვნა ამ სამიწლის წინათ შეკერილი შალის სადაკაბა, რომელსაც გული დახურული ჰქონდა და საერთოდ არაფრით არ იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას.

კაბაზე მუნჯიას შალი წამოიხურა და თუმცა საღამოს უკვე სიგრილე გავგლო, გზას გაუდგა.

ხათუნასათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა საპატივცემო სტუმრის მოსვლა, ისიც „ამ არეულ სახლში“. გამოეგება. მოკრძალებით შეიპატოცა.

დარცხენილი პავლე და შალიკო დედის კალთას ამოუარებოდნენ.

ზურია სუფრას მისჯდომოდა, წინ ფურნეში გამომცხვარი პურის ვეება ნატეზი დაედო, ზის კოვზით ცხელ სუფს ზერეპდა, პურს ატანდა და მადიანად იღმურძლებოდა. ელენეს შემოსვლისას წამოიწია, მაგრამ, ეტყობოდა, ძალიან მოშივებული იყო. უფროსებს ზურგი შეაქცია და კაბა განაგრძო.

ნამალადევად გამხიარულებულმა ხათუნამ სკამი დაუდგა სტუმარს.

ელენე დაჯდომას არ ჩქარობდა. პატარებს დაუტრიალდა, ჯერ ერთი დაიჭირა, მერე მეორე და ტბილუული დაურიგა.

— რახე წუხდებოდით, ქალბატონო ელენე. მადლობა მაინც უთხარით, თქვე ეშმაკებო! — ბოდიშობდა ხათუნა, — ზურია, რანაირად ზიხარ, შვილო!

— რა გქნა მე, მშვიდა და... — ცხვირში წაიღულენა ზურიამ და წამოდგა.

— იჯდეს, ხათუნა, გენაცვალე, ბავშვია, — თქვა ელენემ.

— ბავშვი კი არა, წვერს გაიპარსავს სადაც არის.

ზურიამ აღეწილი სახე მხრებში ჩარგო და თანჯრის რაფას მიადგა წიგნების გადასარჩევად.

— მიღიხარ? სკოლაში მიდის, მოუკვდა ამას დედა! — განმარტა ხათუნამ.

— საღამოს სწავლობს? ყოჩალი ბიჭი ყოფილა, — თქვა ელენემ და დაჯდა.

— ყოჩალი კი, მარა რას უზამს მარტო სიყოჩადე, ზელს ვერ ვუწყობ. ასე თავის ნებაზე არის მიშვებული. უმცროსებიც ავრე არა მყავს? შუადღისას ერთხელ თუ შემოვირბენ სახლში. არიან ასე გუგულუებივით. პალიკოს მოხელამდე შალვა სულ მარტოა. გაისად ამასაც მივცემ სკოლაში, — პატარას გადაჰქედა ხათუნამ, — ვერ გახსენი, დედა? შეინახე, მაგის გახსნას ველარ მოესწრები?

— ვენაცვალე, რა მალხაზი ბიჭია! — შალვას დაადგა თვალი გულაძგერებულმა ელენემ, — მოდი, შვილო, მე გაგიხსნი. ხათუნა, რამდენის არის ეს პაწია ჭინკა?

— ექვსის გახდება ამ შემოდგომაზე, — გაიღიმა ხათუნამ.

— ზურია?

— ზურია თექვსმეტის...

— კი, მაგრამ შენ რამდენისლა ხარ, ქალო?

— მე? — ნაღვლიანად ჩაიციხა ხათუნამ, — ჩემი ხნე რაღა საკითხავია, აწი სულ ერთი არ არის?

ელენემ თვალები შეანათა: „ნეტა მართალს ამბობს? დაუჯერებელია!“

— ზომეცი! — მოაგონა თან შალვამ!

— უი, შენ გენაცვალე! — ხელში შერჩენილ შოკოლადს დაჰხედა ელენემ და ბავშვს გაეთამაშა, — წართმევის არ გეშინია?

— შენ თვითონ არ მაჩუქე?

— ავრე უნდა უთხრა? — მკლავი მოჰხვია ბიჭს ხათუნამ და გულზე მიიხუტა, — ელენე ბიკოლა იტყვის, ცუდი დედიკო ჰყოლია, არ უსწავლებიაო.

ორიოდენ წუთის შემდეგ ზურია წავიდა. ელენე აქამდე გულისთანაცქალით ელოდა უფროსი ბიჭის წასვლას. მას უკვე მესამედ თუ მეოთხედ ხედავდა და ამოჩემებულად არ მოსწონდა. ზურია ხასიათით უხეში და შესახედავდაც არასასიამოვნო იყო.

„ნეტა ვის დაემგვანა ეს ბიჭი? — ფიქრობდა ელენე, — დედა ამისთანა ანგელოზი ჰყავს!“

ქალები თითქმის მარტო დარჩნენ. პატარები ხატვაში იყვნენ გართულნი, თან შოკოლადს ლოღნიდნენ და მათთვის არ ეცალათ.

ღუმელზე შემოდგმულ თუჯის კარდალში შეჰამანდი ფუხფუხებდა. ხათუნა ხანდახან მიბრუნდებოდა და, ვითომც აქ არაფერიყო, შიგ ჩაიხედავდა.

„უღროო დროს მოვედი, მგონი ჯერ არ უეახშმიათ, — ფიქრობდა ელენე, — ცოტა ხანს დავიციდი კიდევ და წავალ. ასე უცებ არაფრის თქმა არ შეიძლება.“

ხათუნა სირცხვილით იწვოდა, უპურმარილოდ როგორ გავუშვა უცხო ადამიანიო. რაღაცრალაცები კი ჰქონდა. მაგრამ ყველაფერი მოსამზადებელი იყო. წინა დღეს მშვენიერი ყველი წამოიღო ფერმიდან, ჰაჰის არაყიც მოეჭევებოდა...

— ქალბატონო ელენე, — გაბედა ბოლოს, — ჩემს ოჯახში პირველად ბრძანდები, თქვენი საკადრისი კი არაფერი მაქვს. მარა ხაჰაურებს გადავაკრავ და ჩაი დავლიოთ, ძალიან არ შემევიანდება...

ხათუნას თხოვნა იმდენად გულწრ-

ველი იყო, ელენემ ველარ იუარა, თუმცა უსაყველურა კი:

— რამდენჯერ მე ბავშვების სანახავად შემოგივლი, ყოველთვის ხაჭაპურები უნდა აცხო?

— ყოველთვის არა, ამ ერთხელ გამოვაცხოზ! — მიჯრით მიწყობილი თეთრი კბილები აჩვენა დაგუნებებულ სტუმარს ხათუნამ და ისე ნიავეით წამოფრიალდა, თითქოს მთელი დღის დასვენებული ყოფილიყოს.

— თუ აგრეა, მეც მოგეხმარები, — წამოდგა ელენე.

— უი, თქვენ როგორ შეგაწუხებთ, ამდენი გასაკეთებელი კი არაფერია, მარტო ხაჭაპურს გადაეცარავ!

ბიჭებმა ყურები სცქვიტეს, დედა ხაჭაპურს აცხოზბო.

ქალებს გაეცინათ.

— ასეა, გაწუწუებულ მყვანან, — ნებიერობდა ხათუნა — პალიყო, შეილო, ეს კარდალა გასწიე და ჩაი დაადგი, ოღონდ სწრაფად!

— ჩაი მე მებარებოდეს! — სანამ პავლე სკამიდან ჩამოხტებოდა, სველ ჩაფს მიაშურა ელენემ და ძლივს დაიხარა.

— ჩქარა, ბიჭო სტუმარი უნდა შეაწუხო?

— როცა ერთად გავაკეთებთ, უფრო გვეამება. ხათუნა, შინიდან წერილებს არ ღებულობ?

— სწორედ ამ დილას მოიტანეს. ჯავრით აღარა ვარ. მამა ყოფილა ჩლიან ცუდად. მეზობელი იწერება.

— დიდი ხანია?

— რა ეცი, მწოლიარეაო. პატარა ხანს მოვიციდი კადევ და თუ არაფერი ამბავი გაჩნდა, უნდა წავიდე, სხვა რა გზა არის.

ამ დროს დიდრონი ფეხსაცმლის ზრავუნი მოისმა დერეფანში და კარს ვიდაც მოაწეა.

ყველამ იქით გაიხედა.

როგორი აყო ელენეს გაოცება, როცა ოთახში თავშემორგული მუნჯია დაინახა.

მუნჯია ელენეს მეტს ვერავის ხე-

დავდა. შემოვიდა. ხათუნასათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, გაშმაგებო დაიწყო ხელების ქნევა. ბავშვებს შეეშინდათ, კინალამ ღრიალი შორთეს.

მუნჯიამ გიჟურად გაიღიმა, რითაც, აღბათ, იმის თქმა უნდოდა, საშიში სულაც არა ვარო და მღელვარებისაგან რევერ თუ ათჯერ გაეცილი რეველის ფურცელი გაუწოდა ელენეს.

გულგადმოტრიალებული ელენე ფურცელს დააცხრა.

ამ წუთში ამოდიო, წერდა ელეფთერი, დედა უღონოდ შეიქნაო.

მუნჯია საყდრის მათხოვარივით იდგა, ცრემლებს უღაპავდა, ხოლო როდესაც ელენემ წერილი ჩაიკითხა და გაიგო, რაც მომხდარიყო, სახეზე შიმველი ნიდაყვები აიფარა და სახარელი ზღუქუნი მორთო.

ბავშვები ვიღას ახსოვდა!

ცოში ხელებწარგული ხათუნა ხან მუნჯს უყურებდა და ხან გაფითრებულ ელენეს.

— ნუ გეშინია, — ძლივს დასძრა ხმა, — დედამთილს უჭირს რამე?

— ვაიმე, რა ექნა ახლა? — წამოიძახა ელენემ და ფეთიანივით გაეარდა კარში.

— ნუ გეშინია, ელენე, ახლაც დაგეწევი! — მიადახა ხათუნამ, რომელმაც გარეთ გაყოლაც ვერ მოასწრო და წყალს სწედა ხელის გადასაბანად.

კარი ღია დარჩა. მარგალიტა მოანგარიშემ შემოიხედა.

— რა მოხდა, ხათუნა?

— ელეფთერის დედა უნდა იყოს გლახად! — არ დააყოვნა ხათუნამ, — მარგალიტა, თუ და ხარ, იქნებ ბავშვებს მიმიხედო, მე ახლაც მოვალ!

— დედა, სად მიდიხარ? — გული ამოუჯდა ისედაც შეშინებულ შალვას.

ხათუნას პასუხი აღარ გაუცია შეილისათვის, შალი წამოიხურა და თვალის დახამამებაში ელენეს კვალს გაჰყვა. მხოლოდ ჭიშკართან შეანელა ნაბიჯი. იქნებ სჯობდა მირტაძეებისთვის მიეწვდინა ხმა? გზა მაშინვე გა-

დაირბინა და ფიცრულ კიშკარს მიაღდა.

ფანჯარაში სინათლე არ ჩანდა. ალბათ, ექინათ.

— ელუკი! — დაიძახა ხათუნამ.

დერეფანში ფინია აწკაეწკავდა.

— ელუკი! — ახლა უფრო ხმაშალა გაიშეორა ქალმა.

სახლში მგონი ვიღაცამ გაიღვიძა. ხმაური მოისმა. ორიოდე წუთის შემდეგ სინათლე აინთო და დერეფანში სახელდახელოდ ტანგადაცმული ელუკი გამოვიდა.

— რომელი ხარ? — დაიძახა ნამძინარევი ხმით.

— ელუკი, მე ვარ, ხათუნა. შენ გენაცუაღე. ახლავე ჩაიცივი და ელევფთერისას წამოდი, მგონია დედამისს გაუჭირდა რაღაცა.

— უიმე, იმანო... ღმერთო კი მომკალი! ახლავე, დაია, ხათუნა. პეტუშა!

— რა გაყვირებს, ქალო!

— ადექი ჩქარა, ელევფთერისას რაღაცა უჭირთ!

— რა უჭირთ?!

— ებე არის გლახადო.

— ებე კი არა, ის!

— ადექი, შე მოსასაბობო, ნუ მომჭერა თავი, ხათუნა იცდის ეგერი!

— ელუკი! — გადასძახა ისევ ხათუნამ.

— ბატონო! ჩქარა, კაცო, გაინძერი ახლა! ამ წუთში, ამ წუთში, ხათუნა, ჩავიცვამთ და ამ წუთში ამოვირბენთ.

— იქნებ ბიჭი აფრინოთ სერგოსთან. მე ჩავიდოდი, მაგრამ ბიჭი უფრო ჩქარა ივლის.

— ვაიმე, ბიჭი კი არ არის სახლში... პეტუშას გავაგზავნი!

პასუხად პეტრეს ბუზღუნი გაისმა, მაგრამ ხათუნას ყური აღარ უგდია, კიშკარს მოსცილდა და სირბილით განაგრძო გზა.

### თავი მეშვიდე

ხათუნამ დაიგვიანა. როდესაც ლამხების ეზოს მიაღწია, ყველაფერი დამთავრებული იყო. მიცვალბულის ოთახიდან მუხჯიას ყრუ ღმუელი გამოდი-

ოდა. ძაღლის დამწყვედევა დავიწყნრდათ. ხათუნას ცივმა ქრუნატელმა დუარა მუხჯიას ხმის გაგონებაზე და ვერც კი შეამჩნია აფოფრილი ჯალსანი. რომელიც კიშკარის ჩრდილში იყო მიმალული და იღრინებოდა. ხათუნა გულდაგულ წავიდა განათებულ დერეფნისაკენ.

აიენიდან თავშიშველმა ელევფთერმა გადმოიხედა. ხათუნა დაინახა. მაშინვე გაბრუნდა და კიბეს მიაშურა.

უეცრად ხიმის ლაწანი მოისმა ბელლის შახლობლად, სადაც კარის ვენახში გადასასვლელი ალაგე იყო.

ჯალხანა გამოფხიზლდა. ყეფით გაექანა იმ მხარეს.

— ძაღლი აშვეებულია? — წამოიძახა დერეფანში ჩამოსულმა ელევფთერმა და ხათუნასთან მისვლის მაგიერ მაშინვე ჯალხანას მიჰყვა.

ჯალხანა ვიღაცას უტეედა, ის ვიღაც კი გაშმაგებით იგერიებდა ძაღლს. თან ცდილობდა ნაკლები ხმაური გამოეწვია.

მალე ელევფთერიც მიიშალა სიბნელეში.

— რა ამბავია? — მოესმა ნაცნობი, დაღლილობიანაგან ჩახლეჩილი ხმა ხათუნას, როდესაც ძაღლი დაწყნარდა და წყმუტუნით უკან გამოზრუნდა.

— დედა აღარა მყავს, — თქვა ელევფთერმა სიბნელეში.

სიბნელიდან კალისტრატე მასწავლებელი გამოვიდა. ხათუნას თავის ოღნაევი დაკვრით მიესალმა.

ქალს გავგონილი ჰქონდა, კალისტრატე და ელევფთერი ერთმანეთს ემღეროდნენ.

„ნეტავი ახლა რამ მოიყვანა?“ — ფიქრობდა ხათუნა. როდესაც ელევფთერმა პალატიდან სკამები გამოიტანა. მესობლეებს უსიტყვოდ დაუღგა და თვითონაც დაჯდომას აპირებდა. მაგრამ აშვეებული ძაღლი გაახსენდა, ბოდიში მოიხადა, ძაღლი წინ გაიგდო და დახამწყვედევად წაიყვანა.

— თქვენ როგორ გაიგეთ, კალისტრატე ბიძია? — ჩამოწოლილ სინუშეს

ველარ გაუძლო და ჰკითხა მოხუცს ხათუნამ.

— კვილი მომესმა, — გამოერკვა კალისტრატე.

— ელენე ჩემთან იყო... მუნჯმა მოიბრინა. სანამ ამოვიდოდი, გათავდა საწყალი.

— ყველა გავთავდებით.

— ეპ, — ამოიოხრა ხათუნამ.

— ეგ კიდევ ბედნიერია, შვილი ადგა: თავზე. ზოგს ისე ამოხდება სული, კატაც არ დაიხზავლებს მის სახლში. ხათუნამ თვალი გადაჰკრა კალისტრატეს.

— ასე ვიჯდეთ ახლა? — თქვა მოხუცმა.

— რა ვიცი, რა ვქნათ აბა...

ელეფთერი მოვიდა. გულხელდაკდობილი იქვე გაჩერდა. კალისტრატემ სკამი მიუწია.

შუკაში ველაც აკივლდა.

სამივე შეკრთა მოულოდნელობისაგან რადგან ირგვლივ სიჩუმე იყო. კიშკარში თმაგაწეწილი ეღუკო შემოვიდა და განათებულ დერეფანს მოთქმით მოაშურა. თან მოთქვამდა, თან მალულად აქეთ-იქით იცქირებოდა, ძალად დაბმულია თუ არაო. როდესაც ჯალბანა არსაიდან გამოეხმურა, ეღუკიმ უფრო მოუმატა კვილის და მოთქმას.

ელეფთერი წრიალებდა. დასადგომი ადგილი ვეღარსად ეპოვნა.

ეღუკიმ დერეფანს მოაღწია, აქ მყოფთათვის ყურადღება არ მოუქცევია, მაშინა კიბისაკენ წაიღია.

ელეფთერმა ველარ მოითმინა, ხათუნას მიუახლოვდა, ნაგუბარი ხმით ამოიხრიალა:

— უთხარით, ნუ კივის... რატომ კივის...

ამ კვილით ელეფთერი უფრო თვალნათლივ გრძნობდა, რომ სახლში სიკვდილი იყო დაბუდებული და ეს ამრწუნებოა. დედა აღარ იყო... ელეფთერს ეჩვენებოდა, რომ ძალიან დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც დედა აღარ იყო, მაგრამ დედა მაინც დღეს მოკვდა.

ელეფთერს დიდი ხნის წინათაც ცარიელი ჰქონდა გულის კუნჭული, სადაც ოდესღაც მშობლის სახე ჩამკვდურდა, მაგრამ ის, რაც აქამდე კიდევ იყო და რასაც მაინც დედა ეწოდებოდა, უცნაურად ამრწუნებდა და განუზომელ მოკრძალებას შთაუწერავდა. დედა უკვე აღარ იყო, აილა ნამდვილად აღარ იყო, ეს მოკრძალება და უცნაური ამრწოლება კი მაინც დარჩა...

ელეფთერი ოც წელიწადზე მეტ ხანს ერიდებოდა დედას, ერიდებოდა დედასთან პირისპირ დარჩენას და კარგად ესმოდა, რომ ამასი დედა არ იყო დამნაშავე, დამნაშავე თავად იყო, მაგრამ თვით დანაშაულის აზრი არ ესმოდა, ნათლად ვერ გავგო, რით იყო დამნაშავე დაერდომილი დედის წინაშე...

დედა ახლა იქ იწვა, ზემოთ და ამ ქვეყნისა აღარაფერი ეკითხებოდა. მუნჯია ისევ ზღუტუნებდა. მისი დაოსებული ხმა ყრუდ მოისმოდა.

## თავი მერვე

სამშაბათ დილით ისაია ჩუბინიძე მშენებლობაზე აღარ გამოჩენილა. მიცვალეზულის ზომა აიღო, ბელლის წინ დაზგა გამართა და „იმ ობრის“ გაკეთებას შეუდგა.

ხათუნას კერვა ემარჯვებოდა. ელენესთან მოლაპარაკების შემდეგ ქვეშაგების შესანახ პატარა ოთახში საკერავი მანქანა შეიტანა და ნაშუაღლე გამდე იქიდან აღარ გამოსულა.

შესაკერავი ბევრი არაფერი იყო. ნავი სატინის ორი სრული კაბა და მამაკაცის ხალათი გამოსურა. მისაზომებლად ელეფთერისათვის არ დაუძახნიათ.

ელეფთერი მეზობელ ოთახში იყო ჩაკეტული და ვარეთ არ გამოდიოდა. ხალათი ელენემ შეუტანა. ელეფთერი ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე იწვა გულადმა. თითქოს თვალღიას ეძინა. კარის გაღებისას ოდნავ მოაბრუნა სახე და ცოლს შეჰხედა. ელენის არინჯი არ დაუძრავს. თაღბი ხალათი სკამის

ზურგზე გადაუკიდა და ფეხი აითრია. უნდოდა რაიმე ეთქვა ელფეთერისათვის, რადგან განმარტოებული ქმარი ეცოდებოდა.

მიცვალბულის ოთახიდან არეული ფეხის ხმა გამოდიოდა.

ელფეთერმა იცოდა: ახლა უკანასკნელად აცმევდნენ დედას, რათა ამნაირად მოკაზმული კუბოში ჩაეწვიანათ.

ელენემაც იცოდა ეს და უნდოდა ქმარი აქედან გაეყვანა. წამით კიდევ შეყოვნდა ტახტთან, სიტყვებს ეძებდა ელფეთერთან გამოსალაპარაკებლად. ბოლოს მხრები აიწურა და ისევ ხათუნასთან გავიდა.

ხათუნა ლამბებს არღვევდა ელენეს კაბას.

— მუნჯს ვერ გამოვიხშობთ? — დანახვისთანავე მიმართა დიასახლისს.

მუნჯია მიცვალბულის ოთახში იყო. ელენეს იქ შესვლა არ უნდოდა. ბედად, სახედამარებელი ელუკი გამოვიდა აივანზე და ებებს ნამზითვი ხალიჩა გამოიტანა გასაბლერტად.

ელუკიმ თავი გაანება მოაჯირზე გადაკიდებულ ხალიჩას და ელენეს მოაშურა.

— მუნჯია იქ არის? — კიდევ უფრო ხმადაბლა ჰკითხა ელენემ, — იქნებ შეხვიდე და უთხრა — გამოვიდეს. კაბა უნდა მიიზომოს...

ელუკი მაშინვე გატრიალდა და მალე ღამისთევით განაწამებ და ტირილით თვალბდასიებულ მუნჯიასთან ერთად დაბრუნდა.

— კაბა უნდა გაისინჯო, — ანიშნა მუნჯს ელენემ.

მუნჯია მორჩილად შეჰყვა პატარა ოთახში. ხათუნას დასაკლავი ხარივით დაუდგა წინ.

— კაბა გაიხადე! — ანიშნა ელენემ. მუნჯია მაშინვე მიხვდა, რაც უთხრეს. ცნობისმოყვარე ელუკის დამფრთხალი თვალები მიაპყრო და ხორცსავსე. გლოვით გაცრეცილ ლოყვებზე სიწითლე მოერია.

— გაიხადე, რაღას უცდი! — გაუმე-

ორა ელენემ და თვითონვე წაეტანა მუნჯიას კაბის კალთას.

მუნჯია ბნელიანივით დაეცა და რაღაც ამოიღმუვლა.

— გაიხადე, აი, ეს — შავი კაბა უნდა გაისინჯო, — ანიშნა ახლა ხათუნამ.

მუნჯია კვლავ ღმუროდა და გააფთრებულ თვალებს აკვესებდა.

— გაგიყდა? — ქალებს გადაჰხედა ელენემ.

აშკარა იყო, სხვების თანდასწრებით მუნჯიას გახდა არ უნდოდა.

„ალბათ, პერანგი არ აცვია,“ — გაიფიქრა ხათუნამ.

— შენი სცხენია, ელუკი, — შეწუხდა ელენე.

ელუკის გასვლის შემდეგ მუნჯიამ ცოტა ხანს კიდევ გაიღო თავპატივი, გაურკვეველ სიტყვებს ლულულღებდა. ბოლოს კუთხეში მიდგა, კაბა წამოიძრო და ბალღივით დარცხენილი ხათუნას წინ დაერქო, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

ხათუნა ძლივს ასწვდა ახოვან მუნჯს. დაღამებული კაბის ზედაწელი გაჭირვებით წამოაცვა თავზე, სახელოებში ხელები გააყრევინა და სცადა ფრთხილად ჩაეცურებინა მხრებსა და გულმკერდზე, მაგრამ ქსოვილი უზომოდ დაბერილ ძუძუებს წამოედო, საღდაც თეთრი ძაფი გაწყდა და ლამბმა რღვევა დაიწყო.

განზე გამდგარი ელენეც მოეხმარა ხათუნას. გარღვეული ადგილი ხელით შეაკავა.

კაბა ვიწრო იყო. როდესაც ქვედაწელი ჩააცვს, აქაც გაუწყდათ ლამბი. საესე თეძო ორი თითის დადებამე გაშიშვლდა.

ელენე ძველ კაბას ეცა, რომლის თარგზეც ეს ახალი იყო გამოჭრილი. გაშალა, შეატრიალ-შემოატრიალა.

მუნჯია შეშინებულ თვალებს აცეცებდა და კვლავ დასაკლავ ხარივით იდგა.

— გავხადოთ, ერთი ეს ჩავაცვათ! — მოისახრა ელენემ.

— ვიბე, ეს რა დამემართა — ჯავრობდა ხათუნა.

ღალამბული კაბა რის ვაივაგლახით გაბზადეს მუნჯს.

— აბა, ეს ჩაიცივი! — მიუბრუნდა ელენე და ძველი კაბა შეაჩეჩა.

საბრალო მუნჯია ხელებს უსასოოდ ასავსავებდა. ბევრი იწვალა. ძველი კაბა ძლივს ჩაიცვა. მკერდთან ჩატარებისას იღლია გაერღვა, მუცელი კი ისე მკვეთრად გამოებერა, ელენეს საეჭვო აღარათფერი ჰქონდა: მუნჯია ფეხშიშვილ იყო.

### თამი მესხრი

ებე ხუთშაბათს, ნაშუადღევს დამარხეს. რადგანაც რაიონს გარეთ ელეთთერს მოპატივე არ გაუგზავნია და ოჯახის თავს დამტყდარი მწუხარება არც გაზეთის საშუალებით შეუტყობინებია ნათესავ-მეგობრებისათვის, სამძიმრის დეპეშები თითქმის არ ყოფილა. ვისაც ახლომანლო სოფლებიდან და წიფლისწყაროდან მოსვლა შეეძლო, მოვიდა. დეპეშების გამოგზავნა რალა საჭირო იყო. თავლია საფლავთან მაინც წაიკითხეს სამი დეპეშა. ეს დეპეშები ზესტაფონიდან გამოეგზავნათ პეტრე მიროტაძის მოყვრებს, ჩინჩალაძეებს. ჩინჩალაძეები პეტრესთან და ელექისთან ერთად დასტიროდნენ დაუფიწყარ ბიკოლას ცხედარს. არავის უკითხავს, ჩინჩალაძეები ვინ დაპატიჟა, საიდან ერგებოდა პეტრეს ბიძად ამბერკი ლაშხი, ბიკოლად განსვენებული ებე, ბიძაშვილად ელეთთერი და სხვა და სხვა, მხოლოდ როდესაც დეპეშებს კითხულობდნენ, კალისტრატე მასწავლებელმა ჩაილაპარაკა რალაც დეარძლიანად და სასაფლაოდან პირველი წამოვიდა.

სატირალში მოსული ხალხი მალე დაიფანტა. ზოგნი თავისიანთა საფლავებისაკენ წავიდ-წამოვიდნენ, სხვები კი ხმადაბალი მასლათით გაკყენენ ყორიდან გადმოცვენილი ქვებით აჩინჩხლულ შარას.

ხათუნა, ზურია, სერგო და ზაქარა

მკედელი ერთად მოდიოდნენ. მალე მათ მარგალიტა წამოეწიათ და ხათუნას გვერდში ამოუდგა.

ხათუნას სერგოსთან გამოლაპარაკება უნდოდა სამსახურის თაობაზე. დრო არ ითმენდა. ახლაც დატრიალება იყო საჭირო. ეს ამბავი თვით სერგომ წამოიწყო და ახლა როგორ არ გაუწევდა თანაგრძნობას.

„ხალხში არ ივარგებს, სხვა დროს შევეურჩევ“, — გადაწყვიტა მკირე ყოყმანის შემდეგ.

ჭალები თანდათან დაწინაურდნენ. ზურია კაცებთან დარჩენა არჩია, თუმცა თვალი წინ მიმავალ დედისაკენ ეკირა.

მარგალიტა პეპიჩას კილვას მოჰყვა. მიროტაძის მლიჭველური საქციელი არც ხათუნას მიაჩნდა საჭებრად, მაგრამ მოანგარიშის ენატანიანობის ამბავი კარგად იცოდა და ამიტომ დუმილი ამჯობინა.

ლაპარაკის ეშხზე მოსული მარგალიტა ყველასაგან დავიწყებულ წვრილანებსაც ჩაუკირკიმალდა.

ამბერკი ლაშხისათვის სწორედ პეპიჩას მამას — ბიკენტის ჩამოებჩრობინებინა თავი. ერთმანეთი ჰირივით სძულებოდათ. ამბერკი ლაშხი ყოველთვის მშრომელი და მქონებელი ყოფილიყო, ბიკენტი მიროტაძე კი სულ დალლარა და სხვისი ხელის შეწყურე.

— ახლა ბიძაშვილად მოიკიდა! — დაასრულა აღშფოთებულმა მარგალიტამ, — ჰირდება, შემოგველე, და...

— ვისა? — ძალაუნებურად იკითხა ხათუნამ.

— ვისა და მიროტაძეს. მაგისი გერი ზომ წელს ამთავრებს უმადლესს. ელეთთერი გავლენიანი კაცია, ქვეყანა იცნობს. მიღებითაც მეგან მიაოებინა.

— ჭალებო! — მოესპათ უჯანიდან. მოანგარიშე ჩაჩუმა. მიიხედეს.

საგარეო თალხ კაბაში გამოწყობილი ელუკი, რომ იტყვიან, დაოთხილი მოსდევდათ.

— რა ჩქარა წამოსულხართ, იმანო. ხათუნა!



ოფლში გაწურული ედუკი მოკლე, მაგრამ სწრაფი ნაბიჯით უახლოვდებოდა.

— შინაურის აუგს რაღა იტყვის ადამიანი, მარა გლახად მოიქცნენ ცოლიც და ქმარიც, — მოსვლისთანავე საიდუმლოდ დაიწყო ედუკიმ და ოქროს საყურეებით დამშვენებულ ყურის ბიბილოებზე თითის წვერები მოისვა, — კაციშვილი არ არის კახეთიდან, არც თბილისიდან. მოყვარე არ უნდა დაეპატიუნა?

ქალები, თითქოს წინასწარ შეთანხმებულანო, დუმდნენ.

ედუკიმ შეატყო, ზედმეტი მოუვიდა და მაშინვე გამოსწორება სცადა:

— სათქმელად კი არ გეუბნებით. სიტყვამ მოიტანა თუ არა ჩემზე უფროვის უყვარს ვეგენი, თან ვარ გადაყოლილი. პირდაპირ აღით ახლა. სუფრა გაშლილი იქნება. პეტუშა ხომ არსად დაგინახავთ?

— ამოვალთ, ამოვალთ! — დაამოშმინა ჭირისუფლად გადაცმული ქალი მარგალიტამ და როცა ედუკი საკმაოდ დასცილდათ, ხათუნას წასჩურჩულა: — ვისას გვეპატიუება ნეტაი, არ გაიგდეს ფეხქვეშ ყველაფერი?

— იპ! — მხრები აიჩეჩა ხათუნამ, რომელსაც ეს ორი ენაჭარტალა დედაკაცი ერთნაირად სძულდა ახლა.

— მაგის ვაჟბატონს რა უთხარით?

— ვის?

— მაგის ვაჟბატონს, უშანგის, დამშვენებული რომ ჰყავს.

— რა უნდა გვეთქვას!

— ბიჭის გალახვა შეარჩინე?

— რა?

— არ იცი თუ?

ხათუნა გაოცდა. ეს ამბავი პირველად ესმოდა.

— ზურია რომ გაულახავს უშანგის, არ იცი? ეგნატეს კარზე დახვედრია. ზურიას არ უთქვამს?

— რას ამბობ, მარგალიტა?! ზური!

— მოიცა, რაზე უძახი! ალბათ, არ უნდოდა თქმა თუარა თავად გეტყოდა.

— შენ ვინ ვითხრა?

— გეანცამ, ეგნატეს გოგომ.

— რას ერჩოდა ის ხელეშეკსამობი?

— ჯერ გეანცას დადარჯუნებოდა ნცა და ზურია ერთად მოდენილან სკოლიდან.

— მერე?

— ჰოდა, რატომ გოგოს გამოესარჩლეო.

— შეილო! — გულზე მოეფონა ხათუნას.

— ამისთანა ღეთისაგან წყეულია. საწყალ კალისტრატეს თვალში სინათლე გამოუღია მაგან.

— პატრონი არ ყავს?

— მამამაგისი შეილზე უკეთესი გგონია შენ?

— სად ბრძანდება ახლა?!

— მაგას არ ვამბობდი? დღეს ჩამოშავდა მთიდან. ამაღამ ისევე მიდის. სკოლას თავი დაანება. კალისტრატე და დირექტორი ორჯერ ეახლნენ სახლში. დალანდა თუ არა თვალი, მოდიანო, გადაველო ღობეს და დაეშვა თავდაღმა. იცოცხლე, მაგამი კი არის მარჯვე! ეგნატე და მისი ხალხი მთაში არიან, ხომ იცი, საჯოგებზე. თოვლს ფარეხის სახურავი ჩაულეწია და იმას აკეთებენ. უშეიცი იქ აბრძანებულა. ეგნატეს ჩასცივებია, მეც ვიმუშავებ და შრომადღეები დამიწერეო...

— ახლა აქ არის? — აჩქარდა ხათუნა.

— ეგნატეს ჩამოჰყვა სატირალში.

— ეგ ამბავი რაღა შევარჩინო!

— ვისა, დედა? — მოესმათ ამ დროს.

ხათუნა თავს ძლივს იკავებდა, ისე იყო გულაჩუყებული და გამწარებული. შვილს მოუბრუნდა, საყელოში ხელი ჩაველო და შეანჯღრია, თუმცა კარგად იცოდა, რომ ამ საქმეში ზურია უბრალო იყო.

— ხათუნა, თუ და იყო... — გამოესარჩლა ბიჭს მარგალიტა, — ჩემი გულისათვის ბავშვს ნურადფერს ეტყვი. შვილები დაგეზოცოს თუ რამე უთხრა...

ზურია აიფოფრა: უკან კაცები მოდიოდნენ და ყველაფერი ესმოდათ. დედას დაუსხლტა და კინაღამ ხელდა-

ხელ დაეტაკა მარგალიტას, რა დაგიშავო.

— უიმე, ღმერთო კი მომკალი! — შეიცხადა მარგალიტამ, — ე, გოგო, ეგ არის ახლა?

ამბოხებული ზურია თავპირის მტვრევით ძიალაჯებდა გზაზე. მიწას ძლავს აწნდა.

გამწარებულმა ხათუნამ ბაგეზე იქბინა. შინ მისვლამდე ხმა აღარ ამოუღია, იქ კი მაშინვე ლოგინზე დაემხო და ცრემლებს გზა მისცა.

თავი მხათი

კალისტრატე მასწავლებელი დილაადრიან ჩამოვირა კანტორის ეზოში. ხათუნამ ფანჯრიდან დაინახა. „ჩვენთან თუ მოდის,“ — გაიფიქრა ქალმა და ბავშვები ააჩქარა:

— დროით ჩაიცივით, დროით, კალისტრატე მასწავლებელი მოდის აქ მგონია.

თავად სარკესთან მიიბრინა, ჩამოშლილი თმა აიკრიფა და სარკით დაიმავრა, მერე ლოგინებს მიაშურა, ორად გაეცილი ჭრელი საბნები ჰაიპარაზე გადააფარა.

კალისტრატე არ შემოსულა. საერთოდ არავინ არ შემოსულა დერეფანში. ახალი გათენებული იყო. ჯერ საანგარიშოს გულის გამაწყვალბელი ჩხაუნიც არ ისმოდა მარგალიტას ოთახიდან.

„ისეე გაბრუნდა თუ?“

ხათუნამ ფანჯრიდან დახვერა ეზო. კალისტრატე კიბესთან იდგა. მოუსვენრად იყურებოდა ჭიშკრის მხარეს.


„ალბათ, ბარუსის უკლის“, — გაიფიქრა ხათუნამ, მაგრამ ცნობისმოყვარეობას მაინც ვერ მოერიდა. გარეთ გამოვიდა.

— დილა მშვიდობისა, კალისტრატე ბიძია... რა აღრე ამღარხარ!

მოხუცი შეკრთა. მხერა ქვასავით ესროლა აივანზე გადმომდგარ ქალს.

— ამობრძანდი ზევით, ბიძია.

— ლოლაქე სად არის?

— დღეს არ დამინახავს, ადრეც ვიხილავთ...  


— კმ, აღრეა!

— რა იყო, მოხდა რამე?

კალისტრატემ ზურგი შეაქცია. რაღაცას ბუზღუნებდა. ცხადი იყო, ქალთან ლაპარაკი არ უნდოდა.

„ნეტავი არ გამოვჩენილიყავი“, — გაიფიქრა ხათუნამ. შეპატიებებს ვერ უბედავდა, გაცლა ერცხვინებოდა.

— გესმის? — მოიხედა უცებ კალისტრატემ.

ხათუნამ წამით გაუსწორა თვალი მოხუცს.

— ხვალ შენს კარმიდამოსაც გადახნავენ! შენ დაჯექი და უყარე კაკალი!

ხათუნამ ვერაფერი გაიგო, მაგრამ უცებ მის სმენას ტრაქტორის შორეული გუგუნის მოსწედა და ყველაფერს მიხვდა: ავი ედუკი ამბობდა, სავენახე მიწის გადაბრუნებას იწყებენო...

— კარგია? მოგწონს? — თვალებს აქვესებდა კალისტრატე.

ხათუნას ენა მუცელში ჩაუვარდა. ხელმარცხიან შეგირდივით დაბნეული კრინტის დაძვრასაც ვეღარ ახერხებდა.

— აბრუნებენ, ბიძია? — ძლივს ამოიღო ბოლოს ხმა.

— აბრუნებენ! მიწას კი არა, ცხოვრებას აბრუნებს ეგ ვაჟბატონი. წალმა არ უნდა, უუქლმა ურჩევნია. ყველაფერი თვითონ იცის, სხვებმა არაფერი არ ვიცით! რეგვენები ვართ. ფუ!

— ნეტა იქ არის? — უადგილოდ ჩაურთო ხათუნამ.

— ჯანდაბაშიც ყოფილა! შენ მაინც რას გაჩუმებულხარ, ვერ იტყვი?

— მე რა ვთქვა, ბიძია?..

— შენს ნაჯახირალს ეპატრონები თუ არა!

— პატრონობით რაეა არ ეპატრონები, კალისტრატე ბიძია, მარა მაკალა?

— როგორ თუ არ გაცალა, სახელმწიფოო გზა გაყავს ზედ თუ?

— გზა გაყავთ თუ ბილიკი, მე მაგას არავინ დამეკითხება.

— ახია! აბა ერთი პირი გვექონდეს! აბა ერთი პირი გვექონდეს თუ არ დაგვეკითხებიან? სასოფლო საქმე კეთდებოდეს და სოფელს არ ეკითხებოდეს თავმჯდომარე? მოდი და ნუ შეიშლები ჰყუაზე!

ხათუნას ისევ დაეზნა სათქმელი. გაცოფებულმა კალისტრატემ ყველა გზა მოეჭრა. მოხუცი თავად ქაქანებდა. მისი ხმა, ალბათ, ჭიშკრის გადაღმაც კი ისმოდა. ამნაირი უკუღმართობით სოფელს ძირი ეთხრებოდა. ისლა დაგერჩენია, აქედან ავიყაროთ და სადნე სხვაგან ვეძიოთ თავშესაფარიო. იმუქრებოდა, ილანძღებოდა, ცეცხლსა და გვენიას აფრქვევდა, მაგრამ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ხათუნას გარდა გამგონე არავინ იყო. ბოლოს, როდესაც ყვირილით გული მოიჯერა და ბორისიც არ გამოჩნდა, დაძველებული ქული ყურებამდე ჩამოიფხატა და გულდაგულ სადღაც წავიდა.

ხათუნამ იცოდა, რაც ამბავი ტრიალებდა სოფელში, კარგად იცოდა. განა სწორედ ამის გამო არ დააჩქარა საყოლიდან წამოსვლა, მაგრამ, იმას შერიგებული, რაც სხვის თავზე იქნება, მე როგორღა გავექვევო, საკაცო საქმეში არ ერეოდა: უკაცო ოჯახს ორმაგი სიფრთხილე სჭირია. ადამიანს თავისი საკენესი არ ყოფნის. ახალი რომ არ გაიჩინოს?

კიდევ კარგი, ეს სიტყვები კალისტრატესათვის არ უთქვამს. შექვამდა. არც მის ქალობას მოერიდებოდა და გზა-შარაზე უღვთოდ გალანძღავდა.

როდესაც ხათუნა ამ კოჭმანში იყო, კალისტრატემ უკვე ჩაათავა შუაუბანი და ეგნატე სივსივანის ჭიშკარს მიადგა.

დერეფანში პერანგისამარა გამოსულ ეგნატეს ზოძზე ბამბის ძაფის ბოლო მიემარებინა და გრეხდა.

კალისტრატე არ შესულა. გზიდანვე დაუძახა.

ეგნატე მაშინვე მიხედა, მასწავლებელი რისთვისაც მოვიდოდა. დამალვა უკვე გვიანი იყო. რა ფეხი შეახმა და

გარეთ გამოიტანა ძაფი დასაგრებად, კალატაში ველარ დაეტია.

— გეყურება? — მოგვება... ცალსტრატემ.

— ყრუ ხომ არა ვარ! — გაედრახა ეგნატე, რომლის ხმაშიც აშკარა უმყოფილება ისმოდა.

— აბა რა გაჩერებს სახლში, ჯდომის დროა?

— ირბინე თუ გინდა, ჰე!

— ასე გულ-ხელი დაევიკრიფოთ, ბიჭო, მტერი გავახაროთ?

— რა ექნა, კალისტრატე, მე რა შემიძლია!

— ჩაიციე, ჩაიციე და გამოდი ამ წუთში გარეთ!

— სად აპირებ წასვლას?

— წამომყევი, რაიონში გადავიდეთ. ეგნატე გაჩქმდა. თავი ჩაღუნა და მიწას დაუწყო ჩიჩქნა ფეხის წვერით.

— არ გესმის შენ? — ცეცხლი მოეკიდა კალისტრატეს.

— მესმის, როგორ არ მესმის, — მიმჭრალი ხმა შეაშველა ეგნატემ, — მესმის...

— აბა რაღას უღვებარ!

— იმას ვუღვებარ... იმას ვუღვებარ. კალისტრატე, რომ... საქმე დაწყებულა...

— რაიო, რაიო?

— საქმე დაწყებულია მეტეი და... ხარჯი გავწიეთ...

— ერთი სიტყვით, წამოხვალ თუ არა?!

— მე კი წამოვალ, რატომაც არ წამოვალ, სხვა რომ არა იყოს რა. ხათუნს რაღა ვაგიტებ, კალისტრატე, მაგრამ... მაგარი ის არის, ვითუ სხვანაირად ჩამოგვერთქს...

— ბიჭო, შენ რანაირად ლაპარაკობ დღეს!

— რანაირად ვლაპარაკობ... რა ვთქვა აბა, რა ვიცი.

— ეჰ! — ამოიოხრა იმედგარცხებულმა კალისტრატემ, ხელი ჩაიჭნია, გაბრუნდა და გზას შლიგინით დაუყვა თავდაღმა.

— რა იყო, მამა? — მოიბრინა ცოტა ხნის შემდეგ გვანცამ, რომელიც აქა-  
მდე ოდის კიბეს ამოფარებული უდგე-  
ბდა ყურს უფროსების ლაპარაკს, — რა  
უნდოდა?

— ჩემები ისევ ტალახიანია?

— წუხელ გავწმინდე. დღეს მთაში  
ალარ მიღისარ?

— არ ვიცი. შეიძლება ალარ წავიდე.

— უშინამ თუ მოგაკითხა, რა ვუთხ-  
რა?

— რას ეტყვი, როცა მე წავალ.  
მაშინ წავა ისიც!

გვანცამ უნდოდა კარგად გამოეძია  
ნასწავლებლის ასე ადრე მოსვლის მი-  
ზეზი, მაგრამ მამას მისი თავი არ ჰქონ-  
და და ალარ ჩააცვიდა.

ევნატემ კანტორაში ასევე დააპირა,  
მერე გაიფიქრა, ახლა იქ არავინ იქნებაო  
და ზაქარა მკედლის სახლისაკენ გაუ-  
ძეა ორლობეს.

არც ზაქარა დაუხვდა შინ. სადგურ-  
ზე გაგასწროო, უთხრეს ტყულებმა,  
დღეს ჩვენი მყავალა ჩამოდისო.

ვიწრო შუკამ სამკედლოსთან გაიყ-  
ვანა. აქედან ხელისგულზე მოჩანდა  
მთელი ვაკე, რომელიც ოდნავ დაქანე-  
ბულიყო ლუხუნის ჭალებისაკენ. ტრაქ-  
ტორები მინდელის გუბურასთან ქოთ-  
ქოთებდნენ, ნასიმინდარ ყანაში. ადრია-  
ნი დილის თქორში ფენა-ფენა გადაბ-  
რუნებული მიწა დათრთვილულივით  
ბრწყინავდა.

ყანის შუაგულში ერთი ვეება ასწ-  
ლოვანი კაკალი იდგა, რომლის ტოტზეც  
უხსოვარ დროს ხატი ყოფილიყო და-  
კიდებული. ამ ხატის გამო კაკალსაც  
და მის შემოგარენსაც ძველთაგანვე  
სახატო შერქმეოდა.

საკურაში ღმერთი და ხატი აბა  
ვისლა სწამდა, მაგრამ ხალხს მაინც  
წერჩენოდა აუხსნელი სიყვარული ბე-  
ბერ კაკლისადმი. ამას ისიც ზედ ერთ-  
ვოდა, რომ ხე-კეთილი მსხმოიარე იყო.  
წელიწადი ისე არ გავიძლოდა, ორი-სამი  
ძარი დაფხჩალული კაკალი არ ამოე-  
ტანათ სახატოდან. კაკლის გარეშემო  
ნახევარი ქვევა მიწა გამოუსადეგარი

იყო. არც ხნადნენ, არც თესვდნენ,  
რადგან ხშირ ჩეროში ვერაფერი იხე-  
რებდა...

გაუყებულ მინდროში ახლა ხუთიო-  
დე კაცი ირეოდა. კაკალს მუშტრის  
თვალთ ზომავდნენ. იქვე ახლო მუხ-  
ლუხიანი ტრაქტორი იდგა და თუხთუ-  
ხებდა.

„ნუთუ მოკრას უპირებენ?“ — გაი-  
ფიქრა ევნატემ.

ათი თუ თორმეტი წლის წინათ, მო-  
რევეის დროს, კაკლიდან ბიკენტი მი-  
როტაძე ჩამოვარდნილიყო. მას მერე  
ბიკენტი სისხლს აღებინებდა და მგონი  
სწორედ ამ ამბავმა გადაიყოლა თან.  
პირველად მაშინ დაუპირეს კაკალს  
მოკრა, მაგრამ სოფელმა ვერ გაიმეტა,  
ნეტადრე ბერიკაცებს არ ეთმობოდათ,  
ვინ იცის, რამდენჯერ ნამეხარი კაკალი.  
დარჩა და დარჩა. წლებმა ისე გაიარა,  
აზრადაც აღარავის მოსვლია კაკლის  
მოკრა. ახლა მეორედ მისდგომოდა  
აეის მოსურნე ადამიანი. ნეტავი რას  
ემართლებოდნენ? აშკარა იყო, მოკრას  
უპირებდნენ. თუკი სახატოს ამოყო-  
ლებზე ვენახი ჩაიყრებოდა, მართლაც  
ძნელი იყო კაკლის დატოვება, რადგან  
ჩრდილში ვენახი არ იხარებდა.

ევნატეს გული დაწყდა. ვინ მოსთე-  
ლის, რამდენჯერ უსამხრია ბებერი  
კაკლის ჩეროში, როცა ირგვლივ ყვე-  
ლაფერს სიცხე-პაპანაქება სწვავდა,  
რამდენჯერ გადაუწვივია კიატის მო-  
ლოდინში...

ბილიკს თავდაღმა დაჰყვა.  
უქამრო, ხალათისამარა პეპიჩა წინ  
და უკან დარბოდა კაკლის ქვეშ და  
გრძელი ხელების ქნევით რადაცას აჩ-  
ვენებდა შავებში გამოწყობილ ბორის  
ლოლაქს.

კალისტრატე მასწავლებელი ჯერ  
კიდევ არსად ჩანდა. იქნებ ისაიამაც  
უგანა, ლაბაძეებმა? მკედელსაც თით-  
ქოს განგებ დაიკარგა.

იქნებ სულაც ევნატესთან საუბარმა  
შეაყოყმანა კალისტრატე?

ამნაირი ფიქრებით ჰქონდა თავი გა-  
მოტენილი ევნატეს. როდესაც პირველ

ტრაქტორს ჩაუარა და თავისებური მკაცრადებული ხმით გამარჯობა გადასცა ტრაქტორისტს, მაგრამ ეს უკანასკნელი მოტორის განუწყვეტელ გუგუნს დაეურთებინა და არც მისი გამარჯობა გაუგონია, არც ჩაელილი დაუნახავს.

— მოთხრა გვინდა, ეგნატე, რას იტყვი შენ? — მოაგება ბორისმა სიცილივით.

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა დამხედურთ ეგნატე.

— იცოცხლე! გაგიმარჯოს! — მიუცეს ამათაც.

— აა, რას იტყვი? — გაიშეშა: შეცოცხე ბორისმა.

ეგნატემ იგრძნო: ბორისი განზრახ ეკითხებოდა, ნამდვილად კი სრულებითაც არ აინტერესებდა, ვინ რას იტყობდა. წამით თვალი გაუსწორა, მაგრამ ენას კბილი დაადგა.

ახლა პეპინა გაერია მარაქაში. დადუმებულ ეგნატეს ზურგი შეაქცია და თავისი გუგუნის დასურათობატება განაგრძო. საჭირო იყო ღრმა ორმო ამოეთხარათ კაკლის ძირში, გზადაგზა მსხვილი ფესვებიც შეეჭრათ. ბოლოს ამონალს დაუდებდნენ და ააფეთქებდნენ, თორენ ისე ტრაქტორი ვერ მოერეოდა პეპინა დანგრევისა და აფეთქების ოსტატი იყო. მისებრ ვერვინ მოიფიქრებდა დანგრევისა და აფეთქების გეგმას.

— სულაც რაზე იწუხებთ თავს, ბარუსი, — თქვა ეგნატემ, — რას გიშლით ეს კაკალი?!

— კაკალია, ბიძა, ატამი ხომ არ გგონია შენ! — მოუბრუნდა მიროტაძე.

— როგორ ატყობ, ვერ ეცნობ, კაკალია თუ ატამი?

— აბა რაღა გალაპარაკებს! ეგნატეში კაკალი და ისიც აშხელა გაგიგონია სადმე?

— კაი, ჭენით ისე, რავარც თქვენ გინდათ, მე რაღას შეკითხებით! — იწყინა ეგნატემ და ელაში მარჯვენა თვალით განხე გაიხედა.

— ვიზამთ, აბა არ ვიზამთ? — დასძინა პეპინამ.

ბორისს ხმა არ ამოუღია, ვაითუ შელაპარაკებამ მეტი სადავიდარაბო გამოიხადოსო, ისე კი მიხვდა, საითაც გადაუკრა ეგნატე სიცილივით.

— წაელ აბა, ყარამანიჩი, ლომსა და ბარს მოვიტან შენ! — გასაქცევად მოემზადა მიროტაძე, — ბირდაბირიც წამოვილო? ნაჯახიც დაგვიკირდება.

— ოღონდ ჩქარა მოდი, — მალულად ეგნატეს გადაჰხედა ბორისმა, — შენ არ წახვედი ღღეს მთაში?

— წაელთ ამაღამ.

— სად არის ის, პეტრე!

— ბატონო! — მოიხედა კარგა მანძილით დაშორებულმა მიროტაძემ.

— გორიჯვარზე გადადი, ისაიას ექნება კარგი ბირდაბირი, ლომს და ბარებსაც ის გათხოვებს, გესმის? ნაჯახები იმდენი წამოიღე, რამდენიც იყოს, გასხეპა ხომ უნდა ამას. ისაიას უთხარი ჩემს მაგივრად, ორი-სამი მარჯვე ბიჭი მოგვახმარეთქო, გაიგე?

— გაიგე, ყარამანიჩი! — ხელახლა მოკურცხლა პეტრე მიროტაძემ.

— შე რა ექნა ახლა? — ზეთიანი ხელების მშრალებით შემოუერთდა ტრაქტორისტი, რომელიც ამათ ლაპარაკში მუხლუხიან ტრაქტორს უტრიალებდა.

— დავიცადოთ, სანამ მოვიდოდეს, — მიუგო ბორისმა, — ბაგირი გაწყვეტილი ხომ არ არის?

— არა, სულ ახალია.

— მოდი, აბა, ესინჯოთ.

— აა, ისე არ იზამს!

— დავიცადოთ?

— დავიცადოთ, დავიცადოთ!

ლოდინი დიდხანს მოუხდათ.

პეპინამ, ჩვეულებისამებრ, ჯერ შინ გაიარა. ელუკის სათბურის ჩარჩოები უნდა ამოვლავებინა და დერეფანში შეეტანა. ნაზამთრალი კიტრის ბარდებიც, რომლებმაც სული მოათქმევიანეს მთელ ოჯახს იანვარ-თებერვალში, ამოსათბრელი იყო. სათბურს ყოველთვის თვითონ უვლიდა ელა, იცოცხელს არ ანდობდა. პეტრემ ოშანგის დაუბარა, სანამ ეგნატე დაგიძახებდეს, სხვა ნიჭი

მინც არ მოგცა ღმერთმა, დედას წაეხმარეო და ახლა უნდოდა დაეხედა, ეხმარებოდა უშანგი დედას თუ არა.

ბოსტანში მშვიდობა იყო. სათბურისათვის ჩარჩოები გადაეხადათ. უშანგი ქვალში იდგა და ნიშა ხარით ჩატიქებულნი ბარდებს თხრიდა.

პეტრე ცოლ-შვილს არ დანახებია. ეუოდა, ედუეო საუბარს გაუბამდა, თუმცა საამისო დრო და მოცალეობა ლოგინშიც ბეჭი ჰქონდა. გორიჯვარის მუხნარისაკენ ღობე-ღობე ხტომილით გასწია.

პეტრეს პირკატა ეცა, როცა მუხნარში კალისტრატე მასწავლებელი დაინახა. კალისტრატე კუნძუ იჯდა. იქვე ქვალწვერა ისაია მეკუბოვე დაჰყრდნობოდა ალიზში ამოსვრილი თოხის ტარს.

— რა ამბავი! — შორიდანვე დაუძახა მოსულს ისაიამ.

— მშვიდობა. რას შერებით თქვენ?

— რას ვიზამთ, ვართ.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — ახლა კალატონებს მიიძახა პეტრემ, თან თვალი განზე გამდგარ კალისტრატესაკენ გააპარა.

— გაუმარჯოს!

— ხათუნასაც შეესწავლეთ, ბიჭო, ექვის საქმე.

— რატომაც არ შეესწავლით, ჩვენზე ნაკლებია?

ხათუნამ კაცებს შეჰლიმა. ისაიას თოხი გამოართვა და ალიზის გროვას მიიშურა.

— ისაია!

— ბატონო.

— ყარამანიჩმა გამომგზავნა ახლა მე.

— რაიო?

— ერთი ორი კაცი წამახმარე, თან რკინეული წამოიღონო.

კალისტრატემ მოიხედა.

— რას აკეთებს? — იკითხა ისაიამ.

— დიდი კაცილი რომ არის სახატოში, იმას ევრით, — აჩქარდა პეტრე, — ეე. ბიჭებო, ჩამოხტით ძირს. მარჯვე ბირღამირი ხომ გაქვთ?

— მოიცა, მოიცა, პეტრე, ხალხს რე გამიცდენ.

— ი!

— მე და კალისტრატეს მაგივრად უთხარი ბარუსის, ცოტა ხანს დაიცადოს.

კალისტრატე აფეთქდა. აქამდე გაჩუმებულმა რისხვა ისაიას დაატეხა თავზე, ღმერთო კი მომკალი, ვის ჭირდება პეპიჩა მიროტაძის მოციქულობაო.

— ი! ჩემთან რა უნდა! — ფერმა გადაჰყრა პეტრეს.

— წადი შენ და გადაეცი, რასაც გეუბნები. რას განერებულხარ! — დინჯად თქვა ისაიამ.

პეტრემ კარგა ხანს იწრიალა, ბოლოს მინც წაივია. წაივია, მაშ აქ რა უნდა გაეკეთებინა. ბექზე გადადგა და რაც ძალი და ღონე გააჩნდა, დაიძახა:

— ეგნატე, უუ!

კარგა ხნის ჯახირის შემდეგ, როგორც იქნა, გააგონა.

— რა გინდა, რაა?.. — გამოეპასუხა ტრაქტორისტი.

პეტრემ ხელისგულები მოიმრგვალა პირთან და გადასძახა:

— ყარამანიჩს უთხარი, ყარამანიჩს, ახლავე გორიჯვარზე ამოვიდეს...

— რას იძახი, რაას?.. — ისევ გამოეპასუხა მცირე ღუმილის შემდეგ ტრაქტორისტი.

— თემჯდომარეს უთხარი... საქმეა იმისთანა, გორიჯვარზე უნდა ამოხვიდე თქვა...

სახატოში მინც ვერაფერი გაიგვა პეტრეს ძახილისა.

— არ უნდა წაელო ახლა მაგას კისერში ხელი და გაიგდო ფეხქვეშე? — კბილებს აღრქიალებდა ბორის ლოლადე. — რა აყვირებს, რომ ყვირის, იარაღებს ვერ წამოიღებს და ვერ წამოეთრევა?

— ბარუსიო!.. — უკვე სხვა ყაიდაზე ყვიროდა ბექზე გაღმომდგარი მიროტაძე.

— ჩამოდი, ჩამოდი! — ხელების ქნევით უპასუხეს ბორისმა და ტრაქტორისტმა.

ჩანდა, მიროტაძემ გაიგონა, რადგან

უცებ აღვიღს მოსწყდა და თავპირის მტრევეთ გამოიქცა თავდაღმართში.

— ცარიელი მოდის ეგ ოჯახდასაქციევი? — ამომარცვლა ბორისმა.

პეტრე აღარ ჩანდა. ალბათ, დუბეში მიიშალა. თავი მალე ამოჰყო.

ბორისს უნდოდა იქიდანვე გაესტუმრებინა უკან, უშვერი სიტყვებით გაელანძლა, მაგრამ უცხო ხალხისა მოეჩრია.

ამასობაში პეტრეც მოვარდა.

— რა უყავი იარაღები, ბიჭო! — დაიღრიალა ბორისმა.

— ნუ ყვირი, ყარამანიჩ, ნუ ყვირი...

— ქოქინით სუნთქავდა პეპიჩა, — ჯერ ნკითხე... მუხნარში იმისთანა ამბავია, შენს მტერს!

გაცოფებულ ბორისს მკედრის ფერი დაედო.

— შენ გიბარებენ! — ამოისროლა პეტრემ.

— მე? ვინ გიბარებს?

— ისაია მეკუბოვემ მითხრა, ამ წუთში აქ გვეახლოს თავის ფეხითაო.

— ვინა?

— მართალს გეუბნები. გინდა დაიჯერე და გინდა არა. კალისტრატე მასწავლებელი ბრძანდება იქ. თვითონ განზე დგას, ვითამ არაფერ შუაშია, ისაია მეკუბოვეს ალაპარაკებს... არაფერ იარაღს არ მოგცემ, არც ხალხს გაგატან, თავათ მობრძანდეს, იარაღიც თავათ წაიღოს და ხალხიც თავათ წაიყვანოსო. კილამ მომკლეს, ძლივს გამოვასწარი...

ბორისი დაიბნა. აღარ იცოდა, მართლა დაეჯერებინა თუ არა ეს ამბავი.

ტრაქტორისტებს გადაჰხდა, მერე ეგნატეს.

ეგნატეს თავი მხრებში ჩაერგო და მუშტის ტოლად დაპატარავებულიყო.

— ჰა, რას იტყვი შენ? — დაიგმინა ბორისმა.

ეგნატემ მხრები აიჩეხა:

— უნდა შევამოწმოთ. ყარამანიჩ...

— რა უნდა შევამოწმოთ! ანა მე ტყუილს ვამბობ? — აფეთქდა პეტრე.

— ჯერაც არ გითქვამს! — უჩვეულო სიფიცხით მოუქრა ეგნატემ.

— კმ...

— ენა გააჩერე, გეუბნები, შენს გუნებაზე არა ვარ ახლა!

— მე გავაჩერო? მე გავაჩერო, ბიჭო, ენა? თქვენ კოლექტივის საქმე გინდათ ჩაფუშოთ და მე გავაჩერო ენა? ეგ ხელი არ გქონდეს მოგრეხილი, მე ვიცი! შენ... პეტრე მიროტაძეს ამ უღვაშზე თუ მაინც ფობლობით არ მოგირწყო საკადრისი!

— გაჩუმდით! — შეუტია ბორისმა.

— არა, შუბლზე ვაკოცებ მაგისმა სიცოცხლემ, ანა! — ელარ დგებოდა პეტრე.

— ადი, თუ ძმა ხარ, მუხნარში და უთხარი ისაიას, — ეგნატეს მიუბრუნდა ბორისი, — მანდ არ ამოიყვანოთ თქვა.

— ეე, თავმჯდომარე, აგრე არ ვარგა, — აბუზღუნდნენ უცხო კაცები.

გაგულისებულ პეტრეს სჯა-ბაასისათვის აღარ დაუცდია. რადგანაც ეგნატე ადგილიდან არ იძვროდა, ყოკიანი ქული მოირგო და აღმა აუყვა გადახნულ ნაყანევს.

— დაფიქრდი, ბორის, აჩქარება საქმეს წახდენს, — თქვა ეგნატემ.

— სად არის ის? პეტრე! — გონს მოეგო ბორისი.

— ბატონო!

— მოდი აქ!

ბორისს მკედრის ფერი ედო. ფეხზე ძლივს იდგა. ფიქრობდა, რა გზისთვის მიემართა და ვერ მოეფიქრებინა. ვისთვის ეკითხა რჩევა, ვის მიწოდობდა? ახლა ყველამ ერთბაშად დაკარგა ნდობა მის თვალში. ბოლოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, კაკლის ქვეშ მყოფნი სახტად დასტოვა და შეძლებისდაგვარად მტკიცე ნაბიჯით გორიჯერის მუხნარისკენ გაეშურა.

— ჰო, მართლა! — მობრუნდა ისევ ორიოდ ნაბიჯის გავლის შემდეგ, უთრო კი იმის გაგება სწაღდა. — რა თვალთ მისყურებენო, — ელეთფერს დაუძახებთ ამ წუთში!



ეგნატეს არ მოეწონა ლაშხის ამნაი-  
ჩად მოხსენიება.

- გლოვა არ დავაძალოთ?
- აბა რა ექნა, მართო რა ექნა მე...

### თავი მეთერთმეტე

ბორისი დაუყოვნებლივ ავიდა გორი-  
ჯვარზე. ცდილობდა, სიმშვიდე შეე-  
ნარჩუნებინა, თუმცა სულით ხორცამდე  
აღშფოთებული იყო. კალისტრატე მას-  
წავლებელი მუხნარში აღარ დახვედ-  
რია. გაესწრო. ისაიას შორიდანვე მოე-  
კრა თვალი აქეთ მომავალ თავმჯდომე-  
არისათვის და გამოეგება.

ბორისს სახე მოქუფრვოდა. ტუჩები  
მოეკუმა. ბუდეებში ღრმად ჩამჯდარი  
მსხვილი თვალები გასჩერებოდა.

ისაია უმალვე მიხვდა, ჩვენი თავმჯ-  
დომარე ვილაცას ძალიან გაუგჯავრები-  
აო და რბილად შეაპარა:

— ასე ვინ გაგარისხა, ბორის, ბატონო?

— სად არის ის?! — თვალები დააჯ-  
ვესა ლოლაძემ.

- ვინა?
- ის, კალისტრატე...
- დაწყნარდი, ბიძია.
- სად არის, გეკითხები!
- სად იქნება, სკოლაში წავიდოდა.
- ეს სოფელი მაგას თავისი სკოლა  
ხომ არ ჰგონია!

— არავის არაფერი არ ჰგონია, ბო-  
რის; მოითმინე, მამაშვილობას. რა ვუყ-  
ოთ, ცოტა ნერვიული კაციია.

— შერე მაგის გარდა სხვას არავისა  
აქვს ნერვები?

— კი აქვს, როგორ არა აქვს, ყველას  
აქვს... — სიტყვებს ეძებდა უჩვეულოდ  
დამტკბარი ისაია, — მარა, ხო იცი,  
დროული კაცია...

— ამიტომ უნდა დამაჯდეს თავზე?

- რავე გეკადრება ახლა შენ ეგ,  
ბორის, გეკადრება?
- ხალხი რატომ არ გამოგზავნენ?!
- ხალხი...
- ჰო, რატომ არ გამოგზავნენ ხალ-

ხი? თავმჯდომარე ვარ თუ ვინ ვარ  
აქეთ შემუქრებით კიდე?

— იმე! ვინ, ვის ვემუქრებით, რას  
ამბობ!

— ისაია, მაგისთანებს დაანებე თავი,  
იცოდე. გესმის?

— აბა, ბიძია, — ხმა გაეყინა ისაიას,  
მარცხენა მხარი ავად შეუთამაშდა,  
მაგრამ უმალვე დაიბრუნა მშვიდი კი-  
ლო, — რადგანაც აგრეა, თავად გნა-  
ხავ!

- კიდეც ვემუქრები?!
- დიდება შენდა, ღმერთო!
- აბა, ვნახოთ!

ბორისმა წასვლა დააპირა. კალატო-  
ზებს ხმამაღალი ლაპარაკი გაეგონათ  
და აქეთ იყურებოდნენ. ხათუნას გულ-  
ხელი დაექლო, მღვრიე წყლით აესე-  
ბულ კასრთან იდგა და ყურს უგდებდა  
ამ ორის ლაპარაკს.

— მე, ჩემო ბორის, მფრთხალი კაცი  
არ ვახლავარ. ეს შენც კარგად იცი და  
მაგას არ უნდა კადრულობდე.

ბორისმა კისერი მოაბრუნა. ნიკაპზე  
ნამგლები დაეკიმა. ორიოდ წაშს თვა-  
ლებით ზომავდნენ ერთმანეთს, ბოლოს  
ისევე ისაიამ თქვა:

— გასწორ-გასწორ სიარული ხელს არ  
მოგეცემს. მტერს ნუ გაეახარებთ. ამხე-  
ლა საქმეს რომ ჩასქიდე ხელი, ჩვენ  
აღარ გვეკითხები? ქვეყანა ჩალით კი  
არ არის დახურული, შეილო და ძმაო.

— რას მიპირებთ მაინც?! — ბორისს  
ალი მოეკიდა სახეზე.

— არაფერს არ ვიპირებთ. რას უნდა  
ვიპირებდეთ! ბარუსი, მამა-შვილობას,  
აგრე ნუ მიყურებ კიდე მე. ჰო, ჰო!  
კალისტრატე ამ წუთში აპირებდა რაი-  
ონში გადასვლას. არ გავეუწყვი. ჩვენი  
ოჯახის საქმე გარეთ რისთვის უნდა  
გავიტანოთ, თუ ისედაც შემოვევლება.  
მოიწვიე, ბიძია, კრება, თავს შევიყრიეთ  
და იქ ერთად ვადაწყვევით, რა ექნათ  
და რა არა.

— კრების დრო მაქვს ახლა მე?  
ისაიამ მხრები აიჩეჩა და გატრუნულ  
კალატოზებს მოჰხედა.

ბორისი, მართალია, ფიცხობდა, ისაი-

ას სიტყვებში მაინც ჩააფიქრა. ღრმად იყო დარწმუნებული, დღეს არა, ხვალ, კალისტრატე მასწავლებელი დანაქადს შეასრულებდა და, ვინ იცის, ამბავს რაგვარად მიიტანდა რაიონში. კალისტრატეს სხვებიც აუბამდნენ მხარს. აგერ ეს ყოყმარალი ისაია მეუკუბოვე არც უმაღავდა. ბორისი საგონებელში ჩაეარდა, მაგრამ გაღიზიანებული თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, ყოყმანი რითიმე გაემკლავებინა. ახალი ზერის გაშენება მისი თავმოყვარეობის საქმედ იქცა. რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ლელო უნდა გაეტანა. მაგრამ რაიონი? იქიდან კი დაუქერდნენ მხარს, თუკი აქაური მითქმა-მოთქმა რაიონის ხელმძღვანელობის ყურამდე მივიდოდა? ბორისი უკან დახევას არ იყო ჩვეული. საქმე ყოველთვის შუბლით გაჰქონდა. მაგრამ ახლა? ორიოდ წუთს თავჩაღუნული იდგა. მწარე საფიქრალს მისცემოდა. აღარც ისაია იღებდა ხმას. ბორისს ყრუდ ესმოდა მისი სუნთქვა. ასე ხროტინით მეყალიონე ბერიკაცები სუნთქავენ. მოულოდნელმა ფეხისხმამ გამოაფხიზლა. სახატოს მხრიდან სწორედ ის ტრაქტორისტი მოახლოვებოდათ, რომლის ტრაქტორსაც კაკლის ხე უნდა მოეთხარა.

— ჩვენ რა ექნათ ახლა? — მორიდებულად იკითხა ტრაქტორისტმა და ისაიას თავი დაუქნია, — ვიმუშაოთ თუ... ბორისს მოეჩვენა, რომ ეს კაცი დასცინოდა. ზედ მაინც არ შეუხედინია, გულ-ხელი დაეკლო და ქუსლით ფეხიერ მიწას ჭიჩქინდა.

— ბორის...

თავმჯდომარემ ზურგი შეაქვია ორივეს და უხმოდ გაემართა იმ მხარეს, საიდანაც ათიოდ წუთის წინ აქ ამოვიდა.

ისაიამ და ტრაქტორისტმა ერთმანეთს გადააპხედეს.

ბორისი თავჩაღუნული მიდიოდა, ხელები ღრმად ჩაეჩარა შარვლის ჯიბეებში.

სახატოდან მეორე ტრაქტორისტიც ამოვიდა. თავმჯდომარე დაინახა, მაგ-

რამ მიხვდა, აქ რაღაც მომზადარყო და ამბის გასაგებად ამხანაგს მიაქურა. „ელუფთერთან მივალ, თუ ვერ მოხერხდება ბორისი, — თუ რამე არ ვიღონე, ჩემი საქმე გლახად დამთავრდება“. უცებ გაახსენდა, რომ ტრაქტორისტები ისაიასთან იღვნენ მუხის ძირას. ბრაზი წაეკიდა. უმაღვე მოტრიალდა და ერთ-ერთი მათგანის სახელი ხმამაღლა დაიძახა.

ტრაქტორისტებმა ისაია მიატოვეს და აქეთ გამოიქცნენ.

— რას უდგეხართ აქ! — გამოსცრა ბორისმა.

ტრაქტორისტებმა მოირბინეს.

— შეადღე წამოვიდა. ასე ვიდგეთ?! — კვლავ თავისთავს ედავებოდა ბორისი.

— რაეარც გვეტყვი, ისე ვიზამთ, — მიუგო პირველმა ტრაქტორისტმა, რომელსაც თავი ისე მრუდედ ედგა მხრებზე, თითქოს კისერში ქარი გასდგომიყო.

— წადით, წადით, დასცხეთ, სადაცაა სადილს მოიტანენ!

ტრაქტორისტს კიდევ უფრო მოედროცა კისერი:

— რაეა გგონია, თავმჯდომარე, საჩხუბრად გამოგვგზავნენ აქ?

— ჩხუბი რა შეაშია! — ყასიდად გაიოცა ბორისმა და ახლა მეორედ იგრძნო, რომ ეს კაცი დასცინოდა.

ეპტეესელები გრძნობდნენ, რომ ლოლამე იბტიბარს არ იტეხდა, თორემ გულით ეწადა ორი-სამი ღლით შეეჩერებინა ეს საქმე, სანამ ყველაფერ საბოლოოდ გამოირკვეოდა. ერთმანეთს ანიშნეს, წაეიდეთო და მიტოვებულ ტრაქტორებისაკენ ხმის ამოუღებლად გასწიეს.

ბორისი სულ მარტო დარჩა თავის ფიქრებთან. ელოდა, აი, ახლა ტრაქტორები ავუგუნდებიათო. კიდევ უნდოდა ეს და კიდევ არ უნდოდა.

ლოდინმა ნახევარ საათზე მეტ ხანს გასტანა.

სახატოდან ჩამიჩუმში არ ისმოდა.

ბორისი ბეჭს გადაადგა.

ტრაქტორისტები კაკლის ძირას შექუ-

ჩებულები და თამბაქოს აბოლებდნენ.

„იქნებ ასე სჯობდეს?“ — გაიფიქრა ბორისმა.

ორპოციოდე წუთის შემდეგ ტირილით თვალბდასიებულმა და თვით ფეხამდე თალბებში გახეულმა მუწჯიმ გაულო ჰქმარი.

სიბერისაგან ხმადაბობებული ჯალხანა დერეფანში იწეა, მზის გულზე და ზარმაცად იღრინებოდა.

მუწჯიმ ჰქმართან დასტოვა სტუმარი, რადგან ამ უქანასკნელმა ეზოში შესვლა არ ინდომა, თვითონ კი ელფეთერის დასაძახებლად წავიდა.

ამ ორი-სამი დღის განმავლობაში საგრძნობლად მოტეხილმა ელფეთერმა მაშინვე გამოჰხედა ბორისს, მაგრამ ისე დაღვრემილი იყო, ბორისმა კიდეც ინანა, ნეტავ არ მოვსულიყავო.

— შემოდი, შემოდი! — ჩვეულებრივი სალამ-ქალამის შემდეგ მიმართა ელფეთერმა სტუმარს, თუმცა აშკარად ემჩნეოდა — ბორისის მოსვლა არ ესიამოვნა.

— გლახად არის საქმე, ელფეთერ, ბატონო... — ფეხის წვერებს ჩაულაპარაკა ბორისმა, — კალისტრატემ ხალხი ამიყაყანა. ტრაქტორები გაჩერებულია...

ელფეთერმა ჩაახველა და უაზროდ გაჰხედა გამხმარი ღობის სარებს.

— რას გაჩუმდი? — დაარღვია წუთიერი სიჩუმე ბორისმა.

— ვიცი ყველაფერი.

— რა ყველაფერი?

— რაც იყო. პეტრემ მითხრა.

— სად არის პეტრე? — ახალადა გაახსენდა ბორისს მიროტაძე.

— პალატში ზის.

ბორისს კიდეც უნდოდა რაღაც ეკითხა პეტრეს გარშემო, რათა ელფეთერისათვის ფიქრის საშუალება მიეცა, მაგრამ ევლარ მოითმინა და კვლავ თვალბებში შეჰხედა მასპინძელს.

ელფეთერი დღემდა და ხმელ ღობეზე ნიდაყვებით დაყრდნობილი თითებს შუა მოქცეულ წყირს ამტვრევდა.

დერეფანში მუწჯია გადმომდგაროყო. შებოლილ საარყე ქვაბებს ფსკერზე მიმწვარ ბრინჯს ფხეცდა და დაშლილი ქერქის ხელის სიფართო ნაფლეთებს ჯალხანას უყრიდა წინ.

— განცხადებას დაეწერ, — თქვა უცებ ბორისმა, — გულის ხეთქვის მეტი მანც არაფერი ყრია ამ თავმჯდომარეობაში. კაცი ნახევარი აღარა ვარ. თან წნევამ ამიწია. რა ვუყო, გამანთავისუფლონ. ვისაც უნდათ, იმას ჩააბარონ სოფელი. ოღონდ გულზე ის მხეთქს, მაგ წერვებაშლილმა კალისტრატემ რავე უნდა ამიჩიოს დაწყობილი საქმე. ჩემზე მეტი დამსახურება მიუძღვის თუ რა მოხდა ბოლოს და ბოლოს როცა ეგ აქ ბუხარს უჯდა, მე გერმანელებს ეგბრძოდი და სისხლს ვაქცევდი. შარშანაც ჩამიღვა კრიჭაში, შემოდგომაზე. ვიფიქრე, სამსახურიდან მოახსნევიანებ მეტკი. განათლების განყოფილების გამგე ჩემი ნაამხანაგარია. მესხმა არ ქნა. რით მოთაფლა ეს მესხი, რომ არაფრის გულისათვის არ ელევამ წასვლა თუ უნდა, თავათ მოითხოვსო.

უცებ ბორისმა შენიშნა, რომ ელფეთერი არ უსმენდა. კვლავაც უაზროდ გაჰყურებდა გამხმარი ღობის სარებს.

მუწჯიმ ჭკაბი შეახრიგინა პალატში, მერე ისევ გამოვიდა და ერთიმეორეზე შეკოლიკებული თეფშების გროვა განოიტანა გასარეცხად.

— მე თავსავე არ გიწონებდი მაგას. ბორის, — თქვა ელფეთერმა.

— რა თქვი?

— კალისტრატე მართალია.

კალისტრატე მართალიაო? ელფეთერის ეს სიტყვები ტყვიასავით მოხვდა ბორისს. ელფეთერისაგან ყველაფერს მოელოდა, ოღონდ ამას არა. კალისტრატე მართალიაო? ვინ ამბობს, ელფეთერი ამბობს ამას? ბორისს სიტყვა გაეჩხირა ყელში. თავი მოთოკა. ელფეთერთან ურთიერთობის გაფუჭება ცეცხლზე ნავთის ჯადასხმა იყო.

— შენც თუ ავრე ფიქრობ, ბატონო, ელფეთერ, მაშინ... მაშინ...

— არ ვიცი, — ცივად მოსჭრა ელფთერმა.

— რა არ იცი, ადამიანო! — მოძალეხულ სიბრაზისაგან კინდამ ცრემლი მოერია ბორისს — ის არ იცი, რომ ახალი ვენახი უნდა გაეაშენოთ?

— ურემი როცა გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდება.

— რა გზა გამოჩნდება? რა გზა გამოჩნდა თუ კაცი ხარ! — უშეერი სიტყვის გამორევა მანინც ვერ მოახერხა ბორისს ლოლაძემ.

— ერთი სიტყვით, ახლა სხვა სამკელი არ არის, — დინჯად თქვა ელფთერმა, თუმცა თავადაც არანაკლებ გაფიქსებული იყო, — კრება უნდა მოვიწვიოთ. მე ბევრი ვიფიქრე, იცოდეთუ დამიჯერებ, ასე აჯობებს. ახლა როგორც გინდა. მოგეხსენება, მე აგრონომი ვარ. მარტო აგრონომი! რჩევის მეტი არაფერი შემიძლია. არც უფლება მაქვს. უფლება შენს ხელშია. მიწას მომცემ — მოსავალს მოგიყვან. გათავდა! მეტი არაფერი არ ვიცი მე.

ხმაშალალ ლაპარაკზე პეპინამ გამოიხედა პალატიდან. ერთხანს კარში იდგა გატრუნული, მერე ისევ მიიშალა.

ელენე ახლადგარეცხილ ჭურჭელს ამშრალუბდა.

— კიდევ იქა დგანან? დამჩარებულმა პეტრემ თავი დაუქნია.

— რას ჩურჩულებენ თუ იცი? პეტრემ ვერ გაიგონა. კვლავ გარეთ გახედვა დააპირა, მაგრამ ამის მაგივრად ხელი ჩაიჭნია და თავდაღმა დამხობილ ბათიანზე ისე მოუხვეწრად დაეშვა, თითქოს ვკლებზე ჯდებოდა.

### თავი მეთორმეტი

შშენებლობიდან წამოსულ ხათუნას ზაქარას ჭიშკართან უნდა გაეგლო, მაგრამ ამჯერად შორიდან მოვლა არჩია: იქნებ მაყვალა ახლა იქ არის და შემთხვევით გადავაწყდე, მე კი სასტუმროდ არა ვარ ჩაცმულიო.

არეულობის გამო დღეს შინ ვეღარ შევხედა. ბავშვები მარტო იყვნენ. მოსალამოვდა თუ არა დაულოლოდებოდა ქანცულმა გუბურისაგან ჩაუხვია და თავისეულ ვენახში გადავიდა. წლების განმავლობაში უპატრონოდ დადგებულ ვენახს კოლმეურნეობა ამუშავებდა. წელს ბორისმა ნება დართო მინდვლებს საკარმიდამოსათვის მიეხედათ, სანამ გამგეობა ახალ საკარმიდამოს მიუზომავდა.

წინათ, შალიკოს სიცოცხლეში, ვენახს ტრიფოლიატის ცოცხალი ღობე ჰქონდა შემოვლებული.

ახლა ღობე ალაგ-ალაგ ჩათელილი იყო. გაშვებულობის დროს საჭონელს ევლო ვენახში.

ჯიშების მრავალფეროვნებითა და ხარისხით მინდვლების ვენახი ვერას დაიკვეხნიდა. გიბრიდის, ძველშავისა და რკოს ძველი ვენახი იყო, ერთ დროს მეჩხერი, მაგრამ შემდეგ საწინდრებით ხელახლა შევსებული. აღრინდელ მწკრივებს ძნელად თუ გააჩრევდა ადამიანი. ბებერი ვაზები და შედარებით ნორჩი საწინდრები ერთმანეთში არეულიყვნენ. ალბათ, ყოველივე ამის გამო დიდად არავინ გაჰფრთხილებოდა ვენახს. თითქმის ყამირად გაეშვათ. მინდვლების ჩამოსვლის ვარაუდი რომ არა, იქნებ აეჩეხათ კიდევ, რადგან ამნაირი უჯიშო ვაზებისათვის მიწის მოცდენა არ ღირდა.

ქარ-წვიმით ნახშირივით გაშვებულ და მხისაგან დახეთქილი სარები მხოლოდ აქა-იქ შერჩენოდა ვაზებს. გაუსხლავი ლერწი კვახის ბარდივით გაწოლილიყო მიწაზე.

„მარჯვე კაცის ხელი კიდევ მოასულიერებს ამას“, — გაიფიქრა ხათუნამ და ორიოდ დაღვლარქნილი ვაზი ფეხზე წამოაყენა.

აქამდე ხათუნა მოთმინებით ელოდა, როდის მიუზომავდნენ ახალ საკარმიდამოს. შალიკოს ნალოლიავეები კარმიდამო არტელის დიდი ზვრის ფარდში იყო მოჭყეული და თუგინდ ბევრიც

ეთაყვება, დამიტოვებო, მაინც ვერაფერს გახდებოდა. კალისტრატეს თქმისა არ იყოს, აპრილის დამღევამდე ახალი ზეარი აქამდეც მოაღწევდა და ყველაფერს ჩაყლაპავდა.

დღევანდელმა უჩვეულო აყალმაყალმა იმედი გაუღვიძა ხათუნას. რა ხანია თოვლი გადნა. მზიანი დარები დაიჭირა. ვენახის მიხედვის დრო იყო.

მეზობელი ვენახები შემოდგომაზევე გაესხლათ, მარტო ეს პატარა ნაკვეთი გამოიყურებოდა ასე უბატრონოდ.

„კაცებს მოვიხმარ, გავსხლავ, შემოვაკავენ, — ოცნებაში გავართო ხათუნა, — წელს დაუბარაობა არ იქნება. ნაჯეგი მიწა გასკივებულია. მე და ზურია ვიმუშავეთ ცოტ-ცოტას... თუარა და, კაცს დავიჭირავენ...“

პორფილე ჩინჩალაძის ფული გაახსენდა. იმ ავად მოსაგონარი დღის შემდეგ ფული ჩეარში ჰქონდა გამოხვეული და სანოვაგის შესანახ სკივრში ჩაკეცილი. ისე შეინახა, არც დაუთვლია. კიდევ კარგი, დაწვას გადაურჩა.

„ნეტავი რა მომივიდა? ალბათ, ჰკუპა ზე ვიშლებოდი. მივალ თუ არა, დავრთვლი, ვნახოთ ერთი, რამდენია!“ — გაიფიქრა ხათუნამ.

უმალევე ზურია და მისი შეკრული კოპები წარსოუდგა. თავს ახლად გაღტყდა, შვილის წინაშე საიდუმლო მაქვსო. აღრე ეს აწუხებდა ხათუნას, მაგრამ დრომ თავისი ქნა — თანდათან შეეჩვია. დღეს დამშვიდებული იყო და შეეძლო ამ ამბავზე უმტიკინეულოდ ეფიქრა. ნუთუ ისე საზიზღარია პორფილე ჩინჩალაძე, როგორც მას ეჩვენება? ნუთუ ისე დიდია დანაშაული, რომელიც მას ხათუნას წინაშე მიუძღვის? რა დანაშაულია სიყვარული, თუნდაც უბრალო გატაცება!

ხათუნამ ქალური გუჟანით იცოდა, რომ პორფილეს გრძნობა არც ერთი იყო და არც მეორე. ეს რაღაც უფრო ცხოველური და შეურაცხმყოფელი იყო. თავიდანვე ამის გამო შეიძულა პორფილე. მისი დანახვაც არ უნდოდა.

რა იციან, გულში ხომ არაფერი უნახათუნას, სწადია თუ არა ახალი თჯინის შექმნა! ზოგი ამას შემოსთავაზებს, ზოგი იმას, თავისუფალი ქალა და იმიტომ. თავისუფალ ქალს, სანამ ახალგაზრდა და რაიმე გრძნობის გაღვივება შეუძლია, ასე ექცევიან. ზოგი ცოლობას სთხოვს, ზოგი წუთიერ სიამოვნებისათვის მოილტვის.

„ძალიან შორს წავედი, — თითქმის ხმამალა უთხრა თავისთავს, — ჩემდაუნებურად პორფილე ჩინჩალაძის საქციელის გამართლებას ვცდილობ.“

ხათუნას წლების განმავლობაში აკლდა მამაკაცის ალერსი. მაშინაც კი აკლდა, როდესაც ძალღონით საესე ქმარი გვერდით ჰყავდა. ქალიშვილობის დროინდელი მორცხვობა შემორჩენოდა და, მიუხედავად იმისა, რომ მინდელთან უკვე სამი შვილი ჰყავდა, ხანდახან ეჩვენებოდა. შალვა ჩემთვის მაინც უცხოა და უნდა მოვერიდო. როცა ემაწვილური მორცხვობა გაქტრა და თითქოს სხეულითაც კი შეუერთდა შალიკოს, მინდელი უკვე შორს იყო და სამუდამო მარტობისათვის განწირული ხათუნა ამოდ ოცნებობდა მის ვაჟაკურ ალერსზე.

„ღმერთო, რა ბავშვი ვიყავი! — ნანობდა ახლა ხათუნა და ადუღებული სისხლის ჩუჩჩუხს მთელი სხეულით გრძნობდა, — მე მაშინ გავიგე სიყვარულის სიტტბო, როცა მარტო დავრჩი. ახლა კი გვიანია. ძალიან დამაგვიანდა.“

ვაზებს შუა ჩაჯდა და სახე ნიდაყებში ჩაიმალა. უნდოდა სხვა რამეზე ეფიქრა, რათა ეს აღგზნებულობა სახლამდე არ მიჰყოლოდა, მაგრამ სხვა რამეზე ფიქრი უკვე აღარ შეეძლო. ამ დღეში რომ ვისმე დაენახა, ალბათ, იფიქრებდა, დაკარგულ ქმარს მისტირისო, ის კი თავისთავს მისტიროდა, ახალგაზრდობის იმ პაწაწინა ნარჩენს, რომელიც ეს იყო უსხლტებოდა ხელიდან.

წინათ ეგონა, შალიკოს უბედურების შემსწრე თავს აღარ ვიცოცხლებო, აბ-

ლა კი ერთი სიციცხლე აღარ ჰყოფნიდა. უნდოდა ეს სიციცხლე დაუსრულებლივ გაგრძელებულიყო.

„განა ბედნიერება არ არის, რომ ადამიანები ერთმანეთის აზრებს ვერ კითხულობენ? — შევებით გაიფიქრა ხათუნამ და თავი წამოსწია, — როდემდე უნდა ვატყუო ყველა? ცხოვრება, ალბათ, საერთოდ ასეთია. რაც დრო გადის, ადამიანი თანდათან ჰკარგავს ადრინდელ სისპეტაკეს და სხევანიირი ხდება. ჯერ საკუთარ სინდისს ჩააჩუმებს, მერე ეცდება სხვებსაც თვალი აუხვიოს...“

ხათუნას გააყრეოლა. შემოჩვეულმა შიშმა გული გაუქანწლა.

„ამნიირად ცხოვრება შეუძლებელია! — გაიფიქრა მან, — ან თავიდან უნდა ამოვიგდო სულელური აზრები, ანდა, რაც ყველაზე უფრო ადვილია, კლდეზე გადავეარდე“.

მერე ბავშვები? ხათუნას ბოლოს მაინც გაახსენდა, რისთვისაც ცხოვრობდა ქვეყანაზე; გაახსენდა: თუ არ ბავშვები, თავს მართლაც არ იცოცხლებდა შალიკოს დაღუპვის შემდეგ. შეილებმა შეამღებინეს დარდის შემსუბუქება, შეილებმა გაუჩინეს ახალი დარდი, ამ დარდმა სძლია ძველ დარდს...

ხათუნა ზეზე წამოვიარდა. არემარე ბინდებულს მოეცვა. მოსარკულ ცაზე, რომელიც თანდათან ლურჯდებოდა, ოდნავ ბეუტავდნენ წვრილ-წვრილი ვარსკვლავები. წინ, ვენახის თავში, კიშკარის მხარეს წაქუხული ქოხი მოჩანდა. ხათუნამ თვალის დახამხამებაში აირბინა ვენახი და შარშანდილა ტალახით დასერილ ალაგზე გადააბიჯა.

ეზოში მწვანე მოლი წამოსულიყო. დანოტიავებულ დერეფანშიც ამოეყო თავი ბალახს. ხათუნას ეს ცუდად ეჩივნა. დააპირა თოხი ეპოვნა სადმე და დერეფნის სოხანე მოეფხიკა, მაგრამ თოხი ვერსად მიაგნო. გული დაიშვიდა, ხეალ დილას ადრე აედგები და ჩამოვალა.

სამანქანო გზაზე ამოსვლისას არგული სიმღერა შემოესმა. ვილაც სამი მთვრალი კაცი მოაბოტენდა. მათგან ერთს მხარეს, მგონი აქაურები არ უნდა ყოფილიყვნენ. ხათუნა ყორეს აეკრ. და შეიკადა, სანამ მთვრალეები გაივლიდნენ.

მთვრალეების გავლაც იყო, ვილაცის ლანდი გამოეყო ყორეს და ხათუნასაკენ წამოვიდა.

— დედა შენ ხარ? — გაისმა სიბნელეში.

— უჰ! — თავისუფლად ამოისუნთქა ხათუნამ და მოგებებულ შვილს ხელი მოჰხვია, — რა გინდა, ბიჭო, აქ?

— რად დაგაგვიანდა? — მიუგო პასუხად ზურია.

— ვენახში გამოვიარე. შენ დიდი ხანია სახლში ხარ?

— დღეს არ გვიმუშავნია.

— მაყვალა ჩამოვიდა?

— კი, სერგომ წაიყვანა.

— ვინ იყვნენ ეს მთვრალეები?

— რა ვიცი, მგონი ტრაქტორისტები.

— ბიჭები?

— შენ გიცდიან.

— ხომ არ შეგეშინდათ?

— მწ.

— აბა რად გამომიდექი?

— ისე.

— შევილი! რადა ხარ ამისთანა ცუდ გუნებაზე?

ზურია მარჯვნივ გადასვლა. ბორძიკით მისდედა დედას ჩაბნელებულ ორბობეში.

— რატომ ბნელა? — იკითხა ხათუნამ.

— გადაიწვა.

— არც ჩვენთან ანთია?

— ვერ ხედავ?

ისინი უკვე კიშკარში იყვნენ და აქედან მართლაც კარგად ჩანდა ელექტრონის ჭახვა შუქით განათებული ფანჯარა.

— ხომ არ დაუძინიათ? — ისე დაარღვია სიჩქარე ხათუნამ და ხმაში მოუთმენლობა დაეტყო, — ჩქარა წამოდი! ზურია ფეხს ითრევდა.

— რა მოგივიდა, ბიჭო?! — მოიხედა ხათუნამ. უსიამოვნოდ გააერკოლა. მოეჩვენა, რომ უფროსი ვაიშვილი მისი წელანდელი ფიქრების მოწამე იყო.

„ცოდელი ვარ, რა პირით უნდა შეეხედო ამ ანგელოზს თვალბში!“ — გაიფიქრა ხათუნამ.

ზურია ამ ბევრი ილუღლულა, სანამ გულსინაღებს იტყოდა. ხვალვე ჩვენს სახლში გადავიდეთ, ახლა ხომ მაინც აღარ არის ზამთარიო.

ხათუნაც ფიქრობდა ამას, მხოლოდ საკარჭიდანოს ამბავი აფერხებდა. რა მოელანდა ზურიას, განა თვითონაც არ იცოდა, რისთვისაც აყოვნებდა დედა? ხათუნა გააკვირვა, კი არ გააკვირვა, შეაშფოთა უფროსი შვილის უეცარმა გადაწყვეტილებამ და დაეინებულმა თხოვნამ.


ზურია არ მოეშვა. დედა შინ მანამ არ შეუშვა, სანამ მართალია ცალუბა, მაგრამ მაინც თანხმობა არ ათქმევინა.

ხათუნა საგონებელს მიეცა. რამ ააფორჩიქა ზურია? რატომ მოითხოვდა აქაურობის მიტოვებას? ნუთუ გააღიზიანა ვინმემ, უყადრისი სიტყვა გააგონა...

მეტი გამოკითხვა ხათუნამ თავის დამცირებად მიიჩნია. მცირედი ფიქრის შემდეგ გულიც კი მოუვიდა ზურიაზე: როგორ ბედავს და ასე ურცხვად უთვალთვალებს დედის ყოველ ნაბიჯს! ამაშიაც ბაბუას გამოემგვანა — გულჩახვეული და ეჭვიანია. ბორისის პირველი სტუმრობა გაახსენდა. გაახსენდა, როგორ აგლეჯდა კაბას ქარი...

მთელი საღამოს განმავლობაში უჩვეულოდ ცივი და უყურადღებო იყო შვილების მიმართ. ახლა სიმარტოვე უნდოდა და პატარების ყოველი წამოძახილი ეკალივით ესობოდა გულზე. გვიან დაწვა. ერთთავად იმაზე ფიქრობდა, რა უნდა სცოდნოდა ზურიას...

ნაშუალამევს გრუხუნნი მოისმა. ხათუნა ადგა. ფანჯარაში გაიხედა. ცა მოღრუბლული იყო. დროდადრო უნიათო ელვა იჭრებოდა ოთახში.

„ვაითუ გააედარდეს“,  გული გაუსერა ხათუნას.

მოტრიალდა. ნებეირად პავლეს და შალიკოს საბანი ზურია ხვრინაედა. ალბათ, თავი ცუდად უდევსო, გაიფიქრა ხათუნამ და იმასაც გაუსწორა სასთუმალი. მძინარე ზურია ამ თვალელები უაზროდ გაახილა, დედას შემოახებდა, მაგრამ წამიც ღა ისევ ჩასთვლია.

ხათუნა ფანჯარასთან ჩამოჯდა. ეზოში იყურებოდა. ფიქრმა შეიტყუა. სატანჯველი, რომელიც ვენახში აწაივებდა ამ საღამოს, ახლა სისულელედ ეჩვენებოდა. ოთახი საესე იყო შვილების მშვიდი და თანაბარი სუნთქვით. ეს სუნთქვა გულს უჩქროლებდა და სისხლს სულ სხვანაირად უღუღლებდა ძარღვებში. ხათუნა დედა იყო და აქვე მის ბოკვერებს ეძინათ.

„ენაცვალოთ დედა, — ფიქრობდა ქალი და თვალზე მომდგარ ნეტარების ცრემლებს პერანგის კალთით იშშრავლებდა, — დაშვარდებიან, ადამიანები გამოვლენ, მტერსაც გასცემენ პასუხს და მოყვარესაც! მანამ ტყვია ჩამესხას გულში სანამ ამათ ვულალატებდე! რა ვუყოთ, მარტო ჩემს თავსაა ეს ამბავი? ვინ იცის, რამდენია ქვეყანაზე ჩემისთანა. ოღონდ მშვიდობა იყოს, ოღონდ კიდეც ნურაფერი ატყდება და რაც არის, არის! ახლა ორნი ვმუშაობთ. თავის რჩენა არ გაგვიჭირდება. თუ სამსახურის საქმემ გამიმართლა, ჩემს ბედს ძალლი არ დაჰყევს. შინ ჩაებარგდებით თუ არა, განცხადებას დაწვერ. ისიას ბრიგადას დამახმარენ. ყველას ეხმარებიან და მე რა ვარ! ჯერჯერობით ძველი ქობიც გვეყოფა. მერე როცა წელს მოვიმარებთ, იქნებ ახალიც წამოვიწყოთ. ზურიას დავაცოლშვილებ. ჩემი გუნების გოგოს გამოვეუბნინი, კაი ოჯახიშვილს და ვიცხოვრებთ“...

ხათუნა ოცნებაში გაერთო. პატარა შვილიშვილებში გაერთა.

„ახალვაზრდა ბებია ვიქნები!“ — ჩურ-



ჩულებდა თვალეზზე კურცხალმომდგარი ქალი.

გაიელვა. სადაც ყრუდ დაიგრუნხუნა.

„გაავდარდება, აუცილებლად გაავდარდება!“ — გაიფიქრა ხათუნამ. მხრებზე შესცივდა. წამოდგა, შალს მოვიხურავო. როდესაც ფანჯარას დაუბრუნდა, ერთი ისეთნაირად გაიელვა, ტელეფონის მავთულებიც კი გამოჩნდა იისფერი სინათლით გაჩახჩახებულ ეზოში. ხათუნას შეეშინდა, მეხი არ დაგვეცესო. მეხის წინააღმდეგ აბა რა უნდა ელონა, მაგრამ ტანზე საჩქაროდ გადაიცვა და გარეთ გავიდა. ნოტიო ქარმა დაჰქროლა. წვიმის ცივი წინწყლები შემოაყარა სახეში. ალბათ, მთებში წვიმდა და ქარიც იქიდან იტაცებდა წინწყლებს.

უეცრად ჭიშკრის ჯახუნმა მიიქცია ხათუნას ყურადღება. ქარმა გააღო თუ ვინმე შემოვიდა ეზოში? ხათუნა აიენის ბოძს აეკრა და სიბნელეს დააკვირდა. არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. აივანზე ქარი ქშუოდა. წვიმის ცივი წინწყლებს მოშიშვლებულ სახესა დამაჯებზე აყრიდა ხათუნას. ეზოში სრული ფეხსაცმლის ფლატუნი გაისმა. ეჭვი არ იყო, ვიღაც მოდიოდა.

„ვინ უნდა იყოს? რა უნდა ამ დროს კანტორაში?“ — გაიფიქრა ხათუნამ და სანამ ის ვიღაც კიბეს მოადგებოდა, გადასძახა:

— რომელი ხარ?!

— ხათუნა... — უპასუხა ხანში შესული მამაკაცის ხმამ სიბნელიდან.

ქალს გული შეუქანდა.

— რა ამბავი!

— ხათუნა ხარ, შეილო? ელეა-დეპეშა მოვიდა შენს სახელზე.

— ვაიმე!

ხათუნა ადგილს მოსწყდა, ქვის კიბე ჩაირბინა და კიბის ძირას გაჩერებულ მოხუცს ორად გაეცვილი თეთრი ფურცელი გამოჰგლიჯა ხელიდან.

— ტელეფონით დაიძახეს წიფლისწყაროდან, — ბოდიშობდა სასოფლო

საბჭოს დარაჯი, — ნუ გეშინია, ქალო! — ვაიმე, შენი ჭირიმი, მამა! — დიგმინა ხათუნამ და ელდანაცემი კრძეზე აიჭრა. კიბის თავში მუხლმა უღალატა. კინალამ იქვე ჩაიკეცა.

— ნუ გეშინია, ქალო, იმისთანა არაფერი მომხდარა... — ამხნევებდა ქვემოდან მოხუცი დარაჯი.

ხათუნამ დეპეშა ასანთის შუქზე წაიკითხა, სველ მოაჯირს დაემხო შუბლით და ქვითინი ამოუშვა.

## თავი მცხამეტე

უდროოდ დროს გამოღვიძებულ ზურჩიას თავზარი დასცა ბაბუას მძიმე ავადმყოფობის ამბავმა. ბაბუა ვაჟეცობის მაგალითად მიაჩნდა და მიუხედავად იმ დიდი წყენისა, რომელიცმის სახლში მიელო, მოხუცი მაინც განუზომლად უყვარდა. ატრებული დედის დანახვაზე თვითონაც ცრემლები მოეძალა და ბალღივით აზლუქუნდა.

ხათუნა მოეხვია. დამშვიდება დაუწყო შეილს.

ლამის დარჩენილი ნაწილი გოდებაში გადატარეს. სპირიდონს იგონებდნენ, მხოლოდ იმას იგონებდნენ, რითაც მოხუცი ორივესათვის საყვარელი იყო. მკვდრად თვლიდნენ. ცოცხალი არცერთს აღარ ეგონა.

პატარებს ფეხი არ გაუნძრევიათ. გულებივით ეყარნენ დილამდე. დილით, შუათანა ძმაზე ადრე შალვას გაედვიძა და მაშინვე საწოლის კიდისაკენ გაიწვდინა ხელი, სადაც დედა წვებოდა ხოლმე.

— დედა გაპარულა! — თვალბის ფშვნეტით წამოიკნავლა პატარამ დამას ჯლიკვი გაჰკრა.

პავლესაც გაედვიძა.

ზურჩია უკვე ამდგარიყო. გახურებულ ღუმელთან საქმიანობდა.

შალიკომ დედა მოიკითხა.

ახლავე მოვაო, თავულებლივ უპასუხა ზურჩიამ, რომელიც ლამით გაეცე-

ბულიყო და ცხვირში სურდო უჭერდა. ღამენათევი და ნამტირალევი ხათუნა მართლაც მალე მოვიდა, თან მარგალიტა მოიყვანა.

ბავშვებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე გამოაღო განჯინა, მერე სანოვავის შესანახ სკივრსაც აპნადა მოხარატებული თავი და ქალს აჩვენა, სად რა იყო. ელენე ლაშხისათვის ხუთმანეთიანების მთელი გროვა გამოერთმია. ისიც მარგალიტას გადასცა.

მარგალიტა მაგიდას მიუჯდა და ფულის თვლა დაიწყო.

— აბა შენ იცოდე და შენმა ქალობამ, — თქვა ბოლოს ხათუნამ, — იმედი მექნება.

— კი, კი, ნუ გეშინია, — ამშვილებდა მარგალიტა.

ზურიაში მამის ნაქონი ყოყიანი ქუდი ჩამოიფხატა. გარეთ გავიდა.

— ჰო, ხომ არაფერი მავიწყდება ახლა მე? — ოთახს თვალი მოაეღო ხათუნამ და ლოგინზე წამომჯდარი, ვაკვირებისაგან თვალზეგადმოქაჩული პატარა ბიჭები მაშინდა დაინახა.

— დედა, სად მიდიხარ? — სლოკინით იკითხა შალვამ.

ამათაც გამოუღვიძიათო, წამოიძახა ხათუნამ. შვილებთან მიიბრინა, ერთს აქედან მოჰხვია ხელი, მეორეს იქიდან, ორივე გულზე მიიხუტა და დიდნასს გიჟივით ჰკოცნიდა.

— ჰეჰეჰე იყავით... მარგალიტა მამიდას დაუჯერეთ, — ჩურჩულებდა თანაც, — მარგალიტა მამიდა აქ დარჩება, ღამე სახლში არ წაეა...

— შენ სად მიდიხარ, დედა? — ახლა კი აღრიალდა შალვა, რომელსაც უდედოდ ერთი ღამეც არ გაეთია.

ხათუნას ბევრი ახსანგანმარტების თავი არ ჰქონდა. ბავშვებს თვალკოემლიანი გამოუტყუდა, სადაც და რისთვისაც მიდიოდა.

პავლე ჰოილუმა. შალვამ ტირილს უმატა. რაც ბაბუაზე უთხრეს, არც გაუგონია. დედა არ ეთმობოდა.

ხათუნას გული დაეთუთქა, მაგრამ

ყური მაინც ველარ ათხოვა მის ტირილს, რადგან მატარებელზე ვაგვედნე დებოდა. მარგალიტას ერთხელ მოეხატა შევედრა, აბა შენ იცოდე და შენმა ქალობამო, თავშალი მოიხვია, მისი გაწეული ბოლო მხარზე გადაიგდო და მიუხედავად გაწიწმატებული შალვას ტირილისა, დერეფანს მიაშურა.

მთელი გზა საკაჟრადან წიფლისწყარომდე დედამ და შვილმა თითქმის სირბილით გაიარეს. ყოველ წამს ხეხუეებში გამოჭრილი ორთქლმავლიაღრიალი ელანდებოდათ.

— მატარებელია? — ეკითხებოდა შვილს დაღლილობისაგან ქანცგამოღული ხათუნა.

როდესაც წიფლისწყაროს გარეუბანში შევიდნენ, მატარებელი მხოლოდ მაშინ ჩამოდგა.

— მადლობა ღმერთს, ჩამოვუსწარი. — სული ამოითქვა ხათუნამ, რომელსაც მთელი ღამე გააედარებისა ეშინოდა, მაგრამ, ბედად, საწვიმარმა ღრუბელმა გათენებისთანავე გადაიარა.

მატარებლის წასვლამდე კარგა ძალადრო იყო დარჩენილი. ხათუნა პურის სავაჭროში შევიდა და მოზრდილი თეთრი პური იყიდა ზურისათვის გასატანებლად. აქ გემრიელ პურს აცხობდნენ. სავაჭროში მეტი არაფერი იყო.

— წამოდი ახლა, არ დაგაგვიანდეს, — აჩქარებდა დედას ზურია.

ბაქანზე გავიდნენ. მატარებელი უკვე სავსე იყო ხალხით. ზურია ამოდ დაეძებდა დასაჯდომ ადგილს.

— არა უშვავს, ჩემოდანზე დაჯდები, — დაამშვიდა ხათუნამ შვილი და ვაგონში შევიდა, — ჩადი, არ დაიჭრას ეს სატიალე!

— როდის ჩამოხვალ?

— ჩადი, ბიჭო, ხალხს ფეხებში ნუ ებლანდები!

— აბა ფანჯარაში გადმოიხედე!

ზურია ბაქანზე ჩახტა. თვალს არ აშორებდა ვაგონის იმ ადგილს, სადაც დედა ეგულეობდა. ბოლოს, აღმათ,

დიდი ბრძოლისა და მიწვევ-მოწვევის შემდეგ ხათუნამ თანჯარას მოაღწია.

— დედა, როდის დაგზავდე? — მოუთმენლად ასძახა ქვემოდან ზურიათ.

— წადი, წადი ახლა, ნულარ დაიციდი! — ეტყობოდა ვერ გაიგონა შვილის შეკითხვა თანჯარაში გადმოყულებულმა თავშიშველმა ხათუნამ, — ჩავალ თუ არა, დეპემას გამოგიგზავნით ან ტელეფონით დაგელაპარაკებით, რავე იქნება საქმე. ბავშვები არ გალახო, იცოდე. პო, მართლა, იქნებ თხა გააყოლო მწყემსებს მთაში. უთხარი, ფასზე დედა მოგირიგდებათქეა.

ზურიას გული ამოუჯდა. ცრემლებს ძლივს იმაგრებდა.

— გაიგე? — ჩამოსძახა ლიანგის ქოთქოთში ხათუნამ.

— გაეგე. — წაილულულა ზურიათ.

— ბიჭები არ გალახო, ისე დაარიგე! ამ ღროს ზარს შემოკრეს. მატარებლის თავში ორთქლმავალმა დაიღრიალა.

ხათუნამ კიდევ დაიძახა რალაც თანჯარიდან, მაგრამ ზურიათ ვერ გაიგონა. წამწაზე ცრემლი აუციმციმდა.

ბაქანზე დარჩენილი ხალხი ზღის უქნევდა დაძრულ მატარებელს. მათი წაბაძვით ზურიათაც ასწია ხელი და დედას დაუქნია.

ხათუნამ უფრო ღრმად გადმოჰყო თავი თანჯარაში. ხარბად უყურებდა შვალს და ნიდაყექვეშ მოყოლილი თავშლის ყურს უქნევდა.

მატარებელი გასცდა პაკაუხს. მოისხა ისრების ჯახუნი. წინ გაკრილმა ორთქლმავალმა შექნიშანს მიადწია.

ზურია სირბილით მისდევდა თლილი ქვების ზოლს, რითაც ბაქნის ნაპირი იყო მოგებული. დედა უკვე აღარ ჩანდა. ხელი თანჯარიდან გადმოყოფილ სხვა ხელებში აირია. ზურია შეჩერდა. ერთხანს კვლავ იდგა თვალკრემლიანი, სანამ მატარებლის კუდი კიდევ მოჩანდა მოსახვევში, მერე შემოტრიალდა და წელმოწყვეტილი მოსაცდელ დარბაზისაკენ გაემართა.

მარცხნივ საბარგო განყოფილება იყო, იქვე ტანწერწებთა ალვის ხეებს არხვედა ქარი.

„ბავლე და შალიყო ამ ადგილას ისხდნენ, — გაახსენდა ზურიას, რომელსაც იმ დღეს აქეთ სადგურში აღარ შემოველო, — აქ კიდევ თეოფილე ბიძის მარხილი იდგა“.

ძეწნებში, ბაქნის მეორე მხარეს, მტვირთავეები ირეოდნენ, ძეწნის ძარას წყობისად დალაგებულ ბარგს ურიკებზე აწყობდნენ, რათა აქეთ გამოეგორებინათ.

„ახლა გაზეთს ვიყიდი და ამ პურს შევახვევ,“ — გაიფიქრა ზურიათ.

გაზეთის კიოსკი დაკეტილი აღმოჩნდა. ზურიათ სადგურის მოედანი გადასჭრა და ახლადგაღებულ მაღაზიაში შევიდა.

— ბიძია, ქალაღის პატარა ნაგლეჯი არა გაქვს? — მორიდებულად გადასძახა გამყიდველს და თავადვე ვაყვიერვა თავისმა სითამამემ.

— რად გინდა ქალაღის ნაგლეჯი?

— ეს პური გაეახვიო.

— აგრე არ გეკადრება, არა? ინტელიგენტურად ვნდა წაიღო! პა, ნაგლეჯი! — მოყვითალო სქელი ქალაღი დახლებზე დაუგდო გამყიდველმა.

ზურიათ პური შეახვია და დიდად კმაყოფილი გარეთ გამოვიდა.

— ეი, შენ, ბიჭო, მოდი აქ! — დაუძახა ვილაყამ ქუჩის მეორე მხრიდან.

ზურიათ მიიხვდა. ვილაყ ჩასუქებული თავსლოპანა კაცი უძახდა და თან პრელი ცხვირსახოცით გაოფლილ კეფას იშპრალებდა.

— პო, შენ, შენ, მოდი აქ! — ხელი დაუქნია კაცმა.

ზურია თეხათრევით მიუახლოვდა.

— ამას ვერ წამიღებ?

ზურიათ ჯერ სველ სანავთეს დახედა, მერე პატრონზე გადაიბრუნა მხერა.

— რა იყო, ორ მანეთს მოგცემ, — ფილაქანზე დაუდგა სანავთეს კაცმა, — სამხედრო კომისარიატის გადასახვევა-

მდე ამიტანე. პა, ჯანი გავარდეს, სამ-  
მანეთიანს მოგცემ!

ზურიამ კინალამ აიღო სანავთე. გაი-  
ფიქრა, კომისარიატი ჩემს გზაზეა და  
თანაც აქედან ორი ნაბიჯი, მაგრამ  
სიამაყემ სძლია და უსიტყვოდ აპყვა  
ქუჩას.

— პა, კიდევაც რომ არ კადრულობს!  
— მოესმა უკანიდან გაწბილებული  
მამაკაცის ხმა.

„თუ კარგია, თვითონ წამოიღოს, არ  
მობერწდება!“ — ფიქრობდა შინაა-  
კენ მიმავალი ზურია და დროდადრო  
უკან ახედებოდა, ისეე იქა დგას თუ  
წამოვიდაო.

— მამ სამი მანეთი არ გინდა? —  
მოაძახა ისეე მამაკაცმა.

„სამი მანეთი? რატომაც არ მინდა! —  
გაიფიქრა ზურია, — წამოველებ, ვი-  
თამ რა დაშავდება, აქ ხომ მაინც არა-  
ვინ მიცნობს!“

— აგრე, შე კაცო, ამდენი ვაჭრობა  
გაგონილა? — ძლივს თავსუფლად ამო-  
ისუნთქა თავსლოპანა კაცმა.

ზურიამ კინალამ ხელიდან გააგდო  
სანავთე, მაგრამ მიხვდა: ეს მხოლოდ  
უკუდო ამპარტავენობა იქნებოდა.

კარგა ხანს იარეს. ზურიას თითები  
ჩასკრა თუნუქის სახელურმა. ხელის  
შენაცვლება უნდოდა, მაგრამ შეეშინ-  
და, ვითუ პური გავანავთიანო.

„ამ პურს მაინც გამომართმევდეს,  
რა ურჯულო კაცია!“ — ფიქრობდა  
გზადაგზა.

კომისარიატის გადასახვევამდე დიდს  
გაჭირვებით მიიღწია, სანავთე დადგა  
და უკან მოიხვდა.

ნავთის პატრონი ათიოდე ნაბიჯით  
ჩამორჩენოდა.

— შუა გზაზე მტოვებ? — შეიცხადა  
მან, როცა ზურიას გაუსწორდა.

— ასე არ მითხარი, კომისარიატამ-  
დღო? — გულში ჩაგუბებული გაბო-  
როტება ველარ დამალა ზურია.

— აი, იმ აივანზე აიტანე, ხელა? —  
მალალი მესრის გადაღმა ცისფერ აივ-  
ნიანი სახლი დაანახა მსუქანმა კაცმა

და როცა შეატყო, გულმოსული ბიჭი  
ყურსაც არ იბერტყავსო, გამომწვევად  
დაუმატა: — არ წაიღებ?

— არ წაიღებ! — მიახალა ზურია.  
— კეთილი და პატროსანი! აბა შენ  
შენთვის, მე ჩემთვის!

ზურიამ ერთი კი აპხვდა „ამ მოლა-  
პარაკე მძორს“ და პასუხიც არ გაუცია,  
გზას გაუღდა.

— მოდი, ბიჭო, აქ! — დაიყვია  
„მძორმა“, — მოდი არ გესმის?  
გამწარებულმა ზურია მოიხვდა.

— აბა, შენი სამი მანეთი!  
— გქონდეს, თუ გაგაძღებს...  
— ბევრს ნუ ლაპარაკობ, მოკიდე

ამას ხელი!  
სანავთის პატრონი კენჭს დასწვდა,  
ცინცხალ სამმანეთიანში გაახვია და  
გადმოაგდო.

„რისთვის დაეკარგო? სულ ერთია,  
ვიღაც სხვა გამოივლის და აიღებს!“ —  
გაიფიქრა ბიჭმა, დაიღუნა, კენჭს სამ-

მანეთიანი შემოაძრო და გვიბეში ჩაი-  
წარა.

### თავი მეთოთხმეტი

სამკვდლო დაკეტილი იყო. ზურიას  
გაუყვია: ზაქარა მკვდელი ყოველ-  
თვის დილაღრიან აღებდა სამკვდ-  
ლოს. აქ რაღაც ამბავი, გაუღვა  
და ზაქარა მკვდლის ამბის გასაგებად  
წასვლას აპირებდა, მაგრამ ილიაში  
ამოჩრილი პური გაახსენდა და გადა-  
წყვიტა ჯერ ეს მიეტანა შინ.

კანტორის ვიშკარში უნებურად შე-  
ჩერდა. აივანი ხალხით იყო სავსე.

ზურიას, ალბათ, შეეშინდებოდა, პა-  
ტარა შალვა რომ ეზოში არ დაენახა.

შალვა აკაციის ნორჩ კუნწლებს  
აქმევდა ტელეფონის ბოძზე გამობმულ  
რქაბატულას.

— პავლე სად არის, ბიჭო? — შორი-  
დანეე დაუძახა საქმეში გართულ უმც-  
როს ძმას ზურია.

ზურიას ხმის გაგონებით შემკრთალ-  
მა შალვამ თითი გამოსტაცა პირიდან  
გაწუწკებულ თხას და მოიხვდა.

— პალიკო წავიდა სკოლაში?

— კი...

— შერე რას იფიხალები!

— დედა მალე მოვა?

— მოვა, აბა იქ ხომ არ დარჩება! ეს რა ხალხი შეკრებილა აქ?

შალვა მორბდებით შეაქქერდა თვალეზში. ჩანდა, საყვარელი თხის დაპურებით ისე იყო გატაცებული, აქამდე ძე-ხორციელი არაეინ შეუნიშნავს.

ზურიას ძმა შეეცოდა.

— თეთრი პური გინდა?

— სად არის?

— აი! აიტანე და მაგიდაზე დასდე. თუ გინდა, მოიტეხე. მოიცა, მე მოგიტეხო!

ზურია მ ქალღი შემოახია პურს ცალ მხარეზე და შალვას კარგა ბლომად მოუტეხა.

— აჰა, წაილე!

— შენ არ მოდიხარ?

— მე ახლავე მოვალ, საქმე მაქვს.

— რა საქმე?

— შენ გითხრა ახლა ყველაფერი? ხარები უნდა ვიშოვნო!

— ხარები? — თვალეზი გაუბრწყინდა შალვას. ქალღიში გახვეული პური ხელიდან გაუვარდა. შეშინებული დაიხარა და მაშინვე აიღო.

— იი, შე დოულო! — მიამახა ძმას ზურია მ და აივანზე თავშეყრილთ დააქქერდა. წინა დღის ამბები დაწერილებით იცოდა. გაიფიქრა, კრება თუ მოიწვიესო. მამ ზაქარა მჭედელიც აქ უნდა ყოფილიყო. აივანზე ვინ არ აღმოჩნდა, მაგრამ ზაქარას ვერსად მოპკრა თვალი.

ზაქარა ვერც შინ იპოვნა. ტყულებს სახლი გამოეკეტათ. ზურიას ძახილს არაეინ გამომხაურებია.

ზურია მალე სიესივამეების კიშკართან გაჩნდა.

გვანცა ბოსტანში მუშაობდა.

ზურია უჩუმრად შეიპარა ეზოში და პატარა ქალიშვილს თავზე წაადგა.

(გაგრძელება იქნება)



### არც მათ იცინა?

საით არიან შალვა, ბიძინა  
და ელიზბარი?  
საით კაშკაშებს მარად ძლიერი  
იმათი ხმალი?  
მძიმედ იღება და იხურება  
საყდრის კარები...  
დარბაისლური სიჩუმით დუმან  
ერისთავები...  
ქართველნო, ჩვენი ის სამი გმირი,  
ვის წინ თავს ვიხრით  
სპარსეთისაკენ პირმოქცეულა  
„წოწოლა“ ციხით:  
ევეს ხომ არ იღებს, ცუდს რომ არა გრძნობს  
ცბიერი შახი,  
რომ... აჯანყების ცეცხლი მოიცავს  
ბობოქარ კახეთს?  
დაუმცხრალია და ამაყია  
შურისძიება...  
არც მოკაშკაშემ, არც მოკაშკაშემ  
უცხოდ მთიებმა,  
არც გაზაფხულის თეთრმა ღრუბლებმა,  
ლურჯმა იეზმა,  
არც მათ იციან შვილიშვილთაგან  
დასადაფნავი  
შალვას, ბიძინას და ელიზბარის  
წმინდა საფლავი?

### ვინაა ესე ორი აჩრდილი?

— შენ, მისრის ქვეყნის შმაგო მდინარე,  
ადიდდები და.. წამლეკავ მითი! —  
— შეგიფარებენ ჩემი ტალღები,  
გულში ჩაგიკრავს შენ ჩემი ზვირთი! —  
— ნაზ ყვავილებით ქანაანისა  
გვირგვინებს ვიწნავ და შენთვის ვირთვი... —  
ვინაა ესე ორი აჩრდილი  
მარადიული ქვეყნად რომ ილტვის?  
სოლომონია და სულამიტი...

### მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს

მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს,  
ალაზნის პირას თეთრად ანთებულს,



კვლავ მოიხილავს, კვლავ მოიხილავს  
 მის, ქეთევანის, წმინდა ხატება...  
 მრავალმოწამე გურჯთა დედოფალს  
 კალთა საცხე აქვს თეთრი ვარდებით  
 და დიდებული თვისი ნაბიჯით  
 ცით მიწისაყენ მოემართება...  
 შენ.. ნათელი ხარ, დიდი ნათელი  
 მარადიული მწუხრის წინაშე...  
 გზა გეფინება წითელ ვარდებით:  
 ეს, დედოფალო, ნანობს შირაზი...  
 მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს,  
 ალაზნის პირად თეთრად ანთებულს,  
 კვლავ მოიხილავს, კვლავ მოიხილავს  
 მის, ქეთევანის, წმინდა ხატება.

### კვლავ დიდება თქვენს მეუფებას

მადლი გადმოდის ცისფერ მთებზე უხილავ გზებით  
 და ლურჯი ტბების, ლურჯი ტბების თვალეში კრთება...  
 ეს არის მიწის, დედამიწის მარადი ესება  
 იმ გრძნეულებით, რაც მის სულში არასდროს ქრება...  
 ო, უხილავნო, კვლავ დიდება თქვენს მეუფებას.



რატომ შეეხე ჩემს კრეტსაბმელს, რატომ შეეხე  
 და დაამძიმე სული ჩემი შენ, სული ჩემი?  
 — ნუ მეურჩები, გულგოროზო, ნუ მეურჩები:  
 ჭარიშხალი ვარ, ვამსხვრევ ყოველს და არა ვრჩები...  
 შენ.. მცემ მე თაყვანს მაშინ, როცა ზღვად მივიქცევი  
 და ველარ მპოვებს, დამაბრუნებს მე შენი ცრემლი... —  
 შენ დაამძიმე გული ჩემი, გონება ჩემი.  
 რატომ შეეხე ჩემს კრეტსაბმელს, რატომ შეეხე?

### უსხო ჩვენება თოვლიან მთებში

თოვლიან მთების შორეულ კალთებს  
 ყოველდღიურად  
 მზის ჩასვლის შემდეგ ნათელი ადგას  
 მარადიული...  
 გოლიათები ჰეჰენ და ჭუხან  
 წარსულის ფერფლით...  
 საქართველოზე მოდის მახმადხან,  
 ჭულზე კაცს კრეფენ...  
 ლაშქარს მიუძღვის ხმალჩაუგება  
 ერეკლე მეფე...  
 და იმ მთებიდან  
 ზეაფივით მოდის თორღვა მთიული...  
 თოვლიან მთებზე ნათელი დგება  
 მარადიული...





ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი...

ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი,  
 მისთვის ღიაა ყოველი კარი,  
 ყველა სარკმელი მისთვის ღიაა:  
 — შე გავხსნი ქართულის სულ ძველ იარას...  
 ხელავ, ბიძინა და ელიზბარი,  
 რომ მიყვებიან სოფლის ძველ შარას? —  
 — შალვა... სად არის? —  
 — იქ არის შალვაც,  
 მარჯვე მხედარი და მეომარი... —  
 — მერე... საითკენ მიდიან ახლა?  
 — სულ სხვა ზრახვა აქვთ მათ, სულ სხვა ზრახვა...  
 გულში ფარულად ლესავენ მახვილს...  
 გესმის, თათარი ბატონობს კახეთს... —  
 ქსნის ძველ ციხეზე... ჩურჩულებს ქარი:  
 — მოჰკლეს ბიძინა და ელიზბარი... —  
 — შალვაც? —  
 — ჰო, შალვაც და ქართველები  
 მათ იკორთაში მიასვენებენ... —  
 — ნათელი იყოს მათი ხსენება  
 აწი და მარად, აწი და მარად!... —  
 ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი,  
 გუგუნებს ქარი...



ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,  
 წყალობა ჰყავით...  
 საქართველოს ყოვლის მპყრობელმან  
 ვისურვე, დავით...  
 ფეხქვეშ გაცვიფეთ საფლავის ლოდი  
 ყურძნის მტევნებით... —  
 ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,  
 მიუტევები?  
 ღირს მსახურებდი ქართულ მიწაწყალს,  
 რაი გადარდებს?  
 გასწიე იგი „ნიკოფსიითგან  
 დარუბანდამდე“...  
 თუ... ეს მაღალთა თაემდაბლობაა  
 ოდით და ოდით?  
 თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,  
 რაღა ჰქნან ცოდვილთ  
 სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის  
 ვერსით მპოველთა?  
 — გულზე დამადგით, ფეხი დამადგით  
 გულზე ყოველთა.



მერიკან



## აპარაში

მოგზაურობის დღიურიდან

### ლურჯი სიხარული

დღეს ჩემი ხედვა ზღვას დაემონა,  
ნაღვლიან წარსულს მოუეხდი ბოდიშს:  
„ზღვიადის“ შემდეგ მე არ მეგონა,  
თუ კვლავ ზღვის თემას შეეეხებოდი.

მე და ზღვა ბევრჯერ ველავდით  
ერთად,  
ჩვენ გვაყავშირებს რთული განცდები,  
ბევრი რამ დაეწვი, ვაჭციე ფერფლად,  
მაგრამ ჩემს იღბალს როგორ ავცდები?

ზღვაში ბანაობს მთვარე მელოტი,  
გავეცქერი სივრცეს, ნაესადგურს,  
გემებს,

მე არ მეგონა, არ მოველოდი,  
თუ ლურჯ სიხარულს ისევ ვიგემებ.

რა ვუყოთ, ზღვისპირს თუ ვარ  
შარტოკა,  
არა მყავს ტოლი, არა მყავს მდადე,  
ტალღის სიმღერამ სევდა გათოკა  
და ძველი ბოლმა აღარ მადარდებს.

ზღვის ტალღა მორბის ფაფარგაშლილი,  
გული ჯანსაღი სისხლით იესება;  
ცის ფერს უმღერდა ბარათაშვილი,  
ლურჯ ფერს სკოდნია გახალისება.

### ციხე გონიო

რა გატაცებით შევცქერით  
შენს კედლებს ციხე გონიო,  
და ვამბობთ: „აღა თ რამდენი  
აქვს ციხეს მოსაგონიო!“

ვინ მოთელის, რამდენს გაუძელ,  
რამდენი მტერი გინახავს,  
შენს წარსულს ძველი კედლები  
სამარადისოდ ინახავს.

რამდენის გული დაჭრილა  
და დარდით გახდა ავადა,  
ნაკადად სისხლი დაღვრილა  
ამ ციხის დასაცავადა.

რამდენი დედა ატირდა,  
დარჩა შეილები ოპლავა,  
რამდენი სიტყვა აენთო  
ამ ციხის შესამკობლად.

ქვიტყირს ხელებით ვეხები,  
დიდი ლოდები მაოცებს  
და ამ საღამოს ლეგენდებს  
ყოველი კუთხე გადმომცემს.

ასე მეგონია, ეს სურო,  
შალალ კედლებზე გაზრდილი,  
ქალის გაშლილი თმებია  
ვაქაყის მხრებზე დაყრილი.

და ეს ცისფერი ყვავილი,  
მთის ნიავს თავს რომ უხრიდა,  
ასე მეგონა, ვაჟია  
გულდათუთქული მწუხრისას.

დღეს ჩვენ ხალისით ვუცქერით  
ხავსით შემოსილ გონიოს  
და იოლ რითმით ესარგებლობთ:  
„ბევრი აქვს მოსაგონიო“.

ARS LONGA, VITA BREVIS



გეორგიანული  
წიგლისწიგნობის  
კავშირის კავშირი

(ცამეტი სული ვართ ბრიგადაში)

რამდენი სულიც ვართ ავტობუსში,  
ორი იმდენი გვაქვს განსხვავება:  
ზოგი ჩაიფლა თავის წარსულში  
და მოგონების ქსელში გაება;  
ზოგი ღიმილით მომავალს ქარგავს  
და სიყვარულით გული აქვს საესე;  
ჩემი განცდები სხვებისას არ ჰგავს, —  
წლებმა სხვა ფიქრთა დღევით  
შემავსეს.

მძიმე განცდები სულ მქონდა ზეედრად,  
მუდამ ვშიშობდი, თუ ვის გავენდო,  
ახლაც ზღვის გულში მინდა ჩახედვა,  
ზღვის სიხარულით მინდა ავენთო.  
ნუთუ გული მაქვს კვლავ ასაცრელი?  
ბევრი გავცვიოთე ჩითი და ფარჩა...  
ეჰ, რამდენი მაქვს ჯერ დასაწერი  
და სსსიციოცხლოდ ცოტა დრო  
დამრჩა...



## რატომ არ დამატადე!

ტატნობს მიახლოვებული მზე ქინიანდ დაჰყურებდა ხეობას. მაისის უკანასკნელი, თუ ივნისის პირველი დღე იდგა. მდინარეს ლალად მიჰქონდა ქაფ-მოყრილი ზვირთები. ლაქვარდზე რძისფერი ღრუბლის ნაფლეთებს მიერეკებოდა ქარი.

მდინარის კალაპოტი ვიწრო იყო და დამოკეცი. ორთავე მხრიდან ტყით შეზღუდულ ნაპირებს აქა-იქ დაღრანტული კლდეები შემოეშვირათ წყალში, გარღვეულ კაშხალს ჰკავდნენ კლდეები და მათი ამპარტაუნელი იერი გულს გერიდა მდინარეს; რაც უფრო მძაპე იყო დამრკობება, მით პეტის ბოლმითა და დაეინებით მიიკვლევდა გზას აზვირთებული წყალი.

რამდენიმე კილომეტრით ქვევით მძღაერი კლდეები ღრმად შემოკრილიყვნენ კალაპოტში; წყალი ფერხდებოდა და უზარმაზარ ბუნებრივ საგუბარს ჰქმნიდა. ამ ადგილს ნამადნარი ერქვა.

ტყიან გორაკზე კაცი გამოჩნდა. ადგილმდებარეობას შემოავლო თვალი, ისევე გაბრუნდა და თვალს მიეთარა.

ცოტა ხნის შემდეგ ნაპირში შეჭრილ უბესთან გამოვიდა იგი.

მიდამო დაათვალიერა და ხალისიანად ამოისუნთქა.

ეს იყო დაცემული, რუხი ფერის კლდეებით გარემოცული ადგილი. წყალდიდობის დროს აქაურობას უთუოდ მღვრივ წყალი ფარავდა, მაგრამ ახლა რიყიან ნიადაგზე, შორი-შორ მდგომი ხეების ჩრდილში, ბალახს ამოეხეთქა. ნაპირიდან უფრო მოშორებით,

ტეერის სიღრმეში, ხშირი, ლარივით-ამოლტილი ტყე შრიალებდა. წაქცეული ფიჭვი იწვა ნიადაგზე. კინტი წყალში ჰქონდა, კენწერო არყების ჩრდილში ელო, ტანთ ხავსი ემოსა აქა-იქ.

— კარგია! — წარმოსთქვა აღტაცებით კაცმა. ნაქარევე, მზით გარუჯულ სახეზე ღიმილი უთამაშებდა.

თოფი ხეჭყეულზე მიაყუდა. ზურგჩანთა ჩამოიხსნა, ზედ გეოლოგიური ჩაქუჩი მიაგდო. დამსუბუქებული მხრები შეამოძრა და ის ადგილები მოიზილა, სადაც მძიმე ჩანთის თასმებს დაეხუთათ კუნთები. კაცი ტანხმელი იყო, მხრებში ოდნავ მოხრილი. მძიმე ტვირთის გამუდმებულმა ტარებამ იცის ასე დაქანებული, კუნთმაგარი მხრები-საფეთქლები ოდნავ შესთრთვილვოდა. შებლზე და უპეებთან ნაოკების კვალი ელო, მაგრამ სწრაფი თვალები და მარდი მიხვრა-მოხვრა ძლიერ აახალგაზრდავებდა. კლდე-ღრეზე სახეტიალოდ კარგად მორგებული ტანსაცმელი ემოსა და ფეხებზე მკვიდრი, მსუბუქი ფეხსაცმელი ეცვა.

— ესეც შენი ნამადნარი! საღამომდე დაებრუნდები — ჩაილაპარაკა მან და ხმადაბლა დამძინა — საკვირველია, საკუთარ თათთან ლაპარაკი დამჩემდა.

— გაიღიმა და თავი იმართლა — მაშვის უნდა ველაპარაკო, თუ-კი ეს ერთა კვირაა ადამიანი აღარ მინახავს.

ზედატანი გაიძრო, მიწაზე გაფინა და დაჯდა. ზურგჩანთა გახსნა და თეთრი პარკი ამოიღო.

ჩანთა ნახევრამდე იყო მოყრილი მთის ჯიშების ნიშნებით.

ამოღებული პარკი ზედატანზე წამოაპირქვევა და საუზმეს შეუდგა. დიდი ხანი არ დასკირვებია; საუზმე ხშიადის რამოდენიმე ნაშხერვეითა და ძეხვის ერთი ციქნა ნაჭერით ამოიწერა.

იგი წამოდგა და წყლისკენ გასწია. მოკლე სახელოებიანი თეთრი მაისურა ეცვა. წელზე ხანჯლის ტარი მოუჩანდა ქამარს ზემოდან. მტკიცე, დარწმუნებული ნაბიჯი ჰქონდა.

ადგილი შეარჩია, პირქვე დაემხო და ანკარა წყალს დაეწაფა.

ბუნებასთან უშუალო სიახლოვის ანგარიშშიუცემელი სიამოვნებაც იგრძნობოდა ამ ხარბ, ყინიან დაწაფებაში და წყურვილის მოკვლის განცხრომაც. ნიავის წამობერვამ ნაჩქრებზე მბორგავი წყლის გრიალი მოიტანა და მდინარეების მონოტონურ დუღღუნში გააზავა. კბილი მოკვეთა კაცს ცივმა. სულის მოსათქმელად აიღო თავი და გაღმა ნაპირს გახედა ღიმილით. ნაზი სიოქიჩინებდა და ხშირფოთლიანი არყების ჩრდილში მეტისმეტად გრილოდა. მახლობლად ჩხიკვებმა ატეხეს ჩრიახი. კაცმა ჯერ მიაყურა, შემდეგ კვლავ დაიხარა წყალზე, მაგრამ აღარ დასწაფებია; კამკამა და გამჟვირვალე წყლის სარკეზე ვეება ხე და მის ტოტებში ჩასაფრებული ნადირის გამოსახულება ირეკლებოდა.

ფესვების ქსელიდან ზანტად გამოცურდა მოზრდილი ღორჯო. შედგა. თავისი ცივი, არაფრისმთქმელი თვალეები მიაბჯინა კაცს და გაირინდა. არც ერთი ფარფლი არ ერხეოდა. თითქოს ჩაკვდა თავის უსახლერო უძრობაში, თითქოს ყინვამ მოუზრა ისეც უძრავი, ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებული თვალეები.

კაცი გამტერებული დასცქეროდა ხეზე ჩასაფრებული ნადირის ანარეკლს. მის გამომეტყველებაში ფიქრის ძერაც კი არსად იგრძნობოდა. მოულოდნე-

ლობამ დამბლა დასცა. ფითრმა გავუცრიცა ნამხვე-ნაქარევი პირისაზე. შეზღუხე თვალნათლივ იწყეს გამოსდრთვა ოფლის წვეთებმა.

ღორჯო კიდევ რამოდენიმე ხანს ამოსცქეროდა კაცს გატერნილი თვალებით. მერე ლაყუჩებთან ფარფლები შეარხია ოდნავ, მღორედ, ნელა დაიძრა და გასწია. ბზიალა ხოკომ გადასერა წყლის ზედაპირი ჩვეული სისწრაფით. დაბრუნდა, ხის ფესვებთან მკვეთრად იბრუნა პირი და მოჰყვა სწორხაზოვანი ნაყუმების წერას.

პირველმა შთაბეჭდილებამ გაიარა. გონება გამოუოცობლდა კაცს. პირღპირი საშიშროების გრძნობა ეწვია და მასთან ერთად აზროვნების უნარიც. სახემ თანდათან მიზანდასახული იერი მიიღო და რამოდენიმე წამში კაცს მხერა უკვე გონების ზედმიწევნით დაძაბულ მუშაობაზე მეტყველებდა.

წყლის სარკეს ბზიალა ხოკოები სერავდნენ ნავერწყლებივით. მათი ჰსუბუქი, თვალმიუსწრებელი სრიალი აბლაბუდაში ჰხვევდა ნადირის ანარეკლს. ყოველი მათგანი მკაფიოდ, საკუთარი ტეხილით მიისწრაფოდა და თითქოს, ნადირის ლანდის გადაჩხანას ლამობდა.

მოულოდნელობის ფითრი უჯიათმა შეუპოვრობამ შეცვალა კაცში. მის მხერაში სრულიად გარკვეულმა მიზანმა იჩინა თავი. მარჯვენა ხელი მალულად ააცილა ნიადაგს და ელვის სისწრაფით სკიდა წელში გაჩრილი ორღესულის ტარს. ფოლაღმა იბზინა ფოთლებში ჩამოპარული სხივების ჰველზე. მახლობლად თევზმა ისკუპა წყლიდან.

კაცი შემდგომი მოქმედების მოფიქრებაში იყო გართული და თვალს არ ამორებდა ლანდს.

ნიავმა შეატორტმანა ყლორტები. დევის მკლავებივით ზორბა ტოტებში ფოცხვერი მინაბულოყო.

საკრავის სიძებევით დაეკიმა ყურები. წარბტაცი აღნაგობის სხეული მკვიდრად დაკვეროდა ტოტს, თითქოს მერ-

ქანზე მიზორცებას ლამობდა ნადირი. ცალი თათი ოდნავ წასწია წინ, საყრდენი დაიმარჯვა; ეს მისი ერთადერთი ძერა იყო. ზვადი მზად იყო თავდასახმელად.

ძუმ, რომლის არსებობის შესახებ კაცმა არაფერი იცოდა, ზვადს მიბაძა მეზობელ ხეზე; ნატიფი ტანი მოისწორა კამარის შესაყარავად.

ღრუბელი წაეფარა მზეს. მიუჩრდა სიო. ფოთლიანი გაირინდა. ძე ზვადის ნახტომს ელოდა, ზვადი — მხოლოდ მისთვის ცნობილი წამის მოხელთვას. მახვილმომარჯვებული კაცი მდგომარეობას სწონიდა.

კვლავ ამრიახდნენ ჩხიკეები.

გაცემის სურვილი შენიშნა ზვადმა ლხანათ ფრინველებს და უქმყოფილოდ ახედა ხეების გვირგვინებს. მეტი დაყოვნება შეუძლებლად მიიჩნია და თვალის დახამხამებაში კამარა შეჰკრა.

იელვა ფოცხვერის აკრეფილმა სხეულმა...

...კაციც აშვებული ზამბარასავით წამოიჭრა ზეზე და მახვილი ამგერა ნადირს.

ნეკნმა აისხლიტა ხანჯალი, ტყავქვეშ აიარა და ბუკის თავზე ამოკყო წვეტი. გამწარებულმა ნადირმა ტორები დაჰკრა კაცს, ფოლადს მიარღვია ფერდი და განზე ისეკრა.

ზვადის ხრიალზე ძე გადმოეშვა ხიდან. კაცმა ტანით იგრძნო მოულოდნელი თავდასხმა, მაგრამ გაცლა ვერ მოასწრო.

ძე ზურგზე დააფრინდა კაცს, მხრებში ჩაეკრიდა ბრჭყალებით და ღრჯოლები ჩაასო კისერში.

შიშის უსიტყვო, საზარელი ღრიალი აღმოხდა კაცს.

ხანჯლიანი ხელი უნებურად ამოძრავდა, რამოდენიმე ჭრილობა მიაყენა ნადირს მარჯვენა ბარკალის არეში. ნადირმა ყბა შეუშვა და დროებით გაეჩიდა კაცს.

— მიშველეეთი!... მიშვეეეელეთი!.. — დაიღრიალა კაცმა.

ეს მისწვდებოდა მისი ხმა ამ უცაერეელ ადგილებში. ხეებიდან წერტილი ჩიტების თავზარდაცემულე გუნდი აფრთხა და უწყესრიგოდ მდმოფრინდა კლდეებმა უკანვე დაუბრუნა კაცს მისი ღრიალი. კაცს სისხლი სდიოდა კისრიდან. ხანჯალი მომარჯვებული ეჭირა და ზეჰკეთულზე მიყუდებულ თოფს შესტეკროდა. თოფსა და კაცს შორის ზვადი იდგა. მარჯვნივ, ძე ხანგამომვებით ილოკავდა დაკოდილ ბარძაყს და კაცს გამოჰყურებდა ანთებული თვალებით. კაცს თოფისკენ მოჭრილა ჰქონდა გზა. მისი ერთადერთი იარაღი ხანჯალი იყო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ მარტო ორღესულით ვერ მოიგერიებდა თავდამსხმელებს. თოფის ხელში მოგდება აუცილებელ საჭიროებად მიიჩნდა, მაგრამ გადასდგა თუ არა ნაბიჯი თოფსა და მას შორის მდგარი ზვადისკენ, ძემ ხელმოკრედ ისეკრა.

კაცმა გაცლა დაასწრო და მახვილი მიაგება. კამარაშივე იგრძნო ნადირმა, რომ მსხვერპლი დაუხსლტა, თავგამოდებით გაიბრძოლა ჰაერში მიმართულების შესაცვლელად, მაგრამ ამოდ — დახვედრებულ ორღესულს წამოეგო მაინც. მაშინ ბრძოლის ყიფინა მარცხის აღმოკენესად ექცა, კივილი აღმოხდა და ცურმკერდგახეული დაენარცხა ზეჰკეთულზე ზვადის მახლობლად.

კვეთების ძალამ კაცს ხანჯალი დაადებინა ხელიდან. მახვილმა რამოდენიმე ნაბიჯზე დაიტანა რიალი თხელბახიანი რიყეზე.

კაცს გულზე შემოეყარა, როდესაც ორღესული ზვადის სიახლოვეს დაინახა.

— ვინმე მაინც იყოს მახლობლად, მშველელი! — წარმოსთქვა მან სასიკვდილოდ განწირული ადამიანის სინანულით. ხელები გაასახევა იძულებული იყო ხანჯლის დაბრუნებას ცდილიყო და კაცმა ნაბიჯი გადადგა იარაღისკენ, მაგრამ არ დააცადა ზვადმა,

გააფთრებით ეტაკა და ხელჩართულზე აიძულა განიარაღებული მოწინააღმდეგე კაცი ყელში წასწვდა ნადირს. ისე ღონიერად და დაუნდობლად წაუჭირა, რომ გვერდულად გადმოაგდებინა ენა.

— უიარაღო ჩამიგდეთ ხელში? — ამოიწუწუნა კაცმა იმ ნაცემი ბალღით, რომელმაც საპასუხო გარტყმა შესძლო შემთხვევით.

დაოკდნენ, უმწეოდ დაეშვნენ ნადირის თათები და კუნთოვანი სხეულის ნაკეთები. სიკვდილის პირზე მიმდგარს გუგები შეზღზე გამოოხსდნენ. ისევ ქანცმილეულმა ძემ იხსნა მეუღლე — ზურგიდან დაეცა კაცს. ჯერ კისერში ჩააფრინდა ღრჯოლებით, და ვინაიდან საკბენად ძალა აღარ გაიხნდა, ღონემიხდილი ყბებით ღრღინა დაუწყო კაცის თავსა და ქეჩოს. ბევრს ვერაფერს ხდებოდა, მაგრამ ესეც სრულიად საკმარისი იყო. კაცს უნებლიეთ ხელში მოუფონდა. მაშინ ხედას წინააღმდეგობის უნარი დაღბრუნდა, სული მოითქვა და წვეტიანი ბწყალებით შეჭურვილი ტორები ააბრძოლა კაცს გულმკერდზე.

შებრუნდა ბრძოლის ბედი. სულ რამოდენიმე წამში სასტიკი მარცხი განიცადა კაცმა. თავიდან გადმონადრენმა სისხლმა დაუფარა პირისახე. ნადირები სულმოუთქმელად განაგრძობდნენ იერიშს. მაინც მკვიდრად იდგა კაცი თებზე. გონებრივმა ძალებმა ზურგი იბრუნეს გადამწყვეტი საშიშროების წინაშე. კაცი აღარ ფიქრობდა, აღარ აზროვნებდა. იგი იდგა და მას ფლეთდნენ დაუბრკოლებლად. ყოველის მხრიდან. მხოლოდ ქვეყნობიერება თუ უკარნახებდა ბუნდოვნად, ნართაულად, რომ ყოველ განვილილ წამს დაუბრუნებლად მიჰქონდა ძალღონე. წინააღმდეგობის უნარი და მათთან ერთად მისი სიცოცხლეც. ბოლოს მკლავებში მოიყარა თავი ყოველივემ, რაც კი იყო კაცში — ნებისყოფამ, ძალამ. გადამწყვეტობამ, სიცოცხლის ბუნებრივმა წყურვილმა; მან ხვადი აიტაცა და საშინელი ძალით დაანარცხა რიყიანზე. შემდეგ ძე გად-

მოითრია კისრიდან და საითღაც გაიხროლა გაშმაგებით.

— მე კაცი ვარ! — დასწავრა — მან ნიშნისგებით — კაცი! — ჩანისხლელი უპეებიდან გახედა ხანჯალს და ასაღებად დაიძრა.

ორიოდ მარდი ნაბიჯი გადასდგა, დაიხარა, მოხელა კიდეც ორღესული, წელში გამართვაც განიზრახა. მაგრამ ახლა კი უმტყუნა ღონემ. წაიბარა ცა, ფეხი მოეყვითა, ცალ მუხლზე დაეშვა.

ნიავემა დაუბერა კაცის დასისხლიანებულ ზურგს. ჩამოფლეთილი, სისხლში გაღუმპული მაისურა უსიცოცხლო ტოკით შეიხმაურა სიოს. კენწეროებში ისევე ჩრიახი ატახის ჩხიკვებმა მახვილი სანახაობის შეწყვეტის გამო. კაცს თაბრუ ეხიოდა, სხიოლი უკენსოდა.

ხვადი ხეჭყეულთან ბორგავდა. იდობლობთა შესათერი ნაბული გამოენახა შემოგომი ნახტომისთვის. მაგრამ ტივილი აწუხებდა. მსხვირპლზე მიწარწუხებულა თვალებითან სიმწრის ცრემლი სდიოდა. უფრო მოშორებით ძე ილოშინიდა გაფტრულ ცურს. წარა-მარა კაცს გამოჰყოლებდა, პირს აბჩენდა, ხნაოდა თავზარდამცემად.

ათიოდ ნაბიჯზე კაცს მუხლის კვერზე დაენდო ლოყა. მღორე ნაკადულეზად ჩამომდინარე სისხლი ნიკაპზე იყრიდა თავს და ვეება წვეთებად ეცემოდა რიყის ქვასა და თხელ ბალახებულახზე. უპეები შედედებული სისხლით აჰოეებოდა. გვამნაყნოსი ბუზებუ თავსა და პირისახეზე მისხდომოდნენ.

— თქვენ იცით რა არის შავი ზღვა? — წამოიღულღულა კაცმა საყვედურით — მზე... ლურჯი წყალი და მზიარული, ყავისფერი ადამიანები!.. ლურჯი წყალი.. მე იქ არ წავედი. ამას შეეწირე შეებულემა. თქვენ კი... ეეეჰ! — უცებ მკაფიოდ იგრძნო მან. ვითომ თვალთახედვა დაკარგა. თავს ძალა დაატანა, სურდა დაენახა რაიმე, სინათლე მაინც ეგრძნო. ვერაფერს გახდა. დროებით მობრუნებული აზროვნების



უნარი თავში ატეხილმა ბეუილმა ჩაუ-  
ხშო. გონება გამოირთო. ასე გაოგნე-  
ბული იყო ერთხანს. მერე ისევ ქვეც-  
ნობიერება ამოქმედდა, აგრძნობინა  
კაცს, რომ ზეზე ადგომა აუცილებელი  
იყო; მუხლზე დაცემულს მოიხელთებ-  
და მტერი და გაათავებდა, ექვსგარეშე.  
წამოიწია დიდის გაჭირვებით. წელში  
გაიმართა, შემობრუნდა, ხანჯალი მოი-  
მარჯვა და გაშეშდა — სისხლდანაქარგ  
სხეულს ძალა აღარ გააჩნდა ნაბიჯის  
გადასადგმელად.

— თქვენ გინდათ ნაფლეთებად მაქ-  
ციოთ! — აღაპარაკდა კაცი ჯიბრიან  
კილოზე — ჩანთას ხომ მაინც იპოენი-  
ან, ნახავენ, არის ნამადნარზე სპილენ-  
ძი! — ეს რამოდენიმე სიტყვაც კი სავრ-  
ძნობი ტვირთი აღმოჩნდა მისუსტებუ-  
ლი სხეულისთვის. ისევ უღალატა ძალ-  
ღონემ, ისევ მიიღულა გრძნობა და  
აზროვნება.

იღგა კაცი შედედებული სასხლის  
გუბებში. სულიერი თუ ხორციელი ძალის  
ნატამალიც კი აღარსად ჩანდა მასში.  
კარგა ხანს იყო გონება გარინდებული  
და არც ქვეცნობიერებას გაუმელა, ხე-  
ბია არსებობა. ქრობისა და გაღვივების  
მოჯნაზე იღგა სიცოცხლე. მარადისობა  
ჩვეული სიმშვიდით ელოდა თუ საით  
გადასდგამდა ნაბიჯს იგი — არარაო-  
ბისაკენ, თუ ღონიაძიებისკენ. გაკჭრა  
კიდეცაც კაცს თავისი ნოტიო ფრთა  
სიკვდილმა, მაგრამ სიცოცხლემ სძლია:  
როგორც დედის ძეძუებისაკენ გამოე-  
მართოს უხილავი რძე სხეულის კუნჭუ-  
ლებიდან, ისე ამოძრავდა კაცის ყოველ  
უჯრედში მიჩქმალული სულიერი ძალა  
და ერთ ადგილზე თავმოსაყრელად და-  
იძრა ყოველის მხრიდან.

— თვალები! სინათლე! — წარმოს-  
თქვა მან ისეთი სიმტკიცით, რომ ცხა-  
დი იყო, გუბების სიმართლეში ეჭვი არ  
ეპარებოდა. იმდენად დიდი და უძლევე-  
ლი იყო მასში ეს რწმენა, იმდენად  
ძლიერი იყო ხედვისა და დანახვის  
სურვილი, რომ ალბათ დათხრილი თვა-  
ლებითაც კი დაინახავდა ყოველივეს.

— სიცოცხლე მინდა! მე თქვენ, სულ-  
ერთია, მოგერევით, დაგბოცდით! —  
დაიყვირა მან და შედედებული სხე-  
ლით ამოვსებული უბეები ამოიწმინდა  
ნაისურის ონძით. ქუთუთობებმა კანის  
ფერი მიიღეს და ერთბაშად, უყოყმა-  
ნოდ გადაიხსნენ კაცმა დაინახა ყველა-  
ფერი: მუქი მუწანე ფოთლიანიც, ნია-  
დაგზე ჩამოპარული ათინათებიც და  
მარჯვენაში დამლუჯული ორლესუ-  
ლიც. სიამაყე ილიმებოდა მის თვალე-  
ბში. კაცმა ღრმად ამოისუნთქა და მდგო-  
მარეობა აწონ-დაწონა. ძე ნაკლებ სახი-  
ფათოდ მიიჩნია და ხვალზე განიზრ-ხა  
იერიშის მიტანა:

ხვალმა მისკენ მომავალ კაცს სჭიდა  
თვალი და ფიცხლად ეკვეთა მოწინააღ-  
მდეგეა.

ხანჯალმა ნეყნა და ნეყნს შორის  
რბილი მოხელა და ვადამდე წავიდა  
ფოცხვერის შყერდში. ნადირმა მოას-  
წრო, ტორი ჩამოკრა, ლაწვი ჩამოახია  
კაცს და უსულოდ დაეცა.

ხვადის სიკვდილმა ილაჯგაწყვეტილი  
ძე მრისხანე იერიშზე ააყენა. კაცმა  
მახვილი ატაკა და უქანდახევა მოუხდა  
უამისოდაც ღონემიხილ ცხოველს.

იგი ხეკცულს დაუბრუნდა, თოფთან  
მოჰყვა ბოოილა და ხავილს.

კაცმა თვალი შემოაელო აქაურობას.

ხვადი მის ფეხითთ ეგდო უსულოდ.  
სიკვდილისპირზე მიმდგარი ძე იღრინე-  
ბოდა და ერთ ადგილზე ტრიალებდა.

ამ სურათმა თანდათან დააცხრო  
კაცში ბრძოლისმიერი ალტკინება. მო-  
წინააღმდეგე დამარცხებული იყო. წა-  
მითსინანულისა და შეცოდების გრძნო-  
ბა ეწევა მას და თითქოს თავი იმართ-  
ლაო, გაიფიქრა:

„ჯანდაბას ამათი თავი მე ხომ არა-  
ფერს ვერჩოდი“. — მერე ხვადის გვამს  
ჩაამტერდა და ფეხი წაკჭრა.

გვამი უმწეოდ შეიძრა.  
თავი აიღო კაცმა. კვლავ შემოატარა  
მხერა ირგვლივ. ჩხიკეები აჩხრიახლ-  
ნენ გუნდად, ხმამალა. თითქოს ყვე-  
ლას აქ მოეყარა თავი რამდენიც კი

მოიძებნებოდა ნამადნარის მიდამოებში. კაცმა მზერა ესროლა ხეების გვირგვინებს.

„ვინმე მაინც ყოფილიყო აქ! — გაიფიქრა მან სინანულით და ჩხიკვების ჩრიახს მიაყურა, — ადამიანი, რა თქმა უნდა... ჩხიკვები! რა ესმით ჩხიკვებს“. — მძიმედ სუნთქავდა, უსისხლო ადგილიც კი აღარსად ჰქონდა კაცს.

ხვადის მიერ ახლახან ჩამოფლეთილ ლოყას შეახო ხელი და ტყავის ნახევი ორპოში ჩააბრუნა თითით. მერე გულმკერდსა და მკლავებზე დაიხედა და ფიქრით ძუს მიმართა:

„არაფერია! შენც გაგისწორდები... ჩანთაში ყველაფერი მაქვს, შევიხვევ კრილობებს, და გაუღდება გზას“.

იგი ნადირისკენ გაემართა. კი არ მიდიოდა, მიბარბაცებდა რის ვაი-ვაგლახით.

ქვას წამოჰკრა ფეხი-კინაღამ დაეცა. მაინც განაგრძო სელა.

„რა კარგი იქნებოდა, ენახათ ყველაფერი თავიდან ბოლომდე რეზოს... ნათელას! — გაიფიქრა და მერე ხმამაღლა დასძინა — ყოველთვის ასეა, დასწყევლოს ღმერთმა, არავეინ გზედავს, როცა საქირაა“.

ძუმ აღსასრულის მოახლოვება იგრძნო. გაინაბა. სისხლიდან დაკლილს სხევაგარი საქციელისთვის ძალა აღარ შესწევდა. იღრინებოდა, ხაოდა და, როდესაც კაცი შემართული ხანჯლით წაღგა თავს, ღონე მოიკრიფა და ეკვეთა-კაცმა ხანჯალი დააცდინა — მთელი ძალღონით დაქნული მახვილი ხეკეულს ეძგერა და ხელიდან გასხლტა. კაცს დრო აღარ გააჩნდა საძებნელად. შეეცადა ყელში წასწვდომოდა ნადირს. ნადირი თავგანწირვით იგერიებდა თავდამსხმელს და ხანდახან იეროშზე გადადიოდა. ბოლოს კაცმა სძლია, მოიგდო ხელეში ნადირის ყელი, მაგრამ საღლა იყო ის ძალა, რომელმაც ხვადს გვერდულად გადმოაგდებინა ენა, ან ის, რომელმაც ძუ გადმოითრია მხარ-ზურგიდან და კატის კნუტივით გაის-

როლა. ძლიერ უჭირდა ფოცხვერსაც, თითქოს დიდი ხნის წინვე უნდა შეეწყვიტა წინააღმდეგობა და დაშორდა ბოლა ბედს, მაგრამ მისი შიშისა და ჯილაგისათვის სირცხვილი იყო დანებება, ანამ სული ედგა სხეულში. კაცმა მოისაზრა, რომ მარტო ხელებით ვერაფერს გახდებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ფოცხვერი უმოწყალოდ აფხაქნიდა ტანფებს, ფეხი მიიშველია და ხეკეულს მიაბჯინა ნადირი... თოფის ხმა მოიმა, აქვე, სულ ახლოს, იქნებ ორმოცდაათიოდე ნაბიჯიდან. ფოცხვერმა უხალ შესწყვიტა წინააღმდეგობა და ჩვარივით მოდუნდა კაცის ხელებში.

კაცი განციფრებული დასცქეროდა მიუფიქრებულ მსხვერპლს. ტყვია შიგ საფეთქელში მოხვედროდა ნადარა, მოპირდაპირე ყერიმალი გაეტანა და გასულიყო. კაცი აღშფოთდა, ხელები აუკანკალა ყელზე მომდგარმა ბოლნამ და რაც კი ძალღონე გააჩნდა შეჰყვირა.

— ვინ! ვინ ისროლა!

ვერავინ დაინახა ახლომახლოს, ისევე ხელებში მოქცეული ნადირის თ ეს ჩააქცერდა, — მერე ხეკეულის ძირში მიაგდო ფოცხვერი, როგორც უვარგის, ხელებში შემომსხვრეულ საგანს მიადებენ ხოლმე და თავი ჩაქინდრა. ბუჩქნარის შრიალი და ხმელი ფიჩხის ტყეცანი მოესმა. მიხედა, ვილაც გამორპოდა მისკენ. კაცმა მიწაზე მოაფათურა ხელი, ხანჯალი აიღო და თავი მიაბრუნა.

ჭარბავი მამაკაცი მორბოდა თოფით ხელში. ფართოდ იღიმებოდა. მოახლოვდა, მზერა დაძაბა. თვალეში შიშვა გაუელვა-რამოდენიმე ნაბიჯი კიდევ გადმოსდგა და შეჩერდა-

იგი განციფრებული, სასოწარკვეთილი შეჰყურებდა დასინთლიანეულ კაცს. თვალეების არ სჯეროდა თითქოს. დააპირა კიდევ რალაცის თქმა, მაგრამ არც ენა დაემორჩილა, არც ხმა.

სახარელი სანახავი იყო კაცი. თითქოს ნაფლეთებისგან შეეკოწიწებინათ იგი და რალაცა მანქანების ძალით არა

მარტო ზეზე დაედგათ ნაკოწიწარი, ხანჯალიც კი მიეცათ ხელში. კაცი მთელი ტანით ირხეოდა, როგორც ქარ-შენაბერი ხე და მხოლოდ ძაღლების უაღრესი დაძაბვის ფასად თუ ინარჩუნებდა წონასწორობას.

— რეზო! — წარმოსთქვა კაცმა სიხარულით. თვალებში უცქირა მოსიყვარულე მზერით კარგა ხანს, — გენახა, ნეტავი თავიდან ბოლომდე გენახა ყველაფერი! — და ბოლოს შეცვლილი ხმით დაუმატა: — რატომ არ დამაცადე?!

რეზო თავზარდაცემული ისმენდა კაცის ლუღლუღს. იქნება კიდევ დიდხანს გასწვდენოდა ძალა და ნებისყოფა კაცს, მაგრამ გვერდით დახმარების აღმომჩენი არსება დაიგულა და დაძაბუნიების უფლება მისცა თავს. რეზომ ხელი შეაშველა, ხეჭქუელზე ჩამოჯდომა უშველა.

მეგობარმა, ჩანთა მოიხსნა და კრილობების გადახვევას შეუდგა. ეს გაცილებით რთული ამოცანა აღმოჩნდა, ვიდრე მას ეგონა, მით უმეტეს, რომ არც შედიკამენტები იყო საკმარისად აღდგენითი და არც სახვევი მასალა. რეზო სწრაფად, ფრთხილად ჰუშაობდა. კაცი ხმადაბლა კენესოდა, ყბები ერთი ჰეორეზე მიეჭლო, თითქოს გასაპარად მომზადებული სული ეჭირა კბილებით.

ფიქვზე კოდალა შემოჯდა და ნისკარტი დასცხო ფუტუროს. წამით შეაჩერა კაცუნი, ნახელავს დახედა და კვლავ ჩაუკაუნა ხმამაღლა, დაქინებით.

რეზო თავის შეხვევას შეუდგა.

— რატომ ისროლე, მე თითონ მივახრჩობდი! — წაილულულა კაცმა და თვალებში შეხედა რეზოს.

კოდალამ კვლავ ჩამოაპნია ზემო ხმამაღალი რაკრაკი რეზომ ფიქვს ახედა. კაცმაც იქით მიმართა თავისი მხარე.

კოდალა გამწარებით სცემდა ნისკარტს. თავგამოდებული დარტყმები ხიჭვად შლიდა, ნამცეცად აბნევდა მერქანს. წამით ჩერდებოდა და ისევ მიჰქონდა იერიში. ბოლოს, ალბათ, ძლიერ ახლოს დაიგულა ჭია და გაათეცეცებული ძალითა და სისწრაფით ჩაუკაუნა. დიდხანს ურტყა, ძლიერ დიდხანს, მოიქანცა, სიქა გასძვრა, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა. როდესაც თვალებში ბინდი გაუდგა და თავშიც აუტანელი ტკივილი იგრძნო, მსუქანი ჭია უკვე საიმედოდ ეპყრა ნისკარტში. აფრენა განიზრახა, დაიქნია კიდევ რამდენჯერმე ფრთები, მაგრამ ქეასავით დაეშვა და ნიადაგზე დაეცა პირდაპირ რეზოს ფეხთით.

წამოიწია კაცმა რამდენადაც შეიძლო. ორთავენი განცვიფრებით დაჰყურებდნენ ნისკარტში ჭიაგაჩრილ კოდალას მერე სიბრალოლომა გამოეონა რეზოს გამომეტყველებაში, მაგრამ ფრინველი მოულოდნელად შეინძრა, დაბორილდა და წამოჯდა.

თვალები გაახილა, დიდხანს გაკვირვებით უყურა ადამიანებს. მერე ერთი შეიფრთხილა, აფრინდა და თვალს მიეფარა.

ბარტყები ეგულებოდა ბუდეში.

რეზომ მზერა მიაყოლა. კაცმა თავის მიტრიალება ვერ შესძლო, თვალი მოსწყვიტა ფრინველს და ჩაილაპარაკა:

— კარგი ფრინველია კოდალა. ყველაზე კარგი!

## გიორგი ზაგარსკი



### თ ა შ ა ლ ა

გვათრობს სურნელი ლორთქო ბალახის,  
გულში ხალისი გაჩნდა უღვები,  
ამოდ საცქერი, ამოდ სანახი,  
ჩამწყვრივებულან ბროწეულები.

ლიმონზე უფრო მკვეთრი და მძაფრი  
სურნელით სუნთქავს აქ მაგნოლია,  
გატკობს მშვენიება ცის ლურჯი აფრის  
თითქოს გულს სევდა არცა გჭონია.

ცვარგადაყრილნი დგანან ვარდებში,  
ელვარებს ფერი ოქროს და ვერცხლის,  
მიმოზები და ალუანდრები  
ჩანან ვით ერთად,  
თოვლი და ცეცხლი.

უორნისფერ ფრთებით შემოდის ბინდა  
თასმა ჩიტივით გაინავარდა,  
და ქართულ სუფრის მეუფე დიდი  
ფეხზე წამოდგა  
თვითონ თამადა.

### პირველი სადღეგრძელო

ამ ქვეყნის ლამაზ, უნატიფეს, ტურფა ასულებს,  
გულისწარმტაცებს, ანგელოზებს, ღმერთქალთა სწორებს,  
ამ სიზმრათ სანატრ ჰაეროვან, ამაყ ქალწულებს,  
ჩვენი პირველი სადღეგრძელო მიუძღვნათ სწორედ.

მზედ ანათებდა სერაფიტას თვალების ბრწყინვა,  
ის ნატერფალზე უნაზესი ჰყვავოდა ვარდი,  
ერთ მის ღიმილზე დნებოდა ყინვა,  
ავიწყდებოდათ მის მკვრეტელებს ჰმუნვა და დარდი.

ეკატერინე ჰავჰავაძე, ნინო, სოფიო; —  
რტონი ვარდისა ამოსულნი წინანდლის გულზე,  
იმათი ეშხი დაიპყრობდა ალბათ მსოფლიოს,  
მამაცნი გმირნი თავს დასდებდნენ მათ სიყვარულზე.



მამ გამოცეცალოთ სადღეგრძელო ასე ძვირფასი, მათი ვით სეუდას სიუყვარულის მუდამ გეასურვებს, მათ სადიდებლად, მთელის გრძნობით შევსვათ ეს ეს გაუმარჯჯოს საქართველოს ტურფა ასულებს.

### მეორე საღმრთელო

ბროლის წკრიალა სასმისები ავილოთ ხელში, დაეახათ ღვინო, ამ ღვინოს ხომ სისხლის ფერი აქვს, და ვუღღეგრძელოთ უქვინობელი მადლი და ეშხი მთელ საქართველოს, ძველ კოლხიდას, ძველ ივერიას.

ამ მიწას ახსოვს ცვალებადი ქაშთა დინება მას ახსოვს წარღვნაც და ხანძარიც უხარმაზარი, დიდი ბრძოლები, ხმალო კისკისი და შერკინება, ველურ ყიფინით მოსეული ურდო სახარი.

აბა, მამ ახლა, კახურ ღვინით ავივსოთ თასი, ნურავინ იტყვის, რომ გამოცლა არ შეგეძლებია! შემდეგ ღვინოებს გადაეწმინდოთ მტკერი და ხავსი, მათს სიბნელეში წინაპრების წმინდა ძელებია.

არქეოლოგი როს უძველეს ნახავს სამარხებს და ათას წლების წინანდელ ხმალს ამეტყველებს, ალბათ ბავშვივით გაგვაოცებს და დაგვანახებებს რა შესძლებიათ წინაპართა ძარღვიან ხელებს.

როს დარწმუნდები — არაფერი გინახავს მსგავსი, და ქვეყნად მართლაც უკეთესი არ იპოვნება; გაგაამაყებს წინაპართა მარჯვენი ფასი, შთაგონებული მათი გარჯა და გემოვნება.

ოქროს ფოთოლზე აგერ თითქოს ფუტკარი აზის, მცირე შექუხედაც თვალმომკრელად კიაფობს ლალი, ვერცხლის ჩუქურთმით ჩაუხლართავთ ტოტები ვაზის, აქ წინაპართა ნამოქმედარს უყურებს თვალი.

ეს ყველაფერი ძილს უფრთხობდა ათასგვარ ყაჩაღს, ძარცვავდნენ მხარეს ქარაენებით და ხომალდებით, ზოგი მათგანის ძვალი აქვე მიწაში ჩარჩა, ზოგნი გაიქცნენ, ვით ის ქურდი არგონაეტები.

მაგრამ ჩვენ ახლა სავსე თასი გვიჭირავს ხელში, ქართლი მარადეამს გამარჯვების ყოფილა ღირსი, ჩვენც ვადღეგრძელოთ მისი მუდამ უქვინობი ეშხი, დღე დღევანდელი და ბრწყინვალე ხელის დღე მისი.



### მესამე საღვებრძელო

იდგა მეოთხე საუკუნე დასისხლულ მკერდით, —  
ქართველი ხალხის ისტორიის თავი ახალი,  
იერუსალიმით კაცის სახით მოვიდა ღმერთი,  
დადგა ტაძრები გუმბათმაღალი...

მწირმა, ყარბმა მოიტანა ჯვარცმულის კვართი  
დაძონძილ კალთით...

კერპების ნაცვლად ოქრო-ვერცხლით ამკეს ხატები,  
უცხო ლოცვებით უხვად წერეს აქ ეტრატები.

მიჰქროდნენ დრონი... შებაწვდილი იდგნენ მხედრები,  
მათი ხმლის ელვა მზის შექივით სწვდებოდა მთა-ბარს,  
ტრაპიზონიდან დერბენდამდე ქვეყნის კედლები  
გაათართოვა დაეითმა და გადასცა თამარს...

### მეოთხე საღვებრძელო

მაგრამ მოვარდა საუკუნე თვლით მეცამეტე,  
ვითარც ყაჩაღი,

შეიღება ზეცა ჭვარტლისფრად,  
თემურ-ლენგებმა ჩინგისხანებს გადაამეტეს,  
მუხლის თავამდე რომ სწვდებოდათ სისხლი ქართლისა.

მონგოლურ შებებს შეენაცვლა თურქული ხმალი  
და სავსე მთვარე ამოდაღეს ნახევარ მთვარით,  
სპარსმა ეცხლს მისცა, ააოხრა კახეთი მთელი,  
მთებში ელავდა თვით კენის მახვილი მკრელი.

და ტყვე ქალებით სავსე-ნავეებს მიაქანებდნენ  
მედეას ცრემლებნაკურები ტალღები ზღვისა;  
ქართლის მიწაზე იდგა სისხლის ნიაღვარები,  
ვიდრე ერეკლემ არ განჭვრიტა გზა ქვეყნის ხსნისა

მხოლოდ მას შემდეგ გაიფანტნენ შავი ღრუბლები,  
დამკვიდრდნენ დღენი ნათელნი და უანგარონი,  
და დღეს ქართველი მთელ ქვეყანას ესაუბრება  
თავისუფლების მაღალ კანონით.

### მეხუთე საღვებრძელო

მასზე თუ როგორ მალღდება ცაში  
სასახლეების ლამაზი თალი,  
თუ როგორ ხარობს ქალი თუ ვაჟი  
და რა საამოდ შრიალებს ბალი.

ვით დგას ზევის მთა წამომართული,  
 მზესთან ფრიალებს სიმღერის აფრა.  
 სტუმართმოყვრობა, ძველი, ქართული,  
 დაე, თქვენს სტუმრებს ეჩვენოთ  
 ზღაპრად!



### მეექვსე საღმებრძელო

გათენდა, ფეხი აუსხლტა მზის სხივს და გადაიმსხვრა მაკურის სარკეზე,  
 ფარშევანგისფრად ციმციმებს ზეცა, სასიმღეროდ რომ მიხმობს, მაქეზებს.  
 საცაა მთებიც აჭრელდებიან, ოსტატი მხატვრის პალიტრის მსგავსად,  
 უაპრავე ფერთა ასეთი კრთომა არ შემხვედრია მე დღემდე არსად.

ცამ მეწამული ღიმილი მზისა თიხის, სპილენძის ფერს უწყალობა,  
 კუტკალიებმა ასტეხეს ტაში, ხეზე ჩიტებმა იწყეს გალობა.  
 დაე, არასდროს არ გვექონდეს შიში ამ სილამაზის განადგურების,  
 აცხადებულა ჩემი სიზმარი — მტკვარსა და არაგვს ვებულბულები.

თარგმანი პოლონურიდან  
**თეიმურაზ ჯანუაშვილისა**  
 და ნოდარ გურაშვილისა





ქალაქის მსგავსი აღაშინანი

პოემა



რა დააძინებს?..

გუშინ შობელი მამა დამარხა...  
ობოლი ვარო — ვის გაუმხილოს?..

• დარდი ამძიმებს...

ვისთან მივიდეს ბექა ამაღამ?..

ვინღა ჰყავს?... გული ვინ დაულბინოს?..

ოცი წელია,

რაც ტიალ გზათა ქსელი გაუბამს

ტანკით, მანქანით, ფეხით, მარხილით...  
გულდამწველია —

ვერ შეეთვისო ბინას საკუთარს,

სადაც დახტოდი ბავშვი ბარტყივით,

სადაც ყანწებთან

კედელს მიჰკვრია ძველი ფარ-ხმალი,  
საითაც გარბის შვერა ტანკისტის

და ზედ აცხრება...

„ეჰ, სად ვიყავი?.. ერთი შაშხანა

რა იქნებოდა პაპისპაპისთვის?..

ოცდაცამეტი

წელიწადია დავალ მიწაზე,

მიჭირს ცხოვრება ჯარში გამოზრდილს...  
დადგა წამები

მარტოლდარჩენილ კაცის წინაშე

უსასტიკესი, მკაცრი გამოცდის.

შობლის მაზარა

და ტანსაცმელი ისე ჰკიდია

ბნელი ოთახის მყუდრო კუთხეში,

თითქოს ამღვარა

პოდპოლოვნიკი მიწის სიღრმიდან,

რომ შვილს ჩაუნთოს გულში ნუგეში!

— წამით მომხედე!..

ქვეყნის ჰირ-ვარაშ მეც გავუძელი,

სიტკბო, სიმწარე, მისი ვიწამე,

სად არ ვეხეტე...

ვით საწნახელში გლახმა ყურძენი,

ფეხით დავწურე მიწის სიმწვანე,

და შემეყვარდა

ჩვენი ვარსკვლავის ფერი, სურნელი,

5. „შნათობი“ № 1.

როგორც შენ ერთი გოგო ზამთარში

დამწვარ ჩირალდნად

დიდი სიცოცხლის წრფელი მსურველი

საფლავში ჩაველ, როგორც სანგარში.

ბექა წამოხტა

მამაპაპური მუხის ტახტიდან.

— საით წავიდე შუალამისას? —

ოხვრა აღმოხდა...

მერე სარკმლიდან სარკმელს გახედა

მოპირდაპირე შუშაბანდისას.

ლურჯი შექტვარი

ოთახს აფრქვევდა ცისფერ ნაკადებს...

მრგვალ მაგიდასთან ორი ასული

იჯდა მღუმარედ,

როგორც ყინულის ნაქანდაკარი

სდუმდა ორთავე ფიქრში წასული.

უცქერის ბექა,

ველარ ეცნობა მათი ნაკეთები...

უფრო გულდაგულ დააკვირდება.

უცებ, იფეთქა

სიმშარეული ათინათებით

თოვლის გუნდებმა, თეთრმა კვირტებმა...

იცნო ერთ-ერთი...

რეველს ფურცლავდა ჩუმად, ალერსით,

იცნო პატარა, მაგრამ ის არის?..

ისევე თერთმეტის?..

არ გაიზარდა უსაყვარლესი

მეზობლის გოგო დასაფიცარი?..

ვისაც სარკმლიდან

გუნდა ესროლა პირველ თოვლისა

და გატეხილი შუშის ნამსხვრევით

სისხლი აღინა...

გუნდის სროლისას სახეს ბროლისას

პრილობა შერჩა, როგორც ნახმლევი.

ბექას იმ წუთში

რა არ შეარქვეს: ცეტი, ჩერჩეტი,

რამდენჯერ მოხვდა მამის ქამარი...

ჩასვეს მიწურში...

ისევ ბავშვია?... ისევ თერთმეტის?...  
 არ გაიზარდა ქალი თამარი...  
 არ გაიზარდა?...  
 როგორც ეს ქუჩა ვიწრო, პატარა,  
 რომ იკლავება ცისფერ ძარღვივით...  
 ის არის მართლა?...  
 ბექას წარსული უხმობს ანვარა,  
 უსპეტაკესი გულის ძახილით.  
 გვერდით ვინ არის?...  
 რომ ზის მღუშარედ, უსმენს გოგონას,  
 ნაღვლიან ღიმილს ესერის წყალობად,  
 ზის ფიქრიანი...  
 რაღაც სიმძიმის, სულით ობლობას  
 გამოსთქვამს ქალის უმოძრაობა.  
 იქნება ვცდები?...  
 ეგებ მგონია ყველა, ჩემსავით  
 გულნათხრობილი და დარდიანი?...  
 მაცდენენ წლები?...  
 ვინ არის ქალი, როგორც მერცხალი  
 შავადმოსილი, შავკაბიანი?...  
 ბექა ჩაფიქრდა,  
 სარკმელს ანახლად შეახო ხელი,  
 ფართოდ გააღო, შუქიც აანთო...  
 უცებ, სარკმლიდან  
 შემოფარფატდა ფოთოლი ხმელი,  
 როგორც წერილი უმისამართო.  
 ნოემბრის ქარი  
 არხედა ხეებს სამოსგაცეცნილს,  
 ბნელში გუგუნე გაქონდა ხეებს,  
 ვიში და ზარი...  
 სირცხვილნაპამნი იქნევდნენ ხელებს,  
 არ ქონდათ კაბა გამოსაცვლელი.  
 რა იგრძნო შუქი,  
 ცერად გახედა ქალმა სინათლეს,  
 გამოიჭვრიტა წამით სარკმელში,  
 გაეხსნა შუბლი,  
 მერე შეირხა მეტი სინაზით  
 და შეახედა ტანი სარკეში.  
 ტანმა მოქნილმა  
 თმებმა შეეშავმა, სწორმა წვივებმა  
 უცბად იელეეს კედლის სარკიდან...  
 — ჰო, ის ყოფილა!..  
 სიყრმის ვარსკვლავად ვინც  
 ციმციმებდა,  
 ვისაც სარკმლიდან გუნდებს აყრიდა.  
 მომკრთალო შუქზეც  
 ოდნავ გამოჩნდა ხაზი კრილობის.  
 „სწორედ ის არის, ვხედავ, ის არის...“

მშვენიერ თუბლზე  
 ნაცულად უნაღვლო ქალმწიფლობის...  
 უჩანს ღარები დღეთა სიმწარის...  
 გაკვირებული  
 იდგა, უმზერდა ბექა ხვამლად,  
 როგორ ვარცხნიდა გოგონას ქალი  
 დაქვრივებული...  
 და თან გარდასულ დღეთა ვარაშე  
 ფიქრობდა კაცი დარდისგან მთვრალი.  
 „ჰოი, რამდენი  
 ზამთარ-ზაფხული გადაფრენილა!..  
 როგორ გამდნარა ომში ცხოვრება,  
 როგორც ფანტელი...  
 მაგრამ რა ვუყოთ, არაფერია,  
 ბალახი სულ არ მოიძოვება.  
 ბალახი რაა...  
 მაგრამ... ეს თმები სულ გამცენია...  
 (ხვამლად თავეზე ხელს გადაისევამს)  
 ბალღი აღარ ვარ!..  
 ქალიშვილებთან გავლის მცხვენია,  
 ტოლ-სწორს დაეძებს ყველა თავისას.  
 ვუმზერ დედა-შვილს,  
 ჰო, გავს ერთმანეთს აწმყო, წარსული  
 აი სიციცხლის განმეორება!..  
 მარტოდ დარჩენილს  
 ბევრჯერ შეაქედნს თვალი მაკდური...  
 სარკეში თავი სხვა გეგონება.  
 გუშინ ის იყო,  
 ისიც მამაჩემს მიაცილებდა...  
 თვალი მოვკარი მრუმე ტანსაცმელს.  
 სხვა რა ვიფიქრო?...  
 მეზობელია, ინაწილებდა  
 სიყრმის მეგობრის მძიმე განსაცდელს.  
 რა გზას დავადგე?...  
 მარტო ვერ გაეძლებ ჯარში გაზრდილი...  
 თუმცა რას ვამბობ, მარტო როდის ვარ?...  
 ყველგან თან დამდეგს,  
 ყველგან დამყვება მამის არდილი  
 გათუნებისას, საღამოისას...  
 ბიჭებთან ომში  
 ყოფნა მერჩია ასეთ ხეტიალს.  
 სამი დღე თითქოს სამი წელია...  
 მიწაზე, თოვლში  
 ღამე რამდენჯერ გამოიტეხია,  
 მაგრამ არასდროს არ მიცრემლია.  
 ახლა რა მომდის?...  
 ეს ცრემლებია თვალზე მომდგარი  
 თუ სინესტეა ჯანში სანგრების?..



სიამეს მომგერის,  
რომ მომაწვდიდეს ხმას მეგობარი,  
ხმა რომ მომესმა ჯარისკაცების.

მამა სამხედრო...  
პაპაც ცნობილი ძველი მხედარი,  
ყველა ჩემს სისხლში ცოცხლობს ამაყი,  
მაგრამ ო, ხედრო,  
რად წარმიხოცე ნაოცნებარი,  
რისთვის ამყარე თოფ-იარაღი.

რად დავთმე ჯარი?  
რად დავთმე ხალხი — ცეცხლში შეზრ-  
დილი?  
დავთმეო?.. ძალით დამათმობინეს  
ყაზარმის ნარიც...  
გამახსენდება ძმები კეთილი...  
ვეღარაფერი მაკმაყოფილებს.

როგორც ქოთანი  
ცეცხლში დამწვარი, უშინაარსო  
ვგდოვარ, არ ვიცი რა მეშველება...  
მომაპყარ თვალი  
და ჩამომხედე სულში, ლამაზო,  
ეგებ ამავსოს შენმა მშვენივამ...“  
ამის თქმა იყო  
და... უცებ, ჩქარა სამივ სარკმელი,  
სიბნელემ ქუჩა ხრამს დაამსგავსა.

თითქოს შეიტყო  
ძილგატეხილი კაცის სათქმელი  
შავადმოსილმა ქალმა ლამაზმა.  
და შეუერთდა  
ბნელითმოცული ღამე მის კაბას,  
მის თვალებს, მის თმებს, მის ღარდს  
სიშავით,  
დასტოვა სევდა,  
უმწუხარესმა წყვილიადმა შთანთქა  
მცირე იმედის წმინდა ნიშანიც.

კარი იღება...  
შემოვარდება ქარი ბინაში,  
კალთებს შეურხევს მამის მაზარას.

ბეჭა იღლება  
ფიქრებს მიჰყვება, ქარის შრიალში  
და სიმარტოვე ტანში გაზარავს.

იცვამს ტანსაცმელს...  
მიდის ქუჩებში სახეტიალოდ,  
მიდის... საყელოს მაღლა იქაჩავს...

თითქოს გაძარცვეს...  
თითქოს მის სულშიც ქარე ტრიალებს...  
მიდის... ღამეა... არავეინ მტრის მსახურს...

ვით სითბო დედის  
ბეჭას თბილისის ჟრღოლვა მოედო,  
— ქალაქო, შენთვის ვტეხე ღამენი,  
გამიღე მკერდი,  
მთელი სიცოცხლით მინდა მოგენდო.  
შემომატარე შემოგარენი.  
შენს გარდა ვინ მყავს?..  
ხვედრმა რა ხილზე არ გამატარა,  
შორიდან ბევრჯერ მოგეტრფიალე...  
მაღირსე სიტყვა...  
ვაი, თუ, ქურდი, ქურჩის ავარა  
გგონივარ ღამით მოხეტიალე.  
ვარ ისევე შენთან,  
ვაი, თუ დღენი შემომხეზარჯოს  
ამ ხეტიალში ხურდა ფულივით!..  
მიმიღე დედაე,  
დიდი ცხოვრების ფართო ფანჯრიდან  
არ გადამაგდო უხალთუნით.  
აღარსად წავალ.  
არა, არ მინდ თავის დაზოგვა!..  
ღე, ცხელ ძარღვებში სისხლის თქრია-  
ლით,  
ატეხილ ძალად  
გეტკობდეს ჩემი ახალგაზრდობა  
და მერე მკლავდე შენი ტრფიალით.  
შენს ახლოს მკლავდე,  
მწვავდე და მაინც ხარკად გიგებდე  
წმინდა ოცნების, ბროლის ქარვას-  
ლებს —  
აჭრილებს ცამდე,  
ღლედაღამ მზერას ვერ ვაცილებდე  
მზიან გამზირზე ქართველ ლამაზებს.  
ღედაე ქალაქო,  
ჩემებრ ოცნება მრავალს ჩაუქრა,  
როგორც ზმანება ახალგაზრდული...  
აღარ დამკარგო,  
ოცტა შენსავით გამაჭაბუყე  
ოცდაცამეტის და ხანდაზმული.  
აი, სამი დღე  
თვალწინ მიდგებარ შავთმებგაშლილი,

შენმა ნუგეშმა გამაძლებინა.

საღლა წავიდე?..

მკერდში დაჭრილის, თავში დაჭრილის  
მარტოდ დარჩენა ზარდამცემია.

წარმოიდგინე

კაცი, რომელმაც ომში დაკარგა  
ცნობის უნარი, დგომის უნარი...

გამომიტირეს...

შენს ახლოს, ჩემსად დედაქალაქთან  
ჩამომავრინეს, როგორც სტუმარი.

შვიდ წელს მუნჯივით

თეთრი სარკმლების ვიყავ მზირალი,  
მარტო ოცნებით, ფიქრით გიცქერდი.

ვიწუქ ღუბჭირი,

მელანდებოდი სახუმზიანი,

როგორც დაგტოვე, სწორედ ისეთი.

ახლა მარტო ვარ,

აღარ ვახსოვარ სიყრმის მეგობრებს...

კი არ გეგონოს თითქოს ვიქეცი

გლაზაკ-მათხოვრად...

მაგრამ... ერთ თხოვნას გაგიმეორებ:

შენს შვილს გულმშვიდი ძილი მიეცი!

დაე, შეძინოს,

მეზმანებოდეს ჩვენი ნაწილი,

სადაც ჩამრიცხეს განკურნებული...

კი არ გეწყინოს...

აქ დაბანცალეებ ზედმეტ კაცოვით,

ძილგატეხილი, გაბრუებული...

მაგრამ გჯეროდეს:

ცეცხლის წივილში დაკაცებული

შენი ვარ, მერჩის გული საგულეს.

რომ გიკვებოდე,

რომ ვეგდო ტყვიით დამარცხებული,

შენი შეხვედრა გამომაბრუნებს.

უძილო ბექამ

ღილით შეიგრძო დაღლა მუხლების

და გამყენწლავი კედის ტკივილი...

სარდაფთან შედგა.

— ბლომად დალიეთ, ალბათ,

წუხელის? —

ვილაც უღიმის ვაჭრის ღიმილით.

ქაფქაფა ხაში

და ზედ არაყი მწველი ცეცხლივით

გააქრიალებს მუხლებდაქანცულს,

დაუვლის ჯანში...

ბოლოს შემთვრალი, იერშეცვლილი

მსუქან დახლიდან უხდის საფასურს.

— ერთიე დაცალე! —

ბექა გადაჭრავს მამის ხსოვნისას...

ისევე აძალებს კაცი მსუქანს...  
— შენ გენაცვალე!

ერთიე დაცალე ჩემი მშობლისაც,  
სასმისს სამობით ითვლის უფალი.

შემთვრალი ბექა

ზე ასწევს კიქას ჭაქის არყიანს...

მშობლებს უხსენებს

შვილებდალოცვილს...

შებარბაცდება

და კიბეებზე ვილაც აიყვანს  
თვალეზამდგრეულს, ჯიბეგამოცილილს.

ასე არასდროს

არა სჩვეოდა არყის აყოლა,

არა, არც ისე უყვარს სასმელი...

აღარც კი ახსოვს.

შინდაბრუნება, ტახტზე დაწოლა,

არც სადღეგრძელო უკანასკნელი.

ახსოვს, ბორგავდა

და ტრიალებდა, როგორც შემფური,

ძილში ბოდაედა მთვრალი,

მშფოთვარი...

ლამით რომ ადგა,

თითქოს დაარტყეს თავში აგური,

ასტკივდა კეფა ნაჭრილობარი.

ტახტს დააწყდება...

მამაპაპური ტახტი ჭრიალით

შეირყა ბექას მძიმე სხეულით...

და უცაბედად

ლამის ფიცარი ჩაწყდა ჭიანი

მჩატე ფუტუროდ გადაქცეული.

ჭრიალებს ტახტი...

და... სიციხიანი ბექა ტრიალებს,

რკინა-ბეტონი ამბრაზურები

ჩაღეწა ტანკით,

ვახურებული ძრავის გრიალით

გამოსჭედია ვაჟყავს ყურები.

სცხელა საჭესთან...

სცხელა კი არა, ხვირთქლად იღვრება...

ლამის დაეწვას ტანი მხურვალი...

ჭურვმა დასჭექა.

ნენი აეწვა, ხმას არ იღებდა

მკერდგასისხლული ტანკის შტურმანი.

მუხლუხოები

მიგრუხუნებდნენ მათუღლლართებზე,

სისხლით შეღებილს სრესდნენ

ყვავილებს.

რკინის ხორკლებით



ტანკები ტიალ ნაყუმბარლებზე  
ტრაქტორებივით ტეხდნენ ყამირებს.  
ზარავს გრუხუნნი...  
ჯოჯობეთური სიცხე ჯავშანში  
გამომწყვდეულა, ყელზე ეხვევა.  
როგორც ურჩხული...  
და თუ გადაჩი ასეთ ჯვარცმავში,  
რაც გინდ დაარქვი—ბედი, შემთხვევა.  
ცეცხლმოდებული  
პინც ებრძოდა დამტყდარ განსაცდელს,  
პინც ებრძოდა ხანძარს ფოლადი,  
რადგან ცხელ გულით  
მართავდა კაცი, ვისაც ასწავლეს  
ვაძლება სულის ამობდომამდის.  
უიწრო საჭურჭტი...  
რა რიგ პატარა მოჩანს სამყარო  
სიკვდილის კვამლში გამოხვეული.  
მაგრამ რა დიდი,  
რა რიგ მაგარი, რა უანგარო  
ცემს გული ცეცხლად ამბოხებული.  
რას ხედავს ბეჭა...  
ჯოჯო ამგვარი ჯერ არ უნახავს,  
როგორ მოხობავს შავი სევასტიკით...  
მეხმა იქეჭა  
აუ მისი ტანკი ხევში გულამა  
ჩაქანდა, როგორც ზღვაში ნავტიკი.  
ნეტავი მაშინ  
ვინ აიტაცა მიწაწაყრილი,  
თავში დაჭრილი, მკერდში დაჭრილი...  
და პოსპიტალში  
ვინ ამოუღო მურვის ნამსხვრევი,  
თავის ქალაში წვეტით გაჩრილი?...  
არა, არ შია...  
თუნდაც შეოდეს, ვინ ყავს,  
მომვლელი?..  
ნაჭრილობარი კეფა უკენისს,  
სტკივა საშინლად...  
რად არ მიაწედის ხმას ახლობელი,  
მისი წუხილი, კენესა თუ ესმის?  
ცხადად იხილა  
ის, რაც ავადმყოფს პოსპიტალშიაც  
ქონდა აებედად, ცუდად დაცდილი.  
ბეჭას სიციხიანს  
სიმწრის წუთები ბოროტ აჩრდილად  
სდევდა სურათი უკანასკნელი.  
და აი, ახლაც  
დაუწყო ტეხვა ძველმა იარამ,  
ვაუკახუნეს თავში ელვებმა.

ხელახლა ნახა,  
რაც განიცადა, რაც გაიარა  
ტანჯვა, ვაგლახი, საშინელება.  
— წყალი, ო, წყალი! —  
იძახის ბეჭა, მაგრამ სად არის  
ვინც თამადობდა მამის ქელეხში,  
უზომოდ მთვრალი,  
მშობლის ამფსონი და მეგობარი,  
უზარმაზარი ყანწით ხელეხში.  
როგორ შეაქეცს,  
როგორ აღიდეს საესე ჭიქებით  
ჭირისუფალი ცრემლებგამშრალი,  
რა არ შეარქვეს:  
— გეწამს, წინაპართა მსგავსი იქნები...  
ლამის უწოდეს ბეჭას მარშალი.  
— წყალი, ო, წყალი...  
ღვინოს ხომ არა, წყალს, წყალს  
თხოულობს  
სასომხილი ბეჭა ხეამლაძე,  
როგორც მაშვრალი,  
მშველელს დაეძებს და ვერ პოულობს  
ირყევა ტახტი როგორც საკაცე.  
გრძელდება რყევა...  
მღვრიე ტალღებად მოდის ღრმა ძილი,  
მოდის და... ბეჭა ჩაიძირება...  
ქანაობს ნელა,  
შებლგახურებულ დადლილ ყმაწვილის  
უსიზმრო ძილით ჩაეძინება.  
ეძინა ორ დღეს,  
გამოსთიშვოდა ფიქრს და ზმანებებს,  
ქვეყნად ცხოვრების დიად ოცნებას,  
ჩვენებებს, ბოდვებს...  
ძილს მისცემოდა დამაამებელს,  
ძილსდა ძალუძდა მისი მორჩენა.  
\* \* \*  
კაკუნი კარის...  
თვალებს გაახელს ბეჭა მაშინვე,  
მთვლემარე აზრი ამოძრავდება.  
— ნეტა ვინ არის?...  
იღება კარი და... შეაშინებს  
ოთახში ბავშვის გამოცხადება.  
— მღვიძავს თუ მძინავს? —  
ვერ წამოდგება ტანდათენთილი,  
ცეცხლში დამწვარა კაცი ხესავით...  
თუ კონტუზიამ  
წარმოუდგინა სახე კეთილი,

ნათლისმფრქვეველი ქართლის  
შესაებით?..

ოცი წლის წინათ  
ისევე ასეთი იყო თამარი,  
თოვლში ბაეშვებთან რომ თამაშობდა,  
თოვლივით წმინდა...

ბექას აენთო სულში ლამპარი,  
თვალწინ დაუდგა ცოცხლად ბაეშვობა.  
შეჩერდა კართან  
მეზობლის გოგო, როგორც ხატება,  
შეერბა შავი თმები დაწნული.

—ო, შენ ხარ მართლა  
სიზმარეული გამოცხადება  
ჩემი ბაეშვობის, ჩემი წარსულის?..  
მომიახლოვდი...

თუ არ ხარ ლანდი ან მოჩვენება,  
შევეხო შუბლზე ნაცნობ ჭრილობას...  
მოდით... აქ მოდით...

მოდით... მეჩვენე ახლოს, მშვენივრება,  
რად დაგებდა ტანმორჩილობა?..  
მაჩვენე სახე!..

თამარ, მამბრუებს თავის ტყვილი...  
სიცხე წყველი ახლაც ამიწევს! —  
წამოიძახებს

და ბექას სათნო ბაღლის ღიმილი  
წუხანდელ ჯვარცმას გადააიწყებს.  
— მე მზია მქვია...

თამარი კიდევ... დედაჩემია...  
ჩან გამოგზავნა თქვენს სანახავად —  
ქღურტულებს მზია.

შუბლზე ჭრილობა მას ამჩნევია...  
მე ამ თოჯინას დედა გახლავართ, —  
თქვა და გოგონამ

შეათამაშა ხელში თოჯინა,  
მეც დედასავით კარგი ვიქნები...  
მამით ობოლმა

ბაეშვმა ჭიკჭიკით დაიმორჩილა  
გამბრუებული კაცის ფიქრები.  
ბექას წყურია...

მზიას შესცქერის ხახვამშრალი,  
პერანგი ოფლით დასველებული  
გასაწური აქვს...

წევს შეურხველად, სიცხეჩამჭრალი,  
ტახტზე მკვდარივით დასვენებული.  
მზია შეკრთება,

ნაჭრის თოჯინას გვერდზე მიაგდებს,  
ბექას ნაღვლიან თვალის გუგუბში  
ჩააქვრდება.

აეადმყოფს დეთიურ ძალას შემატებს  
ულამაზესი ბაეშვის ნუგეში.

შიშით შემკრთალნი  
გაფითრებული, სახეშეცვლილი  
ქიქას მიაწედის მზია დაერდომილს.

— დალიეთ წყალმ...

ბექა სანუჯვარ თვალებს შესცინებს.  
მიუალერსებს ნიშნად მადლობის.

ის გააცოცხლა

წყალმა თუ მზიას მიალერსებამ  
ქალიშვილური კრძალვით, სიმორცხვით.  
ბექამ საოცრად

იგრძნო ფილტვები როგორ ეესება,  
როგორ უფეთქავს ძარღვი სიცოცხლის  
ძლივსლა წამოდგა,

გულში შიშობდა არ დავეცო,  
უძღურ ჩვილივით იდგა ვაჟაკი,  
ბოლოს წარმოთქვა;

დელას მადლობა გადაეციო,  
და ბაეშვს კარამდე მიყვა ბარბაცით.  
წავიდა მზია,

და ოც საფეხურს ჩაპყვა კიბისას,  
როგორც ოცი წლის წინათ თამარო,  
ო, კონტუზია,

ო, ყველაფერი იყო თილისმა  
თუ აეადმყოფის სიზმარ-ზღაპარი?..  
ნუთუ ზმანება,

ნუთუ ლანდება, ნუთუ შელოცვა,  
ნუთუ ოცნება და გაცრუება  
შეუბრალებლად?..

ნუთუ გოგონას ჩემთან შემოსვლა  
იყო დაჭრილი თავის ცდუნება?..  
წამით ძრწუნდება,

მას თავი ისევე სიზმრად ჰგონია,  
ბოლოს გამოცილილ ქიქას შეხედავს  
და დარწმუნდება,

რომ ცხადად იყო ის გოგონია,  
წყალის მომტანად ვინც დაეხედა  
სარკმელს გახედავს...

მეზობლის სახლი ქუჩის ხმაურში  
ჩანს ცარიელი, გამოკეტილი...  
და იტყვის ბექა:

— ალბათ, სკოლაში და სამსახურში  
გაფრინდა ორი გედი კეთილი.  
მე რალას ვუცდი?..

დედა მუშაობს, ბაეშვიც პატარა  
დილაადრიან უსმენს გაკვეთილს...  
არც მე ვარ კუტი,



ვიცხოვრებ ჩემი მკლავის ამარა,  
ვინ მარჩენს ასე გულზელდაკრეფილს?..  
წამოენთება,  
იხსენებს იგი ღამეს სიცხიანს,  
წამით დახუჭავს თვალებს  
სირცხვილით...  
მთვრალის ფეთება,  
ის, რაც ორი დღის წინათ იწვნია,  
წამოუწითლებს ღაწვებს სისხლივით.  
კიბებზე ჩადის,  
დინჯად ჩაივლის ოცივ საფეხურს,  
სარკმელებს გახედავს გულისწუხილით  
და ბოლოს თავის  
თავს ეუბნება კაცი საყვედურს,  
თავს გაბრუებულს ჭურვის ქუხილით.  
— თავო, დაჭრილო,  
და ჰოსპიტალში ბანგით დაღლილო,  
ახლა შენ უნდა მომცე ნუგეში,  
გადამარჩინო,  
სავალი გზები გამიადვილო  
რთულ და ბოზოქარ საუკუნეში!..  
განა სიზმრებით,  
განა ზმანებით, განა ღანდებით,  
განა წინაპართ განძის იმედით...  
კაცად ვიქცევი,  
შენ თუ გახდები ჩემი თავდები,  
ალარასოდეს გავიწირები.  
ჩემს გულს მიბაძე,  
გულს — შუალამით, დილაადრიან,  
რომ მიწვევს გზისკენ თავდავიწყებით;  
დედამიწაზე  
მე და შენ ისევე ტანკით დავჭრივართ,  
ან გავიშარჯვებთ, ან დავიწვებთ!..  
მწყობრში გამკვირე,  
საქმე მიბრძანე და შეძახილით  
საიერიშოდ მეც წამიყვანე,  
როცა დაგვირდეს,  
გადამაყარონ მიწა გათხრილი,  
ველარ ვიხილო მისი სიმწვანე.  
ახლა მწყურია  
ქვეყნად გახედვა, ხალხში გათქვეფა.  
რაც ომის შემდეგ არ მღრსებია,  
ვაეკაცურობა  
ცხოვრების ტკბილი ხილის დაკრეფა,  
რაც ფრონტზე ბევრჯერ დასიზმრებია.  
თავო დაჭრილო,  
ჩემს გულს გაუძებ, შენ გემონება,  
მის სარქველებშიც შენი სისხლია...

გამოვაჩინოთ,  
რომ შეგვიძლია ქვეყნად ცხოვრება  
და სიყვარულიც რომ შეგვიძლია  
თქვა და გავიდა.  
დინჯად დაეშვა ბექა დაღმართზე,  
მტვერს შეეფეთა ქარის მობერილს,  
უელვარება  
ნაკვერჩხალივით წითლად ხალათზე  
ლენტი საბრძოლო სამი ორდენის.  
და გაღვლილი  
მისი მახარა — ფრონტზე ნათრევი,  
მიანიშნებდა მგზავრებს ქუჩებში:  
რა ქარტეხილი,  
რა გაჭირვება, ცეცხლი რამდენი  
გამოუვლია ხვალის ნუგეშით.  
მიდის, მიიწვევს  
და მიცეკვავენ მის წინ ბიჭები,  
ნაცნობ ზარის ხმას ფეხს აყოლებენ.  
ამ ხმას რომ ისმენს,  
ბექაც გაივლის მხნე ნაბიჯებით,  
ბავშვები განვილილ წლებს აგონებენ.  
უშვებს პატარებს  
ათი წლის წინათ ომგადახდილი  
და გრძნობს — წმინდაა მისი სინდისი...  
ფიქრებს უფანტავს  
მათი განგაში, მათი ძახილი,  
მათი ელურტული, მათი კისკისი.  
ფიქრობს ხვალაძე:  
„თქვენ სკოლის ზარის ხმას იცნობთ  
მხოლოდ,  
არის სხვა რეკავც თავზარდამცემი,  
მის ხმას ამაზრზუნს  
თქვენ ნუ მოისმენთ, ნურც გაგეგონოთ,  
როცა ჩემსავით დეაეკაცდებით.  
ყველას გაშორეთ  
ის, რაც გადამხდა, რაც გამოვცადე,  
მაგრამ, კაცნი ვართ, ეგებ დასჭირდეთ  
დედასამშობლოს,  
ქვეყნის ბრძანება დაგაოსტატებთ,  
როცა შაშხანას ხელებს ჩასჭიდებთ.  
არა და არა!..  
ნურც გამეგონოს ომი მესამე,  
კმარა სიმწარე განცდილ წამების...  
ის წუთითაც კმარა,  
როცა ამ სკოლას გამოვესალმე,  
მამას გავყევი ჯარში ცამეტის.  
წამით შეჩერდი,



სისხლი მერყეობს ყოფილ  
მებრძოლში, —  
სწავლის წარსული წლები დაგშორდა,  
რად მოჩერჩეტდი?...  
ფეხებს მიყევი სკოლის ეზოში?...  
ვიღასლა ახსოვს შენი ბავშვობა!...“  
შეალო კარი,  
ბექა კიბეებს აპყვა ეზოდან,  
როგორც ოცნებას ცისფერ, შორეულს,  
არ რეკდა ხარია,  
მისი წყრიალა ხმა არ ესმოდა,  
არ უფანტავდა ფიქრებს მორეულს.  
არავინ ჩანდა...  
უცებ ხვამლაძეს წინ ჩაუარა  
მოხუცმა კაცმა ჯოხის კაყუნით,  
„მიხა დარაჯმა  
ნეტავი ოდნავ მიცნო თუ არა  
ოცი წლის წინათ გადაკარგული?“  
შედგა მოხუცი,  
გვერდზე მოექცა წვრილი კისერი,  
მოატრიალა თავი მელოტი,  
როგორც გლობუსი...  
ბექას შესძახა: — რისთვის მიცქერი?...  
დაუითხავად რაღა შემოხვედი?!  
— ისევ მკაცრი ხარ?  
მოხუცს ღიმილით კითხავს სტუმარი,  
თან ღრმა თვალბში ჩააქცერდება,  
შეკრთება მიხა,  
შემოსულს ერთხან უცქერ მღუმარე,  
ბოლოს შესცივებს და აცრემლდება.  
— სულ გამოცელიხარ, —  
თქვა და შეახო ხელი კანკალით  
ყოფილ მოწაფეს სკოლის დარაჯმა.  
და მერე დიდხანს  
გაგრძელდა თბრობა გულისსაკლავი —  
ოჰმა მოხუცი როგორ დატანჯა.  
სამი ვაჟიდან  
ერ ჩამოსვლია მიხას ვერც ერთი,  
გულმოკლულია და მოწყენილი...  
— შეილო, რა გრჯიდა,  
ამ დერეფანში ვის დაეძებდი?...  
ჩამომიტანე ეგებ წერილი?...  
წაერთო სიტყვა...  
ბექა დამუნჯდა ცრემლთან ბრძოლაში,  
ბოლოს წარმოთქვა სვენებ-სვენებით:  
ეგების მითხარ,  
მასწავლებელი გინდათ სკოლაში?...  
აქ ასწავლიან ისევ ჩვენები?..

— შეგერჩა ძარღვები?  
ყოფილ მოწაფეს კითხავს დარაჯმა,  
განა არ გახსოვს ყივილითი მთა  
ყურის წამლები?...  
შვილო, ცოცხალი რახან გადარჩი,  
იტყბე ცხოვრება ტყბილი ხილივით.  
გასწი სოფელში —  
ხან ბაღს დაბარავ, ხან ტყეს ვახედავ,  
ყველა კრილობა შევიხორცდება...  
ხმაურს მოეშვი,  
მყუდრო ცხოვრება, წასვლა აქედან  
თავიდანვეა ჩემი ოცნება...  
ხვამლაძემ მაშინ  
წარმოიდგინა ღამე უძილო,  
ტეხვა გეფისა, ტანის ცახცახი...  
„ახლა სკოლაში,  
აურხაურში ბავშვებს ვუცქირო?...  
ჩემგან დარჩება კაცის ნასახი?...  
სხვა გზას მოეძებნი“,  
თქვა და დაშორდა დარაჯს ჰიშკართან  
შინმოუსვლელი ვაჟის ღიმილით...  
ბექა ოცნებით  
სხვა გზას დაადგა და ჯაერიანად  
ჩაფიქრდა მწარედ თავის ტყვილით.  
„არ მყავს წვრილშვილი,  
არ მეშინია მართოდ დარჩენის,  
არ მეშინია ბედის დაცივნის  
და არც შიმშილის,  
მაგრამ იქნება დიდი სასჯელი,  
ქვეყნად რომ დავრჩე ზედმეტკაცივით.  
არ ვიცი, სად ვთქვა?...  
როგორ მოვიქცე, მაინც როგორა?“  
ბექას გულიდან ოხვრა აღმოხდა.  
შეჩერდა ბაღთან  
და გაახსენდა კაცი როხროხა,  
მამის ქელებში რომ თამადაობდა...  
დიდხანს იცადა,  
ბექა ხვამლაძე დიდხანს ფიქრობდა,  
დიდხანს უმზერდა კარებს ტყავიანს,  
იჯდა მღვიანთან,  
თითქოს დიდი ხნის წინად იცნობდა  
ტუჩებშედლებილ ალვისტანიანს.  
ბოლოს შევიდა...  
შედგა ხვამლაძე დამორცხვებული,  
დიდი ხნის ჯდომით მზრებში მოხრილი,  
როგორც შეკითხვა.  
უმზერს „ბიძია“ გაოცებული,  
არც კი წამოდგა კეთილშობილი.



არც სკამზე დასვა...  
 გულში ნაწყენი ბეჭა გასწორდა  
 და როგორც მწყობრში, მოკლედ,  
 პირდაპირ,

პატაკის მსგავსად,  
 ჯარისკაცულად უთხრა რაც უნდა,  
 უცხად გააცნო საქმე პირადი.

— არ შემოძლია! —  
 თითქოს იყო და არა იყორა,  
 ასეთი იყო მკაცრი პასუხი.

ბოლოს „ბიძია“  
 დინჯად წამოდგა და შეისწორა  
 ოფიციალტის შავი ჰალსტუხი.

კიბეს გაცვეთილს  
 მიყვება ბეჭა გაწბილებული.  
 ცივმა უარმა გული წაართო  
 იმედნაწყვეტილს.

დამწუხრებელი, დამცირებელი  
 ქუჩაში ჩადის უმისამართო.



ცხრა საათია,  
 საღდაც წასულა ორი მშენებმა,  
 ლურჯი შუქფარი, როგორც გუშინდამ  
 აღარ ანთია.

კაცი საწოლზე მოიცელება,  
 შუქი უნთია ობოლ გულშიდა.

ბეჭა ხვამლაძეს  
 თვალებს უბნელებს ქუჩის წყვილიადი  
 და აღმოხდება ოხერა მწუხარეს:

— პოი, რა გასძლებს,  
 რამ დამისვენოს გული დილაძის,  
 მოხეტიალეს და გაუხარელს...

ო, ლამევ ბნელო,  
 უძილო ლამევ, ჯვარცმის სადარო,  
 დაუსაბამოდ გაგრძელებული,

ვით სადღეგრძელოვ  
 ფარისეველი კაცის ნათქვამო,  
 ეამოცვეთილო, დაძველებული.

ძილგატეხილი  
 ბეჭა ხვამლაძე დილით გაპყვება  
 თბილისის ქუჩებს ქარის დახვეტილს...

უცებ, მეხვიით  
 წინ დაუქუხებს და გზად დახვდება  
 ტკბილი ოცნება გარეკახეთის...

მატარებელი...  
 ვზაჯვარდინზე წამით შემდგარი...

ვეება ძელი აკრელებული...  
 გზა ჩაეცილი...  
 ბეჭა ხვამლაძე მგზავრებს უცხარეს,  
 გზაზე ბავშვივით გაჩერებული.

წავალ, წავეყვები,  
 ჩემი სოფელი... განა არ მახსოვს?...  
 აქ რა მაცხოვრებს, რა დამრჩენია?!

მაგრამ ძარღვები  
 და საგულედან გული კარნახობს  
 „აქ, თბილ მიწაში მამაშენია!“

— წავალ სოფელში,  
 სადაც ჩქერები თეთრი, ქათქათა  
 ესხურებოდა ჩემს სიყმაწვილეს...

გულო, მომეშვი,  
 ჩემს ძველ ფუძესთან, ჩემს ძველ სახლ-  
 კართან

მატარებელი მეც მიმაცილებს.  
 უცებ შეპკივლა...

და ორთქლმავალი უცებ გაქანდა,  
 უცებ დასტოვა გზაჯვარდინი.  
 გული ეტკინა,

წუთით შეყოვნდა, წუთით გაქვავდა  
 კაცი ოცნებაგადაჯევილი.

დადის ქალაქში,  
 ბეჭა ხვამლაძე... ვერა, ვერ უცქერს  
 შორით ერთმანეთს როგორ ესერაიან

ღიმილს ქალ-ვაეი,  
 მიდის ხვამლაძე, ყველას გვერდს  
 უცქერს,

რა დროს ღიმილი და აღერსია...



უსმენს ხვამლაძე:  
 დაახლევეთო თქვენი სიცოცხლე,  
 ხიდან ჩასძახის ყურში რადრო  
 და იმედს აძლევს —

მარჯვენას ძმურად გამოვიწოდებთ  
 მოულოდნელად თუ დავარდიო.  
 ბოლოს მუსიკა...

ნაბიჯს ანელებს ბეჭა ანახდად,  
 უცებ, ქუჩაში, მალალ ჩინართან,  
 როგორც ქურციკმა,

შხერა ესროლა ერთმა ლამაზმა  
 და ახალ სახლთან გაუჩინარდა.

ა ის შენობა...  
 გოგო ლამაზი სადაც შეფრინდა,

მორცხვი ღიმილით რომ ჩაუარა,  
 თითქოს შეთრთოლდა.  
 კიდევ გნახავთ, თითქოს შეპირდა,  
 თითქოს ანიშნა: „მოხვალ თუ არა?...“  
 სწორედ ის არის...  
 მდივნის კარებთან რომ ზის პეპელად,  
 მზის სხივებით თმებგადაწული,  
 ის მომკინარო.  
 უცებ, სიმკაცრის მაუწყებლად  
 ცივად შეუბღვერს ბეჭას ქალწული.  
 განა გულცივად,  
 განა მრისხანედ და წარბაზრილად  
 მივიდა ბეჭა ლამაზ მდივანთან  
 და გაუცინა:  
 — ლამაზო ბავშვო, თქვენთვის  
 დაღვრილა  
 სისხლი ჩემნაირ ადამიანთა.  
 შერცხვა ქალიშვილს,  
 თავი დახარა, მაგრამ გვიანი  
 იყო მუდართი, ხევწინით მიმართვა,  
 თხოვნა, ბოდიში...  
 ცეცხლგამოვლილი ადამიანი  
 დაუკითხავად შედის მდივანთან.  
 ო, საოცრებავ,  
 ო, გახსენებავ სკოლის მერხისავ,  
 ო, მეგობრობავ დაუქანგავო,  
 პოი, ოცნებავ,  
 მოულოდნელი ტყბილ შეხვედრისა,  
 ო, ალტაცებავ დაუსაბამო...  
 აი, შემთხვევა:  
 ხელებს გაუწვდის ბეჭას მდივანი

— ბიჭო, შენა ხარ, არა, არ მეჯერა...  
 გადაეხვევა, სახეჩოფურა,  
 შენაჯღრევს, დაკრავს მხარზე  
 მარჯვენას.  
 მათი საერთო?...  
 ...არის დღეები ტყბილი სიყრმისა,  
 წამით ვერ ძლებდნენ ძმადნაფიცები  
 უერთმანეთოდ.  
 ხან ეშვებოდნენ მტკვარზე ცისკრისას,  
 ხან ბურთაობდნენ თავდავიწყებით.  
 მერხო, პატარავ,  
 შენმა სიყვთემ დააქმობილა  
 ორი სიცოცხლე, ორი ქართველი,  
 როგორც აკვანმა,  
 შენ უნანავე მათ ბალღობიდან,  
 შენ მოაფრქვეე ძმობის ნათელი.  
 მერხო უსულოვ,  
 მათი გულების ფეთქვას საამოს  
 გულისხმიერად და დაკვირვებით  
 რომ მოუსმინო  
 ფესვებს გაიდგამ შენც ამ საღამოს,  
 გამოცოცხლდები და აკვირტდები.  
 იდგნენ სარკმელთან,  
 მტკვარს გასცქეროდნენ სიყრმის  
 ტოლები,  
 ერთმანეთს უხმოდ აიმედებდნენ.  
 ორივე ერთად  
 ჯერ ნაადრევად შეთოვლილები  
 თითქოს ბავშვობას მტკვარში  
 ეძებდნენ.

(გაგრძელება იქნება)



აღწერა ქართულიდან



## დემან შენგებელიას „განძი“

ამ პატარა წიგნში მოთხრობილია პატარა ოჯახის ამაგი მისი ცხოვრების პატარა, სულ ორი კვირის მანძილზე და დიდი ფსიქოლოგიური წვდომით მოცემულია დიდი ადამიანური ტრადედია. წიგნი იკითხება გატაცებით. ზვენი აზრით, რაც მეტი დრო გავა, მით უფრო ნათელი გახდება „განძის“ მნიშვნელობა და თავისდროისობა.

ლიტერატურაში ხდება: როცა მწერალი, რომელიც ღრმად იგრძნობს თავის ეპოქას, თავის შთაფარ გმირად ირჩევს არა წამყვან, ძლიერ, თუნდაც ისტორიულ პიროვნებას, არამედ არაფრით არ გამოჩენილ, რიგითს ადამიანს, მაგრამ მასში ასახავს ზოგად მოვლენას და შექმნის თავისი დროისათვის დამახასიათებელ ტიპს. ამ გზით მწერალი აშუქებს ამა თუ იმ პროცესს, რომელსაც განიცდის მთელი ხალხი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გარკვეულ მომენტში. სწორედ ასეთ ნაწარმოებად, ზემო აზრით, უნდა ჩაითვალოს შენგებელიას წიგნი „განძი“. ამ წიგნში მწერალი იძლევა ცდას, დაამტკიცოს, რომ, ზვენი საბჭოთარ ქვეყანაში არსებული ეკონომიური პირობების გააღწეით ადამიანში უნდა წარმოიშალოს საკეთიბების მგლური ინსტიქტი.

თემა ამ ნაწარმოებისა არ არის ახალი. იგი უძველესი დროიდან მომდინარეობს ხალხურ ზღაპრებსა და ლეგენდებში. ამ თემაზე განსაკუთრებულად თავი იჩინა ფეოდალური სისტემის მიხრწინისა და კაპიტალიზმის აღმართების ხანაში. „ოქროს კერპის“ ელიარებამ ამოქმედებ ბალზაის გენია და დააწერინა ადამიანური კომუნიტის“ სათაურით უკუდავი ნაწარმოებები. ბალზაყმა იწინასწარმეტყველა თავის შემოქმედებაში, თუ რა საშინელი მომავლენებული გააფრებით დაეხსმოდნენ ერთიმეორეს ოქროს შექენით გატაცებული ადამიანები. ოქროს ყვითელმა დემონურმა ძალამ შთაბერა ძარღვებში მგლორი გაძლევა და დაუნდობლობა ჯეკ ლონდონის გმირებს,

ოქრომ დაღუბა ზელოვნება გოგონის ჩარტკოში; ოქროს შექენის სურვილმა გააგვი გერმანი „პიკის ქალში“ და სხე. ოქრო თამაშობს წამყვან როლს კაპიტალისტურ სამყაროში, დიდ ძალადღუბას ანიჭებს იქ ადამიანს, ხდის მას ბატონად და ე. წ. „ზეადამიანად“.

მაგრამ რატომ წამოიჭრა ეს თემა ზვენი სოციალისტურ პირობებში? და თუ წამოიჭრა, რა უნდა ეთქვა მწერალს ახალი, როგორ უნდა გადაეჭრა მას ეს მოვლენა ზვენი გაჩეიოცებაში?

უკვე ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია წიგნმა მკითხველში, იმაზე ლაპარაკობს რომ მწერალმა ზვენი სინამდვილეში აქტუალურ თემას მოაგლო ხელა და დამაფიქრებლად გააწყვიტა იგი. მწერალმა თავის გმირში გამოამყვანა მასში ფარულად არსებული საკეთიბების ინსტიქტი და არსებული ცხოვრებით წაფარებული საზოგადოებრივი ენებინაობა, ნათელყო, რომ ოქროს ძალა არ არის ჯერ კიდევ ამომყვარი ზვენი ადამიანებშიც, მხოლოდ მას ფრთები აქვს შეკეცილი. მისი გმირი თავის თავში ატეხილ ბრძოლაში საბოლოოდ დამოკიდებული აღმოჩნდება არსებულ საზოგადოებრივი პირობებისაგან და სასტიკად დაისჯება ყოველი ძალადღუბის ჩარევის გარეშე. მან დააყენა თავისი გმირი ქონებას ახალი ინტერესების გაგების წინაშე და დააჩოქა იგი მორალურად. მწერალმა, ამევე დროს, დიდი შთაგონებით მოახერხა ზვენი იმისა, თუ რაოდენ მიიშვა, პირდაპირ ტრაგიულია ადამიანში გარკვეული ფსიქოლოგიური განწყობილების გუნდაღუბლობა სინამდვილეში.

მწერალმა საყვებით სამართლიანად გამოამყვანა ზვენი შორის გამიღობის სურვილი გატაცება და პემანური მწერლის მთელი მხატვრული ძალადონით შეებრძოლა მას. საზოგადოებრივი, რომ მან ამ დამღუბველი ანგარების ზვენი არ მოინდომა საზოგადოებრივი



მოვლენების ნიადაგზე: მან არჩია კონკრეტული ფაქტი „განძის“ პოვნისა. ასეთმა მხატვრულმა ხერხმა მას დიდი უპირატესობა მისცა გმირის ფსიქოლოგიური განცდების დრამატულად გაშლისათვის, ერთი მხრივ, და თავისი იდეის მკაფიოდ გამოქვეყნისათვის, მეორე მხრივ. ასეთ ნიადაგზე შექმნილი ფსიქოლოგიური კონფლიქტისათვის, ცხადია, საჭირო იყო უფრო უშუალო ბუნების აღმნიანი, და დ. შენგულიამ უსათუოდ ღრმა მხატვრული აღლო გამოამყვანა, როცა თავის გმირად მიწის მშრომელი გლეხი გამოიყვანა.

„განძი“ წმინდა ფსიქოლოგიური ნაწარმოებია. მოქმედება აქ ნაკლებად გვხვდება. სამაგიეროდ, მოცემულია გმირის მძაფრი განცდები და ისეთი დაძაბულობით, რომ „ამბავს“ ნოველის ხასიათი ეძლევა. მთავარი გმირი ერთია. სხვა დანარჩენი ემსახურება ავტორის იდეის განვითარებას.

საუღია ჩვეულებრივი მშრომელი კოლმეურნეა, ასევე — მისი ახალგაზრდა ცოლი ფუნდუ. ისინი იმ დღეს ჩაის პლანტაციის მუშაობენ. ჩვენს წინ ჩვეულებრივი სურათია სოფლის შრომის დღისა: ქალი ჩაის კრეფს, ქმარი ბარავს.

შეჩალი ამ შრომის საათებში იძლევა მათს ფიქრებს, რის საშუალებით ჩვენ ვივხვით მათს კინობას და ექმნით ჩვენს წარმოდგენას მათზე: სპი წელია, რაც ოცდაათი წლის საუღიას შურთავს ოცი წლის ფუნდუ; შეილა არა ჰყოფს და ეს აწიხებს ორივეს. ავტორმა კარგად იცის, რა მამედ განიცდის გლეხი უშვილობას და სთანადო ყურადღებით ეყურება ამ თემას; საუღიას ძალიან უყვარს თავისი ფუნდუ; უთვალთვალს უნებმად თავის წინახსა და „ეთქმელ“ ლამაზ ცოლს, აგონებს მის ობლობას, გრძნობით გასძახებს ჩაის ბუჩქზე წახრილს: „ფუნდუ, ა, ფუნდუ“ და გულს საღრმოდან მომდინარე სიყვარულით გაათბობს თავის სიტყვებს მის გამოძახილზე: „არაფერი, ჩემო ოქრო.. ის მაფიქრებს... ასე უშვილოდ ხომ არ უნდა დაღებრდეთქო“.

შეჩალი უკვე გავებინებთ, რომ ამ პატარა ოჯახში თანხმობა სეფეებს. მათ უყვართ ერთმანეთი. იცის საუღიამ, რომ „ვერა, ვერაფრით ვერ გაძლება ამ კაფანდარა, შეწყაზარი ქალის აღერსით“.

შეჩალი ამ სიყვარულის ფესვებს უფრო ღრმად ჩუქვებს ამ ორი აღმნიანის ურთიერთობაში, რათა დასძულ თემას მეტი სიმკვეთრე მისცეს იმ დღესვე წარმოშობილი დრამის გამო; როცა ცოლი შემოდამებზე სახლს მიაშურებს, რომ მოღაროს თავის პატარა მეურნეობას და, რაც მისთვის მთავარია, საჭმელი მოეშადოს ქმარს, რძლის „მოშავებისაგან“ შევარდნილი ფერდები გულს ატენს“.

საუღია რჩება და, თანდათან ოცნებაში იძირება.

საუღიას იმედი აქვს, რომ იქვე მუქანდნით ჩამალულ ღარბს ფაცხას მალე უკრთვების დაძაბრებით სამ-ოთხიდან სახლად გადაქცეეს. მეგრე „შემონახული ხელით“ თავის ფუნდუს ქალკს წაიყვანს. იქ უშვილობისაგან უწყობლად, შემდეგ საუღიას ფუნდუ მაღაზიებს დაატარებს, უყიდის „ფართალ-ფერთალს“, „პრელ თეატრს“ წაიყვანს. აქ საუღია საამოვნებობით ათვალერებს ქერისა და კედლების მოხატულობას, უსმენს მუსიკას, არჩევს ბგერების ცვალებადობას, მათს ერთმანეთში შეთანხმებულად ხმარს.

ჩვენ წინ ლარიელად განწყობილი სასიმონო მეოჯახე გლეხაცია — ცოლის მოსიყვარულა, კარგად მოწყობილ ცხოვრებაზე მოეცნებუ და არცთუ უშეცარი აღმნიანი. მკითხველში ის დიდ სიმამათიას იწვევს.

ამ ჩვეულებრივი აღმნიანური თვისებების გვერდით შეჩალი თავის გმირს მოვივლენთ ახალი, ჩენი, საბჭოური აღმნიანის თვისებების მატარებლად: ის „მშრომელია, ხელმართალია, ქირსა და ღიხში ღმერთმა მოვცეს“ ისეთია: „შენჩემობა, წუწურაქობა ქირივით სძულდა და საერთო საქმე თავის პირად საქმედ მიანდა“. მასში თითქოს დაძლეულია პირადი, ერთი, თავდაუზოგავდ იბრძის საზოგადო საქმისათვის, დაუღალავად მუშაობს: „ეს ისაო, ის ესაო და გაპარსვის დროც კი ვერ მოეძებნა...“ „კოლექტივეში შრომას ისე შესწევია, რომ გული მუდამ იქით მიეწაია“. საუღია ამოხვობს, რომ „ხშირად ამწვენებს კოლექტივის ღუჯს“.

ასეთ ახალ აღმნიანად უაღიბდება ჩვენს ცნობიერებაში იმ დღეს მომეშვე საუღია და ჩუნთვის არათუ მოულოდნელი, გაუგებარიც იქნებოდა ასეთი პიროვნების ისეთი ელისებური გარდაქმნა, როგორც მოხდა მასში იმ დღესვე. მაგრამ შეჩალი, როგორც ჩანს, ღრმად ჩახედულია ჩვენს ყოფაცხოვრებაში და იცის — არიან ისეთები, რომელთა სოლის ფსიქურზე ფუთფუთობზე გარკვეული ინსტიტუტი, რომაღნი, ამოქმედდებთან მათში, როგორც ეს შეჩვენება სათანადო სტეპია.

ამიტომ არის, რომ ავტორი საუღიაში იძლევა კიდევ სხვა სახასიათო ელემენტებს და გვაშადებს მის ფსიქოლოგიაში ატეხილი მძიმე კონფლიქტისათვის.

საუღია ფიზიკურად ძლიერი ვაჟაცია, „მკლავმაგარი“, „ფართო კლდესავითი მკლავრი“, „ანთებული თვალბობი“, „თითქოს მიწადან ამოზრდილია“, „ევება ბარს ნაღორივით ატრიალებს“ და თან „ამ ატეხილო შალის მთების ერთი უბარი, უჯრათი ნავლია“. მკითხველი უნებურად ვერებს დაიქვევს ამ სიტყვებზე და უსიამოვნოდ ჩასწვდება გულში

ფუნდუს შენიშვნა: „უხვი ხარ, უხიაგი ხარ...  
კაცს შენი მუდამ უნდა ეწინააღმდეგოს“.

საკმარისია, ავტორმა უკვე დაგვსა მკითხველს ოდნავი დაუკვირებით, რასაც ის უფრო გაამატილებს თანდათან, როცა თავისი მთავარი პერსონაჟის პიროვნებას გაშლის გარემოსაღმის კიდევ სხვაგვარ დამოკიდებულებაში და დგანახებებში მასში სხვა, ღრმად გაღმურჯერი ისევ დაუძლეველ საწინის.

ოცნებაში და ფიქრებში წასულ საულის ავტორი იმ დღეს ორჯერ მოაგონებს: „ამ რამდენიმე წლის წინ, იქ, მთებში, ერთი მტკავველი მიწის გულისთვის შეზობული წაღლით დასჭრა და სიციცხლეს კინაღამ გაშოასაღმა“, რის გამო მას „მოსისხლეთაგან განშორება“ დასვირდა და აქ, ბარში, ჩამოვიდა.

მიწის საყვარელს და მასში საუთრების ინსტიქტს საუღია, როგორც ვხედავთ, შოლოდ რამდენიმე წლის წინ დანაშაულობამდე მიუყვანია. საუღია დღესაც მიწის მოთაფვანია: „მიწა მუქით ხელში აიღო და მამიველ წამოღება, დაუკურდა, რა მიწაა... აღტაცებულ წამოიძახა“. მისთვის „მიწის ფასს ამ ქვეყნად არაფერია“, ავტორი ხაზგასმით რამდენჯერმე აღნიშნავს საუღიაში მიწისაღმის ამ ჩაუქრობელ ფუნდუს, როცა უკვე განძის პოვნის შემდეგ მას აქმევიანებს: „ეს ფული, აბა, რისთვის შინდა, თუ მიწას, მამულებს ვერ შევიძინებ“.

საუღიას პიროვნების სხვა მხარეზე ლაბარაკობს შემდეგიც: არსებობს ამ ნაწარმოებში ერთი ბერკეტი—მუხედვე ოტია, მისი ფუნდუს ბავშვობის შობავე, ძლიერ მართალი, გულუბრყვილო, მაგრამ ბძმენი გული ვერ მოუგნდობრებია საუღიას. ის თერგი ერთხელა არ სწევია მის კერას ამ ისრა წლის განმავლობაში. ფუნდუს კარგად იცოდა, „მისი ტრანქიქმრის ნდობა მოხუც ოტიას სულ არ ჰქონდა“ და საუღიამ თუთონაც იცის, რომ „ვერადერთი ვერ მოიგო მისი გული“.

ავტორი ამ რამდენიმე შტრიხით აღვიძებს ფუნდუსი ბარს, რომ შესაძლებელია საღდაც რაღაც აღმოჩნდეს საუღიაში ისეთი, რაც გაბზარავს მის ახალ შეგნებას და დაუკავშირდება ძვილ დანაშაულობას. და ეს რაღაც შეიძლება გამოიღინდეს მთელი მისი ძლიერი ვაკეაღის ვნებანიობით. და, აი, იმ დღეს, დაღლილი, დანაწყოლი ხელებით დაკრული ბარის პირი მოხატება მიწაში ჩაფულელ, ოქროებით სავსე, ქილას.

აქედან დაიწყება მწერლის დახვეწილი უნარი ფსიქოლოგიური კონფლიქტის გასვენაგახსნის გენიოთარბაში და მისი უშუალო ჩარევა მოკლენის შეფასებაში.

საუბოლოდ გამოამტკავნებს ავტორი საუღიას სულისკეთობის ბარის პირის ქრატუნის პირული მომენტდამე: „რა უნდა იყოს? მეორე უარტყმა ბარის და უკვე გულისცემა,

გრძობა, რომ აქედან ასე ადვილად ვერ წაველოდა“, და მის უკვე ბარი ხელდასაგავარდა, როცა მიწამ პირი შეუღლია შოლოდ და თვალბუბით თითქოს რისხვილი მოეჩინა.

ავტორი განავრტობს ოქროსაღმის თავის დამოკიდებულებას უკვე სიმბოლორად: „მიწასთან ერთად თითქოს სიმბოლოც ათოქონდა“ საუღიას ბარს... „უფიოთელი მუქი ცივად, როგორღაც უსიციოცხლოდ აციაფდა“. საუღია დაატყვევა ამ მუქმა—ის „ფუნდუსდა“, უკვე „უხაროდ ბტბტუბება“, უკვე ხელბუბით ცვაღერგს და ნაჩქარეად ამოყრილ მიწას ავტორი თან ამოატანს „უფეხუნად ასხმულ წითელ ვეებს... ორად გამოხილ შევი ენის სისინით“.

ავტორი აქვე მოაკლევინებს ამ გველის საუღიას და მკითხველში იმედს წარმოშობს. მისთვის ნათელია გველის სიმბოლორობა და მისი დაძლევა საუღიას მიერ ბადებს აზრს, რომ იგი დაუფოვნებლავ გონს მოვა და აღმოჩენილ „განძს“ წააღებს, საღდაც ვერ არს. თან უხარია, რომ საუღია სათანადო მადლობასაც მიიღებს, შესაძლებელია, ფულის საბითუ, და თავის იმ დღის ოცნებებს სისრულეში მოიყვანს.

მაგრამ ავტორი ვერ გაუყვებოდა ასეთ იოლ გზას, ვერ უმტყუნებდა ფსიქოლოგიურ სიმართლეს საუღიას ბუნებაში და, თუ იტვენ ჰეთხათე მას, რატომ ამ მოიქცა ასე, გასახებებთ, რომ მასაც ვეგხარდებოდა საუღიას ასეთი მოქცევა, მაგრამ საუღიამ არ დაუჯერია, ის გაჰყვა თავის განცლებს და უხედურმა დაღუპა თავისი საყვარელი და ჩემთვის სიმბათიური ფუნდუსი, გული მოუღა კეთილ ბერკეცს ოტიას და გაატალა თავისი თავიყო.

საუღიას, პირიქით, გაღარებს ოქრო, რომელმაც „მისის ვეელის თვალბუბით მომუნსხავად შემოიანათა“ და თავი წართუვა: „თათქოს შემოღობა ვაიონა და უკვე ჩაუღმდა“. იგრძნო ძლიერება „ამდენი ქონებისა“. ბავშვლო ოქროებით წარმტაცილ ხასხასებდნენ მის თვალწინ. შიმშია მოიყვა: „ამერთმა ნუ ქანს, ტუფილი იყოსო“. ეს სინამდვილეა და, უკვე სიხარბით შეუპრობილი, ერთ ვადეარდნილ ოქროსაც გამოუდგება და უკან ჩაავდებს ღერგში. აფორიაქდა საუღიას ფსიქოქა, მოქცევა „უფიოთელი ვეებს“ კლამქებში. ნაღობივით ფრთხილი გაზღება: არავინ ვუვოსს არავინ მოქრას მას თვალბ. მშვიდობით, მოსვენება! იწყება გამოთიშვა ვარემოდან, ატუღება რთული კონფლიქტი ამ ვარემოსა და „განძს“ შორის.

ოქროსთან დაკავშირებულია კეთილმოწყობა, და ავტორის ნაწევრბ-ნაწევრბად შემოაქვს მის ვანდებში ფორტი ფუნდუსი: „აიტის რჩეს არ მოაკლებს“ მას დღეიდან. „სახლსაც წამოღვიმავს!“ და უფირად საღი მოფიქრება: „ეს ხომ ისედაც შეიძლებოდა“ კოლოქტივის პირობებში. ჩნდება შეგნება, რომ ფულს ვერ მოიხ-

მარს: „ძველი დროება ხომ არ იყო, რომ ეს ღვთისმშობელი და შინ არსებობდა მიეტანა“. ამიტომ არის, რომ სიცივემდე მისულ თავ-დათვიანობასთან ერთად ატოროი აღნიშნავს, როგორ იგრძნოს საელიამ, რომ „სტეკილია შიგნით რაღაც. და რა სტეკილია, თვითონაც არ იცოდა“. ატორს არ გამოჩნება მხედველობიდან საელიამში ახალი ცხოვრებით აღბეჭდილი კვალც. მხოლოდ ამ კვალს იგი აღნიშნავს, ყრუდ მოცემულს, ასეთი მძაფრი ფსიქოლოგიური კატალიზმის მომენტში. საელია სულით დაავადებულს დაემსგავსება. ასეთად აღიქმება ის ფუნდუს მიერ, კოლმურტნობის სხვა წევრების მიერ, რადგან არავინ იცის საქმის ნამდვილი ვითარება. ოქროს ტუველიამში მოქცეული საელია იტანჯება საშინლად: მან იცის, რომ ის ახლა „ველაფერი შეძლებს“, მაგრამ როგორ? როგორ უნდა მოახერხოს ეს? და ძლიერების გრძნობას თან სდევს ტუვილი, „გაქარავს რაღაცა მშველი-ვის“ და უსუნერად ამოიგრძნობს: „ღმერთო, ეს რა გაგანია გამოჩინეთ“. მაგრამ აქვე „სიხარული აიტანს“... საჭირო იყო დაფარა აღმოჩენილი განძი. შრომა აღარ იყო საჭირო, აღარც სიყვარული. „არის სიყვარული, რა სიყვარული, ამ ხარბმა გრძნობამ გაატიალა ვეღაფერიო“, ამბობს ატორი. სახლშიმისულ საელიამში „ფუნდუს ისეთი რაღაც ამოიკითხა, რომ ელდნაევი გაქვადა“. საელია უგრძნობელი რჩება ფუნდუს ჩერხელზე: „იცი, რა გიხარა, საელია, ორსულად უნდა იყო“. ის მხოლოდ იმპულს ფიქრობს, რომ გაკეთდა, იმდენი ოქრო აქვს, რომ არ იცის, სად წაიღოს. აღარაფერ სჭირდება, „უყვალს ფუნდუსში შესუქრისი“ აქედან როდის წაუტრეკო... ასე იძლევა ატორი ამ გვირგვინ ოქროთი ამოქმედებულ ვეგისტრს საწყისებს.

მაგრამ ძველი დროება ხომ არ იყო... და ატორი დაეკვირება თანამედროვეობას თავის გვირს: „ის მიხდება, რომ ყოველივე ამას ვერაფერს ვერცხვად და ვერც ვერაფერს ვნდობოდა“. ფულს საელია ვერ მოიხმარდა და მაშინ: „ეს ფული რისთვის უნდა თუ მამულუნა და მიწას ვერ შეიძლება?“

ასე გაართულებს დ. შენგელია თავის გვირგვინს განცხადებით ადამიანის, რომელსაც უხარბობაში სიმდიდრე მოხვდა ხელში და საშუალება კი მისი რეალიზაციისთვის წართმეული აქვს. სასოწარკვეთილებამდე მიიყვანს, საშინელ სემარტოებს განაცდევინებს „საკუთრების ამ ხარბი გრძნობით“ შეუყობობს: „...ასე მარტობულს და შორს გარიყულს რა მაციცხებ? იმდენი იგი და ხელნუს შედარით ზეკაი მოკურობს. იტანჯება საელია, მაგრამ იცის, იმეზმის ლეკვად არის ქვეული“. ძალს შესწივს: „ხედავ, ფაქტია რა დღეში ვარო“.

განმარტობა ამ თავის თავთან ბრძოლაში

მით უფრო განიცდება, რომ ის მოკვდა/მწაქაე შრომას: „ნამუსისაგან ვეკუთრებოდა, რომ გავანია მუშაობის დროს... მიგრტობზე წამოწოლია და ქვეყანას ატყუებს, ავად ვარო“. მას გულში სწვდება „ოღონო“ და „ოცნებით წარმოღვენილა შრომამ... ცოტათი მაინც გულს მოუფონა... „თავისი წამება წუთით გადავიწყდა და „ისევე ახალი და ხელმართალი გლუხავაი იყო“.

აქ ატორი ოქროს ძალას დაუბირისპირებს შრომის სიყვარულს და კიდევ მებრად ართულებს კონფლიქტს გვირის ფსიქოლოგიაში, დამსგავსებს მას გალიამში მომწყვდულ მუცეს, განასხვავებს, განაცალკევებს, წიხლს ჩააცემინებს ფუნდუსში კოლის მუცელში, რომ სულთმობრძავს შეავნებინოს სინამდვილე და თავისი მღვთმარტობა. „ისეთი ქონება მართლაც რად მინდა, თუ ვერც გამოვსვენ და ვერც მოვიხმარო... ისეთი ფული რათ მინდა, თუ ვერ დავხარჯავ?“ ამოიყენებს საელია, მოთმინებიდან გამოსული. ასე აძილებს ატორი თავის გვირს, გაუწიოს ანგარიში თანამედროვე საზოგადოებრივ პირობებს, მიიყვანს მას დასკვნამდე, მოიშოროს თავიდან ის, რამაც ასე გატანჯა, ასე გაამარტოვა: „უნდა დამწყველო? — ყვირის ის, — ვინ გამოვტა? ამაღ დამღებია? ამაღ დამიქცია ოჯახი! ცხოვრება, შრომა, სიყვარული მამ რა ყოფილა! თუ ეს ასეა, მამ, კოლექტივში რა უნდოდა? წელანაც აქ სიყვარულს ფუნდუს რისთვის ვფიცობოდა“ და შწარება: „სად გავგონოა უღონო ქალს ვაძვავაი ხელით შეხებობდეს?“

ატორი აქ ჰუმანური იდეების უმალეს დონეზე დგება, როცა თავის გვირს ოქროს ძალას დააძლევინებს შრომის, სიყვარულის და, საერთოდ, ადამიანური დამოკიდებულების სასარგებლოდ. ასეთი დასკვნა საელიამში ხდება არსებული საზოგადოებრივი პირობების ნიადაგზე — მას არ შეუძლო გამოყენების „განძი“. მას არ შეუძლო „ძენწი რაინდივით“ ზედ დაკედომა და ის აძილებულია წაიღოს ფული კოლექტივის კანტორაში.

აქ, ამ კანტორაში, ატორი საბოლოოდ დაამარცხებს თავის გვირს საყვარულის გრძნობას და გამარჯვებას მიანიჭებს შემოქმედებითი შრომის ახალ ადამიანებს. როცა საელია ოქროს დაავრთვებს მათ წინ, არც ისინი რჩებიან გულგრილნი. მაგრამ, როცა საელია ჩახვადვს მათ თვალბში, ის იქ ვერ ამოიკითხავს ვერც სიხარბებს და ვერც ვერაფერთარ ანგარებას, და გულნატყვიანდ ამბობს: „მაჯობეთ, არა? კაცობაში მაჯობეთ, ხომ? მე კი ქვედა დავარჯე. თავი დავკარგე. საელიამ ჩააბარა ოქრო და... ერთი ისე ამოიხუნთვა, თითქოს რაღაც უსამშველო პირი მოიშორაო“, — ამბობს მწერალი, გაათავისუფლებს რა თავის გვირს სა-



ქუთუბის მიმე გრძობისგან ჩვენს პარობებში.

საულის დამცირებას ატორი არ ათავებს ამ სკენით, ის მას დასჯის კიდევ მეტად: სახლში დაბრუნებულს ფუნდუ ჯერ კიდევ თბილი, მგარამ უკვე შედარის დახედება და სასოწარკვეთილი დაიუვირებს: „არ მანატრე, მინც გამოვირე“.

ატორმა არ მოინდომა საულის ხვედრის შემსუბუქება, მიუხედავად იმისა, რომ ის გაათავისუფლა ოქროს ტუბისაგან. ოქროს სიხარბით გამოწვეულმა მხეცურმა წიხლისდარტყმამ დაღება მისი საყვარელი ადამიანი.

მკითხველი უნებურად ფიქრობს: ხომ არ ემტყუნა შვერალმა ესთეტურ ზოშიერებას, როცა ამ ადამიანს დასჯას ასეთი განუსაზღვრელი გზა ვაუხსნა? ხომ არ არის ფუნდუ მეტად მძიმე მსხვერპლი ამ ამბავში? ჩვენ ძალიან გეცოდება ფუნდუ. ძალიან ებრაზობთ ორსული ცოლის მეტადეში ჩატყმულ წიხლებზე, მაგრამ საქციელი იმდენად უპასუხებს განწყობას და სწორედ იმ კრიტიკულ ფსიქოლოგიურ მიმდებრში, როცა საულისა საშუალოდ უნდა გამოსთხოვებოდა ცოდან ჩამოვარდნილ ფანს, რომ მისი სულიერი განწყობის ასეთი გამოვლენა მკითხველისათვის სახსებით შესაძლებელია, ქვეყნის სრული რეალობისათვის სჯობდა, რომ ფუნდუს ორსულობის ფაქტს არ მიეღწია საულის ცნობიერებადღე, არ განეცდა მას ნაწარმოებში მოცემული დიდი სიხარული ამის გამო.

შვერალი იდეურად სეამს საკითხს ოქროს დამღუბველი გავლენის შესახებ ადამიანზე და წყვეტს მას ჩვენი სოციალისტური ქვეყნის უროფაბოერების პოზიციებიდან. საულის ფსიქოლოგიური კონფლიქტი, მისი ტანჯვა-წამება დასაბუთებულია მისი შინაგანი მოთხოვნილებების გარესამყაროში გუნდადებლობის ნიადაგზე, რის გამო, საბოლოოდ, „განძი“ ატრანელ ტვირთად იქცევა და მისი მოშორება გაათავისუფლებს მას, მსუბუქად ამოასუნთქივნებს. ამ გზით აღწევს ატორი იდეურ დასკვნას: ჩვენი პირობებში ადამიანი იძულებულია განიტვირთოს შესაუთერობის ინსტინქტისაგან.

სასამოეწო მოვლენად უნდა ჩათვალოს ფუნდუს სახე ქართულ თანამედროვე ლიტერატურაში. ნახე, მომთმენი, ღამაზე, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ფუნდუ ნამდვილი ქართული ქალია. ობლობაში გაზრდილს, ოტრას გულთან ერთად შეურჩენია საუეთარი მადლიერი გული და სიღინჯე. „საგაზეთოდ გამზდარ, განთქმულ ჩაისმკრეფელ კესანესთან“ გაუტარებია მას მრავალი წელი და მუყაითი მზრამელი კოლეურჩე დამდგარა. არანებუ-

ლებრივი მიშვიდელობით იძულება შვერალი ფუნდუში დედობის გრძობის გაღვივებას: „შეშთან ერთად გამოუტანა... მიხედავით, სადაც ბუნდოვან სიხარულს გრძობდა“ ფუნდუ, როცა დარწმუნდა ფუნდუმობაში „სიხარულმა აღტაცებამ სული შესტაცა... ბუნდურება კარს მისდგომია... სიციცხლე გეამში ჩათესლებია“. ატორი გვიხილავს თავისი სიფიქსით, დახვეწილობით ამ გრძობის აღწერის დროს: „მეშტის ოდენად მოუტმუდმა და განაბულმა თავის თავს დაევირეებულად მიაუერა. ტანში სიჩუმე იდუმალებად ჩამოსდგომოდა და ეს სიჩუმე აღმათ სიციცხლის ის სანატრული კრომა იყო... ჩიტვიით შეფრთხილდა, ფუნზე წამოღგა. საულისა, საულისა“ უნდოდა დაეძახა.

ფუნდუ ბუნდურია ამ საღამოს. მაგრამ მოვა საულისა დაგვიანებული და გათავდება ბუნდურება. ფუნდუმ არ იცის, რა დეგმართა მის ქმარს; ეშინია, რომ ის სულიერად დაავადდა. ფუნდუ გვაოცებს სწორედ ამ წუთიდან. ამ ოცი წლის კოლეურჩე ქალში შვერალი აღმოაჩენს იმუყათ ქალურ სულიერი დახვეწილობას, ვასაოცარ აღლის, უსაზღვრო მოთმენილობას. ფუნდუ ფრთხილია, არც ერთხელ არ მოიქცევა ისე, რომ ქმარი ააღუღვოს ზედმეტად. პირიქით, ცდილობს მის დაშინების... ცდილობს შეუშინველად გაარკვიოს მხეზი მისი ასეთი გარდაქმნისა. შინით მოუღლი — თვალს ადევნებს, უღლის. ასე გრძელდება, სანამ არ წაადგება ქმარს თავზე „აქრძალედ ადგოლზე“. ფუნდუს ჯერ გაეზარდება გამძღდრება. ახალგაზრდა ღამაზე ქალს ჩაემა-დაბოტვა უნდა, მაგრამ შემკრთალი იყოთხავს: „იესია ეს?“ და სწრაფად გადაწყვეტს, რომ ახლისაა, შეებრძოლება ქმარს და გახდება მისი გამაგების მსხვერპლი.

ფუნდუში ატორმა მოგვცა კოლეურჩე ქალი, რომელშიაც უკვე ბუნებრივად წაშლილია ყველა ინგარება და განუოთარებულია პსუხის-მეგობრობა ხალხის წინაშე.

ასევე უპასუხებენ თავის დანიშნულებას ჩვენი თანამედროვე ცხოვრებაში ისინი, ვინც მიიღებენ საულისაგან „განძი“, დაათვალიერებენ ოქროს და ხელს მოაწერინებენ. ესენი არიან თავისუფალი შრომის ნიადაგზე აღზრდილი ახალი შვეგნების ადამიანები, რომელთა „ჯობნა“, „კაცობა“ ხელს უწყობს საულების გამოწვრებას.

ნაწარმოები დაწერილია შვერლისათვის ჩვეულებრივი მხატვრული ენით. აზრის ნათლად გაშლა, სახეებზე დასრულებულიად გამოკლევა, იდეის ჰუმანერობა შედეგს დ. შენგველიას გამარჯვებას ამ პატარა ნაწარმოებში.



## მ. მრეველიშვილის ღრამატურები

მ. მრეველიშვილი ოთხი პიესის ავტორია. თანადროულობა — აი სული მრეველიშვილის დრამატურებისა, მაშინაც კი, როდესაც იგი ისტორიულ დრამას წერს. პიესებში — „ხარატანთ კერა“ და „ზუაი“ მას აღვლევს ახალი სამყარო განმტკიცების, აღმართის ახალი შეგნების: აღზრდის პრობლემა. მ. მრეველიშვილის პიესები თანადროულობის სულით არიან განსსკეპლული. არსებობს სხვადასხვა გვარი თანადროულობა, არის თანადროულობა მკვდარი ფაქტებისა, საყოველთაოდ ცნობილ მოვლენათა ფორგრაფიული აღწერისა. ასეთ ნაწარმოებებში პირადული შექანიერება დაჯავშინებულია საზოგადოებრივთან, გვირგვინი ცხოვრებაში ყოველივე წინასწარაა განსაზღვრული, მოკლებული ყოველგვარ შინაგან კონფლიქტს. ამიტომ, მ. ლავრენევის თქმისა არ იყოს, ამგვარ „თანამედროვე“ პიესების გვირგვინთან შედარებით, ეიონინის „კარანა“ უფრო თანამედროვედ მოგვიჩვენება.

არსებობს მეორეგვარი თანადროულობაც, თემისაგან დამოუკიდებელი. ეს არის ადამიანის აზროვნების, ცხოვრებასთან და მის მოვლენებთან დადოკლებულობის თანადროულობა. ეს არის ჩვენი სამქოთა ადამიანის მორალისა და განცდათა თავისებური წყობა. თანადროულობა თვით შრომისა და ყოფის ატმოსფეროშია, დადებითი გვირგვინის ხასიათის შექმნაში და ვადაწყვეტაში, მისი სულიერი მშვენიერების გახსნაში. ცხოვრების კუმპირიტი კლანა საწინდარია ამისათვის, რომ ზელოვნებაში სიმართლესთქვა, — კუმპირიტი სიმართლეს კი წარმოუდგენელია პარტიულობის გარეშე, ზალხის ცხოვრებაში ღრმა ჩაწვდომისა და მისი მხატვრულად ასახვის გარეშე.

როდესაც ჩვენ ვკითხვლობთ მ. მრეველიშვილის პიესებს, სწორედ ეს პათოსი თანადროულობისა იგრძნობა მათში. ჩვენ ნათლად ვხედავთ, როგორ არჩევს ავტორი მისთვის საჭირო პრობლემებს, ხასიათებს, როგორ ცდილობს — ხასიათთა ფსიქოლოგიურ გახსნაში, დაძაბულ დრამატულ მოქმედებაში გაღმოვცევს ადამიანის რთულ შინაგანი სამყარო.

მრეველიშვილის ყოველ პიესაში, პირველ ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს დრამატურების ინტერესი ადამიანისადმი. სრულიად სხვადასხვა დროის, წრის წარმოშობის, ერთგვების,

ხასიათების ადამიანები წარმოვედგება მის ნაწარმოებებში, მაგრამ ერთია მათთვის მთავარი: ყოველი მათგანი ეძებს საკუთარ აზრს ცხოვრებაში, თავისებურად აქვს იგი გაიზნული. იქნება ეს უბედობით განწყობები ხარატანთ რძალი, („ხარატანთ კერა“), პირქვეში, პატრე-მოყვარე თინბევი („ზუაი“), მეოცნებე რომანტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ან სამშობლოდან გაღმოვებული, კვიციანი და იმედგატეხილი გრიზოედოვი — ყველა მათგანს თავისი გზა აქვს ცხოვრებაში და ყოველი მათგანი განუხრებლად მოდის ამ გზით.

მ. მრეველიშვილის დრამატურული ნაწარმოებებს ახასიათებს დიდი იდეები, კმედითი ინტრიგა და ცხოვრების რომანტიკული აღქმა.

მრეველიშვილისთვის დამახასიათებელია რომანტიკული თვალთახედვა, იგი რომანტიკის ეძებს არა მარტო ისტორიულ წარსულში, არამედ დღევანდელი დღის ბრსებით მოვლენებშიც, ამიტომ რომანტიკულია არა მარტო „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და „მგზნებარე მეოცნებე“, არამედ „ხარატანთ კერა“ და „ზუაიცი“.

მრეველიშვილის ნაწარმოებთა რომანტიკაში აბსოლუტურად არ არის ზელოვნური, პატრე-კური, იგი უშუალოდ მწერლის შემოქმედებითი ბუნებისა, მისი თვალთახედვიდან გამომდინარეობს. რომანტიკა შეა მისი სამშობლოს ბუნებაში, ქართულ ადამიანთა ხასიათებში, ამიტომ ეს ყოველივე თავისებურ სახეს აძლევს მწერლის წერის მანერას, მგზნებარებით გვიხატავს მის გმირთა განცდებს.

ხშირად ჩვენს დრამატურგაში სიუჟეტის სირთულე, ფაბულის დამუშავება რატომღაც ზედმეტად მიგვიჩნია. ვანა მოსაწონია ნაწარმოები საღაც ვველაფერა იმდენად მოსაწონად ერთფეროვანია, იმდენად წინასწარ ცნობილი, რომ მავურებელი გულბრალი რჩება თავიდან ბოლომდე მოველ პიესის მანძილზე? ჩვენს აზრით, დრამატურგის ოსტატობის ერთ-ერთ მხარეს შეადგენს სწორედ სიუჟეტის კარგი დამუშავება. საინტერესო ფაბულაში, მკვეთრ კონფლიქტებში შესაძლებელია გმირთა შორის ურთიერთობის, საზოგადოებრივი განვითარების კულმინაციის, ხასიათთა გარდატეხის გაღმოცემა, და ყოველივე ამას მრეველიშვილი, ოსტატურად აკეთებდა. მისი ნაწარმოების დრამატული განვითარება უარესად დაძაბულია,

ექსპოზიცია — ძალზე მოკლე, ჩვენ თითქოს დაწყებულ მოქმედებაში ვეხმებით, უშუალო მონაწილე ვხდებით იმ ამბისა, რომელმაც აღრე დაიწყო განვითარება. სწრაფად, ლოგიკურად იქმნება კონფლიქტები, მკვეთრი ხდება აღმართა ურთიერთობანი. დრამატურგი მინიშნულვან ადგილს უთმობს დიალოგს, რომელიც ფსიქოლოგიური სიტუელით ხასიათდება. ავილოთ, მავალით, თინებვისა და ამირანის ორმაგი დიალოგი „ზუავიდან“ (IV მოქმ. I სურათი). აქ ამ ორ აღმართს შორის თითქოს ჩვეულებრივი ლაპარაკია, მაგრამ მის დღეგრეულ შინაარსში პიესაში მოცემული კონფლიქტის შევერვლი, აქ არის კამათი იმაზე, თუ ვინაა მთავრი თავისი და ხალხის წინაშე მართალი:

„თინებეგი — (უცნაურად) ვადახედავს გეგას) არაფერია... შევემის ცხოვრების სიღრმეებზე მოგახსენებ. როგორც ხედავ, აი, ეს არის ჩვენ კერძად და სხვა არაფერია... ხან თვს, ხან ყინავს... ხან ქარია... და ხალხურ ღექსში რომ იტყვიან შევემისთვის მუღამ ავღარია!

ამირანი — (ჩამოვდება სიმაზე) ეგ კი ავრეა, მაგრამ ჩვენ მაინც რა შეველით, როგორ შეველით, ავღრანი მზიანი დარით შევევეცაღა? თინებეგი — ჩვენ რით ძალგეიმს ამინდის შეველა?

ამირანი — რატომაც არა, იქნებ ვეველეთ მომის ვარჯის გზაზე მტრად არ გადავდგომოდით, იქნებ სახელი შევობლისა ჩვენ შერის წყაროდ ვაქციეთ, იქნებ შევობრის სიხარული ჩვენც სიხარულიდ გავიხადეთ, როგორა ფიქრობ, შეველით ეს?

თინებეგი — ეთომ შე ვავას რათა მეთხავ, ჩემითა სუნთქავს ეს ქვეყანა?

ამირანი — არა, მაგრამ, ზოგის სუნთქვა პერს სწამლავს და აფუქებს. ზოგის ღლინი ამ უსპეტაკს შევერვალებზე ჩრდილს აფენებს-მუხასხვეულ შევერვრების სახელსა და პატიონებსას.

თინებეგი — რად ლაპარაკობ ქარაველიდ, შორს რად უმიზნებ, ახლო ვდგევარ, ასე ვინაჯე ჩემი სუნთქვაე კი გეზიზდება. ყინელის ანებს ვერ მიტებ, გეშინია თითებს შეა არ დაშიდნეს, ხელის მუჭეე არ ჩამოხანის. რა გევეყობა... რაეი ავრეა, ავრე იყოს, აი ცოტაე და ანგარიშებსაც გავასწორებთ!..“

ამ დიალოგში ვაღმოიშალა, ზუავივით ჩამოწვა ორ აღმართს შორის შექმნილი სიძულელი, ორივე სამეღრო — სასიცილყო ბრძოლაზე ვადადის, დიალოგში ნათლად ჩანს ამირანის ვეკაცური, პირდაპირი ბუნება და თინებვის ბნელი ზრახვები, მისი ბორბტი ვადაწვეტრლება. აშვეარი მავალით ბევერი შეგხვდებათ მრველიშვილის პიესებში, — როდესაც ვვირბის ერთმანეთს ქარავშით ვლაპარაკებთან, მლავენ თავიანთ ნამღველ ზრახვებს.

მონოლოგს შედარებით ნაკლები ავტორი აქვს დამოზობი, მაგრამ ნ. ბარათშვილის („ნიკოლოზ ბარათშვილი“), ა. გომიშვილის („მგზნებარე მეოცნებე“) მონოლოგები საყვეა დიდი შინაგანი განკლითა და რომანტიკული მღველარებით, რაც თავისებურ ელვერს აძლევს მთელ ნაწარმოებს.

მ. მრველიშვილი ვაურბის ყოფითობას; მის დრამებში საყოფაცხოვრებო დეტალები ნაკლებდმნიშნულვანია, ისინი მხოლოდ დამხმარე საშუალებას წარმოადგენენ ვმართა ხასიათების ვასახლერისთვის, ავილოთ, მავალითად, ყუაილების თავიგული, მავებლარა, მლიქნელი, ლახარი და ბინძურსულიანი მოხვლის ფეოლოროვის ხელში („ნიკოლოზ ბარათშვილი“ მოქმ. III, სურათი მეხუთე) და ბარათშვილის მერ მართვეული მინდერის ყუაილები, ცრემლიან ვატერინე შევევემეს რომ ნელ-ნელა ხელიდან უცვიეა მარმარლოს ებებებზე... (მოქმედება მეორე, სურათი მეოთხე). სრულიად სხედასხვა ვანწყობილებაა, სხედასხვა სიტუაცია და ყუაილებიე სხედავარს როლს ასრულებენ.

მ. მრველიშვილი კარვად გრძობს ბუნებას, მის ემოციურ ძალას. ამიტომაცაა, რომ მის ნაწარმოებებში ბუნების აღწერა უბრალო პერიზავს როდი წარმოადგენს, ბუნება ყოველთვის აქტიური არის ჩამბული ნაწარმოების მოქმედებაში. მოვიგონოთ ნაღვარი, ქვეა-ქუხილი და თქვეში მხარატანთ კერის“ პირველ მოქმედებაში. ბუნება თითქოს ვამოვასხუდა ნატოსა და ზურის სულიერ ვანწყობილებებს, იგი პირველსავე სცენებს დიდ ემოციურ დამბულობას, უქმნის, აღარას ვიტყვით „ზუავში“ პირველი აქტის ნაწირან ღამეზე, როდესაც ასე მთლოდნულად ვადაინასკება მოქმედ პირთა ბედობალი. ანდა: რა დიდ როლს თამაშებს ნიკოლოზ ბარათშვილისა და მისი შევობრის, რუსი დეკარისტის ბალაშოვის, უიმედო, სეველით სავე ვანწყობილებათა ვაღმოცემაში ზა. მორის ციეი, მთვარიანი ღამის აღწერა სასაფლავის მახლობლად. ეს რომანტიკული ვიზიზი უფრო აბლიერებს ვანწყობიტი გამოწვეულ სეველასა და უსასებებს (მოქმ. მეხუთე, სურათი მეშვიდე). ამგვარსავე ვანწყობილებებს ქმნის პიზიავი ვრამოდოვის პეტრუსინთან შეხვედრის სცენებში („მგზნებარე მეოცნებე“). ბუნების ამგვარი დახატვა დიდ ემოციურობას მპატებს მრველიშვილის დრამებს, შეესატკარსება მოქმედ პირთა ვანწყობილებას, ვევემარება ვმირთა შინაგანი სამყაროს შეცნობაში.

თავისებურია მ. მრველიშვილის ვმირთა ენაც. თუ „ზუავში“ და „ხარატანთ კერაში“ აეტორი ხანდახან მიმართავს სპეციფიკურ კახურ და თუმურ ვამოთქმებს, „ბარათშვილში“ და „მგზნებარე მეოცნებეში“ ვმირები XIX ს-

უქნის პირველი ნახვერის ინტელიგენციის ერთ ლაპარაკობენ.

შწერალი მამართავს ენობრივ პერსონიფიკაციას, მაგალითად, ბარათშვილის, გრიბოედოვის ენა პოეტურია, აღმაფრენით საესე, აქ უჭვადია გაბნეული პოეტური შედარებები. სამაგვიროდ, მიხვლე ილინი, ფეოდოროვი მშრალი, საკანცელარო ენით, ლაპარაკობენ, ხოლო თინიბევი „ზევაში“ თითქოს სტყუებს ხარათავს, მიკიბმოვიბუღად ლაპარაკობს.

მრველიშვილის დრამატურგიაში შეიძლება გამოყოთ ორი ძირითადი პრობლემა; ეს არის ახალსა და ძველს შორის შეჯახება, ერთია საბჭოთა ადამიანის ხასიათის შრომაში გამობრძმედეა, ჩამოყალიბება და წარსულის გადმონათმების რღვევა („ხარატანთ კერა“, „ზევაი“) და მეორე — შკოსის, მგზნებარე მეოცნების ტრაგედია მეფის რუსეთის ბიუროკრატულ-ბატონმურ სინამდვილეში („ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „მგზნებარე მეოცნებე“).

მოთხრობა „ხარატანთ კერა“ დაიწერა მამინ (1947 წ.).

ცნობილი რომელი პოეტი პირაციუსიც თავის ტრაქტატში „პოეტური ხელოვნებისათვის“ დისციპლის მონა მთარგმნელებს, რომლებიც სიტყვა-სიტყვით თარგმანს ცდილობენ და თავს იგდებენ ისეთ ვიწროში, საიდანაც გამოსვლას სირცხვილიც კრძალავს და შრომის კანონიც<sup>1</sup>, რადგან რომაელები ფიქრობდნენ, რომ თარგმანში მთავარია დედნის აზრისა და ძალის გადმოცემა, ამიტომაც ისინი დედნის ტექსტს თავისუფლად ექცეოდნენ. ასევე იქცეოდნენ მომდევნო საუკუნეების მწერლები, განსაკუთრებით საერო ხასიათის ნაწარმოებთა მიმართ, რადგან სხულიერო ხასიათის ტექსტები მოკრძალებასა და „ღვთაებრივ შიშს“ იწვევდა მთარგმნელებში და მთავან მებრტყვებულთა სიხუსტეს ანუ სიტყვა-სიტყვით თარგმანს მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, მაინც არის აღრიცხული შემთხვევები ბიბლიის ტექსტისაღმებ თავისუფალი დამოკიდებულებისა. ასეთია „ძველი აღთქმის“ ბერძნული თარგმანი შესრულებული ძველი წელადრიცხვის II საუკუნეში სიმეკეს მიერ და ლათინური თარგმანი შესრულებული ძველი ებრაულიდან ახალი წელადრიცხვის IV საუკუნეში იერონიმეს მიერ. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ თარგმანისათვის მთავარია დედნის ტექსტის აზრობრივი გადმოცემა. ამისათვის იგი ცდილობდა ავტორიტეტსაც იმეორებდა და პირდაპირ აცხადებდა, რომ მისი ამოცანაა, თარგმნოს არა „სიტყვა-სიტყვით, არამედ აზრი-აზრით“. უფველია, რომ თარგმნის ასეთ პრინციპს საფუძვლად ედო განზრახვა წინ წამოყვლიყო დედნის იდეურ-მნიშვნელობრივი მხარე, და ამიტომაც თარგმანი წარმოადგენდა, უპირველეს ყოვლისა, მთარგმნელის იდეოლოგიური მიზანდასახულების ანარეკლს. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: მართალია ძველი საბერძნეთისა და რომის ურთიერთობა თარგმანის საშუალებით იმას ადასტურებს, რომ „გამკვიში“ ქვეყანა უფრო მდიდარი კულტურის მქონე იყო, ვიდრე „მომღლები“, მაგრამ ამ პრინციპს ყოველთვის როდი აქვს ძალა. თუ ისტორიულად თარგმანს მართლაც ამდიდრებდა მთარგმნელი ხალხის კულტურისა და ხელს უწყობდა ამ უკანასკნელს აქტიური უფრო მაღალ საფეხურზე და ისტორიული განვითარების თვალსაზრისით თვით „გამკვიში“ ქვეყანაზეც კი უფრო შორს წასულიყო, სამაგიეროდ, ახალ საუკუნეებში და განსაკუთრებით დღეს, თარგმანს სრულიად აკრამტკიცებს „მომღები“ ქვეყნის სიღარიბეს, თუმცა იგი ახლაც ამდიდრებს მის საგანძურს. თარგმანი ახლა კულტურულ ფასეულობათა

გაცვლის საშუალებაა, ხალხთა ცხოვრების ურთიერთ გაცნობის გზაა და თარგმანთა სიმარავე ამჟამად პირიქით, სწორედ ხალხის კულტურისა და მაღალი დონის ნიშნისათვის თი დასცენების გამოტანის საფუძველს იძლევა მხატვრული თარგმნის პრობლემის ისტორიული მიმოხილვა დასავლეთსა, რუსეთსა და საქართველოში.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეთა ისტორია მის ადრინდელ ეტაპზე მჭიდროდა დაკავშირებული ქრისტიანული დოქტრინის გავრცელებასთან. ქრისტიანობა ამ დროს იყო დიდი ისტორიული მნიშვნელობის სოციალური და კულტურული ფაქტორი დასავლეთში, ხოლო მისი გავლენა მნიშვნელოვან წილად დამოკიდებული იყო რელიგიური ტექსტების, პირველ რიგში, ბიბლიის თარგმანსა და გავრცელებასზე „ბარბაროსულ“, წარმართულ დასავლეთ ვერობაში. ამიტომაც რელიგიური წიგნების თარგმანს საქმაო უფრადლება ექცეოდა, თუმცა საერთოდ თარგმანის როლი ერთ ხანს მაინც შემცირებული იყო ფეოდალიზმის ეპოქის ზოგიერთი თავისებურების გამო: კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის პირობები და, რაც მთავარია, ცალკეულ სამთავროთა ენობრივი კარჩაკეტილობა უცხო ენების შესწავლასა და უცხო ლიტერატურის თარგმნის საქმეს ხელს უშლიდა. კათოლიკური რომის ეკლესია, რომელიც, ენგელისის თქმით, წარმოადგენდა „ფეოდალიზმის უმაღლეს განვითარებას და სანქციას“, ხელს უწყობდა ლათინური ენის გავრცელებას თავისი ზეგავლენის მთელ სფეროში. ლათინური ენა თავისებური ინტერნაციონალური ენის როლს თამაშობდა მხოლოდ სასულიერო წოდებისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საზოგადოების სწავლულ, ზედა ფენებში და ამით ხელს უშლიდა ერთენული ენების განვითარებას. თარგმნის მნიშვნელობას ამ შორეულ ეპოქაშიც მიუთითებს მავალითად, თუნდაც ის ფაქტორი, რომ ანგლო-საქსური ბრიტანეთის ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწე უესექსის მეფე ალფრედი (IX ს.) სწორედ ხალხის განსწავლის მიზნით ლათინური ენიდან თარგმნიდა საგანგებოდ შერჩეულ ნაწარმოებებს ინგლისური ენის უესექსურ დიალექტზე.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ბიბლიის თარგმანს ადგილობრივ ეროვნულ ენებზე განაპირობა რეფორმაციულმა მოძრაობამ, კათოლიკური რომის ავტორიტეტის შერყევამ და ამის გამოწვევებმა სოციალურ-ეკონომიურმა ძეგებმა დასავლეთის საზოგადოებაში, რასაც უშეუალოდ მოჰყვა ფეოდალიზმის რღვევა, ეროვნულ კულტურათა წარმოშობა და აღორძინების ხანა.

ადგილობრივ ენაზე თარგმნილი ბიბლია საშუალებას აძლევდა ხალხს მოაწილეობა მიეღო რელიგიური საკითხების გადაწყვეტაში

<sup>1</sup> იხ. პორაციუსის „De arte poetica“, სტრ.

რომის ეკლესიის ჩარევის გარეშე, უარყოფითად უკანასკნელის მიერ თავსმოხვეული დოკუმენტები და საბოლოოდ განსდგომიდა თვით რომის ეკლესიას.

ფრ. ენგელსი ასე ახასიათებს გერმანულ ენაზე ბიბლიის თარგმანს მარტინ ლუთერის მიერ: „ლუთერმა ძლებურ მოძრაობას ძლიერი იარაღი მისცა ხელში ბიბლიის გადმოთარგმნას წყალობით... გლეხებმა ეს იარაღი ყოველხრივ გამოიყენეს მთარობისა, თავადაზნაურობისა, ხუცუბის წინააღმდეგ“<sup>1</sup>.

თავისუფალი და იაფი ვაჭარებისათვის ხალხის ამ ბრძოლას არსებითად ეკონომიური და სოციალური ინტერესები ამოძრავებდა, ხოლო ამას კი მოჰყვა ევროპის ქვეყნების გაფორმება დიდ სახელმწიფოებად და ეროვნულ ევლტურათა შექმნა, განსაკუთრებით აღორძინების ეპოქაში მომხდარი გადატრიალების შედეგად. ყოველივე ამას თავისებურად უწყობდა ხელს ბიბლიისა და სხვა რელიგიური ტექსტების თარგმნა.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიის თარგმნამ ევროპის ქვეყნების ენებზე დიდი როლი შეასრულა ამ რევების სალიტერატურო მენტყველების საბოლოო ჩამოყალიბებაშიც.

რაც შეეხება ამ ეპოქის თარგმანთა ხასიათს, ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: შესაბამისად მწიგნობრები ამ წიგნების ლეთაბროვ ავტორიტეტს დიდი მოყრადუბითა და რიდით ეპყრობოდნენ, ამიტომაც მათი თარგმნისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ. ვარდა ამისა, ამ წიგნების ლათინური ტექსტების შესწავლისას გავრცელებული იყო ე. წ. გლოსირების წესი: ყოველ ლათინურ სიტყვას ზემოდან ეწერებოდა მისი შესატყვისი ადგილობრივ ენაზე. სათარგმნი ტექსტებისადმი მოყრადუბა და სიფრთხილე, ერთი მხრით, და გლოსირება, მეორე მხრით, იწვევდა დედნის მიმართ ისეთ განსაკუთრებულ ვროვებებს თარგმანში, რასაც სიტყვა-სიტყვეითობა უნდა ეწოდოს. ტრამინის აზრი ამ შემთხვევაში უფრო ნათელი გახდება თუ წარმოვიდგინო ლათინური დედნის მაღალ ლიტერატურულ თვისებებს და ადგილობრივ ენაზე მისი თარგმნილი ტექსტის ლიტერატურულად დაუმუშავებელ და იმავე დროს პედანტურ ხასიათს. ბევრ მთარგმნელს კარგად ატკიპქონდა შევნებული სხვაობა დედნისა და თარგმანის ენას შორის. ამით აიხსნება მრავალი ლექსიური და სინტაქსური შეცდომა და აბუღობა მათ თარგმანებში, რაც თავისუფალი თარგმნის მომხრეებს პედანტური თარგმანის პრინციპის გავრიტყების საშუალებას აძლევდა.

ფეოდალიზმის ეპოქაში რელიგიურ ტექსტთა

ასეთი თარგმანები საკმაოდ გავრცელებული იყო და ისინი თავისთავად გამოხატულები შეასწავლენენ სასულიერო სწავლებლებს მათი გამოუმუშავებელ მთარგმნელთა მიერ შექმნილი სიტყვა-სიტყვეითი, სტრუქტურული თარგმნის პრინციპს, რომელიც უპირისპირდებოდა ანტი-ეტერ რომში მიღებულ და იქიდან წამოსულ თავისუფალი თარგმნის პრინციპს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე შესაბამისებში საერო ხასიათის წიგნები, როგორც იყო, მავალითად, რაინდული რომანები, გავრცელებული ემთავრესად საკარო-არისტოკრატიულ წრეებში, სრულიად თავისუფლად ითარგმნებოდა და მათ მიმართ არ მოქმედებდა სიტყვა-სიტყვეითი თარგმნის პრინციპი.

ამგვარად დასავლეთის თარგმანის ისტორიაში იმთავითვე ჩაისახა მთარგმნელობითი ხელტეხების ორი ძირითადი პრინციპი, რომელთა შორის ბრძოლა, — ამჟამა და ფარული, — უკანასკნელ დრომდე წარმოებს. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ მრავალ ცალკეულ მოსაზრებას, რომელიც დღესაც გამოითქმება ხოლმე რომელიმე თარგმანის გარშემო წამოკრილი დავის დროს, არსებითად, თუმცა ზოგჯერ შეუგნებლადაც, ერთ-ერთი ამ პრინციპთაგანი უღვეს საფუძვლად.

აზრთა სხვადასხვაობას თარგმანის პრობლემის გარშემო შესაბამისებებსა და აღორძინების ეპოქის მიჯნაზე გამოშატავდა ინგლისელი მწიგნობარის როჯერ ბეკონისა (XIII ს.) და დიდი იტალიელი პოეტის დანტე ალიგიერის მოსაზრებანი. როჯერ ბეკონი თავის შრომაში „Opus Majus“ — მოითხოვდა ენებისა და მეცნიერების სერიოზულ შესწავლას, რაც დედნის სწორი გაგების საშუალებას მისცემდა მთარგმნელს. ამასთან ერთად იგი სასტიკად ილმუქრებდა მთარგმნელთა მიერ არისტოტელეს შრომების დამახინჯებათა წინააღმდეგ, რადგან არისტოტელე შესაბამისად ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტი იყო, გასაგებია, რომ მის შრომათა სწორი თარგმნის, მართლაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

რაც შეეხება დანტეს, მან თავის კნობლ ტრაქტატში „ღვინი“ პესიმიისტური შეხედუ-

<sup>1</sup> თარგმანის ისტორიისათვის იბ. შ. 3. ალექსევის სტატია „მბატურული თარგმანის პრობლემა“ (იკრეტისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 18, 1931 წ.), ავრთვე მის მიერ დაწერილი ისტორიული ნაწილი სტატიათა „Перевод“ „Литературная Энциклопедия“ т. 8, 1934 г.) და ა. ვ. ფედოროვის „თარგმნის თეორიის შესავლის“ მეორე თავი. ინგლისურ ენაზე — Bates-ის, Tytler-ის, Conley-ის, Goodspeed-ის Postgate-ის და Flora Ross-Amos-ის, ხოლო გერმანულად Tycho Mommsen-ის სათანადო შრომები.

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი „გლეხთა ომი გერმანიაში“, ტფილისი, 1932, გვ. 58 — 59.

ლება გამოსთქვა პოეტური თარგმანის შესახებ. მისი აზრით, რადგან ლექსის ფორმა მკიდრად არის დაკავშირებული ენასთან და მისგან განუყოფელია, არაფერი, რაც კი პარამონის მიზნით არის მოთავსებული ლექსის შესიკალურ საფუძვლებში, არ შეიძლება თარგმანის ერთი ენიდან მეორეზე ისე, რომ არ დაარღვეს მთელი ლექსის პარამონა და მომხიბლავობა. ამ შეხედულებაში, მისი გაუმართლებელი პესიმიზმის მიუხედავად, მაინც იყო ჩაქსოვილი თავიანთი დროისათვის მნიშვნელოვანი აზრი პოეზიის თავისებური ორგანიული კავშირის შესახებ მის შემქმნელ ენასთან.

პესიმიზმის დაძლევის შემთხვევაში ეს აზრი თავისებური მოთხოვნა ენასა და ლექსს შორის დედნის ანალოგიური კავშირის დამყარების სპირიტუალურ პოეტურ თარგმანში, ხოლო ეს კი უკვე თარგმანს გარკვეულად სწორი პრინციპისაყენ მიმავალი გზა იყო.

საფურადღებოა, რომ ასეთი სექტიკური შეხედულებანი შემდეგში გამოთქმულა. დიდმა ესპანელმა მწერალმა მიგელ დე სერვანტესმაც დონ კიხოტს აქჷმეინა:

„შე შეინია, ერთი ენიდან მეორეზე თარგმანა, — ხოლო არა ბერძნულიდან და ლათინურიდან, იმ ყველა ენის მეფეთაგან, — იმას ჰაგეს, კაცმა უტყროს ვადმობრუნებულ ფლამანდელ ხალხს, რომელზედაც, თუმცა სურათებიც და ფიგურებიც ჩანს, მაგრამ ისინი მაინც გაბუნდოვანებულნი არიან და დაზღანდელი ძაფებით და დაფარული აქეთ საპირის მთელი ფრაზოლოგია და სისალექი, ამასთან აფვილი და მონათესავე ენებიდან თარგმანა დიდი კუკუსა და მკვერმეტყველების გამომსატყველი ვერ იქნება, ხოლო ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქზე გადაწერას ემსგავსება“<sup>1</sup>.

ფეოდალისმის ეპოქაში მიმდინარე ბრძოლა თარგმანის ორ ძირითად პრინციპს შორის აღორძინების ეპოქაში გამწევედა, რადგან დიდად გაიზარდა თვით თარგმანის მნიშვნელობა. ინტელექტუალური ფილოსოფიის, ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვივებამ, გამოიწვია ინტელექტუალური სელფი კულტურის ძველი თარგმანის დიდი პრაქტიკა და მისი პრობლემის დაყენება თეორიული თვალსაზრისით. ინტელექტუალური კულტურის ძველების გაცნობა ხელს უწყობდა შუასაუკუნოებრივი ფეოდალური ასეურ-სქოლასტიკური მსოფლმხედველობის დაძლევა. ინტელექტუალისადმი აწერადღებამ გამოიწვია კლასიკური ლათინურისა და ძველი ბერძნული ენების შესწავლა. ამასთან ერთად იზრდებოდა პასუხისმგებლობა

ახლად თარგმნილი კლასიკური ტექსტების გამო. აგრეთვე კრიტიკული დამოკიდებულება ძველი თარგმანებისადმი უნდა იქნას დაკავშირებული მიმდინარეობდნენ უკვე მისი დასაწყისიდან — როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული. — სიტყვა-სიტყვითი და თავისუფალი თარგმანის პრინციპების მომხრეთა შორის.

XV საუკუნის გერმანულ ჰუმანიზტთა შორის პირველი პრინციპის მომხრედ ითვლება ნიკლას ფონ ვილე, რომელმაც თარგმანა გერმანულ ენაზე ანტიკური პერიოდისა და იტალიური აღორძინების მწერალთა თხზულებები. დედნისადმი ერთგულებამ ეილე იქამდეც კი მიიყვანა, რომ შეეცადა ლათინური სიტყვების ელემენტური დენერგა გერმანულ პროზაში და ამით გარდაეჭმნა იგი. პინროს შტაინპეველმა, პირიქით, ამის საწინააღმდეგო პრინციპი არჩია და გერმანული ლიტერატურული ნორმების შესაბამისად თარგმანა იტალიელი მწერლის ბოკაჩოს და ბერძენ მეთეაგარაკე ეზოპუს ნაწარმოებები; ხოლო ალბრეხტ ფონ აბმა ისე თარგმანა რომელი კომედიოგრაფის პლაეტუსის ორი კომედია, რომ რომელთა ყოფაცხოვრება და თვით სახელებიც კი შესცვალა გერმანულით, რათა უფრო გასაგები გაეხადა ისინი თავის თანამემამულეთათვის. თარგმანის ამ პრინციპთა დაპირისპირებაში წყდებოდა ის საკითხი, თუ რა საშუალებით უნდა შეეთვისებინა გერმანულ ლიტერატურას უცხო ნაწარმოებები.

ანტიკური ავტორების თარგმანამ მსაობრივი ხასიათი მიიღო მეთექვსმეტე საუკუნის ინგლისში. პროტესტანტიზმში, რენესანსის ძალები, ახალი არისტოკრატია ქმნიდნენ საამისო პარობებს; ინტელექტუალიზმი გამოდიოდა შუასაუკუნოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბენეპირი, რომ ეს იწყევდა უნაანსკრელის წინააღმდეგობასაც. სპეციალისტთა აზრით, მთარგმნელობითი მოძრაობა იყო უფრო მეტი რამ ვიდრე უბიზოდი ინგლისის ისტორიაში<sup>1</sup>.

ინგლისური აღორძინების ეპოქაში თარგმანის პრობლემა ლიტერატურულ პრაქტიკაში გამსაკურთხებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ეს ითქმის, უპირველეს ყოვლისა, ინგლისური დრამატურგიის მიმართ, რომელმაც სწორედ ამ დროს მიადგინა თავის უმადლეს მწვერვალს. თუ ამ დრამის ერთი სათავე სახალხო თეატრი იყო, მეორე სათავეს იტალიური და მისი გზით მოსულ ლათინური დრამის თარგმანები წარმოადგენდა, კერძოდ რომელი მწერლები პლაეტუსი, ტერენციუსი და სენეკა, რომელთა თარგმანა მალე მიხატებამ და გადაეყვებამ შესცვალა. მათი ნაყვალევი თვით გენიალური შექმპირის შემოქმედებაშიც კი ამყარად მისჩანს

<sup>1</sup> მიგელ დე სერვანტეს საავტორო, „მხილვითი გონიერი იდაღო დონ კიხოტ ლამანჩელი“ თარგ. ნ. ავალიშვილისა. ნ. ავალიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. 1953, ტ. II, გვ. 524.

<sup>1</sup> ob. C. H. Conley — The first English translators of the classics. New Haven, Yale University press, 1927. p. 123.

(პლატონის „შენებები“ შექსპირის „შედო-  
მათა კომედიაში“, პლუტარქეს თხზულებათა  
თარგმანის საშუალებით მიღებული სიუჟეტები  
შექსპირის რომაული დრამებისათვის; იტალიე-  
რი ნოველების თარგმანთა გამოყენება შექსპი-  
რის კომედიებში და სხვა). საყოველთაოდ ცნო-  
ბილია თარგმანთა განსაკუთრებული როლი  
ინგლისურის აღორძინების თეატრში. მაგრამ  
თარგმანის მნიშვნელობას შეიძლება ყველაზე  
უკეთ აღნიშნავდეს შემდეგი ფაქტი: XVI საუ-  
კუნის პირველ ნახევრის პოეტმა უაიეტმა გაფ-  
მოტანა ინგლისურ ენაზე პეტრარკას სონეტის  
ფორმა. მისმა უმცროსმა თანამედროვე პოეტ-  
მა სარეიმ, რომელიც მის კვალს მიჰყვებოდა,  
შექმნა სონეტის ინგლისური ფორმა, შემდეგ-  
ში გამოყენებული შექსპირის მიერ მის სახელ-  
განთქმულ სონეტებში. ყველაზე საყურადღებო  
კი ის არის, რომ იმავე სარეიმ თეთრი ლექსით  
თარგმანა ვიტიგლიუსის „ენელის“ ნაწივეტო.  
თავის პოეტური თვისებების წყალობით ამ  
თარგმანში ნახშირი თეთრი ლექსი გადაიქცა  
აღორძინების ინგლისური დრამის ძირითად ია-  
რალად. სწორედ ეს ლექსი, შექმნილი სარეის  
მიერ თავის პოეტური თარგმანისათვის, გამოი-  
ყენეს და განავითარეს მარლომ და შექსპირმა.

თარგმანის თეორიისადმი ინტერესი ამავე  
ეპოქაში გახდა შესამჩნევი. საფრანგეთში 1540  
წელს ეტიენ დოლემ გამოსცა ტრაქტატი სა-  
თარით „ერთი ენიდან მეორეზე კარგად  
თარგმნის წესი“. დოლე იყო სწავლული პე-  
მანისტი და გამოიყენებოდა, პლატონის მთარგმ-  
ნელი და თავისუფალი შეხედულებების ადამ-  
იანი. ეს უკანასკნელი თვისება მას სიცოცხ-  
ლის ფასადაც დაუჯდა. მნიშვნელოვანი აზრე-  
ბი თარგმნის პრინციპების შესახებ აქვს გა-  
მოთქმული აღორძინების ეპოქის გამოჩენილ  
პოეტსა და თეორეტიკოსს, რომელიც პოეტის  
ოფიციის მთარგმნელს, იოაკიმ დიუ ბელუს  
თავის ცნობილ ტრაქტატში „ფრანგული ენას  
დაცვა და დიდება“ (1549). დიუ ბელე ამტკი-  
უნებს, რომ ფრანგული ენის საშუალებითაც  
შეიძლება ყოველგვარი გადმოცემა, რაც  
სხვა ენებზეა ნაქვეითი. მისი ტრაქტატის ზო-  
გიერთი თავი თარგმნის საკითხებს საგანგე-  
ზოდ განიხილავს.

კლასიციზმის ეპოქაში (XVII — XVIII სს)  
საფრანგეთში გაბატონდა თავისუფალი თარგ-  
მანის პრინციპი, რომელიც უპასუხებდა ამ  
ეპოქის მმართველი წრეების ესთეტიკურ მოთ-  
ხოვნილებებს, ეწირთ კლასიციზმის ჩარჩოებში  
მოქცეულ წარმოდგენას „კარგ გამოყენებაზე“. ასეთ  
თარგმანებში ყურადღება არ ექცეოდა  
დენდის ხასიათს, მთავარი იყო მისი შევლება  
ზემოაღნიშნულ გამოყენებასთან. ამის გამო  
თარგმანები არსებითად დენდების გადაცემას  
წარმოადგენდნენ. მათში სრულიად გაქვეით-  
ებული იყო ავტორის საკუთარი ინდივი-  
დუალობა და დენდის ისტორიული თუ

სოციალური თავისებურებანი. ფრანგულ  
თარგმანში განსაკუთრებული ყურადღება გა-  
ნიცადა შექსპირმა, რომლის თარგმანში „გარ-  
ბაროსული გენია“ აწინებდა XVIII საუკუნის  
საფრანგეთის ისეთ მოწინავე მწერალსა და  
მთარგმნენსაც კი როგორც იყო ვოლტერი.  
ფრანგულ თარგმანებში იცლებოდა შექსპი-  
რის ტრადიციების სტრუქტურა და თვით სიუ-  
ჟეტიკი.

XVIII საუკუნის საფრანგეთი წარმოვედ-  
გენს აგრეთვე ისეთ ფაქტებს, რომლებიც თარ-  
გმანის ისტორიული როლის განსაკუთრებულ  
მნიშვნელობას აღნიშნავენ: ფრანგი განმანათ-  
ლებლები ამ საუკუნეში უხვად თარგმნიდნენ  
ინგლისელი მთარგმნეებისა და მწერლების  
ნაწარმოებებს, რადგან ინგლისი ისტორიული  
განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა  
და იმავე გზით მიმავალ საფრანგეთს სწორედ  
ამ ნაწარმოებთა საშუალებით აწლევდა შავა-  
ლითს. ამგვარად ეს პოლიტიკურად მნიშვნე-  
ლოვანი თარგმანებიც ამ დროის საფრანგეთის  
საზოგადოების ინტერესების შესაბამისად  
სრულდებოდა.

სერვანტესის „დონ-კიხოტის“ ფრანგმა მთარგ-  
მნელმა ფლორიანმა თავის წინასიტყვაო-  
ბაში პირდაპირ განაცხადა, დენდისადმი მონე-  
რი ერთგულმა მანიერებმაო და ცული გამოუ-  
ნების გამოშატეული ნაწილები უნდა გაქვე-  
ბული იქნას თარგმანიდან. მისი აზრით, ყვე-  
ლაზე „ასიათმოგონი თარგმანი“ იმავე დროს  
ყველაზე უხეტიკია.

ა. პუშკინი თავის წერილში „მელტონისა და  
— დეკარტული სამოთხის“ შატობრიანისეული  
თარგმანის შესახებ, შესანიშნავად აბსიათებს  
ფრანგების მიდრეკილებას ასიათმოგონ საზო-  
გადოებას იმით, რომ ამოკარონ ფრანგი  
მკითხველის გემოვნების შეურაცხყოფელი  
ადგილები.

ცნობილია, რომ კლასიციზმმა ინგლისურ  
ლტერატურაში ფეხი ვერ მოიკიდა ინგლისის  
განსაკუთრებული ისტორიული პირობების გა-  
მო, მაგრამ იქაც იყო ამ სტილის დანერგვის  
გარკვეული ცდები. თარგმანის ზემოაღნიშნულ  
პრინციპის მიხედვით პოეტმა ალექსანდერ  
პოპმა თარგმანა პომპროსის „ილიადა“ (1715—  
1720) და „ოდისეა“ (1725 — 1726) და ისე  
შეაფერადა ძველი საბერძნეთის ეს კლასიკური  
ეპოსი, როგორც ამ დროის არისტოკრატიული  
სალონების გემოვნების შეუფერებოდა. მან  
მეჯრით გარიიშა დენდის ურიიშო ლექსი,  
გააწონასწორა მისი რიტმი და დენდის ვრძელი  
ჰეზამეტრი მოკლე ზომით გადმოიღო, დახე-  
წა და გამაღალღარდოვნი ვენიალურად მარ-  
ტივი და უშუალო დედანი<sup>1</sup>. ეს თარგმანი იყო

<sup>1</sup> E. Legouis and I. Cazamian—A history  
of English literature. London, 1937. p  
724—726.

ერთ-ერთი მკაფიო ნიმუში თარგმანის შეგნებულ ტენდენციურ შესრულებსა.

XVIII საუკუნის მიწურულში გამოვიდა შრომები, რომლებშიც თარგმნელობითი პრინციპები უფრო სერიოზულ თეორიულ სიმაღლეზე იყო დაყენებული; ასეთი იყო გერმანიაში პოტინგერის შრომა „ბერძენთა და რომაელთა ნაწარმოებების ახალი თარგმანების შესახებ“ *Etwas über die neuesten Übersetzerfabriken der Griechen und Römer.*

(1782), რომელშიც გერმანელ რომანტიკოს შლაიერჰაიმერზე უფრო აღრეა გამოთქმული ის მოსაზრებანი თარგმანისა და დედნის ფრთხილბრუნვის შესახებ, რომლებიც ამ უკანასკნელმა შემდეგში განავითარა (ამის შესახებ ჰეგელი იქნება ლაპარაკი). ასევე სერიოზულა მოკლდა იგი 1791 წელს ვლინბერგის აკადემიაში ინგლისელი ტაიტლერის მიერ წაკითხული მოხსენება „თარგმანის პრინციპები“, გამოქვეყნებული სათაურით „*Essay on the Principles of Translation.*“ თავისი დროისათვის ეს მოხსენება ფრიალ მნიშვნელოვანი იყო და მან დიდი დისკუსიაც გამოიწვია ინგლისში და გერმანიაში.

ტაიტლერი ამ შრომის პირველსავე თავში გადმოგვიცემს „ჯარჯი თარგმანის“ საუთარ გაგებას: მისი აზრით თარგმანმა იგივე უნდა ატარდებოდნის თავის მკითხველს, რასაც დედამი ატარდებოდა დედნის მკითხველს. ხოლო ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სამი რამ: თარგმანი უნდა სრულიად გადმოგვიცემდეს დედანში მოთავსებულ იდეებს; თარგმანის სტილი და წერის მანერა იმავე ხასიათისა უნდა იყოს როგორც დედნისა და თარგმანს უნდა აბასიათებდეს დედნის მთელი სიმსუბუქე. ამ საერთო პრინციპების მიხედვით აღაგებს ტაიტლერი თავის შრომას, მასთან დაკავშირებით გვაცნობს სხვა პრინციპებსაც და ახდენს მათ ილუსტრირების მდიდარი მასალით.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ეპოქის მთარგმნელობითი პრაქტიკა ჯერ კიდევ რომაულ ტრადიციებს ემყარებოდა ფრანგული კლასიციზმის წყალობით: უცხო ტექსტი თარგმანში ემორჩილებოდა ვაბატონებული კლასის იდეოლოგიურ მიზნებს და ემსახურებოდა მის გემოვნებას. როგორც ამბობდა ფრანგი განმანათლებელი დენი დიდრო თავის „ესეიში ღირსებისა და სათნოების შესახებ“, ინგლისელი ფილოსოფოსის შეფტსბერის წიგნის თარგმნის თაობაზე, ერთი ორჯერ წაკითხავდნენ დედანს, გაივლინებოდნენ მისი სტლით, შემდეგ დახურავდნენ წიგნს და იწყებდნენ მის თარგმანს.

XVIII საუკუნის მიწურულში და XIX საუკუნის დასაწყისში მომხდარმა ისტორიულმა ძვრებმა — საფრანგეთის რევოლუციამ და მისმა შედეგებმა, ნაპოლეონის ეპოქამ, ერთ-

ნელ-განმანათიეს უფლებებში მოპოვებამ გერმანიაში ქვეყანებში გამოაღვიძა ხალხის ინტერესი საუთარი წარსულისადმი, ვერცხვენი შედეგების ლიტერატურული შედეგებიც მოჰყოლია.

მნიშვნელოვანი იყო რომანტიკის სკოლის წარმომადგენელთა წვლილიც ამ საქმეში. კლასიციზმის ზეისტორიულობის პრინციპის რომანტიკოსებმა თარგმანშიც დაუპირისპირეს კონკრეტული ისტორიული სიმართლის გადმოცემის პრინციპი, განყენებულ ტიპიზაციას — ერთგულთა თავისებურებების გამოხატვა, რასაც, ბუნებრივია, უნდა გამოეწვია უცხო ტექსტის ზუსტი გადმოთარგმნა ძირითადი სპეციფიკური მხარეების დაკვიფრებით. მართალია, რომანტიკოსები თანამედროვეობისადმი მათთვის დამახასიათებელი უარყოფითი დამოკიდებულების გამო თანამედროვე ავტორებს მინდობდნენ არ თარგმნიდნენ, მაგრამ სამეცნიეროდ არაჩვეულებრივად დიდი იყო მათი ინტერესი ხალხთა წარსულის ლიტერატურული შემოქმედებისადმი ხალხური შემოქმედების ჩათვლით. რადგან ამ ტენდენციის სულის ჩამდგმელი იყო თვით ეპოქაურის ძვრები, ამიტომ იგი დამახასიათებელი გახდა არა მარტო რომანტიკოსებისათვის, ამის საუკეთესო მაგალითი წარმოადგენა გერმანიაში: უცხოეთის ლიტერატურისადმი გაღვიძებული ინტერესის პირველი გერმანელი ნიმუში იყო რამბერის მიერ თარგმნილი ჰორაციუსის ოდები (1769 წ.). ფოსის მიერ თარგმნილი „ოდისეა“ (1781 წ.) და განსაკუთრებით კი ჰერდერის „ხალხთა ხმები“ (1778, 1807 წ.).

გერმანელმა განმანათლებელმა იოჰან გოტფრიდ ჰერდერმა დიდი ინტერესი გამოიჩინა სხვა ხალხების ისტორიული ცხოვრებისადმი და შეისწავლა იგი. თავის მთარგმნელობით საქმიანობაში მან დიდი ცოდნა და სიყვარული ჩააქსოვა, განსაკუთრებული მხატვრული გემოვნებით შეადგინა თარგმანთა კრებული „ხალხთა ხმები სიმღერებში“ (*Stimmen der Völker in Liedern*), რომელშიც პირველმა შეიტანა გარკვეულობა ხალხური სიმღერის ქეშმარიტ ისტორიულ გაგებაში და გზა გაუკაფა ფოლკლორისტიკას. ვარდა ამისა, ჰერდერმა შექმნა აღმოსავლური პოეზიის ანთოლოგია, თარგმნა ძველი ინდოელი მწერლის კალიდასას დრამა „შაკუნტალა“, შეადგინა ბერძნული ანთოლოგია და გადმოაგერმანელა ძველი ესპანური სიმღერები სიდის შესახებ.

საუბრალოებოა, რომ თარგმნის პრობლემისადმი დამოკიდებულებაში მომხდარი ცვლილება პეშკინმა აღნიშნა ზენის მიერ ზემოფსენებულ წერილში. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ახლა დანტე, შექსპირი და სერვანტესი მკითხველებს სურთ იხილონ საუთარი სახით, მათი ხალხის სამოსელით შემოსილები.

გერმანული ლიტერატურის კორიფეჰმაც — გოეთემ და შილერმა სათანადო ყურადღება დაუთმეს მხატვრულ თარგმანის ამავე ტრენდს: შილერმა XIX საუკუნის დასაწყისში გაიმართა თეატრისათვის გადაამუშავა შექსპირის „მაკბეთი“. მართალია, მან შეიარის უაღრესად დამახასიათებელი მონოლოგი (მეორე მქმეცელის პირველ სურათში) იმდენად უხამსად ჩასთვალა, რომ შესცვალა დილის პიწით, რომელსაც მღერის შეკარე, მაგრამ შილერი საერთოდ შიენე შეცვალა ეტევენბინა გერმანული მკითხველისათვის შექსპირის სტილისა და ინგლისური ეროვნული კოლორიტის თავისებურებანი.

1817 წლიდან გოეთემაც დაიწყო თავისი „დასავლურ-აღმოსავლური დიანის“ გამოქვეყნება. მართალია „დიანში“ მოთავსებული თარგმანები თავისუფალ გადაცემებას წარმოადგენდნენ, მაგრამ მათში აღმოსავლური პოეზიისაღმნი გოეთეს დიდი ინტერესის გარდა, ამ პოეზიის გერმანულ ენაზე წარმოქმნის დიდი უნარაც ჩანდა. თავის „მაქსიმებსა და რეფლექსიებში“ გოეთემ მთარგმნელებს უწოდა „დაუდუგარი მამულები, რომლებიც ყოველნაირად გვიკვებენ პირბადით საჩუქროდ დაფარულ ლამაზ ქალს: ისინი ჩვენში აღძრავენ დაუძლეველ სწრაფვას დედნისადმი“<sup>1</sup>. გერმანული მწერლის ვილანდის ხსოვნისადმი მიძღვნილ სიტყვაში გოეთემ განაზოგადა თავისი შეხედულებანი მთარგმნელობითი პრინციპების შესახებ. მან სიტყვა: „არსებობს თარგმნის ორი პრინციპი. ერთი მათგანი მოითხოვს უცხო ავტორის ჩვენთან ვადმოსახლებას, ისე, რომ შეგვეძლოს ჩვენი თანამემამულე დაღინახოთ მისში; მეორე: პირიქით, მოითხოვს გადავსახლდეთ ამ უცხოეთთან და შევეგუოთ მისი ცხოვრების პირობებს, მისი ენის წყობას, მის თავისებურებებს“<sup>2</sup>. გოეთეს აზრით, ვილანდი ეძებდა საშუალო გზას ამ ორ პრინციპს შორის, ხოლო და ეგუო შეშთხვევაში, როგორც გრძნობისა და გემოვნების ადამიანი, უპირატესობას აძლევდა პირველს. ამჟერაა, რომ თემცა ვოეთე შესაძლებლად სთვლიდა კომპრომისული ანუ პარმონიული გზის არსებობას, უპირატესობას აძლევდა იმგვარ თარგმანს, რომელიც სწორად ვადმოკაცემს დედნის აზრს, წინაარსს, იდეას, რომელსაც ექვემდებარება ფორმა. ამგვარად, გოეთემაც დაადასტურა ორი ძირითადი პრინციპის არსებობა მთარგმნელობით ხელოვნებაში.

ახალი ტრენდციის შესაბამისად მოიქცა დრანგი რომანტიკის შატობრიანი, რომელსაც ინგლისელი პოეტის მიტონის „დავარ-

გული სამოთხეს“ თარგმანში მაქსიმელიჩ აზრობრივი სიხუსტის მიღწევა მოიხურეა და ამიტომ სრულიად უარყო ტრენდს. მთარგმნელობა რომანტიკისმა აღმწეებლმა მთარგმნელებმა ისიც მომხრე იყო აზრობრივად ზუსტი თარგმანისა, სციენიერ მოთხოვნილებებს ვაქნია ანვარიში და ამიტომ ზოგი რამ შეამოკლა და ზოგიც გადაადგოლა შექსპირის „ოტელოს“ თავის თარგმანში. ეს უქანასენლო, როგორც ჩანს, წინამორბედი ვახდა ისეთი მთარგმნელებისათვის, რომლებიც აზრობრივ ერთგულებასთან ერთად შესაძლებლად თვლიდნენ თარგმნიდან განვეღვანთ მკითხველისათვის მეტისმეტად უნვეულო აღკვლები. ეს წესი განსაკუთრებით დრანგებს შეუთავსებიათ.

შლაიერმაჰერის კლასიკური ტრაქტატი „თარგმნის ხედასახვა მეთოდების შესახებ“ (1813 წ.) ანოვადებდა მისი თანამედროვე გერმანელი მთარგმნელების შეხედულებებს თარგმანის ხელოვნების შესახებ და მათი პრაქტიკული გამოცდილების დასკვნებს. შლაიერმაჰერი მოითხოვდა „ავტორის სულის“ ანუ დედნის ეროვნული სტილისა და კოლორიტის მაქსიმალურად შენარჩუნებას თარგმანში, იგი ფიქრობდა, რომ „თარგმანის მკითხველი მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება ხოლმე დედნის ყურადღებაში მკითხველის თანაბარ მდგომარეობაში, როდესაც შესაძლებლობა ექმნება ენის სულთან ერთად იგარის და თანდათან აღიქვას ავტორის თავისებური სული“<sup>3</sup>. ამ მოსახერხებლს პრაქტიკულ დადასტურებას წარმოადგენდა ავეუსტ შლეგელისა და ლუდვიგ ტიკის მიერ თარგმნილი შექსპირის ნაწარმოებები, ტიკის მიერ თარგმნილი სერვანტესის „დონ-კიხოტი“ და ვიქტორ ჰემზოლდტის მიერ თარგმნილი მველი ზერენი ტრაკიკოსის ექვილეს „ავამპონი“. ვიქტორ ჰემზოლდტი იყო გამრჩენილი ფილოლოგი და ფილოსოფიური ლინგვისტიკის წარმომადგენელი, შედარებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ანტიკური ლიტერატურის მთარგმნელი. წერილში ავეუსტ შლეგელისადმი (1796 წლის 23 ივლისს) იგი წერდა, რომ ყოველგვარი თარგმანი მას წარმოუდგება შეუსრულებლად იმეოანის ვადამევეტის ცდად: მისი აზრით, არსებობს ორი წყალმეხემა ქვა და ყოველი მთარგმნელი აქტიულობდა უნდა დაამზეროს ერთ-ერთმა მათგანში: მთარგმნელი ან უნდა მეტისმეტად ერთგული იყოს დედნისა და ამით უგულუბელებს სკუთარი ხალხის გემოვნება და ენა, ან ამავე ხალხის თავისებურების ერთგული უნდა დარჩეს და ამ მხრივ უგულუბელებს დედნის ჰემზოლდტის აზრით, რაიმე საშუალოს მოქმენა ამით შორის არამც თუ ძნელი მისაღწევი, უბრალოდ შეუძლებელიც კია.

<sup>1</sup> Pote. Sobr. soč. v 13-ti tomah, t. X. str. 745.

<sup>2</sup> Goethe—Sämmtl. Werke, Stuttgart, 1875, Bd. 5, s. 685.

<sup>3</sup> F. Schlegelmacher—Sämmtl. Werke, Berlin 1838, Bd. II, s. 229.



XIX საუკუნის შუაგულის ცნობილი ფილოლოგი მორიც ჰაუპტმა კლდე უფრო კატეგორიული და პესიმისტური აზრი გამოხატა ასეთი აფორიზმის სახით: „თარგმანა გაგების სიყვდილია“.

ჰუმბოლტის და ჰაუპტის ეს მოსაზრებანი აშკარა წინააღმდეგობაში იყვნენ პრაქტიკასთან, კერძოდ, თვით ჰუმბოლტისავე მშვენიერ თარგმანებთან. შემდეგშიც აშკარა მოსაზრებებს პრაქტიკა ანადგურებდა, მაგრამ თავისთავად ეს მოსაზრებები წარმოადგენდნენ ვარკვეულ ინტერესს თარგმნის თეორიის განვითარების თვალსაზრისით.

XIX საუკუნის ევროპე ნახევარში ყველაზე მნიშვნელოვან შრომად თარგმნის თეორიას დარგში უნდა ჩითვალოს ტიხო მომზენის შრომა „უცხოეთის პოეზიის გერმანულ ენაზე თარგმნის ხელოვნება“ (პირველი გამოცემა გამოვიდა 1858 წ. მეორე — 1886). მომზენი ფიქრობს, რომ ყველაზე უფრო გავრცელებულია თარგმნის ორი ძირითადი ტიპი: ერთი გადმოცემის დედნის აზრს, მეორე ამ იცავს მის ფორმას, ხოლო მეორე წარმოადგენს დედნის დამოუკიდებელ გადამშვებებას უცხო სტილის დაკვით (die Originaldichtung im fremden stil) ე. ი. არსებითად იცავს მხოლოდ დედნის ფორმას, შინაარსს კი უგულებელყოფს. ამ ორივე ტიპს მომზენი უპირისპირებს მესამეს, — მესამე თარგმანის ტიპს, რომელშიც უცხო დედნის ფორმაც და შინაარსიც მაქსიმალური სიზუსტით არის განმეორებული და ამავე დროს თარგმანი საესებით გასაგებია მკითხველისათვის.

ამავე პერიოდში ყურადღებას იქცევს გერმანული მხატვრული თარგმანის რაოდენობრივი ზრდა და თვისობრივი სრულყოფა, ერთი და იმავე უცხოელი ავტორის სხვადასხვა თარგმანთა გამოქვეყნება და თეორიული მსჯელობანი თარგმნის პრობლემის ირგვლივ. უცხო ენების კოდნის გავრცელება და ენათმეცნიერების განვითარება ხელს უწყობს მთელ ამ პროცესს. სათარგმნ ნაწარმოებთა შეჩვენაც ამ პერიოდის წამყვან პოლიტიკურ ტენდენციებს ემორჩილება. მაგალითად, სამოციანი წლების გერმანული მთარგმნელები დიდ ყურადღებას იჩენენ იმ იტალიელი პოეტებისადმი, რომლებიც, ამ დროის გერმანელების მსგავსად, სამშობლოს გავრთიანების იდეას უსლეროდნენ. გერმანული „უტბერის“ „უნივერსალიზმის“ ფიბტკსეული იდეის ნაცვლად ახლა გაბატონდა ჰეგელისეული იდეა ევროპის ხალხების თანასწორფლებიანი ოჯახის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო გერმანულ თარგმანებს ფრანგული, იტალიური, ესპანური, ინგლისური და რუსული ლიტერატურიდან. სათანადო ყურადღება დაეთმო ევროპის რევოლუციური პოეზიის თარგმნას (უნგრელი პე-

ტრეს, ფრანგი კომენარების და სხვ. შემოქმედებიდან). გამრავლდა თეორიული ნაშრომებიც, რომელთაგან აღსანიშნავია: „დედნის შრომა თარგმანის საზღვრების შესახებ“ (1892), ბიზეს შრომა „რა არის თარგმანი?“ (1894). კლასიკური ლიტერატურის ამ ცნობილი სპეციალისტის აღნიშნული შრომა წინ უძღვის ევროპიდეს ტრადიციის „იპოლიტეს“ თარგმანს. ბიზეს წარმოადგინა საინტერესო თეორია, რომლის მიხედვითაც თარგმნის მიზანი უნდა იყოს — მოახდინოს მკათხელებზე ისეთივე შთაბეჭდილება როგორცაც დედანი ახდენდა მის თანამედროვეებზე. ამიტომ მთარგმნელი სიტუეებისა და წინადადებების თარგმნის კი არ უნდა გააუყვას, არამედ დედნის სულის, აზრისა და გრძნობის გადმოცემას, თარგმნის ფორმაც იმავე პრინციპით უნდა შეირჩეს და ამის გამო ისეთ კომპონენტს, როგორიც არის პოეტური დედნის ლექსის ზომა, თარგმანი შეიძლება არც იმეორებდეს. ამ თვალსაზრისმა გამოიწვია ბევრი თეორიული შრომა, რომელიც ემპირიულად სწავლობდა წარსლის გამოცდილებას და უღრმავდებოდა ცალკეული თარგმანების ესთეტიკურ ანალიზს. გამოვიდა შრომები დამახასიათებელი სათურით „გერმანულად თარგმნილი დანტე“, „გერმანულად თარგმნილი შოლიერი“ და სხვა შრომები, რომლებიც თარგმანთა საფუძველზე ერთმანეთს ადარებდნენ გერმანული ენის ლექსიკას, გრამატიკას და სტრას და დედნის ენის ამავე მხარეებს, ან სხვადასხვა ხალხების აზროვნების ფორმებს და მათი გამოხატვის საშუალებებს (მაგ. პაულ კაუერის შრომა „თარგმანის ხელოვნება“, რომელიც ამ შედარებითი თვალსაზრისით განხილავს ანტიკურ და გერმანულ აზროვნებას), იყვლდნენ მკითხველის მიერ თარგმანის აღქმის ფსიქოლოგიას (ს. ვარტენსლუბენის შრომა „თარგმანის ფსიქოლოგიის შესწავლისათვის“, 1910).

საფრანგეთი საგაოდ ჩამორჩებოდა ამ პერიოდის გერმანიას. თუ მხედველობაში არ მივიღებ ზოგიერთ თარგმანს, შესრულებული ერთმანეთის მსგავსი ლიტერატურული სკოლების წარმომადგენელთა მიერ (მაგ. რომანტიკული სკოლის წარმომადგენელთა მიერ შესრულებული ბაირონისა და გოეთეს პოეზიის თარგმანები, როგორიც იყო მაგალითად ევარდ ლერუელის თარგმანები გოეთედან), თვით ისეთ მნიშვნელოვან მწელებსაც კი, როგორიც იყო ინგლისური რეალიზმა, არ გამოუწვევია თარგმანთა განსაკუთრებული სიმრავლე. სამაგიეროდ დეკადენტურმა სკოლებმა ბევრი მალაზარიისხოვანი თარგმანი შესარულეს: აღსანიშნავია იმეროელი მწერლის ედვარ პოს ნაწარმოებები, დიდი ზემოავრნებთი თარგმნილი უპირველეს ყოვლისა შარ ბოდლერისა და შემდეგ სტეფან მალარმეს მიერ; პარანსელ-



თა სკოლის მეთაურის ლეონტ დე ლილის მიერ პლასტიკური მანერით შესრულებული თარგმანები ბერძნული პოეზიისა, რომელსაც ადრინდელი მთარგმნელები ყოველწლიურად ამზადებდნენ: თეოკრიტეს იდილიები (პროზად), „ანაკრონტული ოდები“ (1861), „ილიადა“ (1866), ოდისეა“ (1867), ჰესიოდე (1869), ესქილე (1872), სოფოკლე (1877), ევრიპიდე (1884—1885).

ოთხმოციანი წლების ფრანგულ ლიტერატურაში გაბატონებულმა ტენდენციებმა გამოავლინა ინტერესი შესაბამისი უცხოელი ავტორებისადმი. მაგალითად სიმბოლიზმის წარმომადგენლები დაინტერესდნენ ადრინდელი ბერძნული რომანტიზმით. ერთი მხრით, მისტიციზმისა და ფსიქოლოგიზმის გავრცელებამ და მორე პზრით, ინტერესმა სოციალური და პოეტური პრობლემებისადმი გამოიწვია სკანდინაველი და რუსი შერატლები ნაწარმოებთა თარგმნა. ამავე დროს, ამ თარგმნის ტექნიკა საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა. უცხოელებმა, რომლებიც თარგმნიდნენ ამ ავტორებს, ცუდად იცოდნენ ფრანგული ენა და ამის გამო გავრცელდა სტიქონობრივი თარგმანების გადამუშავება, ნაწარმოების ტექსტის ხელახალი წარმოქმნა. რუსული ლიტერატურის საუკეთესო თარგმანებად მიჩნეულია ჩეხოვის, ლესკოვის, გორკის და სხვ. თარგმანები, შესრულებული დენი როშის მიერ, გოგოლის „ცხვირის“ და ჩეხოვის „ორთაბრძოლის“ თარგმანები, შესრულებული შიროლის მიერ, ტოტრევის ლექსების თარგმანები, შესრულებული შვეიცარული სოლომონის მიერ.

დაახლოებით ასეთვე მდგომარეობა იყო ამავე პერიოდის ინგლისურ ლიტერატურაში და იქაც მხოლოდ საუკუნის მიწურულში მიექცა უფრო მეტი ყურადღება თარგმანს. უმთავრესად ითარგმნა მსოფლიო ლიტერატურის ისეთი ნაწარმოებები, რომელთა ისტორიული მნიშვნელობა ეჭვს ვერცხვია.

საუკეთესო ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი თარგმანები: დანტე გებრიელ რუსეტის მიერ თარგმნილი დანტეს „ახალი ცხოვრება“ და ძველი იტალიელი პოეტების ნაწარმოებები უილიამ მორისის — ისლანდური საგები და ვერგილიუსის „ენეიდა“, სტინბერნის — ფრანგი პოეტები ფრანსუა ვიონი და ტოფილ გოტიე, ჯეიმს ტომსონის — იტალიელი ჯეკოპო ლეობარდის და გერმანელი ჰაინრიხ ჰაინეს ლექსები, რომელთა თარგმანს მალაია შეფასება მისცა მარქსმა. 80-90-ან წლებში ითარგმნა ზოლას, მოპასანის, ობსენის, ლ. ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვისა და გორკის ნაწარმოებები.

თეორიულ ნაშრომთაგან აღსანიშნავია მეთეო არნოლდის სტატია „პოპერისის თარგმა-

ნების შესახებ“ (1861), რომელმაც თავის დროზე დიდი გამოხმაურება პწვეა.

საყურადღებოა, რომ მეთეო არნოლდი თავის „ლიტერატურულ და კრიტიკულ ესეებში“ ამგვარად ასყენიდა თავიან დროის დავას მთარგმნელობით პრინციპებს შორის:

„ერთნი ამბობენ: თარგმანი შეიძლება ჩაითვალოს კარგ თარგმანად, თუ მისი კითხვის დროს გვეიწყებება დედანი და გვერევენება, რომ დედანი ჩვენს მშობლიურ ენაზეა დაწერილი.

მეორენი ამბობენ: თარგმანის მზანი პირდაპირ ამის საწინააღმდეგოა. თარგმანში უნდა დავიკვით ჩვენი ენისათვის უჩვეულო, არადაშახსიათებელი ყოველი ფორმა, რათა, რაც შეიძლება ძლიერად იგროზობოდეს, რომ ჩვენ წინამე ჩვენთვის უცხო გონების ქმნილებაა, რომ ჩვენ მხოლოდ დემათე სხვა მასალისაგან შექმნილ ჩასმა“<sup>1</sup>.

მსოფლიო ომებმა დიდად შეუწყვეს ხელი თარგმანების გავრცელებას დასავლეთში. ამის ერთ-ერთი სტიმილი იყო „მტრის შესწავლა“, მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით. მათ შორის ზოგი თარგმანი ობიექტურად იყო შესრულებული, ზოგი კი ტენდენციურად, აშკარად პროპაგანდისტული მიზნებისათვის. მაგ. შოლოხოვის „გატებილი ყაპირის“ 1933 წელს გამოსული ფრანგული თარგმანის მიხედვით რომანი წყდება იქ, სადაც ნაჭევებია დროებითი უწყსრიგობანი კოლმეურნეობაში, ხოლო მისი უკანასკნელი ნაწილი, რომელშიც ასახულია საყოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვება, სრულიად ამოღებულია. ამავე ხანებში გამოსულ შექსპირის „კოჩიოლანოსის“ ფრანგულ თარგმანში, რომელიც შესრულებულია პიპოს მიერ, რომელი პლეზისა და სახალხო ტრიბუნების მოძრაობა წარმოადგენილია ფაქსიტური პროპაგანდის თელსაზრისით, როგორც „წითელი საფრთხე“<sup>2</sup>.

ზემოთ იყო მოტანილი ჰემბოლდტისა და ჰიუბტის პესიმისტური თელსაზრისი თარგმანის შესაძლებლობათა შესახებ. როგორც ჩანს, ამ თელსაზრისს ჰყავდა არა მარტო წინამორბედები (დანტე, სერვანტესი), არამედ მიმდევრებიც გაანია დღევანდელ დასავლელ თეორეტიკოსთა შორის. მარტამ თე დანტესა და სერვანტესის ამ პესიმზმის ახსნა აღვილად შეიძლება ზალხთა კულტურული ურთიერთობის იმდროინდელი მდგომარეობით და საჭირო საშუალებათა ძლიერი შეზღუდულობით, გან-

<sup>1</sup> კრიტიკული კ. ჩუკოვსკის წიგნით „Высокое искусство“ М. 1941, стр. 404.

<sup>2</sup> А. А. Смирнов, Теория литературного перевода. (лит. энцикл. 1934 г. т. VIII, стр. 514).

საკუთრებით კი სხვადასხვა ხალხების კულტურის არა თანაბარი დონითა და განვითარებით, — თანამედროვე პესიმიზტების თვალსაზრისი ბურჟუაზიული იდეოლოგიის სიღრმეში იმალება. ეს თვალსაზრისი შედგება მტარაფი-ზიური შეხედულებისა ხალხის ენასა და მის ლიტერატურაზე, თითქოს ისინი განუყოფელი და დამოუკიდებელი ფორმალური ელემენტებისაგან შესდგებიან. ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ხალხები და მათი სული, — სხვადასხვა მითი ენა და ესთეტიკური წარმოდგენა. დასავლეთში გაბატონებული სუბიექტური იდეალიზმი შეუძლებლად მიიჩნევს ნაწარმოების ობიექტურ შემეცნებას და ამდენად მის ობიექტურ განმეორებას სხვა ენაზე. მის ნაწარმოებთა ცალკეული ფორმალური ელემენტების შეჯამებად აქვს წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც, შეუძლებელია თითოეული ამ ელემენტის ზუსტი და ცალკეული განმეორება სხვა ენაზე, განსაკუთრებით პოეტურ ნაწარმოებში, აქედან სრულებითაც არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს შეუძლებელია მთელი ნაწარმოების განმეორება. მხატვრული ნაწარმოები არ არის ელემენტების შეჯამიერი ჯგუფი, არამედ ორგანული მთელი და მთარგმნელიც ამ მთელის ხელახალი წარმოქმნისაგან მიისწრაფვის საკუთარი ენის საშუალებებით. ამიტომაც უპარობა და ფორმალისტური კრიტიკა თარგმნის სიზუსტის შემოწმება ცალკეული ელემენტების ანალიზის საშუალებით, თუკი მთელი ნაწარმოების შთაბეჭდილება არ არის მიღებული მხედველობაში. ზემოაღნიშნულ იდეალისტურ თვალსაზრისს საფუძვლად უდევს რეაქციული იდეა ხალხთა გათიშვისა ერთმანეთისაგან და მათი დაყოფისა მალალი და დაბალი კულტურის დონის ხალხებად, რომელთაგან უკანასკნელი, მალა კულტურულ ფასეულობას მოკლებულნი, განწირულნი არიან სამუდამოდ დაჩინებულნი.

უკანასკნელი პერიოდის პროგრესული ავტორები დასავლეთში ცდილობენ თავისებურად გადაწყვიტონ მხატვრული თარგმანის ზემოაღნიშნული წინააღმდეგობის პრობლემა და მასთან დაკავშირებით ზოგად თეორიული საკითხები თეთი მხატვრული თარგმანის პროცესის სხვადასხვა მომენტების გარკვევის საშუალებით. გერმანელმა მწერალმა ალფრედ კურელამ თავის მოხსენებაში „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ გერმანიის დეკორატიული რესპუბლიკის მწერალ-მთარგმნელთა კონფერენციაზე 1954 წლის 12-13 ოქტომბერს მთარგმნელობითი პროცესი განსაზღვრა, როგორც „ეტიმოლოგიულად ანალიტიკური და სინთეტიკური, მხატვრული და მეცნიერული. მისი გზებით „თარგმნის პროცესში ანალიტიკური, შეხამებული მეცნიერულ-

თან, ხოლო სინთეტიკური შეხამებული მხატვრულთან, შეესაბამებინ სხვადასხვა ფაზებს“<sup>1</sup>. ზუსტი და იმავე დროს მხატვრული სრულფასოვანი თარგმანის პრინციპით დადგენას ასახავს მიზნად ელმონ კარის წიგნი „თარგმანი თანამედროვე მსოფლიოში“<sup>2</sup>. კარი ერთი მხრით მომხრეა ზუსტი და ყოველმხრივ აბრუნებული სიტყვანისა, მეორე მხრით იგი სასტიკად ებრძვის თარგმან-სიტყვითი თარგმანის ყოველგვარ ფორმას — იქნება იგი გამოვლენილი პოეზიაში და პროზაში, ლექსიკაში და სინტაქსში, მეტრსა თუ რიტმში. ამავე დროს კარი მოითხოვს მთარგმნელის ავტორის როლის გაძლიერების ანუ ფაქტიურად — დედნის შემოჭმედებით ინტერპრეტაციის თარგმანში.

თანამედროვე ფრანგი ლიტერატორი ეორჟ მენენი წერიალში „თარგმანი ზუსტი, მაგრამ ზუსტი რით?“ არსებითად იმავე პრობლემით არის დაინტერესებული პოეტურ ენაში. ის წერს: „ლექსის ტექსტის პოეტური თარგმანის სიზუსტე არ არის შევანიტური სიზუსტე სემანტიკის მხრივ, არც ავტორატურად ზუსტი წარმოქმნა გრამატიკული ფორმებისა, არც ასპროცენტაზად ფრაზეოლოგიური სიზუსტე, არც შეცნობურად დადგენილი ფონეტიკური სიზუსტე, — არა, აუცილებელია ზუსტად გადმოიცეს დედნის პოეზია. იმისათვის კი, რათა ის გადმოიცეს, საჭიროა არა მარტო ეთარგმნით იგი, არამედ ღრმად ჩაეწვდეთ პოეტის განზრახვას და საესებით დაეუფლოთ ყველა მის გამოსახველობით საშუალებას“<sup>3</sup>.

ინგლისელი ავტორი თეოდორ სავორი წიგნში „თარგმანის ხელოვნება“<sup>4</sup> ემხრობა პრინციპს, რომლის მიხედვითაც თარგმანი შემოჭმედების ნაყოფია. მთარგმნელის შემოჭმედებით მიღვომის შედეგად შეიძლება, სავორის აზრით, ძლიოს წინააღმდეგობა სიტყვა-სიტყვით და თავისუფალ თარგმანს შორის და მიღწეულ იქნას კომპრომისული გადაწყვეტა. საყურადღებოა ერთი კერძო საკითხი, რომელსაც აღძრავს სავორი, სახელდობრ, რა უნდა ჰქნას მთარგმნელმა, როცა იგი აღმოაჩენს, რომ მის მიერ მოგებული თარგმანი კლასიკური ნაწარმოების რიმელომე მძიმე ადგილის მინამდევს სწორედ ასევე ყოფილა შესრულებული სხვა მთარგმნელის მიერ. საჭიროა თუ არა ამ ადგილის პარაფრაზირება მსგავსების თვლიდან ასაცდენად? სავორის აზრით, ასეთი პარაფრაზირება დამახინ-

<sup>1</sup> Мастерство перевода (сборник статей), М. 1959, стр. 417.

<sup>2</sup> Edmond Cary—La traduction dans le monde moderne. Université de Geneve, 1956.

<sup>3</sup> Жури. «В защиту мира» № 71, апрель 1957, стр. 66.

<sup>4</sup> Theodor Savory—The Art of Translation Johathan Cape, London, 1957.

ჯგებს თარგმანს და ამიტომ მთარგმნელი არ უნდა შეუშინდეს ძველის განმეორებას, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნისა და მთარგმნელის ი. კაშკაინის აზრით „სავიკის შრავალ მსჯელობას აქვს მსგავსება ან იგივეობა საუკეთესო საბჭოთა მთარგმანების შეხედულებებთან. მაგრამ სავიკი რაღაცაში აზვიადებს მთარგმნელობით — განსაკუთრებით პოეტური — თავისუფლების მნიშვნელობას. რაღაცაში კი იწინებს მის მიერვე განხარებული შემოქმედებითი მეთოდის შესაძლებლობათა შეუფასებლობას“<sup>1</sup>.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მთარგმნელობითი პრაქტიკის მრავალრიცხოვანი და ცნობილი მაღალი მიღწევები სხვადასხვა ხალხების კულტურაში აშკარად ეწინააღმდეგება ინტელიტურ თვალსაზრისს თარგმნის შეუძლებლობის შესახებ.

როგორც ჩანს, სწორედ ეს გარემოება უგრძობს XX საუკუნის ცნობილ გერმანულ მწერალს თომას მანს და მხატვრული თარგმანი საესებით შესაძლებლად ჩუთვლია რაკეტოვნობა შეხედულებების წინააღმდეგ. წერილში „კოსმოპოლიტიზმი“ თომას მანი სწერს: „ჩვენი მოქნილი გერმანული ენა თარგმანისათვის ისეთი მშვენიერი მასალაა, იგი ისე ნათლად აღბეჭდავს სხვის ენის მთელ თავისებურებას, რომ უცხო ნაწარმოების გერმანული თარგმანის კითხვის დროს შეგვიძლია თავს ვგრძნობდეთ მისი სამშობლოს ენობრივ ატმოსფეროში გადაყვანილებლად“<sup>2</sup>.

მეტაფიზიკური თვალსაზრისი, ბუნებრივია, არ თვალისწინებს ესთეტიკური შეხედულებების განვითარებას და ამასთან დაკავშირებულ თარგმანის ისტორიულ ფუნქციას. მაგრამ ერთი თვლის გადავლუბითაც კი აშკარა ხდება, რომ თარგმანი არც ერთ ქვეყანაში არ არის მოწყვეტილი ქვეყნის ისტორიულ განვითარებას და, მისი როგორც მძლავრი იდეური იარაღის მნიშვნელობა ჩვეულებრივ დღისა ხოლმე რომელიმე ახალი კულტურული პერსონაჟის დასაწყისში. ამ მხრივ თარგმანის ფუნქცია არსებითად არ განსხვავდება ორიგინალური ლიტერატურის ფუნქციისაგან. თარგმანი სრულდება უოველ ეპოქის იდეურ-ესთეტიკურ ასოხობელობათა შესაბამისად. თარგმანი ასეთ შემთხვევაში ასრულებს იმის მსგავს როლს, რასაც ემსახურება ხოლმე წარსულის აღდგენა და მოწვევება აწმყოს განსაღიბებლად, მო-

მელისათვის საბრძოლველად, მსგავსად იმისა, როგორც ამბობს ე. მარქსი თავის ნაშრომში „18 ბრიუმერი ლეი ბონაპარტისა“<sup>3</sup>. „როდესაც აღამიანები თითქმის იმით არიან გაართულნი, რომ თავისი თავი და საკვები გაიღებნან, ჯერ არ არსებული შექმნან, რვეილუციური კრიზისების სწორედ ასეთ ეპოქებში ისინი შორძალებით იწვევენ დაზმარებისათვის წარსულის სულს, გადმოიღებენ მათ სახელებს, საბრძოლო ღონეუგებს, ტანსაცმელს, — რათა ძველ, საბატოო სამოსელში და ამ ნასესხებ ენაზე მსოფლიო ისტორიის ახალი სცენა დადგან“<sup>4</sup>.

მარქსი აქვე ლაპარაკობს ძველი აღთქმის ისტორიულ როლზე ინგლისურ ბურჟუაზიულ რვეილუციაში. მართლაც ცნობილია როგორ გამოიყენა ინგლისელმა ზალზმა ბიბლიის სამოსელი თავის პოლიტიკურ ბრძოლაში. ამ დროისათვის მის ხელთ იყო ბიბლიის ბრწყინვალე ინგლისური თარგმანი.

სწორედ თარგმანის ასეთი ისტორიული ფუნქციას ხდის შესაძლებელს, საკურობების შემთხვევაში, ცანსაკუთრებით მაშინ, როცა ძველი თარგმანი თავისი ენით ან ხასიათით არ აკმაყოფილებს ახალ მოთხოვნილებებს, წინადა თარგმნილი ნაწარმოების ხელახალ თარგმნას. ეს საესებით ბუნებრივია: იცვლება დრო, — იცვლება შეხედულება თარგმნის პრინციპებზე, — იცვლება თარგმანის ხასიათი. ამგვარად იწმენება ერთი და იგივე ნაწარმოების რამდენიმე თარგმანი, რომელთაგან უოველი შეიძლება თავისი დროის მოთხოვნილებათა სიმძალეზე იდგეს, მაგრამ ერთმანეთს კი ვერ სცვლიდეს. უოველ დროს მისი თარგმანი უბასუბებს.

მიუხედავად ამისა, მაინც არსებობენ საყოველთაოდ აღიარებული საუკეთესო თარგმნები. ისინი შეიქმნენ გარკვეულ სოციალურ ეპოქაში, როგორც ამ ეპოქის იდეური იარაღი. ეპოქა გათავდა, მაგრამ თარგმანი დარჩა. რითი აიხსნება მისი არსებობის ფაქტი? იმავე მიზეზებით, რითაც აიხსნება უოველი ორიგინალური ნაწარმოებების არსებობა — იდეური და მხატვრულ ღირსებებით, რომლებიც დაკავშირებული არიან ხალხურობასთან, ხალხის ენასთან და მის ფსიქიურ წყობასთან. ეს უქანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ვაცილებით უფრო ნელა იცვლება ან ვიდრე სოციალური ცხოვრება.

<sup>1</sup> Мастерство перевода, стр. 463.

<sup>2</sup> ციტირებულია რუსული გამოცემით: Томас Манн — Собрание сочинений, т. VI, Ленинград, 1938 г. стр. 237.

<sup>3</sup> ე. მარქსი — 18 ბრიუმერი ლეი ბონაპარტისა, თბ. 1932 წ. გვ. 9.



## საბჭოთა ჩიი

ჩიის ისტორიიდან

დღეს იშვიათია მსოფლიოში ისეთი კეთილი, სადაც ჩიის არ სეამდნენ.

ჩიის სიამოვნებით სეამენ პაპანება სიციხეში და მძინეარე უინეების დროსაც. ჩიის სეამენ, ჩიის ჰამენ სტეადასხეა წესით დაყენებულს, შეზადებულს და შეზავებულს. მას სეამენ, როგორც გამახნეებელ საშუალებას, სეამენ წყურვილის მოსაკლავად, ხოლო ბევრი ზალხისათვის ის წარმოადგენს კვების ძირითად პროდუქტს.

ძველად ჩიის სამკურნალო თვისებებსაც მოაწერდნენ და ეს არც იყო საფუძველს მოკლებული. ჩიი აძლიერებს ნერვულ სისტემის შეშაობას, აჩქარებს სისხლის მიმოქცევას.

ჩიი თავისთავად კარგი საკვები პროდუქტია, მაგრამ ის საკვების მიღების კიდევ უფრო უკეთეს საშუალებას წარმოადგენს. ამასთან ის ხელს უწყობს საჭმლის მიწოდებას, მოქმედებს, როგორც აღმგზნებელი საშუალებაც.

ჩიის კლასიკური ქვეყანა ჩინეთია. ჩინეთში მისცა მსოფლიოს სახელწოდება „ჩიიც“. დროთა განმავლობაში, ის თავის განსაკუთრებულ თვისებათა გამო, ჩინელთა ნაციონალური სასმელიდან მსოფლიო მნიშვნელობის კვების პროდუქტი გახდა. ჩიის აქამდე უდიდესი სამკურნელო და სამომხმარებლო მნიშვნელობა აქვს.

ჩიის კულტურას და ჩიის გადამამუშავება-გამოყენებას ჩინელები იცნობდნენ დიდი ხნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. სამწუხაროდ, ჩიის მცენარის თავდაპირველი გამოვლინების, მისი ვადაამუშავებისა და გამოყენების შესახებ მეცნიერული მონაცემები ისტორიას არ შემორჩენია. ვეღაფერი ეს მითერ თქმულებათა ბერტსშია გახეველი.

ჩინელები ერთ-ერთ თავის მითერ თქმულებაში ჩიის გამოჩენას აწერენ ლეგენდარული იმპერატორის შენ-ნენგის დროს, რომელიც ვი-თამ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2732 წლის წინათ ცხოვრობდა. იმპერატორი სასმელ წყალს უოველთვის ადუღებდა. ერთხელ ცეცხლში შეკეთებულ ხის ტიტიდან მდღლარე წყალში რამდენიმე ფოთოლი ჩაყარდა, ფოთოლმა წყალს კარგი არომატი და სასიამოვნო გემო მისცა. ეს იყო ველური ჩიის ფოთოლი. ჩიის კულტურა თითქმის ამ დროიდან ღებულობს თავის დასაბამს.

შეორე ლეგენდის მიხედვით, ჩინეთში ჩიის

წარმოშობა ინდოელი ბერის დარუმას სახელთან არის დაკავშირებული. დარემა მოგზაურობდა ჩინეთში ბუდას სარწმუნოების გასაერთელებლად, ის ასევე იყო და ამქვეყნიერ ცხოვრებას უარყოფდა; ღია ცისქვეშ ცხოვრობდა. მის საკვებს მხოლოდ პური და წყალი შეადგენდა. დღისით დადიოდა და ქადაგებდა, ღამით კი ლოცულობდა. მან აღუთქვა ბუდას, რომ სამსახურს გაუწევა და ძილის ვარე-შე, მან, მართლაც, რამდენიმე დღე-ღამე უსი-ლოლ გაატარა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შეამჩნია, რომ ძილი ერევა. ის შეიპყრო შიშმა, რომ ბუდასათვის მიცემულ სიტყვას ვერ შესარტლებდა. ამ ძილიანობის მიზეზად მან თავისი წამწამები ჩაოთავა, მოიჭრა ეს წამწამები და გა-დაავლო. წამწამთა დაეარდნის ადგილას მცენარე აღმოცენდა. დარუმამ მოწყობა ამ მცენარის ფოთლები და ღებვა დაუწყო. უცებ გაბალისე-ბა იგრძნო. დარუმამ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, თუ კაცი ამ მცენარის ფოთლებიდან შეზადებულ 2-3 ჭიქა სასმელს დაღვეს, მას ძილი არ მიეკარება.

მცენიერება, ცხადია, ამგვარ მითებს ვერ დაეშვარება.

ბევრი მკვლევარი ჩიის მცენარის წარმოშობის ცენტრად სიამს, ტიბეტის წინა მხარეს, დღევანდელი ბირმისა და ინდო-ჩინეთის რიგ სხვა პროვინციას ასახელებს. ბევრს კი მიაჩნია, რომ არსებობდა ჩიის მცენარის წარმოშობის რამდენიმე ცენტრი.

ჩინურ ლექსიკონში, რომელიც ჩინეი წელთაღრიცხვის დაბლობით 350 წლებში უნდა იყოს შედგენილი, მოცემულია ჩიის საერთო გაწარტება, მოხსენებულია, რომ სასმელი ჩიი დამზადებულია ჩიის ფოთლების მოხარშვის გზით. იქვე აღმარაგია ჩიის ფოთლის კრეფაზე. ამ მონაცემების მიხედვით ფიქრობენ, რომ ჩიის კულტურა დანერგილ იქნა ჩინეი წელთაღრიცხვის მხოლოდ 350-იან წლებში. უფრო გვიან, VI საუკუნის დასაწყისში, ჩინურ ლექსიკონში არის ცნობა, რომ ზუ-ბეისა და შე-ჩიანის პროვინციებში ჩიის ფოთლებიდან მზადდებოდა ფოთლები; ფოთლებს ზალადნენ შეწითლებამდე. შამდეგ ფხენილდნენ, ყრიდნენ ფაფურის ჩაღვებში, ასხამდნენ მდღლარე წყალს. უმარტდნენ ნიობს, ილს, ფორთხახალს და ისე ზმარობდნენ.

შერეე საუკუნის ბოლო წლებში გამოქვეყნდა ლო-უს წიგნი ჩაის შესახებ. ლო-უ აღწერს ჩაის დამზადების ხერხებს და მიუთითებს, რომ ფოთოლი შეიძლება მოიკრიფოს მხოლოდ ზოგიერთ თავს, ისიც უღრთებლად დღევანდელი ფოთლის ამუშავებენ ხელით, ამრობენ და შემდეგ ინახავენ გერმეტრულად დახურულ ჰერმეტიკში. ამასთან ლო-უ დასძენს, რომ არის მრავალი სხვადასხვა ჩაი. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ლო-უ დაახლოებით იცნობდა ჩაის დამუშავების თანამედროვე წესებს.

არაბი მოგზაურები (სოლემანი, აბუ-ზენდელი და სხვა), რომლებიც მეცხრე საუკუნეში მოგზაურობდნენ ჩინეთში, იხსენიებენ ჩაის მცენარეს, აღწერენ მას, აღწერენ აგრეთვე მშრალ (შუა) ჩაის, მისი დამზადების წესებს და სასარგებლო თვისებებს.

ჩინეთიდან ჩაი მოეღს მსოფლიოში გავრცელდა. ყველაზე ადრე ის იაპონიაში იქნა შეტანილი. იაპონიაში ჩაი იხსენება ჯერ კიდევ შერეე საუკუნის პირველ მეოთხედში (729). მაგრამ მისმა კულტურამ იქ უფრო გვიან მოიკავა ფეხი. ეს იყო დაახლოებით 800-იან წლებში. პირველ ხანებში იაპონიაშიც, როგორც ჩინეთში, ჩაის თვლიდნენ სამკურნალო საშუალებად. მხოლოდ დღეი ხნის გასვლის შემდეგ სხვადასხვა იაპონიაში მასობრივი მოხმარების სახეში. ამასთან იაპონია ცნობილია როგორც მწვენი ბიხის ჩაის კლასიკური ქვეყანა.

ამჟამად ჩაი იაპონიაში ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო სავაზს წარმოადგენს. მას უკავია დაახლოებით 80000 აკრი (32 ათასი ჰა-ზე მეტი) ფართობი და 70 ათას ტონანზე მეტ მშარალექციას იძლევა.

ევროპაში ჩაი გვიან შემოვიდა. ევროპაში ჩაის შეტანისა და გავრცელების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. აკად. ტ. კვარაცხელიას აზრით, ჩაი პირველად ევროპაში მოიტრიალდა მეზღვაურებმა შეიტანეს — 1517 წელს: პორტუგალიის, რომ პირველი პარტია ჩაისა ევროპაში შეზიდულ იქნა 1610 წელს დანიელეების მიერ, რომლებმაც ის მიიღეს ჩინელებისთანავე გაშრობილი საგუს (ბურღელის) სანაცვლოდ. იმავე დანიელებმა 1645 წელს ჩაი შეიტანეს ინგლისში. 1657 წელს იქ პირველად გაიყიდა ჩაი საჯარო ეპრობითი. ხოლო 1660 წლიდან მასობრივი მოხმარების საგანი გახდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნებში ჩაის კულტურამ თავიდანვე ვერ მოიკიდა ფეხი, რის გამოც ევროპის არც ერთ ქვეყანას ამჟამად ჩაის საკუთარი პლანტაცია არა აქვს.

ინდოეთში ჩაის ბუჩქი შეტანილი იქნა მე-18 საუკუნის ბოლოს, მაგრამ სამრეწველო მასშტაბით გავრცელება მხოლოდ 1834-1840 წლებში. 1839 წლის 10 იანვარს ლონდონში პირველად გაიყიდა ინგლისის მიერ ინდოეთში (ასამში) დამზადებული ჩაი.

1839 წელს კალკატაში მოეწყო „ბენგალიის

ჩაის კომპანია“, იმავე წელს ლონდონში შეიქმნა ჩაის წარმოების განვითარების მიზნით აქციონერთა საზოგადოება. სულ შერეე-ის პირველი ორგანიზაცია გაერთიანდა ასამის კომპანიასთან. ხოლო 1881 წელს კალკატაში ჩამოყალიბდა ინდოეთის ჩაის ასოციაცია, რომელმაც თითქმის მთლიანად ხელში ჩაიგდო ჩაის წარმოებისა და ჩაი ეპრობის მთელი საქმე ინდოეთში.

ამჟამად ინდოეთში 300 ათას ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაცია ითვლება. ჩაის წარმოება 285 ათას ტონას, ხოლო ექსპორტი 200 ათას ტონას აღემატება.

ფშაველას ძალა და ცოდნაც ეყო, „აღამიანის  
შტერი“ გველი დაესხა ქვეყნისათვის, საშობ-  
ლოსათვის სასიკვდილოდ განწირული გმირი  
ლუბუმის მხსნელად. ვაჟა წერს:

ამბობენ შაპაღებინა  
სნეულსა ფეხზე დადგომი:  
ელიჩსებაო ლებუმსა  
ლაშარის გორზე შადგომი.

დღევანდელი ბუნების დამცველი მეცნიერე-  
ბი ერთხმად იძლევიან რჩევა-დარიგებას, რომ  
არც ერთი სახე ცხოველისა თუ მცენარისა, რო-  
გორიდაც ის არ უნდა გვეჩვენებოდეს, არ უნდა  
აყოს მისსობოლი მანამდე, სანამ არ იქნება უო-  
ველუმხრე შესწავლილი და მეცნიერულად გა-  
მორკვეული.

ისე როგორც აღამიანმა ღრინველის ფრენის  
მიბაძვით გამოიგონა თვითმფრინავი, ასევე ბუნე-  
ბის დიდი შემცნობ ვაჟა-ფშაველას აზრმა  
ხორცი შეისხა მით, რომ დღეს მიმდინარეობს  
ზოგიერთი სახის გველის შხამის შესწავლა-  
გამოყენება მედიცინაში, როგორც საშუალება  
სხვადასხვა დაავადების გასაკურნავად.

უკასასქნელი დროის გამოყვლევი შტერე-  
ბა, რომ, მავალითად, კობრას შხამი ძლიერ მცე-  
რე ოდენობით შეიძლება წარმატებით გამოიყუ-  
ყენოთ როგორც საინსტრუქციო ტრენინგის  
უნებელი საშუალება. არის ცდები, კობრას  
შხამი გამოყენებული იქნეს ავთვისებიანი სიმ-  
სივნეების სამკურნალოდ, ცოფის საწინააღმდე-  
გოდ, სისხლის დენის შესაწყვეტად და სხვ.  
ამგვარად, შესაძლოა შხამმა უდიდესი როლი  
შეასრულოს სამედიცინო მკურნალობაში და სა-  
პატიო ადგილი დაიკვიროს თანამედროვე ფარმა-  
კოპიაში.

„მთები — ეს არის საშველო, სადაც ახალი  
ფორმები და სახეები ყალიბდებიანო, — წერ-  
და ცნობილი ზოოლოგი კაშკარაო.

მთები თავისი შევტილი ბუნებით, შაკარი  
აღნავობით, დღევანდელი ბუნების შემსწავ-  
ლელი მეცნიერების აზრით, წარმოადგენს ცო-  
ცხალ ლაბორატორიას, რომელიც აღამიანმა უნ-  
და შეისწავლოს და გამოიყენოს კაცობრიობის  
კეთილდღეობისათვის.

აკად. ნესშიანიოვი წერს: „ბავშვებს ბუნება  
თავიდანვე უნდა შევყავართ; მავალითად, პო-  
ლინეთის სახალხო რესპუბლიკაში ლიტერატუ-  
რა ბუნების დაცვაზე იბეჭდება აგრეთვე სკო-  
ლამდელი ბავშვებისათვის. ამ საქმეში დიდი  
დახმარება შეიძლება ვაგვიწიოს მთლიანი ბუნე-  
ბის დამცველმა, საქართველოს „ამალის მთე-  
ბის“ მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ.

ვაჟის ლიტერატურული მემკვიდრეობა აღსავ-  
სეა ბუნების შემცნობი და დამცველი ისეთი ნა-  
წარმოებებით, როგორიცაა: „შულის ნუკრის  
ნაამბობი“, „მთის წყარო“, „ქანდარი“, „სმელი  
წიფელი“, „გველის მკამელი“, „ია“, „უნებე-  
ში ყოფნა“, „ღამე მთაში“, „წიფლის-ჩიტა“,  
„ნიბლიას ანდერძი“, „მზია-წყია“, „გუთნის ღე-  
დის ჩივილი“, „ქეჩი“ და სხვა მრავალი.

ვაჟა-ფშაველას ეს ღირსშესანიშნავი ლექსები  
და მოთხრობები საჭიროა გამოიცეს დასურათე-  
ბული, როგორც ლიტერატურა ბუნების დაცვა-  
ზე, ლიტერატურა, რომლის შესწავლა გამო-  
იწვევდა ბავშვებში ზვენი ქვეყნის ბუნების  
სიყვარულსა და მისი დაცვისათვის ზრუნვას.

დღევანდელ ეთარებაში ბუნების დაცვა  
მთელ დედამიწის ზურგზე გადაქევილია ყვე-  
ლა მოწინავე ქვეყნის ზრუნვის საგნად, რაც  
დასტურდება მსოფლიო სატყეო კონგრესების  
მოწვევით, (ფინეთი, 1949 წ. ინდოეთი, 1954 წ.  
საბერძნეთი 1958 წ.). აქ საბჭოთა კავშირის  
წარმომადგენლები მხურავდნ მონაწილეობას  
იღებდენ მთლიანი ბუნების დაცვის განმტკიცე-  
ბის საქმეში.

## ბ. ვალიაშვილი



### ა. პ. ჩეხოვი საქართველოში

ა. პ. ჩეხოვი საქართველოში ორჯერ იყო: 1888 წლის ივლისში და 1900 წლის მაისის ბოლოს და ივნისის პირველ რიცხვებში. ორივეჯერ იგი უბრძანებლად ჩამოვიდა.

1888 წელს, უბრძანებლად ჩამოვიდა, ჩეხოვმა გადაწყვიტა ზაფხული უკრაინაში გაეტარებინა. 7 მაისს ქალაქ სუმში ჩავიდა. ივნისის შუა რიცხვებამდე მწერალი იქ იმყოფებოდა, შემდეგ თითქმის მთელი ზაფხული მოგზაურობაში გაატარა.

ა. პ. ჩეხოვი საქართველოსკენ გამოემგზავრა გემით „იუნონათი“. აქედან იგი ფიქრობდა ბაქოში, შემდეგ სპარსეთსა და შუა აზიაში გამგზავრებას. „მოგზაურობა ალექსეი სუვორონის 2-სთან ერთად. ვაპირებთ სამარყანდამდე მივალწით. არ ეცი, მოვახერხებთ თუ არა? ჩვენი მარშრუტი ასეთია: ბათუმი—თბილისი—ბაქო—კასპის ზღვა—იმპერატორის ჩინიზა“<sup>1</sup>.

25 ივლისს ჩეხოვი ჩავიდა ახალ ათონში. დამე მონასტერში ვათია, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროების ბუნებამ მწერალი აღტაცებაში მოვიყვანა. „აფხაზეთში ვარ! დამე ახალი ათონის“ მონასტერში ვაეთი, დღეს ეს დილიდან სოხუმში ვზივარ, ბუნება ისეთი გასაოცარია, რომ ლამის ვამყოფთ და სასოება წარმოვეთოს. ევკალიპტები, ჩაის ბუჩქები, კვიპაროზი, ყეღარი, პალმები, სახედრები, გულები, კამეჩები, შეგმოისფერო წერეთელი, ხოლო, რაც მთავარია, მთები, მთები და მთები დაუსრულებელი— ახლა აივანზე ვზივარ, ჩემ წინ ზანტი ნაბჯით მიდი-მოდიან კაბუციანი ბერების სამსაყარადო კოსტუმები გამოწყობილი აფხაზები. გზის გაღამა ბუღარია ზეთისხილის ხეებით, ყეღარებითა და კვიპაროზებით, ხოლო ბუღარის იქით ლურჯი ზღვა“<sup>2</sup>.

სოხუმში ჩეხოვმა თითქმის ერთი დღე დაყო და იქიდან ფოთისკენ გამგზავრა. 27 ივლისს იგი უკვე ფოთშია: „ეიყავი ქუჩაში, ახალ ათონ-

ში, სოხუმში; ახლა ფოთში დავსეირნობ. სადლის შემდეგ ფოსტის ეტლით ბათუმს ვაემგზავრები. ყოველ ქალაქში თითო დღე ვზივარ“<sup>3</sup>. ატუბინებდა იგი ი. პ. ჩეხოვს. იმავე დღეს მწერალი გემით გამგზავრა ბათუმს, სადაც დიდხანს არ გაჩერებულა და თბილისისაკენ გამოემგზავრა. ფოთიდან ბათუმამდე გემით მოგზაურობა ჩეხოვს აწერილი აქვს მ. პ. ჩეხოვისადმი<sup>4</sup> მიწერილი წერილში.

ამ წერილში, სხვათაშორის, ანტონ პავლეს ძე თავის ძმას მოუთხოვრებს, თუ როგორ გადაჩა მათი ძველი გემი „დირა“ ბათუმიდან მომავალ გემ „ტეილთან“ დაჯახებას. აღსანიშნავია, რომ ამ მოსალოდნელი კატასტროფის მიზეზი თვით ჩეხოვი იყო, რომელმაც გემის ძლიერი ტყუვის გამო წაიბარბაცა, ხელი სტაცა გემის ტყუვრადს, შემდეგ თავის ადგილზე ევლარ დააყენა და ამ ხელსაწყოს მოშლის გამო გემმა ორიენტაცია დაკარგა.

თვით ქალაქი ბათუმი, რომელიც იმ დროისათვის უკვე ბურჟუაზიულ ცივილიზებულ ქალაქს წარმოადგენდა, მწერალს არ მოეწონა, მაგრამ აღტაცებაში მოვიყვანა ქალაქის გარეუბნის ამწანებულმა წალოტმა. „მათში, დიდი, სახედრო-საეკრო-ტეხოტრა-ვაფეშანტანური ქალაქია, სადაც თქვენ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობთ, რომ ჩვენ თქვენზე ვაიმარჯვეთ. მასში განსაკუთრებული ევრაფიკი ვნახე, საშაგიეროდ, საუცხოოა ქალაქის მიდამოები“<sup>5</sup>. ჩეხოვს მოეწონა, აგრეთვე მდინარე რიონი და მისი შესართავი შავ ზღვასთან, რიონის ცნობილი დაბლობი რომელიც მაშინ მწვანედ ხასხასებდა.

ანტონ ჩეხოვი თბილისში ჩამოვიდა 28 ივლისს. მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა, შერბე დღეს იგი, სუვორონთან ერთად, ბაქოსკენ გამგზავრა. „ახალი ათონიდან ვიგზავნიოთ ხატს, დე-

<sup>1</sup> А. П. Чехов, полное собр. соч. т. 14, стр. 141.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 141—143.

<sup>3</sup> А. П. Чехов, пол. собр. соч. т. 14, стр. 146.

<sup>1</sup> А. П. Чехов, Полн. собр. соч. т. 14, 83-139.

<sup>2</sup> იქვე, 83-140.

იდა, — სწერდა თბილისიდან ფ. ი. დოლგენკოს. — ამჟამად თბილისში ვარ, ხვალ კი მივდივარ ბაქოში კასპის ზღვაში საბანაოდ<sup>1</sup>. ისევე, როგორც სოხუმსა და ახალ ათონში, მწერალი მოკვადობებული იყო საქართველოს ბუნების სილამაზით, რაც ნახა ბათუმიდან თბილისამდე მოგზაურობის დროს. «გზა ბათუმიდან თბილისამდე» — სწერდა ლეიკინს. — ცნობილი სტრამის უღელტეხილით, ორიგინალურია და პოეტური. სულ ფანჯარაში უნდა იქირო და ვიხივს იმასდევ: მთები, გვირაბები, კლდეები, მდინარეები, ჩანჩქერები და ჩანჩქერები<sup>2</sup>...

ა. ჩეხოვი ბაქოდან კასპის ზღვით სპარსეთსა და ბუხარაში გამგზავრებას ფერტიბდა. მგერამ მისმა თანამგზავრმა სვეტორინმა მოულოდნელად დეშეში მიიღო მისი გარდაცვალების შესახებ. ამის გამო ისინი უკან, თბილისში, დაბრუნდნენ და აქედან სამხედრო გზით რუსეთს გემზავრდნენ. საქართველოს სამხედრო გზამ — აგრის უღელტეხილმა, ვახუშტამ, დარიალის ხეობამ მწერალზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. «თქვენ გინახათ. — სწერდა ლეიკინს, — მგონი, თქვენ საქართველოს სამხედრო გზაც გინახათ. ხილი თუ ჯერ ამ გზაზე არ გიმგზავრათ, მაშინ დაავიწყდით ცოლი. შეილება „ოსკოლი“<sup>3</sup> და გამოემგზავროთ. მა ჩემს სიცოცხლეში ამის მსგავსი არაფერი მინახავს. ეს სულ ერთიანად პოეზიაა: გზა კი არა, საუცხოო ფანტასტიკური მოთხრობა, ღაწირილი თამარისათვის ველდამწერარი დემონის ბერა<sup>4</sup>.

ძალზე ორიგინალურად აღწერს ჩეხოვი ვაკისონის სიმშენიერებს კ. ს. ბარსუევიჩისათვის მიწერილ წერილშიც. აქ იგი უკვე კავკასიონის ქირის სურათს ხატავს. მგერამ მთაბარა მანეც შთაბეჭდილება განცდა. «განვიყარად საქართველოს სამხედრო გზა. ეს გზა კი არა, პოეზია, სხ. უცხოო თანატანტიკური მოთხრობა, დამონის ბერა დაწერილი და თამარისათვის მიძღვნილი... წარმოადგინეთ თქვენი თარი 8000 ფუტ სიმაღლეზე... წარმოადგინეთ? ახლა ინებეთ და აზრით შეთხრობითი უღესკრულს და ქვეითი გადაიხედეთ: შორს, შორს თქვენ ხედავთ ეფირო ფსევრს. რომლის ძირზეც თეთრი ვიწრო ლენტე მიიკლავება — ეს ქალბარა ბეზღონა არავიცი; ვიდრე ამას დაინახადეთ, თაოში მოგხეობებთ ღრებლები, ქალები, ზრამები, კოლოები. ახლა ცოტა ზევით აიტანეთ მებრა და შეხედეთ თქვენს პირდაპირ: მთები, მთები, მთები. მათზე კი მწერები დალოდავენ — ეს ძროხებია და ადა-მიანები... ახლა მაღლა აიხედეთ — იქ ძალზე მაღალი ცაა, მთის გრილი ნიავი უბრაავს<sup>5</sup>.

ასეთია კაიშიურის ველი, ჯერჯერ გარდაეცა და იქიდან დანახული არავიცი თვისი დიდი სიზოზით. «წარმოადგინეთ, — განმარტავს მანეც მწერალი, — ორი მაღალი კედელს მანეც მწერალი შუა გრძელი, გრძელი დერეფანი; სახურავია — ცა, იატაკი — თერგის ფსევრის; ფსევრზე ფერფლისფერი გველი მიიკლავება. ერთ-ერთ კედელზე ვაულოებული თარი, რომელზეც მჭერის ეტლი, რომელშიც ზიხართ თქვენ... გველი ბრაზობს, ღრიალებს და ფაფარს იყრის. ცხენები დამთხვეულებივით მიიქრიან... კედლები მაღალია, ცა — კედელ უფრო მაღალი... კედლებს მწვერვალებიდან ცნობისმოყვარე ქვეითი იცქირებიათ ქოჩორა ხეები... თებრუ ვეხვევია ეს დარიალის ხეობა, ანუ, ლერმონტოვის გამოთქმა რომ ვიხმართ, დარიალის იწროები... სოვ. რომდე სადმე ვადაურზე (ვედაურა. გ. ტ.) ან დარიალთან და ზღაპრებს არ წერდე — ეს უმსგავსოებაა<sup>1</sup>.

«შთაბეჭდილებები ახალი, მკვეთრი, ისე მკვეთრი იყო, რომ ყოველივე განცდილი ახლა სიხშირე მგონია... — სწერს იგი ა. ნ. პლემჩევს<sup>2</sup>. «განვიყარად საქართველოს სამხედრო გზა. შთაბეჭდილებები მრავალი. — სწერს მწერალი დ. ვ. გრიგორივიჩს 1888 წლის 9 ოქტომბერს. — კავკასიაში, რომ ვეცხოვრობდა, სულ ზღაპრებს დაეწერე. ვასოციარი ქვეყანაა<sup>3</sup>.

იმავ წლის სექტემბერში ანტონ ჩეხოვი თავის მეგობარს ა. ნ. პლემჩევს ურჩევს, რომ აუცილებლად ინახლოს კავკასია, საქართველო. «მომიავალ ზაფხულში, ივლისამდე მაინც ჩვენ ალბათ. ისევე ლინტეარობებთან ვეცხოვრებთ უფროში წასვლას არ ვირჩევთ: თუ კი ვსურთ ბუნებამ გვაგმტერით და საბტად დატოვოთ, წაით კავკასიაში. კისლოვდსენ მსგავსი ქურორტებს გვერდი აუარეთ და საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩადით, იქიდან — ბორჯომში, ბორჯომიდან კიდევ სტრამის უღელტეხილით — ბათუმში<sup>4</sup>.

ანტონ ჩეხოვს საქართველოდან წაუღია ჩონგური და მისისათვის ურჩეუბია.

მწერლის მძის მ. პ. ჩეხოვის ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: «ჩვენი ანტონ პელოვიჩი უფროში გავმგზავრე, იქ დაყო ორი კვირა, შემდეგ ფეოლოსიაში „იუნონაში“ ჩაჯდა და ჩავიდა სოხუმ კლამდე; სოხუმ-კალეში ვადაჯდა საბაველ „ღირაში“ და ამ ვემით ჩაუღა ფოთში. გზაში კინალამ დაეჯება „ტეილს“. ფოთში სტუმრობის შემდეგ ჩვენი მოგზაური წავიდა თერქეთში, რის გამოც ჩაუღა ბათუმში. ბათუმიდან თბილისამდე იმგზავრა რკინიგზით,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 144.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 146.

<sup>3</sup> „ოსკოლი“ — ლეიკინის ფერწილი იყო.

<sup>4</sup> А. П. Чехов, полное собр. соч. т. 14, стр. 146.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 147.

<sup>1</sup> А. П. Чехов, полное собр. соч. т. 14, стр. 148.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 149.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 183.

<sup>4</sup> А. П. Чехов, полное собр. соч. т. 14, стр. 169.

თბილისიდან ვლადიკავკაჟამდე მთები ვადიარა ცხენებით, ხოლო ვლადიკავკაჟიდან ტავანროგამდე რკინიგზით ჩამოვიდა. ტავანროგში მხოლოდ ორი საათი დარჩა... დრო არა ჰქონდა. თურქეთიდან ჩამოიტანა მშვენიერი მუსიკალური ინსტრუმენტი „ჩონგური“, რომელიც არწინანბეგარი იქნება. ეს ინსტრუმენტი მან მე მართქა“ 1.

ანტონ ჩეხოვი თურქეთში არ ყოფილა და არც შეეძლო. იქიდან ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტის — ჩონგურის ჩამოტანა. ეს მან, ალბათ, ქართველებისაგან ან საჩქრაიდ მიიღო ან შეიძინა.

როგორც ანტონ ჩეხოვის ძმა წერს, მწერალი ქალაქ ვლადიკავკაჟიდან ტავანროგში ჩავიდა, იქ იგი რამდენიმე საათს გაჩერდა და შემდეგ, შეიღ აგვისტოს, სტუმრი ლინტავკარიონების აგარაკს ეწვია.

ასე დამთავრდა ა. პ. ჩეხოვის პირველი მოგზაურობა უირიშა და კავკასიაში.

იყო თუ არა ქართველი მკითხველისათვის ჩეხოვი ცნობილი იმ დროს, როცა მწერალი საქართველოში მოგზაურობდა? რასაკვირველია, იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი არც თბილისში ჩამოსვლა და არც აქედან წასვლა არაფერს გუგუბა.

• •

საქართველოდან დაბრუნების შემდეგ ანტონ ჩეხოვი დაახლოებით ორი წლის შემდეგ კუნძულ სახალინზე გაემგზავრა. ამ ზანგარდლივი და მძიმე მოგზაურობის შემდეგ მალე წავიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. 1891 წელს გაზაფხულზე იგი იმყოფებოდა ვენაში, ვენეციის, ფლორენციაში, რომში, მონტეკარლოში, პარიზში.

1893 — 1894 წლებში ჩეხოვის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ექიმების რჩევით 1894 წლის ზაფხულს იგი უირიშში ცხოვრობდა, ხოლო შემოდგომაზე ისევ საზღვაოგარეთ გაემგზავრა. მთელი შემოდგომა მან გაატარა ვენაში, მილანსა და ნიუაში. ვერც ვეროპის ექორატებმა და ვერც მულეზოვოს პაემ დადებითი შედეგი ვერ გამოიღო, რაც დრო ვადიდოდა, მით უფრო უარესდებოდა მწერლის ჯანმრთელობა.

როგორც წერილებიდან ჩანს, ა. ჩეხოვს ბევრჯერ უნდოდა საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებდა. ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, მას ხელს უშლიდა ავადმყოფობა, „ფული თუ შექნა, — სწერდა იგი 1894 წელს სეუორინს, — ან საზღვაოგარეთ წავალ: ან კიდევ კავკასიაში“ 2.

„ხომ არ წავიდეთ ერთად საითმუ? მათუმში ან ბორჯომში?“ — სწერდა პოტაპენკოს 1896 წელს 1. „იენისამდე დავრჩებო“ 2. „სწერდა ა. ი. პლემშევეს 1899 წელს: „... შენც წავიდოდი პარიზში ფრანგ ქალბთან, ხოლო პარიზიდან თბილისში ქართველი ქალების სანახავად“ 2.

საქართველოში ჩამოსვლის სურვილს მწერალი გამოთქვამს სხვა წერილებშიც, რომლებიც თარიღდება 1889 — 1900 წლებით.

1897 წელს ა. ჩეხოვის ჯანმრთელობა იმდენად ვაუთარედა, რომ მას პირიდან სისხლისღებინება დააწყებინა. ექიმების რჩევით იგი სამკურნალოდ ისევ საზღვაოგარეთ გაემგზავრა. ექიმების რჩევითვე მწერალმა ვადმუშევირა მულოხოვოში სახლის ვაყიდვა და აგარაკის აშენება იალტაში.

1898 წელს ა. პ. ჩეხოვმა ვაიციო საზხატერო თეატრის ნიჭიერი მსახიობი ქალი ო. ლ. კნიპერი, რომელმაც თავიდანვე მწერალში დიდი სიძაბოთა გამოიწვია. თეატრალური სეზონის დამთავრების შემდეგ, 1899 წლის ზაფხულში, ო. ლ. კნიპერი ჩამოვიდა საქართველოში თავის მმასთან. მისი ძმა, კონსტანტინე ლეონარდის ძე კნიპერი, რკინიგზის ინჟინერი იყო და 1898 — 1899 წ. წ. მუშაობდა საღებურ მუცეთაში. მიმოწერა ანტონ პავლეს ძე ჩეხოვსა და ო. ლ. კნიპერს შორის სწორედ ამ დროს დაიწყო. მომავალი შევიდის პირველი წერილი ო. ლ. კნიპერმა მიიღო მცხეთაში. „რას ნიშნავს ეს? საღ ხართ? თქვენ ისე გაჩუქებულხართ და არაფერს ვაჯტყობინებთ, რომ საგონებელში ჩაეცივდით და ვიწყებთ ფიქრს, რომ თქვენ დაგვიწყდით და კავკასიაში ვაბოხდით თუ მართლა ვაბოხდით, ვისზე? ხომ არ ვადამუშავებთ სკენისათვის თავის დანებება?“

ეტორი დავიწყებულა... — ახ, რა საშანელია ეს, უღმობელი და ვერაგული!

ჩვენები ყველანი საღამს ვითელიან ახალი არაფერი არ არის. ბუნებში კი არ არიან, სულ არაფერი არ არის...

მე მაშინ თქვენი ვაცილება მინდოდა, მაგრამ, საუბდნიეროდ წვიამ შემიშალა ხელი“ 3.

ო. კნიპერმა პასუხი არ დააუყენა და 1899 წლის 22 ივლისს მცხეთიდან ჩეხოვს ვაუგზავნა ვრცელი წერილი.

ო. კნიპერი საქართველოში ყოფნის დროს მარტო ბუნების სიმშვენიერით კი არ ტყებოდა, არამედ დაინტერესებულა ჩვენი ისტორიით, ისტორიული ძეგლებით. როგორც ირკვევა, ზმირად დაიარუბოდა იგი მცხეთის მიდამოებში და ათვალერებდა ღრისშესანიშნავ ადგილებს. „ღღეს ექვს საათზე ავღებთ და მთებში სა-

<sup>1</sup> ციტატი მთავიას წიგნიდან *Летопись жизни и творчества А. П. Чехова*, стр. 199 — 200.

<sup>2</sup> *А. П. Чехов, полное собр. соч. т. 14*, стр. 364

<sup>1</sup> Полн. собр. соч. т. 16, стр. 154.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 348.

<sup>3</sup> *Переписка А. П. Чехова и О. Л. Книпер, 1934*, стр. 51.



ბეტილოდ წავედით. პირველად წაიღე თან „ძია ვანო“ ოღონდ წიგნი უფრო ხელში უქმად მეჭირა და ეტყებოდი ბუნების მშვენიერებით, ახლობელი და შორი მთების წარმატაი სანახაობით, სოფელ მცხეთის სურათით, რომელიც ზევანზე ორი ვერსით არის დაშორებული და რომელიც მცვერისა და არაგვის შესართავთან მდებარეობს; თავს მხნედ და ბედნიერად ვგრძნობდა... აქ ირგვლივ ყველგან ისეთი სილამაზა—მშვენიერი სასიერო აღგოლები, მკავალი ძველი ნანგრევები, საინტერესო ძველი ქართული ტაძარი მცხეთაში; ჩვენი აგარაკის მახლობლად, პარკშივე, პოეტურად თავი შეუფარებდა საქართველოს განმანათლებლის წმინდა ნინოს პატარა ეკლესიას. იგი, რა თქმა უნდა, რესტავრირებულია. იქ ახლა მყუდროებისა და განმარტობის მოყვარული ორი ქალი ცხოვრობს<sup>1</sup>.

ო. კნებერი ა. ჩხეიძის სთხოვს ჩამოვიდეს საქართველოში: „ნეტავი ჩამოსიერებდეთ აქეთკენ, ანტონ პელოვიჩ, აქ ნამდვილად კარგია; აქედან კი ერთად წაიდიდოთ ბათუმში ან იალტაში, პა' ჩემი ძმა და მისი ცოლი კარგი ხალხია, ძალიან მოხარული იქნებიან“<sup>2</sup>.

ამავე წერილში ო. კნებერი დაწვრილებით აღწერს თავის მოგზაურობას საქართველოს სამხედრო გზით ყაზბეგამდე, შემდეგ ახალციხემდე, ყარსამდე, შერაღს მოუთხოვს თავის შთაბეჭდილებებსა და ვაწყდებს ამ მოგზაურობის შესახებ.

ამ წერილის შემდეგ ჩხეიძე მართლაც განიზრახა 1899 წლის ივლისში საქართველოში ჩამოსვლა იმისათვის, რომ ბათუმში შეხედროდა ო. კნებერს და იქიდან ერთად წასულიყვნენ იალტაში.

იმ ზაფხულს ჩხეიძის დიდი ხნით ჩამოსვლა არ შეეძლო, რადგან იალტაში მან საკამადამო ადგილი იყიდა და იქ აგარაკის მშენებლობას შეუდგა. სამწუხაროდ, მაშინ მცირე ხნითაც ვერ ჩამოვიდოდა. მოულოდნელად ტავანთაგში მოუხდა წასვლა და იქიდან ღებემა გამოუგზავნა ო. კნებერს, რომ ისინი შეხედროდნენ ერთმანეთს არა ბათუმში ან მცხეთაში, როგორც ამაზე აღრე შეთანხმდნენ, არამედ გემზე — ნოვოროსისკში.

ერთი წლის შემდეგ, 1900 წლის ზაფხულში, ო. კნებერი საქართველოში კვლავ ჩამოვიდა. მისი ძმა, როგორც ჩანს, გადაუყვანილ იქნა ბორჯომში. ამიტომ ო. კნებერი თავის დედასთან ერთად ბორჯომში ჩაივდა.

ო. კნებერის წერილიდან ივგიბთ, რომ ა. ჩხეიძის გადაწყვეტილი ჰქონდა 1900 წლის ზაფხულში ჩამოსვლა და აქედან, ო. კნებერთან ერთად, ყირიმში გამგზავრება. „ბათუმში ჩ.მ.ბ.

ვალთ, ხომ არ გადაიფიქრეთ?“ — წერს ო. კნებერი 1900 წლის ივნისში. ჩხეიძე მართლაც ჩამოვიდა, მაგრამ მარტო იმისათვის, რისთვისაც აქ შეხედროდა კნებერს.

მაისის ბოლო რიცხვებში ა. ჩხეიძე, მ. გორკი, ცნობილი რუსი მხატვარი ვ. ვასნეკოვი და ექიმი ა. ალექსინი იალტაში ჩაივიდნენ ვლადიკავკაეში, ხოლო იქიდან საქართველოს ს.მ.გორკი გზით ჩამოვიდნენ თბილისში. მცხეთაში ისინი შეხედნენ თავიანთ ნაცნობ ექიმს ნ. სრედინს, რომელსაც მ. გორკიმ მცხეთიდან ა. კალუტინისთან წერილი გამოატანა. „რა სიხარულით შეგვხვდებით, ალექსანდრე მეფოდოვიჩი! ჯერჯერობით კი ნება მომეცით ვაეცნოთ ჩემი მეგობარი ლეონიდ ანარეის გავ სრედინი, და ძალიან გთხოვთ მისთვის თქვენს ალტაში.“

ჩვენ არ შევხედროვართ ერთმანეთს თითქმის ცხრა წელი, მაგრამ მე გულწრფელად მახსოვს ყველაფერი, რაც კი თქვენთან ერთად ვანიტყაღე და არასოდეს არ დამიწყებია, რომ სწორედ თქვენ 3 ირველმა მომეცით ბიჭვი იმ გზაზე, რომლითაც ახლა მივიდიარ ნახვამდის, ხელომდე მაქსიმინ<sup>3</sup>.

3 ივნისს ა. ჩხეიძე, მ. გორკი, ვ. ვასნეკოვი და ა. ალექსინი ჩამოვიდნენ ქალაქ თბილისს და გახერდნენ „ჩრდილოეთის სასტუმროში“. „1900 წლის მაისში, — წერს ა. კალუტინი, — ჩამოვიდნენ თბილისში და გაჩერდნენ „ჩრდილოეთის სასტუმროში“ გორკი, ჩხეიძე, ექიმები სრედინი და ალექსინი. ისინი კავსიაში ექსკურსიაზე ყირიმშიდან ჩამოვიდნენ. სრედინი პირველი ჩამოვიდა. მის შესახებ გორკიმ წერილი მომწერა, დანარჩენებს სიღებრში დავხვდი.“

იმ დღებში ჩხეიძე მოწყენილი იყო, უყვარდა განმარტობა. მე გორკი, მის ავღმყოფობით გამოწვეული წინათგონობა სტანჯავდა. ერთხელ, სასტუმროში რომ ვისხვდიო, საერთო საუბარში მან თქვა, რომ ჩვენში ტერტორია მკიდროდ არ არის დასახლებული, სკირია უფრო მკიდროდ დასახლება. მრეწველობის განვითარება, ეს სიტყვები გამოჩაგლის შუადგენდნენ, რადგან ჩხეიძე პოლიტიკურ თემებს თითქმის არ ეხებოდა ხოლმე.

თბილისში ისინი თითქმის ერთ კვირას დარჩნენ. იყვნენ მცხეთაში. გორკი უფრო ხშირად ალექსინთან იყო, მასთან მეგობრობდა. მცხეთაში დაათვალიერეს ტაძარი, გაიარეს სოფელში, დაათვალიერეს სხვა მონასტრები<sup>4</sup>.

მცხეთის დათვალიერების შემდეგ ჩხეიძე, გორკი, ვასნეკოვი, სრედინი და ალექსინი ისევ თბილისში დაბრუნდნენ, ხოლო აქედან თბილის-ბათუმის მარტრებლით ბათუმში ვაემ-

<sup>1</sup> Переписка А. П. Чехова и О. А. Клиппер, стр. 52—53.

<sup>1</sup> М. Горький, собр. соч. т. 28, стр. 122

<sup>2</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>2</sup> А. Калюткин, Старый друг, газ «Известия», стр. 28, март 1938 г.

გზავრენ. სრულიად შემთხვევით მატარებელში მსხეთასთან ისინი შეხედნენ ო. კნიპერს, რომელიც იმავე მატარებლით მიემგზავრებოდა ბორჯომში.

ა. ჩუხოვის, მ. გორკის და ვ. ვასნეცოვის თბილისში ჩამოსვლა შეუმჩნეველი არ დაიტოვებოდა ქართველ საზოგადოებას. ცნობა მათი თბილისში ყოფნის შესახებ დაიბეჭდა ა. ჯა:კვიაძის გაზეთ „ივერიაში“: „გამოჩენილი მწერლები ანტონ პავლეს ძე ჩუხოვი და მაქსიმ გორკი (ნამდელი გეარი პემოკოია) ამჟამად თბილისში არიან „სევერნი ნომერიში“ ჩამომტარნი, იქვეა ჩამომტარო ახალგაზრდა მხატვარი ვასნეცოვი“<sup>1</sup>.

ერთი დღით ადრე, 6 ივნისს, რუსი მწერლების ჩამოსვლა მკითხველს აუწყა გაზეთმა „ტიფლისი ლიტერაჟა“.

ქართველ საზოგადოება ჩუხოვსა და გორკის, როგორც გამოჩენილ რუს მწერლებს, მანამდეც იცნობდა. ქართველები ყარაღდ იცნობდნენ აგრეთვე ახალგაზრდა ნიჟერ მხატვარს ვასნეცოვს, რომელმაც, რუს მწერლებთან ერთად, თბილისში თითქმის ერთი კვირა გაატარა.

ჩუხოვი, გორკი და ვასნეცოვი საქაშო ხანს დარჩნენ თბილისში. მათ ჰქონდათ დრო და საშუალება, რომ დაეთვალიერებინათ ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაო ადგილები. შეხვედროდნენ ადგილობრივ საზოგადოებას, ქართულ მწერლებს, კულტურის მოღვაწეებს, თვითან ნაენობებს. მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ერთი ცნობის მეტი არაფერი გავეჩინა. ა. ჩუხოვსა და მ. გორკის ეპისტოლარული მემკვიდრეობა საქაშოდ მდღეა. ა. ჩუხოვს 1888 წელს ხუთ დღეში 24 იელისიდან ოცდარეამდე აწერაოლი და ვაგზაონილი აქვს ხუთი წერილი, საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ (რუსეთში დაბრუნების შემდეგ) კიდევ უფრო მეტი.

სულ სხვაგვარი მდგომარეობაა 1900 წლის მოგზაურობის დროს. როგორც რუსულ წყაროებში, ისე ქართულში ძალზე ცოტა ცნობები მოგვეპოვება ამ ორი გამოჩენილი მწერლის თბილისში ჩამოსვლისა და მათი აქ ყოფნის შესახებ.

გაზეთებში გამოქვეყნებული მასალის ვარდა, გვაქვს მაქსიმ გორკის შეუღლის ცნობა იმის შესახებ, რომ 6 თუ 8 ივნისს მ. გორკი და ვ. ვასნეცოვი თბილისიდან უკან გაემგზავრნენ საქართველოს სამხედრო გზით. შემდეგ მოგვეპოვება შ. სოსლანის ცნობა, რომ მ. გორკი თბილისში შეხვდა ცნობილ ქართველ მწერალს ა. შაიბუბოვს. რაც შთავარდა, არსებობს გ. შ. თუმანიშვილის მოგონებები ა. ჩუხოვის, მ. გორკისა და ვ. ვასნეცოვის თბილისში ყოფნის შე-

სახებ. აქ ვკითხვლობთ: „1900 წელს, რუსთ, ა. პემოკოს მოვხდა ისევე თბილისში ყოფნა. რგე აქ ცოტა ხნით, გაელით იყო „არჩენებთან“ და ვასნეცოვთან ერთად. მმ შემხმეველი ჩამატებამ ლეს მისმა ძველმა ამხანაგებმა, რომლებიც მასთან ერთად მსახურობდნენ ამიერკავკასიის რკინიგზაზე და ერთ-ერთ ბაღში მოუწყვეს სადლია ქართველი ინტელიგენტები, რომლებიც აქ სადღეზე იყვნენ, დარწმუნდნენ, რომ მ. გორკის არაფერი ანტიპატია სხვა ხალხების მიმართ არ ჰქონდა და, პირიქით, დიდი სიმპათიით ემპრობოდა მათ“<sup>1</sup>. ამის მეტი სხვა ცნობა ამ ორი დიდი ადამიანის შესახებ არ გავგვაჩნია. მთავარია ის, რომ თვით ა. ჩუხოვი და მ. გორკი არაფერს არ წერენ თბილისში ყოფნის შესახებ. ეს გარემოება ყველას გაეჩიერებას იწვევს. ვინც კი ეცნობა ჩუხოვისა და მ. გორკის 1900 წელს თბილისში ჩამოსვლის მასალებს.

ბ. სტეფანოვი თავის წერაში — „ჩუხოვის მოგზაურობა კავკასიაში“<sup>2</sup> ამტკიცებს, რომ მწერლის დღეილი თბილისში ყოფნის შესახებ აიხსნება კონსპირაციული მოსაზრებებით, მისი აზრით, მ. გორკი და ა. ჩუხოვი თბილისში ჩამოვიდნენ არა როგორც ტურისტები, არამედ მათ სურდათ მონაწილეობა მიეღოთ ცნობილ საპირველმართო დემონსტრაციაში, რომელიც, თითქოს, 1900 წლის 1 მაისს შედგა. აქ, როგორც ხედავთ, უხეზო შეცდომა დაშვებულია საპირველმართო დემონსტრაცია, რომელიც მხედველობაში აქვს ბ. სტეფანოვს, თბილისში ჩატარდა არა 1900 წლის 1 მაისს, არამედ 1901 წლის 22 აპრილს. ასე რომ, ა. ჩუხოვი და მ. გორკი ერთი წლით ადრე არ ჩამოსულან საქართველოს დემონსტრაციის სანახაოდ თუ მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ, მეორე მხრივ, ამყარა, რომ ორივე მწერლის დღეილი აიხსნება გარკვეული პოლიტიკური მიზნებით.

როგორც ცნობილია, საქართველოს პირველი რევოლუციური წრეების მოღვაწეობა დაკავშირებულია მ. გორკის სახელთან.

90-იან წლებში, მაქსიმ გორკის თბილისში ყოფნის დროს, არსებობდა მუშა-მეკანიაკოსის თ. აფანასიევის წრე. მ. გორკი სწორედ ამ წრეს დაუკავშირდა და, როგორც ცნობილია, ვადა კრასნოგორსკიას კომუნის ერთ-ერთ ორგანიზატორს.

1891—1892 წ. წ. მ. გორკი თბილისში ხედვობდა რუს და ქართველ საზოგადო მოღვაწეებს: ა. კალუენის გ. ჩიტაძეს და სხვ. 1898 წელს პოლიციამ ამ წრის კვალს შიავრო და მისი მონაწილეობი დააპატიმრა. ამ დროისათვის მ. გორკი რუსეთის მთელი იმპერიაში უკვე

<sup>1</sup> Г. М. Туманов, «Характеристика и воспоминания», Книга вторая, стр. 53.

<sup>2</sup> «Ставропольский альманах» № 7, 1951, стр. 198—203.

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, 7 ივნისი, 1900 წ.

<sup>2</sup> Ш. Сослани, Записи беседы с М. Горьким «30 дней», 1938, № 6, стр. 87.

ცნობილი მწერალი იყო, მაგრამ თბილისის პოლიცია ამას არ მოეწონებოდა და მოითხოვა მ. გორაკის დაბატიმრება ნიენ-ნოვეგროდში და ბატონის თბილისში ჩამოყვანა. ასეც მოხდა. 1898 წელს მ. გორაკი დაბატიმრებულ იქნა ნიენ-ნოვეგროდში. იგი ჩამოიყვანეს თბილისში და მოათავსეს მეტეხის საბატიმროში. მართალია, მ. გორაკი მალე გაათავისუფლეს, მაგრამ თბილისის პოლიციის ეს გავგონარა და ყოველად სულელური განკარგულება მ. გორაკის დაბატიმრების შესახებ ჯერ კიდევ, რომ იტყვიან, „ცხელი ამბავი იყო“. აი ამიტომ, როგორც ჩანს, ა. ჩხეიძე, ე. ვანსტოფი და მათი თანამგზავრი ორი ექიმი ყოველ ზომებს იღებდნენ, რომ მათი ჩამოსვლა თვალში არ სცემოდა პოლიციას, ისინი ამცქერებდნენ გზავნილებს თბილისიდან.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, მ. გორაკის უშიშროებისათვის, ა. ჩხეიძე და მისმა თანამგზავრებმა ყველა ზომა ისმარეს, რომ მათი ჩამოსვლა შეუძლებელი დაჩინდითყო, მით უმეტეს, რომ ეს სჭირდებოდა თვით მ. გორაკის, რომელიც, როგორც თუმანიშვილის მოგონებებიდან ჩანს, თბილისში ყოფნის დროს თავის მეგობარ რევოლუციონერებს ხელებოდა.



დატოვა თუ არა რაიმე კვალი საქართველოში ა. ჩხეიძის შემოქმედებაში? ჰქონდა თუ არა მის ორ მოგზაურობას საქართველოში რაიმე მნიშვნელობა? რასკვირველია, ჰქონდა.

საქართველოს ცხოვრებას ა. ჩხეიძე აგრძალებს არ იცნობდა. ამიტომ მას არ შეუძლო ამ მასალაზე შეექმნა ნაწარმოები. მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში მოგზაურობას არ ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა. ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა მწერლისათვის ჰქონდა საქართველოს ბუნებას, მართალია, საქართველოს ბუნება მწერლის ისე არ დაუხატავს, როგორც დაგვიხატეს პუშკინმა და ლერმონტოვმა, მაგრამ ჩხეიძესაც აქვს ნაწარმოებები, რომლებშიც ვხვდებით ჩვენი ბუნების მხატვრულ სურათებს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ აქედრმა მოამბეულებებმა ვარკვეული როლი შეასრულეს, საერთოდ, ჩხეიძის მხატვრული შემოქმედების პეიზაჟით გამდიდრებაში.

როგორც ცნობილია, ა. ჩხეიძის 80-იანი წლების პირველი ნახევრის შემოქმედებაში პეიზაჟს უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. მის მოთხრობებში ბუნების აღწერას, მართალია, არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით, მაგრამ ფერადი მხრივ პეიზაჟი არ არის მდიდარი.

90-იან წლებში მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში პეიზაჟი დაიკავეს მეტად დიდ ადგილს, იგი უფრო მრავალფეროვანი და ლამაზი ხდება. პეიზაჟს დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო მის მოთხრობებში, არამედ ისეთ

ჯანრშიც, ვი, როგორც არის დამატებული, სადაც მწერალს პეიზაჟის დამატება ყველაზე ნაყლები საშუალებანი გააჩნია.

საქართველოს ბუნების სურათები, ზოგჯერ თი დეტალი საქართველოს ცხოვრებიდან ჩხეიძის ნაწარმოებებში ნათლად ჩანს, აქ, პირველ ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ დიდი რუსი მწერლის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები „დუელი“, რომელსაც გამოჩინილი თეატრალური მოღვაწე და მწერალი ნემიროვიჩი-დანიჩევი ჩხეიძის საუკეთესო ნაწარმოებად თვლიდა. „დუელში“ მოქმედება წარმოებს შავი ზღვის ერთ-ერთ სანაპირო ქალაქსა და მის ახლომახლო მიდამოებში. შეიძლება ვადაპრიოთ, ითქვას, რომ ეს სოხუმი და მისი მიდამოები, რომელსაც ამ ქალაქში გვევლინა შემოღობა, სამხედრო ნაწილებიც ვგას, მთებიც ახლოა, ცხოვრობენ ქართველები, რუსები, აფხაზები, თათრები და სომხები.

ამ მოთხრობის ბუნების სურათები მოგვაგონებენ მწერლის შივრ ნახელსა და მის წერილებში ასახულ საქართველოს ბუნებას.

„მე უკვე თერამეტი წელია რუსეთში არ ვყოფილვარ...—ამბობს მოთხრობის მთავარი გმირი საშოილეჩო.—დამაიწყდა კიდევ იქაური ამბები. ჩემი აზრით, კავკასიაზე უფრო მშვენიერი მხარე არსად არ არის“.

აი სურათი სოხუმის ახლომდებარე ერთ-ერთი ზეობისა, რომელსაც პატარა მდინარე ჩამოუდის: „ეტლები უკვე პატარა მდინარის ნაპირით მიემართებოდნენ. მაღალი ნაპირები თანდათანობით ერთმანეთს უახლოვდებოდა, ზეობა სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა და წინ უკვე ხევად გავიქეცებოდა; კლდოვანი მთა, რომლის ძირსაც მიგვევლიოთ, ბუნებას უზარმაზარი ქვებისაგან შეუტარას. ეს ქეობი ისეთი საშინელი ძალით აწევადადენს ერთმეორებს, რომ ყოველთვის, როცა სამიოლენყო მათ თვალს შეაელებდა, უნებურად მძიმედ ამოიხენებებოდა ხოლმე. პირქუშსა და ლამაზ მთას ალაგალაგ სერადა ვიწრო ნაპარლები და ხეყები, რომლებსაც ჰქონდა რაღაც თუნამალებსა და ტრნის სერი; ზევისა და ზევის სულ კიდევ სხვა მთები მოჩანდა: შერა, ვარდისფერი, იოსფერი შორუხო ან შუის კაშკაშა სტაიებით განათებული. ზოგჯერ, როცა რომელიმე ზევის ჩაუვლიოთ ხოლმე, ისმოდა თუ სიმალდიდან საღდაც, თავქვე, როგორ ეციმოდა წყალი და როგორ ტულაშენობდა ქეობზე...“

აქ გეოგრაფიული თვალსაზრისით სრულიად კონკრეტული ადგილია აღწერილი, ოღონდ ის დამოტრებულია სოხუმიდან არა შეიძიოთ კოლომეტრით, არამედ გაიკლებით მეტი მანძილით, ქალაქ სოხუმსა და ვარგის შუა მდებარეობს სოფ. შაყწყალა. რომელსაც ჩამოვლის შავი მდინარე. ამდენიმე მანძილის დამოტრებით ერთვის სხვა პატარა მდინარე, რომელსაც ყვირთელი მდინარე ჰქვია, მაგრამ შეწყყალთან შე-

ერთების დროს მდინარე მოყვითალო ფერს იღებს. ამ ადგილას ძველად პატარა სადგური იყო, სადაც ჩერდებოდა „დილიანი“ და, რასაკვირველია, იქ სამიჯიტროც იქნებოდა.

ამ ადგილას, სადაც შეიქმალა ყვითელ მდინარეს უერთდებოდა და მელნის მსგავსი შავი წყალი სერბიდა ყვითელს და ებრძოდა მას, განზე, გზის პირის ერთი თათრის, ქერბაღაის, სამიჯიტრო იყო. სახერავეზე არსეთის ალაში ჩანდა, ხოლო აბრაზე ზეთის საღებავით გამოყვანილი იყო: „საამო დუქანი“; მის მახლობლად წულუშგომელებელ მომცრო ბაღში შავი-ღვინე და მერხები იდგა. უბადრუკ, ეკლებიან ზეჩქვიანში აღმართულიყო ერთადერთი, ლამაზი და მეტი კვიპაროზი\*.

როცა ჩუბოვი სოხუმისკენ მიემგზავრებოდა საფოსტო დილიანით, აუცილებლად გაჩერდებოდა აქ, და, ვინ იცის, ღვიზო „ყვარელი“, რომელიც იხსენიება ნაწარმოებში, და კაცისიური საქმელები, რომლებიც იხსენია ბიესაში— „სამი და“ იქნებ სწორედ აქ ნახა.

მოთხრობაში ეხედებით ასეთ დეტალებსაც: სამოილენკო და ლაევსკი სემენ ქართველი ნაჯარაძის ვენახის ღვიზოს, ავგილოზბრივი მოსახლეობის ერთი ჯგუფი მღერის სასიამოვნო მელიოდორ სიმღერებს.

მოთხრობაში ეხედებით ეპისკოპოს გენადის, რომელიც ჩუბოვმა ათონში გაიციო და რომლის შესახებაც სოხუმიდან ა. სუვიორინს სწერდა: „ათონში გავიყინე მღვდელმთავარი გენადი, სოხუმის ეპისკოპოსი, რომელიც ეპარქიებში ცხენით დადიოდა... საურაღლებო პირიუენაა“.

აი, მოთხრობაში ამ ეპისკოპოსზე ეხედებით ასეთ საუბრს: „აქაური არქიელი თავის ეპარქიებში ეტლით კი არ დაიარება, არამედ ცხენით, — თქვა დიაკონმა და კილაში დადო. — როცა ცხენზე ზის, შეტად ამბულელებელი შესახედობა აქვს. მისი სისადავე და თავდაბლობა აღსავსეა ბიბლიური სიდიადით.

— კარგი აღამანაა? — კითხვა ღონ კორენმა, რომელსაც გაეხარდა, რომ საშუალება მიეცა, შეეცვალა საუბრის საგანი.

— რაღა თქმა უნდა? კარგი რომ არ ყოფილიყო, ვანა არქიელად აურთხებდნენ!

არქიელთა შორის ძალიან კარგი და ნიჭიერი აღამანები ვხვდებმა, — თქვა ღონ კორენმა. — დასანანია მხოლოდ, რომ ბევრ მთავანს, ერთი სუსტი მხარე აქვს — თავი სახელმწიფო კაცებად წარმოუდგენიათ. ერთი მრევლის გარუსებას ცდილობს; მეორე მეცნიერებას აგრძობებს. ეს რა მათი საქმეა. ისა სჯობია, კონსისტორიაში უფრო ხშირად შევიარო ხოლმე“.

\* იქ გადაკრით გამოარჩეულია მეფის პოლიტიკა აფხაზეთში, სადაც ეკლესიის საშუალებით თვითმპყრობელური მთავრობა ადგილობრივი მოსახლეობის გარუსებას ცდილობდა. როგორც ჩანს, ეს დასკვნა ჩუბოვმა ეპისკოპოს გენადისთან საუბრიდან გამოიტანა.

მწერლის ნაწერებში ეხედებით ნოეფერ ქართველსაც, შავ, ცნობილი ქართველი პოეტის რომანტიკოსის სოლომონ ზაქმაჩიანე შექმნილ ალექსანდრეს<sup>1</sup> და ი. ლალიაშვილის<sup>2</sup> მხატვრული თბილისის სემინარიის დირექტორის მოკვლის გამო ექმნულ სახალისე იყო ვადისახლებული<sup>3</sup>.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ დიდრუს მწერალს უყვარდა, ქართველი ხალხი, რომ იგი პატივისცემით ეპურობოდა ამ ხალხის სულიერ ცხოვრებას, ტრადიციებს, რომ მას მოსწონდა საქართველო, მისი ბუნება და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იკონებდა მშვენიერ დღეებს, როცა იგი მოგზაურობდა საქართველოში.

ასეთი იყო ა. ჩუბოვის დამოკიდებულება საქართველოსადმი.

როგორც იყო ქართული საზოგადოების დამოკიდებულება დიდი რუსი მწერლისადმი?

ა. ჩუბოვის შემოქმედება სრულიად ახალი და უღარესად ორიგინალური მოეგნა იყო რუსულ და, საერთოდ, მსოფლიო ლიტერატურაში. მან უღადესი სიახლე შეიტანა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის მხატვრულ ლიტერატურაში. ჩუბოვის ნოველი და დრამა უღარესად ორიგინალური იყო და მან თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის ლიტერატურაში შეიტანა გარკვეული ეპრობირი სიახლე.

ა. ჩუბოვის ნოველამ და დრამამ დიდი როლი ითამაშეს ქართულ ლიტერატურაში მკითხველისა და ორიგინალური რეალისტური დრამის განვითარებაში.

ჩვენ აქ არ შევებებით ჩუბოვის შემოქმედების გავლენის საკითხს ქართულ ლიტერატურაზე. მართალია, ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი ჩუბოვის ნოველის გავლენის შესახებ ი. ევდოშვილისა, და შ. არავისპირელის მოთხრობებზე, მაგრამ ეს პრობლემა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ა. ჩუბოვი უღარესად პოპულარული მწერალი იყო ქართულ ლიტერატურაში. 900-იან წლებში, ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეში, ჩვენს წამყვან ჟურნალებში ხშირად იბეჭდებოდა მისი მოთხრობების ქართული თარგმანები. მართალია 1901-1905 წლებში გადმოითარგმნა და დაბეჭდა ა. ჩუბოვის 24 მხატვრული ნაწარმოები<sup>4</sup>.

<sup>1</sup> დოც. ს. ზუციშვილი, „ვინ არის ა. ს. რაზმაე“, ვაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 28 მაისი, 1958 წ.

<sup>2</sup> აკაკი ბუნდაძე, „ა. ჩუბოვის ცნობა. ი. ლალიაშვილის შესახებ“, ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 14 ივლისი, 1944 წ.

<sup>3</sup> ესენია: 1. „ალუბლის ბაღი“, ივერიის ბიბლიოთეკა, 1905 წელი, № 5 თარგმანი სოფიო ციციშვილისა, 2. „ალიაქოთი“ „ყვანი, 1902, № 39.

ბრძოლის შემდეგ დაიწყო მისი მუშაობა ჩხიშკაძის შემოქმედებისა და, როგორც ამას საპარტიო მემორიდან აღინიშნავს მ. გარბაშვილი, რუსი მწერლის ზეგავლენით თვითონაც წერდა მცირე ფორმის ორიგინალურ მოთხრობებს, ნოველებს, ესკიზებს.

900-იანი წლებშივე, მწერლის სიკვდილის შემდეგ, ქართულ ენაზე გადმოუთარგმნიათ აგრეთვე „ენტეროდუცერი პრინციპები“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“. ა. ჩხიშკაძის მოთხრობებს ვხვდებით აგრეთვე „ბროშის“, „ნაჯადელის“ ჟურნალებზე. თეატრისათვის, „ალუბლის ბაღის!“ გარდა, უთარგმნიათ „ძია ვახო“, „სამი და“, „ივანოვი“, ძალად ტრაგიკოსი“. ახლის თხოვნა“ და სხვ.

ჩხიშკაძის მოთხრობების ქართულად თარგმანის სიას თუ თვალს გადავავლებთ, დაერწმუნებოდეთ ი. გ. — სი, 3. „ესეც შენი საზოგადოება“, ჟურ. „კვალი“, 1902, № 41, თარგ. ვივა ჯუღელია, სერი — სკანდელის ფსელდონით, 4. „ზიზიჩკა“, „კვალი“ 1902, № 42, თარ. სიმისა. 5. „იონი“, „კვალი“, 1902, № 46, თარ. ოლიშვილია ბაქრაძისა, 6 „ის იყო“, „კვალი“ 1900, № 44 თარ. გ. სალარიძისა, 7. „მარტინი“, „კვალი“ 1900, № 44, თარგ. გ. სალარიძისა, 8. „მანველები“, „კვალი“, 1902, № 37, თარ. ა. მითაიშვილისა 9. „მსხვილი და წერილი“, „კვალი“, 1901, № 24, თარ. სიმისა, 10 „ნილაბი“, „კვალი“, 1902, № 40, თარ. ლოლა-სი. 11. „ორ-ღონი“, „კვალი“, 1902, № 33, 12. „რამევიჩი“, „მოამბე“ 1904, № 12. ვანე. 1 თარ. ლა-სი. (ლადო აღნაშვილი), 13. „რეპეტიტორი“, „კვალი“ 1902, № 35, 14. „სასამართლოში“, „კვალი“ № 45, 15. „სახლში“, „მოამბე“, 1801, № 10, ვანე. 1, თარ. ივ. პოლემორდინოვისა. 16. „სახარელი“, „კვალი“, 1902, № 39, თარ. შემოქმედისა. 17. „უკანონობა“, „კვალი“, 1902, № 43 თარ სიმისა. 18. „უსათარო“, „კვალი“, 1902, № 44 თარ. ა. მითაიშვილისა. 19. „ფოსტის განყოფილებაში“, „კვალი“, 1901, № 29. თარ. სიმისა. 20. „ქალები“, „კვალი“, 1903, № 10, თარ. სილა. თეატრ-ტიკლასისა. 21. „შემთხვევა“, იმბავი, „მოამბე“, 1904, № 8 ვანე. 1 თარ. ივ. პოლემორდინოვისა. 22. „შიში“, „მოამბე“ 1902, № 6 ვან. 1 თარ. ა. მითაიშვილისა. 23. „ენობის მიღება“ „კვალი“, 1901, № 23, თარგ. გ. სალარიძისა. (ვ. ახალციხის ფსელდონით). 24. „ჩინოვნის სიკვდილი“, „კვალი“, 1902, № 2 თარ. ი. გომელაურისა 900-იან წლებში ჩხიშკაძის მოთხრობები: „შვედური ასანთი“, „ფილოსოფოსი“, „გაუქმეს“, „ორდენი“, „ჩინოვნის სიკვდილი“, „ცუდ გუნებაზე“, „ვეტილის დამინება“, „სქელ-სქელი და თხელ-თხელი“, „სადგისი პარკი“, „ჯეროვანი ზომები“, „კოლეჯის რეგისტრატორის ნაშრომი“, „წინამძღოლის ქარიზისას“ და სხვ. გადმოუთარგმნია ქართულ ენაზე ირ. ევლიშვილი.

დებით, რომ არც ერთი უცხო მწერლის ადრე მხატვრული ნაწარმოები არ გადმოთარგმნილა ქართულად, რამდენიც ა. ჩხიშკაძის „სასამართლოში“ ვიხილავთ, რომ ქართული ლიტერატურაში მისი ნაწარმოები ქართულ ენაზე პირველ რიგში თარგმნიდნენ ა. ჩხიშკაძის მიხედვით ხასიათის ამ ნაწარმოებებს, რომლებსაც 900-იან წლებში გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა („ენტერო პრინციპები“, „იონი“, „მსხვილი და წერილი“, „სასამართლოში“, „ჩინოვნის სიკვდილი“ და სხვ.).

ჩხიშკაძის-დრამატურგიც კარგად იყო ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. მისი პიესების ქართულად თარგმნა და გადმოკეთებდა მწერლის სიცოცხლეშივე დაიწყო. ამ საქმის პიონერი იყო პოეტი გრიგოლ ვოლსკი, რომელიც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში უმწიფარაძის ფსელდონით გამოდიოდა.

1889 წელს გრ. ვოლსკიმ გადმოთარგმნა ჩხიშკაძის პიესა „დათვი“ და დაბეჭდა ი. კუჭავაძის „იერიამი“ (1889 წლის № 84 და № 87). ეს პიესა იმავე წლის 18 ივლისს წარმოდგინა ქართველმა დრამატულმა დასმა ვასო აბაშიძის მონაწილეობით.

1891 წლის 15 სექტემბერს, სეზონის გახსნისას, სემბათაშვილის ოთხმოქმედებიანი დრამის შემდეგ მ. საფაროვის მონაწილეობით კვლავ დაიდგა ა. ჩხიშკაძის „დათვი“. ამ წარმოდგენის შესახებ ვახ. ივერიამ წერდა: „ეოდელიში „დათვი“ მზიარულად წაიარა და ჩვეულებრივ თავი იჩინეს ქ. საფაროვამ და ბ. აბაშიძემ, არა უჭირდა-რა მოსამსახურის როლში ანდელაყსაც. საზოგადოებამ ბევრი, ძალიან ბევრი იხარხარა და, ვგონებთ, ეს ეოდელი დღეხანს თავსაც არ მოაწყენს მათეულებს“.

ი. კუჭავაძის „ივერიის“ ეს ვერადი გამოართდა ა. ჩხიშკაძის პიესებიდან „დათვი“ ყველაზე უფრო პოპულარული აღმოჩნდა, ის დადგმულ იქნა 1881 წლის 12 აპრილს და 15 სექტემბერს, 1892 წლის 17 აპრილს, 1893 წლის 2 თებერვალს, 1894 წლის 25 იანვარს. 1901 წელს „დათვი“ ივერიიდან გადაბეჭდეს და ი. იმედაშვილის რედაქტორობით გამოცემულ პიესების კრებულში შეიტანეს.

პიესა „დათვი“, თბილისის გარდა, დაიდგა ქუთაისის (1893), ფოთის (1893), ბათუმის (1893) თელავის, ჭიათურის, სიღნაღის და სხვ. პროვინციული თეატრების სცენაზეც!

1890 წელს მ. ნასიძემ გადმოკეთა ჩხიშკაძის პიესა „ივერი“ და სახელად უწოდა „მსხვერპლი უხსიათობისა ანუ ნიკო ჯამბაზაშვილი“. იმავე წლის 30 ოქტომბერს ეს პიესა ქართული თეატრის არტიტებმა ვ. აბაშიძის სახეზეთსოდ დადგეს. „ივერი“ კვლავ წარმოდგინა 1903 წლის 16 იანვარს ვ. გუნაას, ვ. აბაშიძის,

1 ი. გრიშაშვილი, „დათვი“, ლიტერატურული გაზეთი“. 7 თებერვალი, 1958 წ.

ე. გამყრელიძის, ე. ჩერქეზიშვილის, ო. ლევანის მონაწილეობით<sup>1</sup>, ამის შესახებ ვაზ. „ივერია“ წერდა: „მსხვერპლი უხასიათობისა, რომელიც კვირას წარმოადგინეს, ყარვად არის გადმოკეთებული ქართულად. პიესა მწვენიერად ხატეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა გმირებს. ყველა ტიპები ზედმიწევნით არიან დახასიათებულნი და ყოველ მათგანის სულიერა მდგომარეობა გამოაშვარავებელია პიესაში“<sup>2</sup>.

1903 წელს ს. რ. დ.-ის მიერ თარგმნილ იქნა პიესა „ძია ვინო“. იმავე წლით არის დათარგმნილი ჩუბოვის ერთმოქმედებიანი პიესის „მაღალ ტრალიკოსის“ თარგმანიც.

1903 წელს სოფიო ციციშვილმა ქართულად გადმოთარგმნა ა. ჩუბოვის ყველაზე მნიშვნელოვანი დრამატული ნაწარმოებები „ალუბლის ბაღი“ და დაბეჭდა „ივერიის ბიბლიოთეკის“ სერიაში. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ვ. ვოლსკიამ გადმოაკეთა ქართულად რუსი დრამატურგის ერთმოქმედებიანი სახუმარო პიესა „ხელის თხოვნა“ და უწოდა „ღმერთმა შეგაბეროთ“. 1919 წელს ცნობილია ქართულმა მისახიობმა ი. ზარდალიშვილმა ა. ჩუბოვის ეს კომედია გადმოაკეთა ქართულად ისე უხელოდ, მაგრამ სხვაგვარი სათაურით — „ხოხის ღელე“ და ამ სახელწოდებით დადგა ქართული თეატრის სცენაზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ა. ჩუბოვის „ალუბლის ბაღი“ რუსული თეატრის სცენაზე დადგმის შემდეგ მალე იქნა გადმოთარგმნილი და დაბეჭდილი ქართულად. მაგრამ ამ თარგმანს ქართული თეატრის სცენაზე დადგმა არ ღირსებია, 1908 წელს „ალუბლის ბაღი“ გადმოკეთებულ იქნა ქართულად და იმავე წლის 21 სექტემბერს ქუთაისის დრამატულმა დასმა თავის თეატრის სცენაზე დადგა „ასახონის“ სახელწოდებით. მალე, 1909 წლის 21 იანვარს, იგივე გადმოკეთებული პიესა დადგა თბილისის ქართულმა დრამატულმა დასმა.

როგორც ჩანს, ქართული თეატრები ხშირად მიმართავენ ჩუბოვის პიესების ქართულად გადმოკეთებას და სცენაზე გადმოკეთებულის დადგმას. ეს გამართლებული იყო რუსი დრამატურგის სახსიათო ერთმოქმედებიანი პიესების მიმართ, მაგრამ სრულიად გაუმართლებელია ისეთი პიესის გადმოკეთება და ამ სახით დადგმა, როგორც არის ა. ჩუბოვის დრამატურგის მწვერული „ალუბლის ბაღი“. ჩუბოვის ძლიერ თავისებურ კალმს ჩვენი საზოგადოება იცნობს, — აღნიშნავდა ვაზ. „დროება“, — მის პიესებს არც განმარტება ესაჭიროება, არც ახსნა. ჩუბოის პიესები ყოველთვის განსაზღვ-

<sup>1</sup> ს. გეოსაძე, „ჩუბოვი ქართულ სცენაზე“, ვაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 16 ივლისი, 1959 წელი, მ. ჩხეიძე, „ა. პ. ჩუბოვი ქართულ სცენაზე“, ჟურნ. „საბჭოთა ბელოვენა“, № 4, 1954 წ.

<sup>2</sup> „ივერია“, 28 იანვარი, 1903 წელი.

რულ სულიერ განწყობილებას მხასიათებენ და ისე ოსტატურად, რომ სათუაქრო დარბაზში ერთი სულიერი მდგომარეობის ინსტიტუტმა, აქვე რეცენზენტი საესეზით სწორად სწამს და ა. ჩუბოვის დრამატურგის თავისებურებას, როცა წერს, რომ ჩუბოვის პიესებში... „არც საუფაქრო სცენებია, არც საუფაქრო სიტყვები. მაგრამ მყურებელი გრძნობს, რომ თითქმის ჩუბოვი სულსა და გულში ჩასჯდომოდეს მას და აქ წნავდეს თავის ფიქრებისა და გრძნობების ბადეს. ჩუბოვის პიესებში რუსული ცხოვრების საერთო ხასიათი, ჩრდილოეთის შვილთა ბუნებრივი ტემპერამენტი, რუსული ტიპების ნიშანდობლივი თვისებები ისე განუწყობად არის შეზღუდული სიუჟეტთან და პიესაში გამოსახატავ სულიერ განწყობილებასთან, რომ მათი განცალკევება ყოველად შეუძლებელია“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ რეცენზენტი სჯამს კითხვას: არის თუ არა გამართლებული ასეთი უარესად თავისებური ეროვნული პიესის გადმოკეთება ქართულად, და ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებენ.

რეცენზიის ავტორის აზრით, უმჯობესია ასეთი პიესები ითარგმნოს ქართულად და ისე დაიდგას სცენაზე.

900-იან წლებში ჩუბოვის იმ პიესებიდან, რომლებშიც სრულად განხორციელდა მწერლის ახალი დრამატურგიული პრინციპები გადმოკეთების ვარსა ანუ ერთი ქართული თეატრის სცენაზე არ დადგმულა. გამოჩენის შეადგენს მხოლოდ 1903 წლის 24 აგვისტოს ე. გენიას ზელშლეიანლობით „გამოსაცდელ წარმოდგენაზე“ „ძია ვინოს“ მეორე მოქმედების დადგმა. პიესაში მთავარ როლებს ასრულებდნენ: დ. ბაქრაძე, (სერგებიაკოვი), ნინო დათიაშვილი (სონია), ნ. ვიარაძე (ტელეფონი), ა. თოთი ე. გენია (ვიოტინსკი). დაახლოებით 7,8 წლის შემდეგ რევისორმა მიხეილ ჭორელმა ეს პიესა ქუთაისის თეატრში დადგა.

ქართულ საბჭოთა სცენაზე ხშირად იდგმებოდა ვოდევილი „დათვი“, „ხოხის ღელე“ (ჩუბოვის პიესა „ხელის თხოვნა“, რომელიც 1914 წელს ქართულად გადმოაკეთა მისახიობმა ი. ზარდალიშვილმა).

1944 წელს ა. ჩუბოვის გარდაცვალებას 40 წლისთავის აღსანიშნავად რუსთაველის სახელობის თეატრალურმა ინსტიტუტმა სტუდენტების მონაწილეობით დადგა „ქიურგია“ და „ხელის თხოვნა“ (მწერალ აკ. ბელიაშვილის თარგმანი). თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაქულტეტის სტუდენტებმა 1947, 1952 წ. წ. განახორციელეს ა. ჩუბოვის „ხელის თხოვნის“, „ჯალოქარის“, „დათვისა“ და სხვ. ნაწარმოებების დადგმა.

ჩვენი წამყვანი ქართული თეატრები ჯერ კიდევ ეალში არიან დიდი რუსი მწერლის წინაშე. ა. ჩუბოვის პიესები „თოლია“, „ძია

<sup>1</sup> ვაზ. „დროება“, 1909 წ., 2 იანვარი.



ვანო“, „სამი და“, და „აღუბლის ბაღი“, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს არა მარტო რუსული კლასიკური რეალისტური თეატრის განვითარებაში, არამედ ჩვენი საბჭოთა თეატრის განვითარებაშიც, ქართული თეატრების რეპერტუარშიც უნდა შევიდნენ.



ქართული საზოგადოება ცხოველი ინტერესით ვაიდებოდა ა. ჰ. ჩხეიძის მხატვრულ შემოქმედებას. სწორედ ამ დიდი ინტერესით აიხსნება დიდი რუსი მწერლის ნაწერების ქართულ ენაზე ხშირი თარგმნა და მისი პიესების ხშირი დადგმა ქართული თეატრის სცენაზე. ამიტომ, როდესაც საქართველოში ვაგავს დიდი რუსი მწერლის გარდაცვალებას, ცხადია, ამ ამბავში ყველა დაამწუხრა. აქვეი არაა, — წერდა ჩხეიძის გარდაცვალების შესახებ ვაზ. იფერიანი. — რომ ეს ამბავი დანაყლისა მთელი მსოფლიო ლიტერატურისათვის<sup>1</sup>.

დიდიაო ეს დანაკლისი ქართველებისთვისაც. განსვენებულის ნაწარმოებთაგან ვადათარგმნილია ქართულზეც. — ვკითხვლობთ „იფერიანში“, — მისი ცნობილი დრამები: „ივანოვი“ და „ბოძია ვანო“. ქართულ სცენაზედ უკვე წარმოდგენილია მისი უკანასკნელი დრამატული ნაწარმოები\* („აღუბლის ბაღი“), რომლის ვარჩევანი ამას წინათ ვადავებდეთ „ნარკევის“ ვანუთილება რუსეთში<sup>3</sup>.

ვაზეთმა „იფერიანში“ ა. ჰ. ჩხეიძის დაკრძალვის დღეებში, ნეკროლოგის ვარდა, დაბეჭდა მოთხრობა „შერის მამაკლანი“, თარგმნილი სილ. თავართქილაძის მიერ.

ვაზეთმა „ცნობის ფურცელში“ საგანგებოდ აუწყა ეს საწუხარო ამბავი თავის მკითხველებს: ვაუშინ ინტელექტუალმა შევვატუბინა ვამორჩინილი რუსი მწერლის ანტონ პავლეს ძე ჩხეიძის გარდაცვალების ამბავი, — ვკითხვლობთ ვაზეთში, — ლეე ტრუსტის შემდეგ ა. ჩხეიძი, ვლ. გ. კოროლენკოსთან და მაქსიმ გორკისთან ერთად, სავუეთესო მწერლებად ითვლება რუსეთში<sup>1</sup>.

ვაზეთში, მოკლედ ვანბილელია ჩხეიძის შემოქმედება სტატიის ავტორი ვაჟალ შეფასებას აძლევს ჩხეიძის მხატვრულ შემოქმედებას, მის პროგრესულ იდეებს. აკტიმობშს. „ჩხეიძისაც უღვივის ველში. — წერს სტატიის ავტორი, — იდეალი და იმედი აქვს, რომ კაცობრიობას უკუეთესი მომავალი მთელის და ადამიანის ბუნებაც ამაღლებდნა“.

„ცნობის ფურცელი“ აღნიშნავს ჩხეიძის შემოქმედების პოპულარობას საქართველოში: ვაგანსვენებულს მწერალს ჩვენი ლიტერატურა აქცედა ვურადლებას: ბევრი მისი ნაწარმოები ვადაითარგმნა და დღესაც იბეჭდება და ითარგმნება ქართულ პერიოდულ პრესაში<sup>2</sup>.

ა. ჰ. ჩხეიძის ხსენების მიუძღვნეს ვრცელი წერილები აგრეთვე ვაზეთებში „ნოვოე ობოზრენიეში“, „კაეკაზში“ და სხვ.

„ნოვოე ობოზრენიეში“ 4 ივლისიდან 15 ივლისამდე დაბეჭდა ა. ჰ. ჩხეიძისადმი მიძღვნილი სამი წერილი: 4 ივლისს, 11 ივლისს და 15 ივლისს.

ამ წერილებიდან ვანსაყუთრებით აღსანიშნავია 4 ივლისის წერილი, რომელშიც მოკლედ, მაგრამ სანატრესოდ, არის ვანიშნულია ჩხეიძის შემოქმედება, მწერლის მხატვრული მეთოდის თავისებურება. წერილის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ჩხეიძისათვის დამახასიათებელი იყო უნუგეში და უიმედო ტონი, ამის ვამოთავის დროზე ბევრმა უსაუვედრაო. აქ რეცენზენტს, პირველ რიგში, აღბათ, თით ვაბთი „ნოვოე ობოზრენიე“ აქვს მხედველობაში, რომელშიც აღრე „არაინის“ წერილში, ჩხეიძის პიესა „ივანოვი“ ვაკირიტყვა.

ამრიგად, ა. ჰ. ჩხეიძის შემოქმედებას მოწინავე ქართული ინტელიგენცია ვერ კალევ მწერლის სიკეთესუმივე ფრიალ აფასებდა, მაგრამ დიდმა რუსმა მწერალმა უფრო დიდი დაფასება, დიდი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. დიდი რუსი მწერლის მხატვრული ქმნილებანი აბლა უკე ხელმისაწვდომი ვაბდა შეთხვევლთა ფართო მასებისათვის, მთელი ქართული ხალხისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცხრაჯერ ვამოიცა ა. ჰ. ჩხეიძის ნაწარმოებები 55 ათასზე მეტი ცალის რაოდენობით. ცალე წიგნებად ვამოიცა მოთხრობები: „თეთრებლა“ „კამტანკა“, „აკაცი ფეტლიარში“, პიესების კრებული, რომელშიც შევიდა „დათვი“, „ხელის თხვენა“, „ქორტრავია“. რამდენჯერმე ვამოიცა აგრეთვე ა. ჰ. ჩხეიძის მოთხრობათა კრებულები.

ა. ჰ. ჩხეიძის ცხოვრებას და შემოქმედებას მიძღვნი ვრ. ქარელიშვილის წიგნი „ანტონ ჩხეიძი“ და ჰ. ლღღუშაურის — „ჩხეიძი და ქართული ლიტერატურა“.

ქართული ხალხი ღრმა სიყვარულსა და პატივისცემის გრძნობით აღნიშნავს დიდი რუსი მწერლის ა. ჰ. ჩხეიძის დაბადებიდან ასი წლისთავს. იმ მწერლისა, რომლის შემოქმედებაც დღესაც აქტიურად ვაგეგმარება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ჩუეი საბჭოთა ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაში.

<sup>1</sup> „იფერიანი“ 4 ივლისი, 1904 წ.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „ცნობის ფურცელი“, 4 ივლისი, 1904 წ.





დიდა თანამედროვენი-სახეობა



## მარტორი უორდროვი და ქართული საზოგადოებრიობა

(დაბადების 90 და გარდაცვალების 50 წლისთავის გამო)

ქართული კულტურისა და მწერლობის დიდი მოამბე ინგლისელი მწერალი ქალი-მარჯორი სკოტ უორდროვი დაიბადა ლონდონში 1869 წელს, განათლებული ინგლისელი არისტოკრატის ოჯახში. გოგონას თავისი დროისათვის ბრწყინვალე განათლება მიუღია. იგი თავისუფლად ფლობდა შვიდ ენას და ბრწყინვალედ იცოდა მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურა. როგორც მისი მშა-ოლიერ უორდროვი გვატყობინებს, თავისი ცხოვრების უმეტესი წლები მარჯორის საზღვარგარეთ გატარებია. იგი დედულადად სწავლობდა სხვადასხვა ხალხის ისტორიას, ზელოვნებასა და ლიტერატურას.

საქართველოსადმი ინტერესი მარჯორი უორდროვის მისი მშის მიერ გამოქვეყნებული წიგნის „საქართველოს სამეფოს“ შემდეგ გაღვიძებია. თი რას წერდა მ. უორდროვი 1894 წელს ლონდონში გამოცემული „ქართული ხალხური ზღაპრების“ წინასიტყვაობაში: „რამდენიმე წლის წინათ ჩემი მშის მიერ დაწერილმა წიგნმა პირველად გააღვივა ჩემი ინტერესი კავკასიისა და მისი მშაცი და მშვენიერი მკვიდრებისადმი“<sup>1</sup>.

მარჯორიმ ინგლისშივე დაიწყო და შეისწავლა ქართული ენა ქართული საბარებით, ბროსის ლექსიკონითა და გრამატიკით.

„ოცი წლის გოგონამ მან ეს აირჩია თავისი ცხოვრების აზრად“<sup>2</sup>.

მარჯორი მეტად სწრაფად დაეუფლა ძველ ქართულ ენას. იგი კარგად წერდა, კითხლობდა, და იმდენად ვატიცხული იყო ქართული მწერლობით, რომ 1894 წელს ლონდონში გამოაქვეყნა „ქართული ხალხური ზღაპრების“ ინგლისური თარგმანი.

თარგმანმა მსწრაფლ მიიყარო მკითხველს საზოგადოების ყურადღება. 1894 წლის „ივერის“ ერთ-ერთი ნომერი გუთწევებს ინგლისური გაზეთის აზრს ზღაპრების თარგმანზე, „ზღაპრები ყველა თანასწორი ღირსების რელია, უმეტესი ნაწილი ამ ზღაპრების, ჩვენთვის მთლად ახალია, რამდენიმე კი იგივე ჩვენი სიყმწივილის მგვობარია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უორდროვი ამას არ აკმატებს და გავაყენებს უფრო ღირსშესანიშნავს ქართველთა მწერლობიდან. ჩვენის აზრით, საქვეთესო ზღაპრებია: „მეფის ძე და ვაშლი“, „ორი მშა“, „ას-ფურცელა“, „ქრიჭინა და კიანჭველა“. ეს უკანასკნელი ჰგავს ჩვენს ზღაპარს „The house that jack built“, თუმცა ქართული ზღაპარი სკოთია. საქართველო საოცნებო ჭეყვნას ჰგავს და მის ყოველდღიურ ცხოვრების წერილმან ჩვენთვის რომანული ხასიათი აქვს თარგმანის ენა ჰქდის სასიამოვნოდ ზღაპრებს ყველასათვის, რომელსაც უყვარს ლიტერატურა ბავშვისა.“

ლონდონის ჟურნალი „Saturday Review“ წერდა:

„მისი მარჯორი უორდროვის ქართულს საერთო სიტყვიერებაში ძვირფასი საუნიჯე უპოვია და თავის წიგნში მოუქცევია, რაც ერთადერთი ახალი ამბავია ინგლისელი მკითხველებისათვის...“

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მორფოლი სიხარულით შეზღდა „ქართული ხალხური ზღაპრების“ გამოქვეყნებას:

„...დასაწყისი მშვენიერია, სულითა და გულით ვეგებებით და ვისურვებთ მისთვის სრულ წარმატებას. საუცხოო კრებელია. წივეითხეთ ეს ზღაპრები, ისევე ჩვენი მეგობრები არიან ქართულ მეგრულსა და გურულ ტანისამოსში გამოწყობილი...“

ინგლისური ენა თარგმანისა მეტად სადაა, უკრამანჭველო და ძალიან უხვდება წინაარსს.

<sup>1</sup> „Georgian Folk Tales“ 1894. London.  
<sup>2</sup> „The Knight In The Panther's Skin“, XIV, London, 1912.

მით უფრო დიდი სიამოვნებით მივეგებებით ამ კრებულს, რომ იგი პირველი მაგალითია ქართულად გადმოთარგმნისა... არა მარტო ინგლისელების ყურადღება მიიპყრო ამ თარგმანმა, არამედ ამერიკელებისაც. აი, მაგალითად, ნიუ-იორკის ერთ ახიბთში „Nation“ დაბეჭდილია რეცენზია ამ წიგნზე...“

თარგმანის საყოველთაო მოწონებით წახლისებულმა მ. უორდრომმა თავისი ნიჭი პოეზიის თარგმანაშიც გამოაქვინა: მან ლექსად თარგმნა პოემა „განდევილი“ და ილია ჭავჭავაძეს ქართულად მოსწერა წერილი, სადაც თარგმანის გამოქვეყნების ნებაართვის სთხოვდა:

„მოწყალეო ზღაპრადვე,  
ინგლისურად თარგმანი ვქმენ თქვენსა „განდევილი“... რომელსა უყუთვისსა ლექსისაა თქვენი მშვენიერი ესაში, რომ მე ჰქითხველს და რომელსა ქონება ყველას მწერლობის დიდება უნდა იყოს. მე დიდი სურვილი მაქვს გაუზიარო ჩემს თანამემამულეთა ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაქარძნობინა. ამისათვის ეკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ზვენი თარგმანი გამოკემად. ვცადო სიტუათა სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი შვენიერება უნდა იყოს საჭიროდ დაკარგული უცხო თარგმანში.“

ზემო მძა დიდი პატივი ჰქონდა რაოდენიმე წელიწადნი უკან, ტფილსში თქენი ვაცნობა ჰქმნა და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ჭვევააა, რომლისკენ მე გულწრფელი სიყვარული ვტარებდე და შერე მე შევძლებ პირდაპირ გამოთქმა უარესი პატივისცემა თქვენის ნიჭისათვის და დიდებულის შაბურებისათვის მიცემული თქვენგან ძველებურს მეფობას საქართველოსათვის.

მე ვარ, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა

თქვენი პატივისცემული მარჯობრი უორდროში“ 1.

ეს წერილი „ივერიაში“ დაბეჭდა, როგორც საფეთეორო ნიმუში უცხოეთის მიერ საქართველოს სიყვარულისა და მის მიერ ვაწვეული უდიდესი შრომისა. ამ წერალს მოჰყვა ჩიორას (არტემ ახანაშარიეთ) გამოკლავი წერილი იმ ქართველი ქალების მიმართ, რომელთაც დაივიწყეს მშობლიური ენა. აი ეს წერილიც:

„ახლა რაღას იტყვი, კლუბატონო მშვენიერი და არამშვენიერი, ტურდანი და პეროვანო არსებანო? თუ ინგლისელმა ყმაწვილმა ქალმა შესწლო ლონდონში ქართულის ერთი სიტყვის ვაუგონრდაც კი, ასე ლამაზად შესწავლა ქართულის ენისა, ნუთუ აქ, საქართველოში, თქვენ არ შეგიძლიათ ქართული შეისწავლოთ, ის ენა, რომლის „ანათიცი“ ურწყე-

ვია დედას თქვენი აცვანი, რომელიც დაბადებინანე ყურში ვაქვთ ჩაწვეთებულ... სდუმს განა, სდუმთ, იმიტომ, რომ არაა გულისხმობა, მაგრამ აქ დღემო არა კმარა, მიზნაქეთ ჩვენს თქვენს უცხოელ დს, შეისწავლეთ ქართული ენა და თქვენც გაითავისუფლეთ თავი სირცხვილისაგან და ჩვენს ჭვევანასაც აპროცეთ სირცხვილი.“

საიღუმლოდ ერთს ამბავსაც ვერცხვით. როგორც ყური მოყვართ, ქართველ ყმაწვილ კაცებს, რომელთაც ეს წერილი წაუკითხავთ, გადაუწყვეტიათ, რომ არც ერთი ქართველი ქალი არ შევირთოთ, თუ საფუძვლიანად არ ეცოდინება ქართული ენაო.

ებლა რაღას იტყვი, ნუთუ არც ეს ვაჭარის?!“ 1.

ამ წერილმა იმდროინდელ არისტოკრატ ქალთა დიდი აღფრთოება გამოიწვია. მოწინავე, პროგრესულად განწყობილი ქალები მხარში ამოუდგნენ ქართველ პატიოტებს, გაიზარეს მათი საფუძვლიანი მოთხოვნა და „ივერიის“ ფორტულაზე ვახალდა მძაფრი პოლეშია“ 2.

ქალთა ერთი ნაწილი თავს იმართლებდა დაბრალს სდებდა შამაკეთა საზოგადოებას, ხოლო პროგრესულად განწყობილი ქალები, რომელთა რიცხვში შედიოდა მრავალი გამოჩენილი ქართველი ქალი, სამართლიანად გამოვიდა მშობლობრივი ენის აღსაცავად.

როგორც ვხედავთ, მ. უორდროის წერილს დიდი გამოსაყურება მოჰყვა.

ილია ჭავჭავაძე, ნასიამოვნები იმით, რომ საზღვარგარეთ აღმოჩნდა იდამიანი, რომლის ყურადღება მიიპყრო საქართველომ, მასინე დასთანხმდა და დაუყოვნებლოდ ვაგზავნა საპსუხო ბარათი 3.

1894 წლის დეკემბერს მარჯობრი უორდროში პირველად ეწვია საქართველოს. ეს ვიზიტი რამდენიმე თვეს ვაგრძელდა. ქართველობა დიდ სიხარულთ შეხვდა მის ჩამოსვლას. აი რას წერდა ვახ. „ივერია“:

„25 ამ თვეს ოზურგეთში გვეწვივნენ ინგლისელი სტუდენტები დამა ვარდროპინ და 26-ში დაათვალიერეს შემოქმედის მონასტერი, მისი ძეგრდისა დიდი სიმდიდრე და ხელოვნება, ხოლო დღეს, 27, შემოვიდნენ ჩვენს წიგნის მაღაზიაში და წიგნთ-საკეპში, საიდანაც 10—12 მანეთის წიგნები წაიდეს, რომელიც თბილისში ვერ ეშოვანთ.“

მართალი უნდა მოვასხენოთ, რომ ზემო სხარტულსა და აღტაკებას საზღვარი აღარ ჰქონდა. როცა მშვენიერის ქართულის კილოთი მითხრეს: „ახალ სენაკში და ოზურგეთში დაბეჭდილი წიგნები რაც ვაქვთ, მოიტანეთ“

1 „ივერია“, 1894 წ.

2 იქვე, № 194, 209, 221, 224, 231, 233, 240, 244, 246, 248, 252.

3 იხ. „მნათობი“, 1957 წ. № 10.

ჩვენი ქართველი „ბარიშები“ და „დაშები“ რომ შემოდან მაღაზიაში, მეცნებებთან: „აქა-კის საინჟინრო“ შესს ტაბოგრაფიაში რატომ არ ბეჭდავო, ან კიდევ: „ნოეო სენაის“ ტი-ბოგრაფიაში უფრო „აბოილი“ ვაჭვს თუ ოზრგეთისაშიო და სხვა.

ამა ამ დროს მოიღო და ნუ მოხვალ აღტაცება-შეორდესო იმ შესანიშნავ და ჩვენზედ დიდად დაშორებულ სახელმწიფოთაგან, სადაც სხენე-ბა ქართველისა არ არის, მოდის აღამაინი, რომელსაც თავისით შეუღწავლია ქართული ენა და ლაპარაკობს ჩინებულის ქართლის ენით: „ახალ-სენაისა და ოზრგეთის სტამბების გა-მოცემა მომწოდო...“<sup>1</sup>.

თავისი შთაბეჭდილებები საქართველოში მოგზაურობის შესახებ მარჯობი უორდრომმა აღწერა თავის „შთაბეჭდილებებში საქართვე-ლოში მოგზაურობის შესახებ 1894 — 1895 წლებში“<sup>2</sup>.

მ. უორდრომს მიზნად დაუსახავს გამოეთქვა თავისი აღტაცება საქართველოს ბუნების სიმ-შენიერის, სიძველეების, ქართველთა ზნე-ჩვეულებების გამო და მოეწადინებია უცხოელ-თა განსაკუთრებული უფრადლების მოპოვობა ჩვენი ქვეყნისადმი. შთაბეჭდილებათა ყოველ სტრიქონში ჩანს უდიდესი სიყვარული ქართვე-ლი ხალხის, მისი ისტორიის, ლიტერატურისა, და ხელოვნებისადმი. აი რას წერდა ის:

„ეს იყო ჩემთვის პირველი ხილვა იმ ქვეყ-ნისა, რომელსაც შე ასე ხშირად ეიხატედი ჩემს გონებაში-ღამის ჩვენებებსა, თუ დღის ოცნებებში მის შემდეგ, რაც გამეღვიმა ინ-ტერესი საქართველოს უძველესი სამეფოს, მის მშენიერ სანახაობათა, მისი მამაცი და ღამაზა მკვიდრების მისი მდიდარი ლიტერატურისა და ყველაზე მეტად, მისი სედიანი, მაგრამ დიდებული ისტორიისადმი. ენატრობდი იმ დღეს, როცა შევიძლებდი ეწვეოდი ადგილებს, რომელთა შესახებაც ბევრს ვკითხულობდი და ვფიქრობდი, სადაც, ალბათ, შევხვდებოდი იმ პოეტებს, რომელთა ნაწერებთან ბევრი სიამოვნება მიიღლია.

საქართველო ჩემთვის ზღაბრული ქვეყანა იყო...“.

მარჯობი გაფაციცებით, დიდი ინტერესით ათვლიდებდა ჩვენი მატერიალური კულტუ-რის დატლებს დაუზარებელი იყო, მოგზაუ-რობდა ყველგან-მთასა თუ ბარში, სტუმბოდა ჯადოქრული ბუნებას შხერით, აღფრთოვანე-ბული იყო ქართველი ხალხის გულკეთილობით და სტუმართმოყვარეობით.

სადაც არ უნდა წასულიყო, ყველგან გულ-თბილ, მეგობრულ შეხვედრებს უწყობდნენ და მარჯობი თანდათან რწმუნდებოდა, რომ სა-

ქართველო, მართლაც, ისეთი ქვეყანა იყო.

როგორსაც იგი ოცნებით ხატავდა. მ. უორდრომმა დაათვალიერა ჩვენი ხალხის უძველესი კულტურის მრავალი ძეგლი: სიონი, მეტეხი, მცხეთა, გელათის, მოწამე-თას, შემოქმედის, ჯუშათისკ ტაძრები, ბაგრა-ტის ტაძრის ნანგრევები. იგი აღტაცებული იყო იმ დიდებულებითა და დასჯეწილი გემოვნებით, რითაც ხასიათდება ქართული ნაგებო-ბანი.

მარჯობი უორდრომი გაეცნო და დღემ-გორბდა მრავალ ქართულ ოჯახს. იგი მოიხი-ლული იყო ყველაფრით, რასაც ხედავდა, ის-მენდა, გრძობდა და განიცდიდა.

„დიდად სამწუხაროა რომ ეს მამაცი პატ-რა, ქვეყანა, რომელიც საუცუნების მანძილ-ზე ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას, ახლა, მეფის რუსეთის უტვიზობის გამო, ნაცი-ონალური დამოუკიდებლობის დაკარგვის სა-შინოებამაშიო“, — წერდა მარჯობი უორდ-რომი და აღშფოთებული იყო იმ დამცირები-თა და შეურაცხყოფით, რასაც ქართველი ხალ-ხი იტანდა მეფის მოხელეების მხრივ. მარჯო-რის ხანიველი ვიზიტის მარშრუტი ასეთი ყო-ფილა: ბათუმი — თბილისი — ქუთაისი — გე-ლათი — მოწამეთა — ნიგოეთი — ჯუშათი — სუფსა — ოზრგეთი — შემოქმედი — ბათუ-მი.

შემდგომ მარჯობი სიამოვნებით ივონებდა საქართველოში გატარებულ ყოველ წუთს. აი, რას წერდა ის:

„აქ (მცხეთაში, ლ. თ.), შევხვდით რამდენი-მე ქართველს, რომლებიც მოვიდნენ რომ მოგ-ესალმებოდნენ და თან ვაგვიუბოდნენ თავის დედაქალაქ თბილისისკენ. მათ შორის იყვნენ: პოეტი თავ. ილია ჭავჭავაძე ცოლითა და დით, ეკატერინე გაბაშვილი-სახელგანთქმული მწერა-ლი ჭლი. მანძილი მცხეთიდან თბილისამდე მა-ლად გავიარეთ, დაახლოებით თერთმეტის ნახუ-ვარზე ჩამოვიდით, დალილობიდან მეტად შორს ვიყავით, მხოლოდ ენანობლით, რომ ეს სასიამოვნო მგზავრობა დასასრულს მიუახ-ლოვდა...“<sup>1</sup>.

ეს გაბაშვილის გადმოცემით, „ილია გამოწ-ყობლი იყო შევ სერთეში „მთელი თავისი მიზნდებლობის ძლიერებით“ და წაის წინათ, ძილისაგან გამოფხიზლებული, ეხლა ნამდვილის ინგლისელი ლორდმერის ღირსებით იღვა ამ ყმაწვილი ჭლის წინ და თვისებურის დაბა-ისლობით აღჭურვილი მარგალიტით აიონ-ბულ სიტყვის მოახსენებდა“<sup>2</sup>.

საქართველოდან გამგზავრების შემდეგ მ. უორდრომს არ შეუწყვეტია ურთიერთობა თა-ვის ქართველ მეგობრებთან: მას ხშირი მიმო-

<sup>1</sup> „ივერია“, 1894 წ.

<sup>2</sup> გამოქვეყნებულია „სიციარში“, 1958 წ.

<sup>1</sup> დასახ. შრომა.

<sup>2</sup> საგურამოს ილია ქავჭავაძის სახლ-მეზუ-რის სტომბები, წიგნი I, გვ. 37, 1958, თბილისი.

წერა ჰქონდა ჩენი ერის მოწინავე ადამიანებთან, რომელთათვისაც მას არა ერთხელ მიემართავს კონსულტაციისათვის.

1895 წელს ლონდონში გამოვიდა ილიას „განდგეგმის“ ინგლისური თარგმანი. მას უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

თარგმანი იამბიკურად პენტამეტრითაა შესრულებული. თუ ორიგინალში ქართველი და დეტალური 4 ტერტი ვვაქვს, თარგმანში 5 იამბური ტერტი. ასე რომ, მარცვალთა რაოდენობა ფიქვე რჩება, რაც ხელს უწყობს ორიგინალის მუსიკალობის დაკვირვებას თარგმანში.

1896 წლის თერხილ „Academia“-ს ერთ-ერთ ნაშრომში მოთავსებული იყო პოემის შინაარსი, თარგმანი და ამ უკანასკნელის ანალიზი. მარჯორის თარგმანმა აღტაცებაში მოიყვანა ინგლისელი მკითხველი საზოგადოება, რადგან შთარგმნელმა შეძლო ამ ერთი პოემით ეჩვენებინა დიდი ქართული მწერალი და მთარგმნელი.

1896 წლის გაზაფხულზე მარჯორი უორდროსი ხელმოკრედ ეწვია საქართველოს. ამჯერად მას თან ახლდნენ თავისი დედა, მამა და ძმა, რომლებიც მარჯორის საქართველოს ქება-დიდებას მოუხიზლავს. „შე გამომეთ ამ საოცრეო ქვეყნის შესახებ. რის გადმოცემაც ვერ მოეხებრებ, თქვენ თქვენი თვალთი იხილეთო“, უთქვამს მათთვის მარჯორის.

მ. უორდროსის ეს სტუმრობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ „იგი დღეობდა ხალხის ყოველ კლასს“. ქართული პრესა დიდი ინტერესით აღევნებდა თვალწერს უორდროსების ყოველ ნაბიჯს.

თუღავე მარჯორი უორდროსი ეწვია გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ივ. როსტომაშვილის ოჯახს. შემდეგ მარჯორი სიყვარულით იჯონებდა ამ სტუმართმოყვარე ქართულ ოჯახში გატარებულ ტემპს დღევანდს.

როგორც ივ. როსტომაშვილის აწ განსვენებული მუელე მოგვითხრობდა, სტუმრებს მასპინძლებს შემწეობით დაუთვალურებდათ ქართული ხალხის უძველესი კულტურის ძეგლები — აღავერდი, გრემი, შუა მთა, იყალთო, ნეკრესი და სხვა.

ხალხი სიხარულით ხელებოდა მარჯორის. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს ცნობილ ართანელთა გუნდს (რეზო ყარაღაშვილის ხელმძღვანელობით) „მეშლი მუხასა“ შეუსრულებია. მ. უორდროსი აღფრთოვანებულია სიმღერის გმირული სულით და უთხოვია, შინაარსი დაწვრილებით გადმოეცათ მისთვის. როცა მისი თხოვნა დაუმაყოფილებათ, ცრემლმორბეულს უთქვამს: „ეი, საწვალო საქართველო!“<sup>1</sup>

ტემბლი მოგონებებითა და ღრმა შთაბეჭდილებებით დატოვა მარჯორიმ საქართველო. მისი გული მაინც ყოველთვის აქეთ მოხრწუნდებოდა. „საქართველ ხალხთან იყო პირშიც და გულშიც“<sup>2</sup> „რუმინაი მშვენიერი ქვეყანა არის, მაგრამ სად არის სხვა საქართველო?! დიდი სურვილი მაქვს, რომ კიდევ მივინახებოდე მისი ნაბეა“<sup>3</sup>, იწერებოდა ეს 1909 წელს.

„ამ თვის 9-ს სიღნაღიდან თბილისში ვაიმეზაგრა ქ-ნი უორდროსი, რომელმაც სიღნაღის მახლობელ მინდროში, ერთ მუხის ქვეშ, შეკრიბა ახლო-მალო ყანებიდან ქართველი მუშა მომკვლევი, გადაიღო ფორტაგოფილი სურათი, დამატოვა პერ-ღინოზე, უთხრა რამდენიმე მშური სიტყვა და დასაძინება ფულთათ... მუშებმა რომ გაიგეს ქ-ნ უორდროსის ვინაობა, გმირულ ხმაზე უმღერეს მუშური და აღტაცებული „გაუმარჯოს“ ძაბილით და ქედების ქნევით გააცილეს ქვითფასი სტუმრები“.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, მარჯორი სიყვარულით გაიღებოდა ქართველ ხალხს, გლეხობისა თუ ინტელაგენციის წარმომადგენლებს, ყველას, განათლებულსა თუ გაუანათლებულს; რადგან ხედავდა მათში ქვეშობიტ მალაღამიანურ თვისებათა ერთიანობას.

საინტერესოა, თუ როგორ აღესებდნენ მარჯორი უორდროსს მისი თანამედროვე ქართველი მოღვაწეები. აი რას წერდა მის შესახებ ვაზ. „ივერიაში“ Vassiani:

„Miss ვარდროსი მერღე წყნარია და ცოტა მორცხვილი. მაგრამ ამ ტანადს, ნარჩარს, მოხდენილ, წყნარსა და მორცხეს უმაწვილ ქალს დიდი ცოდნა აქვს, ცოდნა საკუთარი შრომით, სურვილითა და მოწინაინებით შეყენილი...“<sup>2</sup>.

ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი აკაკი წერეთელი აღფრთოვანებული იყო მარჯორი უორდროსის პიროვნებით და თავის შთაბეჭდილებას გადმოგვცემს „საუბარში ინგლისელ ქალთან“ „ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, ცქრი-ილა ინგლისელი ქალი გამაცენეს, რომელიც კარგად ლაპარაკობდა ქართულად, მხოლოდ გურულად კი უქცეოდა კილოს. მუ, სააკვერველია, აქ დაბადებული და აქვე გაზრდილი მუგონა, მაგრამ გამოდგა, რომ სტუმრად ყოფილა მოსული ერთ მის ნათესავთან და მას აქეთ, რაც მოსულა, ერთი წელიწადიც არ ვასულა. გამოყვირდა და ვითოხე: ასე ჩქარა ქართული როგორ შესწავლეთ-მოქცი. სიტყლით მიპასუხა: „თუ კი მოინდობა, ორი წლის განმავლობაში რომ კაცმა უნა ვერ ისწავლოს, აბდალი უნდა იყო...“<sup>3</sup>.

ვაზ. „დროება“ წერდა: „იგი საუცხოო ადამიანი იყო. მასში შვერთებელიყო უმაღლესი და უკეთილშობილესი

<sup>1</sup> ყოველივე ზემოხსენებული მოგვითხრო ივ. როსტომაშვილის აწ. განსვენებულმა მუელელმა.  
10. „მნათობი“ № 1.

<sup>1</sup> „კვალი“, 1894,  
<sup>2</sup> „ივერია“ 1896, № 140, 163,  
<sup>3</sup> „სურბელი“, 1898, № X.

თვისებები დედაეკისა მაიკეის გულადობასა და შრომისმოყვარეობასთან ერთად... ასეთი იყო მშვილობიანი და ლმობიერი, ნასწელი და ნიჭიერი მეგობარი ქართველებისა. მისი მშვენიერი სახე მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში... და არა ერთ ქართველ ქალს აღაფრთოვანებს შრომისა, სიყვარულისა და თანაგრძნობისათვის\* 1.

მარჯორი, უფერადლებოდ არ ტოვებდა არც ერთ ქართულ პერიოდულ გამოცემასა და წიგნს, — ყველაფერს სასიკეთოდ ინახავდა თავის მდიდარ ბიბლიოთეკაში.

ღღეს ოქსფორდის ბიბლიოთეკაში არსებობს მარჯორი უორდროპის ფონდი, სადაც მრავალი ძველი ქართული ხელნაწერი და დასტამბული წიგნი ინახება. ამ დღე საქმეს უორდროპებმა ათიქმის მთელი სიცოცხლე მოანდომეს და, ცხადია, ისინი ვერაფერს მიღწეუდნენ, ასე ახლოს რომ არ ყოფილიყვნენ ქართველ ხალხთან, ერის შოწინავე აღმამანებთან.

მ. უორდროპი იმთავითვე უღრმესი პატივისცემის გაცნობით განიხილავდა პროფესორების ალ. ხახანაშვილისა და ალ. ცაგარის მიმართ. მათმა შრომებმა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის დარგში კიდევ უფრო გააღვივა უორდროპთა ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი. ამ შეცნობებთან დაახლოებამ და მეგობრობამ სასურველი შედეგი გამოიღო.

იმ წერტილების მიხედვით, რომელნიც ხელთ გვაქვს, შეგვიძლია დაეასკენათ, რომ მ. უორდროპს ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონია ალ. ხახანაშვილთან, რომელსაც იგი სთხოვდა ქართულ ლიტერატურიდან ზოგიერთი მისთვის ბუნდოვანი ადგილის განმარტებას. ასე, მაგალითად, იგი ჭერხიდან 1896 წელს იწერებოდა:

„პატივცემულო პროფესორო ხახანაშვილი გუშინ მე მოვიღე თქვენი მიერ დაწერილი ბარათი და წერილიც შოთა რუსთაველზედ: ამითისთვის დიდს მადლობას გიძღვნი. უღრმესის სიამოვნებით წავიკითხე ამ წერილი, რომელიც არის ჩემთვის მეტად საყურადღებო. ჩვენ გადაუთარგმნეთ ინგლისურ ენაზედ ცხოვრება წმინდა ნინოსი და აწ შეეღარებთ სხვა და სხვა ეიარტებთან. თქვენმა წერილმა „ეოსტონის დრევენოსტში“ დიდად მოგვიხმატა.“

ბევრჯერ წავიკითხე ხოლმე იმ ჩინებულ წერილი, რომელიც მოსკოვში მოსწავლე ქართველმა სტუდენტებმა გამოგზავნენ, როდესაც მე თქვენი მშვენიერი და ჩემგან საყვარელი სამშობლოში ვიყავი. ჩემმა ძმამ მრავალი მადლობა ხსოვნისათვის და თავის მხრით პატივისცემით მოკითხვა მოგახსენე...

თქვენი პატივისცემული

Mardory Wardrop\* 2.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც ინგლისურ ენაზეა დაწერილი მარჯორი წერს ალ. ხახანაშვილს, რომ ვერ იშვია მისი წერილი „Тетавский уезд“. როგორც ჩანს, ხახანაშვილს ეს ეგზავინა ყველა ის შრომა, რომელნიც ე. უორდროპებს ქალები. 1900 წლით დათარიღებულ წერილში მარჯორი უდიდეს მადლობას სწირავს ხახანაშვილს მის მიერ გაგზავნილი ძვირფასი საწუქრის გამო: „ეს შრომები ძვირფასი შენაძენა ჩვენი ქართული ბიბლიოთეკისათვის, რომელიც მუდამ იზრდება და რომელიც ამჟამად შეიცავს თითქმის შეიღას წიგნს...“ აქვე იტყობინება იგი, რომ იბეჭდება „წმ. ნინოს სიტყვება და, სამწუხაროდ, ხელთ არა აქვს „Источники по введению христианства в Грузию“. „შეადე უკვე დაეასრულე „ევეფხისტყაოსნის“ სრული თარგმანი და ვიმედოვნებ, კვლავ ვიხეშო მასზე. მაღე გავუთქმობსებ და შეეაწროებო“.

ავაის ასეთი წერილი მოსწერა უორდროპმა: „მოწყვალე ხელმწიფეზე, დიდად პატივცემული ბატონო ავაი. მოვიღე და წამიკითხია დიდი სიამოვნებით თქვენი ეტრნალი „კრებულა“. საუბედროთ, ერთი წიგნი, № 11, იელისთისა მაკლია. არ ვიცი, ფოსტაში დაეარტული იყო ანუ შეცდომით გამოგზავნილი არ ყოფილა. გთხოვთ გამოგზავნეთ ამ წიგნი, რომელ შინდა სრული ეტრნალი ერთად შეეკრავ. ჩემი ძმა და მე მოგილოცავს ახალ წელწადზე. ჩვენთვის ფრიად სანანებელი იყო, რომ აქ არ იყავით, როდესაც თქვენ ჭერხში პბრძანდებოდით: ინგლისში ვიყავით. სრული გვაქვს, რომ, თუ თქვენი კიდევ მოგზავრობთ ამ მხარისაკენ, წინე ჩვენთან მოგწერით, მით რომელ შინ ვიყოთ...“.

ჩვენმა მგოსანმა ლექსი უძღვნა მარჯორი უორდროპის ხსოვნას:

#### მარჯორი უორდროპის ხახანაშვილს

სახელგანთქმულ ინგლისიდან შემოტრინდა ჩვენში ობლად, ვით მერცხალი მოვიკიციე, გახატბულის მახარობლად.

აქიკიყდა და ავიხსნა წინაარების გახსნა გული, შეუწონა აწყო წარსულს და განკურბა მომავალი.

გვიტხრა: ტყელია გულს ნუ იტებთ, თქვენგან მე ბეერს გამოველი. არ მოკვდება, არა, ერი, ვინც წარმოშვა რუსთაველი.

ეს გვიტხრა და სხეაც რამ კიდევ ბეერი ჰქონდა მას სათქმელი, ვისაც ასე ჯერ უღროვოდ საუქნოდ ფარავს ბნელი.

1 დროება\*, 1909, № 280.

2 საქ. მეზურმის ხელნაწერთა განყოფილება: ალ. ხახანაშვილის არქივი.

ზაგრამ მაინც იმ ბნელიდან /  
წიის ციკად მოგვეყენს ნათელს  
და მიტოვებ სპარტელო  
არ იეიწყებს იმის სახელს.

სანტრერესოა წერილები გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ანასტასია თემანიშვილი-წუჯრეთელისადმი. ამ რას იწერება იგი ქერჩიდან 1895 წელს:

„ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ საქართველოს ასეთი ახლოს ეცხოვრობთ, და ბევრჯერ ვლპარაკობთ თქვენს მშოენიერს ქვეყანას და ჭირფას ვრს შესახებ... სხვა წერილში იტყობინება, თუ როგორია შესაძლებელი ინგლისიდან მიღებული იქნეს რომელიმე სერათის ქოჩე...“

წერილში, რომელიც დათარიღებულია 1897 წლით, ნათქვამია:

„ეფექტისტყაოსანი“ კიდევ დასაწყისიდან გადაუთარგმნებ, ამისათვის რომ ჩემი პირველი თარგმანი არ მომწონდა. მე ესლა ნახევარი ვკეთებ და სურვილი მაქვს, რომ გაზაფხულის წინეთ დავასრულო. ეს მხოლოდ მეკახე თარგმანი იქნება და დიდი ხანი შრომა და მოთმინება უნდა წინეთ დაიბუჯდეს. მე არ მინდა, რომ გლახათ ექმენ და სურვილი მაქვს, რომ მშენიერება რუსთაველის დაიკარგოს, ასეთი ცოტა რომ შემოდლიან თარგმანში. ხშირად ეტყობ იმ ბედნიერ დროზე, როდესაც ქალში ვიყავით და თქვენი კეთილგულობა ჩვენათ. როგორ არიან ჩემი მეგობრები თაფლო, ქაქლო და მისი დებო...“ 1.

დაღა 1905 წლის რევოლუციის მღელვარე დღეები. აბობოქრდა მონობის ხუნდების დასაშსებრეად აღმდგარი მთელი რუსეთი და მისგან დამოკიდებული ქვეყნები. რევოლუციურმა გრაგალმა განსაკუთრებული სიმძაფრით დაქროლა საქართველოში. ამ რას წერდა მარჯორი ამ მისსახან დღეებში:

„ა აზრისა ხართ ამ მოძრაობაზე? რით გათადდება?“

სურვილი მაქვს სულით და გულით საქართველოსათვის როგორც მთელი რუსეთისათვის ბედნიერება მოიღოს...“ 2.

დამართება რუსეთის პირველი რევოლუცია. დაიწყო რეაქციის ხანა. საქართველომ, როგორც რევოლუციის უქრობმა კერამ, განსაკუთრებით შწარედ განიცადა რეაქციის სესხი.

„გული მიწუხს თქვენთვის და საქართველოსათვის და ყოველ დღე ენატრი, რომ გათენდება ბედნიერების დღე...“ 3, — იწერებოდა ის 1908 წელს და საქმიოთაც ცდილობდა თავისი

ერთგულება დემოკრეციებინა ქართველი ხალხისათვის.

დაძმა უორდროვიც ყოველთვის გდწიხს ტყვიელი იგონებდენ ივ. შაბაქის, რომელთანაც ისინი უანგარო მეგობრობის გრძლობამ შეაკავშირა.

უორდროვი იყენენ პირველი მკოთხელები და შეეფასებენი ი. შაბაქის თარგმანებისა. 1896 წელს მარჯორი სწერდა შაბაქის მეუღლეს ტასოს: „რა საშინელი თოვლები და წყალდიდობა ყოფილა საქართველოში. უღრმესი წუხილით ვგრძნებ საწყალი ხალხისათვის...“

„მოამბეში“ წავიკითხე თავ. ივანეს მიერ თარგმნილი „იულიუს კეისარი“ და სულ ვამოგვეკვირდებოთ, რომ ასეთი ახლო დედანს არის, ფრიად ჩინებულად ვადათარგმნული არის“. აქვე სთხოვს ტასოს მისთვის გაუგებარი რამდენიმე ქართული სიტყვის განმარტებას.

დრო მიდიოდა და მეგობრობის უხილავი ძაფები თანდათან მტკიცდებოდა. დიდი უბედურება დაატყდა თავს ქართველ ხალხს: — უგზო-უღელად დაიკარგა ივ. შაბაქელი. თავზარდაცემულ მარჯორის მთელი წელიწადი არაფერი მოუწერია ივანეს მეუღლისათვის, კიდევ იმედი ჰქონდა, შესაძლოა სადმე გამოჩნდესო...

„ერთი წელიწადია, რაც ყოველ დღე მინდობა და გაიზიარე ჩვენი ღრმა თანაგრძნობა თქვენთან და თქვენი ზეახლისთან თქვენ დიდ უბედურებაში: ვფიქრობდეთ და იმედში ვიყავით, რომ თქვენი პატიოსანი ქმაი დაიკარგული არ იყო, მაგრამ მხოლოდ წასულ იყო და თქვენ იცილეთ მისი სადარბო. რამდენჯერ დაეჯექი თქვენთან წერილ მოწერისათვის, მაგრამ ვერ ეპოვე სიტყვები ჩვენი თანაგრძნობა გამოვსთქვამ. ჩვენ დიდად შეწუხებულნი ვართ თქვენთვის და საქართველოსათვის, რომ ასეთი დიდებული მოღვაწე დაიკარგულია ჩვენც უღრმესი პატივი ვსცეთ თვად მაჩაბელს“ 4.

1900 წელს კი მარჯორი ატეობინებს ტასოს, რომ:

„ამ ზამთარს სურვილი მაქვს მესამედ შევადარო ჩემი თარგმანი რუსთაველს დედანით, და შეიძლება ბევრი შეცდომა შევასწოროო...“

„ამ ვამთ მინდობა ვკოთხულობდ ჩახრებამე, მაგრამ ძალიან ცოტა მიხვდი — სიტყვები კი მესმის, მაგრამ აზრი კი არა. თქვენ სულ კარგად მიხვდითო“ 2.

როგორც ვთქვით, საქართველოში ყოფნისას მარჯორი უორდროვი დაუახლოვდა და დღემეგობრდა ბევრ ქართულ ოჯახს. იგი საგურამოს ხშირი და სანატრელი სტუმარი იყო. მან მთელი გულითა და სულით შეიყვარა ილია ქაქუცაყაძის მთელი ოჯახი, რომლის წერებთანაც მას ხშირი მიმოწერა ჰქონდა სიკვდილამდე.

1 საქ. მუზეუმი. ხელნაწერთა განყოფილება. ანასტასია-თემანიშვილის ფონდი.

2 იქვე.

3 ლიტ. მუზეუმი. ივ. შაბაქის არქივი.

1 ლიტ. მუზეუმი მაჩაბლის არქივი.

2 იქვე.

ყველგან, პირად წერილებს თუ გამოკვეყნებულ შთაბეჭდილებებში, ჩანს მარჯობის უორდრობის უდღესი თაყვანისცემა ჩვენი სასიქედლო მწერლისადმი<sup>1</sup>.

საქართველოში მარჯობის მრავალი მეგობარი ჰყავდა დაწერილებით რომ შევეხებით საკითხს მისი ურთიერთობის თაობაზე სხვა ქართველ მოღვაწეებთან, ვრცელი შრომა იქნებოდა საქართ. იმასლა ვიტყვით, რომ მისი მეგობრები იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭყონია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ბაბო ბაგრატიონი და მრავალი სხვა.

1900 წელს ოქსფორდში გამოკვეყნდა „წმ. ნინოს ცხოვრება“ ინგლისურად. ამ თარგმანის შესახებ გაზეთ „ივერიაში“ ალ. ხახანაშვილი წერდა: „ამ უკანასკნელ ხანებში (და-ამა უორდრობებმა) აღბეჭდეს სამეცნიერო შრომა „ცხოვრება წმ. ნინოს“ საუფრადლებო წინასტყვებითა და შეგნებული შენიშვნებით. ამ ახალს თავის თხზულებაში პატრიკეუმელი დიამა დავეწახებენ სრულიად ახალს მოღვაწეობის ფარგალში. მათ შეისწავლეს რამდენიმე საისტორიო წყარო წმ. ნინოს შესახებ და მეცნიერულს კრიტიკის თვლით დაათვაეს იგი. ამათი შეხედულება ჩვენის ისტორიისა და განათლების უფრადლებს ხანაზედ საუფრადლებოდ მისაჩნევი შემოღობის გამოჩეება-გამოკვლევისათვისა“<sup>2</sup>.

ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველი მეცნიერი ამ შრომას. „ცხოვრება წმ. ნინოს“ საუფრადლებო ნაშრომი. უორდრობებმა დიდის ინტერესით და გულისყურით შეისწავლეს წმ. ნინოს შესახებ არსებული ზეადასხვა ვერსია (მათ შორის სომხური ვერსიაც კონიბეარის თარგმანი).

მარჯობის უორდრობი გარდაიცვალა 1909 წელს. საქართველო ღრმად დაწუხებულელი დსტიროდა თავის ერთგულ მეგობარსა და მესაიდუმლეს.

სიკვდილის სარეცელზე მყოფ მარჯობის ენა ჩეარდნია, მაგრამ მის ნახეურად გაყინულ ხელს პერში მაინც Georgia მოუხაზავს ეს იყო მისი უკანასკნელი ნატერაცა და ანდერძიც.

არ უოფილა არც ერთი ქართული უფრადლო ან გაზეთი, მარჯობის სოენისათვის წეკროლოგი არ მიეძღვნა.

„სამწუხარო ამბავი მოვიდა ჩემნიშეთის დედაქალაქ ბუქარესტიდან: ამ ქალაქში გარდაიცვალა ჩვენში კარგად ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალი მარჯობის უორდრობი. განსვენებული თთხმეტი წლის წინათ ესტუმრა საქართველო თავის ძმა ოლივერთან ერთად და მას შემდეგ დიდის სიყვარულით სწავლობდა ქართულთა ცხოვრებასა და ლიტერატურას და აღწობდა ინგლისელებსო“ წერდა გაბ. „ღროება“.

„საქართველოს მოამბე“ ასე ემშვიდობებოდა მ. უორდრობს:

„საუფრად იყოს სსნება შენი, კეთილშობილო და დიდბუნებოვანი აღამიანო. საუფრად იყოს სსნება შენი ჩვენს შორის, შენთვის უცხო, მაგრამ ძეარფას მეგობარ ქართველებს შორის. დეაწლი შენი დიდი იყო ჩვენს წინაშე და მადლობელი ქართველი ერი ეცდება დაუეიწყვარპყოს შენი სხელი, სანამ საქართველო იარსებებს“<sup>3</sup>.

სამწუხაროა, რომ მარჯობის უორდრობი ვერ მოესწრო, დაბეჭდილი ენახა ის ნაწარმოები. რომელსაც მან თავისი სიცოცხლის საუფრადესო წლები შეაღია. ცნობილია, რომ იგი თითქმის 20 წელი მეშობდა „ვეფხისტყაოსანზე“.

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი წარმოადგენს ხანგრძლივ და მუყაითი შრომის, ქართული ენის შესწავლისა და დაუფლების ბრწყინეაღ შედეგს.

1912 წელს მარჯობის ძმის — ოლივერ უორდრობის — დიდი მეცადინეობის შედეგად სამეფო სააზიო საზოგადოებამ გამოსცა შ. რუსთაველის უყვადვი ქმნილების უორდრობისეული თარგმანი. ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული თარგმანი, რომელიც დღესაც საუფრადესო თარგმანიდ ითვლება.

ქართველი ხალხი ვერასოდეს დაიეიწყებს „სულმანთას და ქართველთათვის გულში ხატად სტარებულ მარჯობის უორდრობის ასულს“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> „მნათობი“, №..., 1957.

<sup>2</sup> „ივერია“, 1900 წ. № 280.

<sup>3</sup> „სახალხო გაზეთი“, 1914 წ. № 233—234.

<sup>1</sup> „ღროება“ 1909, № 271.

<sup>2</sup> „სახალხო გაზეთი“, 1914, № 234.





## თბილისი ქართვედ რომანტიკოსთა პოეზიაში

ჩვენი საყვარელი და საამაყო დედაქალაქი თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ხშირად ყოფილა ნახსენები, აღწერილი და ხოტბაშესხმული როგორც ქართული კაზმული სიტყვის შედეგებში, ისე უცხოელ მწერალთა ნაწარმოებებში.

მერვე საუკუნის, არაბობის დროის თბილისი „აბოს წამების“ ტრაგიკული ისტორიის ამოქმედო ადგილია.

აღმათ თამარის დროს თბილისის მშვენიერებამ და ღიღბულებამ აღადგინოვნა და შთააგონა შოთა რუსთაველის გენია არაბთა მეფის როსტეანისა ანდა „ინდოეთის შვილთა ჰეფთა“ სამყოფლის აღწერისას. შესაძლოა, დიდი სატახტო და საჯავრო ქალაქები, „მოცილო გარე ბაღისა ტყვიითა“, უცხო და მრავალფეროვანი გვაილებით შემკობილი და „საესე ტრფითა მრავლითა,“ ასე წარმტაცად აღწერილი „ეზბისტყოსანში“, რამდენაღმე, იმდროინდელი რეაღერი თბილისის პოეტური ანარქლია.

გვიანი შუასაუკუნეებისა და მე-18 საუკუნის თბილისის ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი აღბეჭდა აშუღების ქალაქურ პოეზიაში და, განსაკუთრებით, სამეოვანი პოეტის სათანოვას ორიგინალურსა და მდიდარ შემაჯავრობაში, რომელიც ათამამა შეიძლება დავუტოლოთ მე-15 საუკუნის პარიზის ლიტერატურული ბოქმის ბრწყინავლე წარმომადგენლის ფრანსუა ვიონის პოეზიის.

თბილისის აღტაცებულ სტრაქონებს უძღვნიდნენ და უძღვნიან უცხოელი მწერლებიც ჭკულთაგანე და დღევანდელ დღემდე. მათ შორის ზოგნი, მგავითაღ, აღ. დღემე, ყოფილან თბილისში და დამტკბარან მისი ხილვით. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც ჩვენი დედაქალაქი არ უნახავთ, მაგრამ ბევრი რამ მშენიათ მის შესახებ.

დიდი ფრანგი განმანათლებელი შარლ ლვი მონტესკიე არ ყოფილა თბილისში, მაგრამ იგი თავის ცნობილ რომანში „სპარსული წერილები“ გვიხატავს თბილისს, როგორც სილამპისა და სიმშუადის იდეალურ ქალაქს. უნდა ვიფიქროთ, რომ მონტესკიეს, აღმათ მისი თანამემამულის, შარდენის წიგნის მეშვეობით შეუქმნია ერთგვარი წარმოდგენა საქართველოს ბუნების მშვენიერებაზე და მისი სატახ-

ტო ქალაქის, თბილისის სილამპეზე. „სპარსულ წერილებში“ ჩართულია საკმაოდ ვრცელი ეპიზოდი „აფერიდანესა და ასტარტეს ისტორია“ ამ ზღაპრის გმირები, სპარსეთიდან გადმოსხვეწილნი, სადაც თავს უშოშრად არ გრანობდნენ, საქართველოს მოაშურებენ და დიდხინით თბილისში დაბინავდებიან, რათა ამ წარმტაცა და მშვენიერ ქალაქში წყნარი და ბედნიერი ცხოვრებით დატყბნენ მაგრამ ირანის შაჰის მსახველი ხელი აქაც მიწედება მიჯნურებს, ისინი ტოვებენ მომზიდველ ქალაქს, ხოლო პირველ ხელსაყრელ შემთხვევისთანავე ისევ თბილისში ბრუნდებიან და საბოლოოდ აქ დასახლდებიან, რათა კვლავ მოიპოვონ ნეტარება მშვიდი ცხოვრების და ღრმა საყვარელისა. მონტესკიეს პოეტურ წარმოსახვაში საქართველო და მისი მშვენიება თბილისი — ამქვეყნიური ელემია, ზღაპრული და ნეტარი ქვეყანაა, ლეგენდარულ მიჯნურთა უსახლვრო ბედნიერების ღირსეული და შესაფერი გარემოა.

ამგვარად, თბილისის პოეტური სახე საკმაოდ ხშირად აღბეჭდილა ქართველ და უცხოელ მწერალთა და მოღვაწეთა ნაწარმოებებში, მაგრამ ლიტერატურულ თემაღ, შთაგონების წყაროდ, გარკვეული ზემოქმედება რომ მოახდინა ქართული პოეზიის ევოლუციაზე, თბილისი მხოლოდ რომანტიკოსების შემოქმედებაში გადაიქცა. თბილისის თემატიკამ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში სრულიად ახალი აზრი და შინაარსი მოიპოვა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვენი რომანტიკოსების საუკეთესო ქმნილებანი, თავიანთი პრობლემატით, შინაარსითა და პოეტური ფორმით დგანან მსოფლიო რომანტიზმის შედეგათა სიმალღეზე, ხოლო ქალაქი, როგორც პოეტური თემა სწორედ მსოფლიო რომანტიკულ ლირიაში იქნა სრულიად ახლებურად გაშუქებული.

გენიაღერი ფრანგი რომანტიკოსის ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებაში, როგორც მხატვრულ პროზაში, ისე პოეზიაში უდიდესი ადგილი უკირავს სოციალური წინაღმდეგობებით აღსავსე დიდი ქალაქის, პარიზის სახეს. საქმარისაი გავიხსენოთ უკვდავი რომანი „განწირილნი“ ანდა სოციალური ლირიკის ისეთი შედეგები, როგორცია „ღარიბთოვის“, „ნუ შეურაცხყოფთ ქალს“, „შეხვედრა“, „პარიკადე-

ბზე“ და სვ. მდიდართა სასახლეში გამართული ცეკვა-თამაშის შემყურე ლტალი და დამყველი ოჯახის მამა, ქუჩის მამანწალად ქცეული ქალის მწარე ბული დიდ ქალაქში, ანდა ბარკადებზე, მოზრდილების გვერდით მწინედ მებრძოლი ბავშვი, — ის როგორია ნამდვილი სახე „ბარწყინაღ“ პარიზისა, დაბატული დიდი ქემანისტისა და უბადლო პოეტის მიერ, რომელსაც ერთნაირად ამრწუნებდა პარიზის მდიდართა გულგრილობა და ღარიბთა ტრაგიკული ბედი.

კაბიტალისტურ მიმართებათა სწრაფმა ზრდამ ინგლისის ქალაქებში, კლასობრივი ბრძოლების გამწვანებამ და მუშათა ე. წ. ლედიტური მოძრაობის გაძლიერებამ დააწვინინეს ინგლისის დიდ რომანტიკოსებს ბაირონისა და შელის რევოლუციური სელისცვეთებით აღსავსე პოლიტიკური ლირიკის შედევრები, როგორცაა ბაირონის ლედიტური ციკლის პოეზია და შელის ლექსები „ბრიტანეთის შეილენს“, ინგლისი 1819 წელს და სხ. ამ ლექსებში იგრძნობა პოეტური სახე დიდი სამრეწველო ქალაქისა. მის შვიდართა, მშრომელი მსახურის მოზღვავებული რისხვა და პროტესტი. ეს ახალი სიტყვა და ახალი თემა იყო მსოფლიო პოეზიაში. ქალაქის სოციალურ წინაღობებზედა და ქალაქში გაშლილი მშაფრი სოციალური ბრძოლის თემსთან ერთად მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთისა და რუსეთის პოეზიაში ვითარდება და უბადლო სიმბოლეს აღწევს მშობლიური ქალაქის ისტორიულ წარსულთან დაკავშირებულ მითონებებსა, ამ მოგონებებით გამოწვეულ პატრიოტულ გრძობებებსა და ქალაქის პეიზაჟის, მისი განუყოფელი პოეტური სახის თემატიკა.

საქართველოში კაბიტალიზმი ბევრად უფრო გვიან აღმოცენდა და განუთარდა ვიდრე ამ ქვეყნებში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ კაბიტალისტური ქალაქის სოციალური წინააღმდეგობათა თემამ სათანადო გამოსახულება ვერ მოიპოვა ჩვენი რომანტიკოსების პოეზიაში. მხოლოდ გრ. ორბელიანმა, რომელმაც ყველაზე დაღბანს იტოცლა, დაეხატა ქალაქის მამულათა დუბუარის ბედი შესანიშნავ ლექსში „მეშა ბოქტლადი“.

საერთოდ კი, ქართული რომანტიკოსთა პოეზიაში თბილისმა საპატიო ადგილი დაიკავა. მშობლიური ქალაქის პოეტური ხილვით შთაგონებული ვახუშტის, მოგონებები და მხატვრული სურათები მრავალგვარადაა გამოხატული ჩვენი დიდი რომანტიკოსი პოეტების შემოქმედებაში — შესაბამისად იმ პრობლემებისა, რომელნიც შეადგენდნენ მათი სტორიის სამყაროს მთავარ შინაარსს.

აღ. ჰეკავაძის ლირიკა თვითაა ღრმად თბილისური, ხოლო თბილისის სახელი მასში იშვით

ათადაა ნახსენები და ეს გარემოება ჩრდილად შემთხვევითია. გეროპული ელსიკობის საუკეთესო ნიმუშებზე აღზარდილი, ალ. ჰეკავაძე უყოფლათის მიიღებოდა განზოგადებულ ქალაქებისაყენ. ამიტომ რომელიმე კონკრეტულ გარკვეულ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული ლექსი, რომელშიაც დატულია couleur locale (ადგილობრივი ელფერი) თითოთ ჩამოსათვლელია ალ. ჰეკავაძის პოეტურ შემეფიქრობებაში. — ეს არის ცნობილი ლექსები ბავლე პირველის სასახლისადმი, „კავასია“ უკვადვი „გოგმა“ და ნატიფი სიყვალეცი თისავსე „მეგრულ ფერხულზე“. სწორედ ამ მიდრეკილებით განზოგადებულ და არა კონკრეტულ, ლოკალიზებული მხატვრული სურათებისაყენ აიხსენება ის, რომ ალ. ჰეკავაძის, ამ პირველი ქართული რომანტიკოსის პოეზიაში თბილისის პოეტური პეიზაჟი დამოუკიდებელი თემის სახით ჯერ არ არის გამოვლენებული. თბილისი ნახსენებია მხოლოდ ალ. ჰეკავაძის პოპულარულ ლექსში „ანანზე სით მიხვალ“, აქ გვეხვება სტრიქონი, მიძღვნილი ასო „ტ“-სადმი: „ტფილისით მივალ ტამბოვად სულ თქმითა დია ხშირებით“. საგლისხმო და მრავალმეტყველი სტრიქონია! პოეტს ხომ მართლაც „სულთქმითა დია ხშირებით“ მოუხვდა მოგზაურობა თბილისიდან ტამბოვს, რადაც იგი გადასახლეს, ისიც ორჯერ თავის სოცხელში! პირველად — 1804 წელს, მთავლთა აჯანყებაში მონაწილეობისათვის, ხოლო მეორედ — 1832 წელს, შეთქმულების გამომწვლავების შედეგად.

განსხვავებით ა. ჰეკავაძისაგან, გრ. ორბელიანიც და ნ. ბარათაშვილის პოეზიაში თბილისის თემატიკას დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ამ ჩვენს საამაყო მგონებს თამამად შეძლება თბილისის მომღერლები ვეროლოთ თბილისის პოეტურმა ხილვამ არა ერთხელ შესახა ფრთებით დიდებულ პოეტთა აღმაფრენას, მისიც მათ სტამბული შესანიშნავი ლექსების შესაქმნელად.

თბილისის პოეტური სახე რამდენიმე განსხვავებულ თემატურ ასპექტშია მოცემული გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, რომ გრ. ორბელიანი ძველი თბილისისა და მის პირშობთა, ყარაჩოღლთა სულიერი არსისა და ყოფა-ცხოვრების გამოშატეველას; მან, პირველმა, აიყვანა დიდი პოეტური თემის სიმბოლზე მამან ჯერ კიდევ ცოცხალი და სიხლსავსე სინამდვილე ძველი თბილისის ცხოვრებისა და თბილისის მოქალაქეთა ყორობრტული, ჯგუფის ყარაჩოღლთა კეთილშობილური, ადამიანური ბუნებისა.

მეორე თემატურ ჯგუფს შეადგენენ ის ლექსები, რომლებიც თბილისის ესა თუ ის კუთხე

დაბატულია, როგორც პოეტური ფონი, ადგილი. სადაც ხდება იღვწალი და საგელისხმო გრძნობათა გამოწვევი ამბები ჩვენი პოეტების ცხოვრებისა.

თბილისი ძვირფასია გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილისთვის, აგრეთვე, როგორც ისტორიულ-პატრიოტიკი მოგონებათა აღმწერელი ჭაბჭაბუ, ქალაქი, რომლის სახელთან დამკვირვებელმა ჩვენი ერის დიდებულნი ისტორიული წარსულის სურათები, — როგორც ღრმა ტრაგიკულით აღსავსე, საბედისწერო, ისე სასიხარულო და აღმფრთხილებელი ამბები ქართველი ხალხის ისტორიისა.

და, ბოლოს, თბილისის ბუნებაში, მისმა უმშვენიერესმა ადგილებმა შთააგონა ნიკოლოზ ბარათაშვილი, მოხიბლა მისი გენიალური ნიჭი და შეაქმნენა უკუდავი ლექსები, რომლებიც სრული უფლებით შეგვიძლია ვაღიაროთ მსოფლიო ლირიული პოეზიის მარგალიტებად.

შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ქართველ რომანტიკოსთა შორის სწორედ გრ. ორბელიანმა გააგრძელა, განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა ძველი თბილისის უარაჩოდელ-ამეღღერი პოეზიის ტრადიციები, გააზიჟენა მისი ფორმა და სტილი ახალი, ღრმა და საგელისხმო პოეტური სიტყვის სათქმელად.

ის, რომ გრ. ორბელიანმა თანავგრძნობითა და გულსხმიერებით გამოხატა თავისი ლექსებში უარაჩოდელთა ყოფა — ცხოვრება, მათი გრძნობები და მისწრაფებანი, გაახლა ამ ღარიბი, შშორშელი, ლალი და მზიარელი ადამიანების პოეტური პორტრეტები თავისი უმწიქმედების ვრთ-ვრთ უშესანიშნავეს თქმად, და მას პოეტური სრულფერობიანობა მიანიჭა თავისთავად შერყველებს მძლავრ დემოკრატიულ ტენდენციებზე გრ. ორბელიანის პოეზიაში.

უარაჩოდელ-ამეღღერი ლირიკის ფორმაში ჩამოსხმული, შეხამაზებულ აფერებულ საღალბო — საღიზნო ლექსები გრ. ორბელიანისა ატოფრებენ მკითხველს თავიანთი ძალდატრუნებლობითა და ბუნებრივობით. ეს იმით აიხსნება, რომ პოეტი მშვენიერად იცნობდა თბილისელ შავროსიანთა ჩვეულებას და ცხოვრებას, მათს მისწრაფებებსა და მასეულდგმულად გრძნობებს. მეტიც შეიძლება თქვას: გრ. ორბელიანის ცხოვრების ფილოსოფია შედარებულად უფრო რთული და ღრმაა, ვიდრე უარაჩოდელის გაგება ცხოვრებისა, მაგრამ თავის არსში იგი, უდავოდ, ბევრ რამეში უნათესავეა ამ ლალ ადამიანთა სიცოცხლის აღქმას.

გრ. ორბელიანს ხიბლავდა უარაჩოდელის, ბუნების ამ წრფელი შერის მარტოვი, მთლიანი, მონოლითური სული, მისი კეთილშობილება, აყარგანობა, მეგობრისათვის თავდადება, უსაზღვრო და მოკრძალებელი სიყვარულის უნარი, ვაჟყობა და გულწრფელობა, ხალისი და სიცოცხლის სიყვარული. ყველა ეს გრძნობა

და მისწრაფება ცხოველ თანავგრძნობას და საპასუხო გამოძახის პოელობდა პოეტის სულში.

**მარტოვი**

ამიტომ არის, რომ გრ. ორბელიანის მარტოვ-ამი მკითხველის წინაშე ცოცხლად და ხატოვანად წარდგება არა მარტო შეპყრებლობით, განსოვავებულნი სახე თბილისელი უარაჩოდელისა, — მის ლექსებში მოქმედებენ სიყვარულისა და ლხინის ეშხით დამთერალი, დიდი პოეტის მიერ უკუდაყოფილი, ცოცხალი უარაჩოდლები. ყოველი მათგანი რეალური პრიტოტიპის პოეტური გამოხატულებაა, დიდი პოეტის წარმოსახვით გაიცოცხლებული; ყოველი მათგანი თავისებური, ორიგინალური პიროვნული ნიშნებითაა აღბეჭდილი. — ზოგი მხოლოდ დასაბეჭდებელია, ზოგი დაკონერად, მაგრამ ყველთადაც მიხიზული, ხოლო ზოგი — ხორცშესხმული, დასრულებული და ოსტატურად გამოქმენილი.

როგორც გრ. ორბელიანი, ისე ნიკ. ბარათაშვილი თბილისის პირშობილი იყვნენ; ამიტომ ბუნებრივია, რომ მათი ცხოვრების საწვყარი მოგონებები, პოეტური სურათებში აღბეჭდილნი, ხშირად დაკვირვებულა თბილისის რომელიმე კუთხესთან, ადგილთან.

ამ მხრივ ყველაზე საგელისხმო ავღაბრის უარაჩობა, სადაც გრ. ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად, რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდა ავღაბრის უარაჩობაში „სურობილობის“ მისმე დღეებს იგონებს გრ. ორბელიანი ცნობილ ლექსში „ჩემს დას ეფემას“, რომელიც სამართლიანად აღიარებულია დიდი პოეტის პრაგრამულ ნაწარმოებად. ამ ლექსს რამდენიმე ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს, იგი უაღრესად ლირიული ინტიმური განწყობილებითაა დაწერილი უკვე პოეტის რიგში ყოფნის დროს, 1834 წელს, როდესაც, სამშობლოდან შორს ვარდასევერალმა, მან ხელახლა გააცოცხლა თავის მოგონებაში ყოველივე ის, რაც მოხდა. „ჩემს დას ეფემას“ თემატურად პოლიტონიური, შინაარსით მდიდარი პოეტური ქმნილებაა: აქ ისმის მწაბე სედა სამშობლოს ბედუელმართობაზე, სიყვარულისა და მეგობრობის უნახვი გრძნობა დისადმი, მოგონება ბედნიერად გატარებული ახალგაზრდობისა, მეგობართა წრისა, რომელიც მიმოფანტა „გრიგალმა უბედობისა“, ხოლო ამავე გრიგალმა თვით პოეტი დასცა „უფსკრულს ეაბისას“.

ლექსში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საპრობოლესში, ავღაბრის უარაჩობაში გატარებული დღეების დასრულებას. აქ პოეტის გრძნობა ტრაგიკული პათოსის აღწევს. გრ. ორბელიანი პოელობს მტკიცე და მძლავრად შედარ სიტყვებს თავისი მამინდელი სულიერი მკვლავარობის გამოსახატავად. მარტოდ მარტო, საპრობოლესში მყოფი პოეტის გულის სიღრ-

მიდან აღმოსულა ოხერა ირავის ესმოდა; არავინ იყო, რომ შეეშრო „ლაწათა მწველი“ ცხარე ცხემლები. დროთა სვლაც კი შეჩერდა მისთვის, სრულმა უმედიობამ შეიპყრო სამყარობის „ზღუდეთა შორის“ მყოფი პოეტა.

შეილოდ ქლიკი სულის ადამიანს შეეძლო ასე ღრმად განეცადა თავისი მდგომარეობის ტრაგიზმი და ასეთი სიმართლით მრთობნო ჩვენთვის „განვლილთა ჭირთა“ შესახებ. ბირონის „შოლიონელი ტყვის“ უკვდავ ტაძებებს მოგვაგონებენ ამ ლექსის ის ადგილები, სადაც აღწერილია, თუ როგორ ებრძოდა პურობელი პოეტი გულში დახედულელ წყევლიასა და კავშანს, როგორ ცდილობდა იგი „განანევისა გულის სანელების... წარსულთა დღითა მოგონებით“, მაგრამ ამაო! პოეტს გული გაეჭაფა და, ცრემლი კი შეუშრა და მთელ მის ბუნებას რაღაც შესაზარი გულგრილობა დაეფუძა.

მაშინ შეშვექვენ გონება ჩლუნგ და ქვადა გულა.

და ან რაც ვიყავ, ან რაცა ვარ ყველა მავიწყდა.

ყველაზე სახარელი ის იყო, რომ მის პოეტურმა ნიჭი დავსმო, შთავონების ძალაც წაერთვა. ერთხელ პოეტს მერსელის ჰაქკიკი მოეხმა, საპასუხო სიმღერის თქმა მოეპოვინა.

მაგრამ შემზარდა, რა ნაცვლად ხმის, განხდა ზრიალი, და კდელთაყა დაყრუებულთ წარმოსთქვის ხანი

ხმა ეს უცნობი იყო ველურ და საშინელი, გაიკვლი, ესხდებენ და ხმა ჩემი შევე ვერ ესტყანი.

ამის შემდეგ მანამდე, ვიდრე „ეკების ბჭე“ არ გაიღო და პოეტი მზის სინათლზე არ გამოვლიდა, ის აღარც ცდილა ლექსი შეეთხზა.

ამ ლექსში გრ. ორბელიანი სრულიად არ მიზარბაეს თბილისის ე. წ. აელაბრის უზარბიხას ან თავისი საკანის დეტალები აღწერადსა რატათატების ზერბს. ჩვენ არც კი ვიცით კონკრეტულად, როგორ გამოიუტრებოდა იგი, მაგრამ ვიცით, რა ვანიცადა მგოსანმა ამ კედლებში, როგორ შესვა ბოლომდე ტანჯვის ფობა, და ეს სეკმარისი იმისთვის, რათა შეთბეველის წარმოსახვაში აღიმართოს ამ საპყრობადელ ქვეული შენობის პირქვეში, გაყინული ბჭეები.

არის თბილისის ერთი საგულისხმო კუთხე, რომელსაც ჩვენი რომანტიკოსი პოეტები თავიანთ ლექსებში განსაკუთრებული მღელვარებითა და სიყვარულით იხსენებენ, — ეს ყაბახა.

ყაბახა ეწოდებოდა თბილისის იმ ადგილს, რომელიც ახლა უკირავს კომუნარტა ბაღის ქვემო ნაწილს, ბაზრისა და სანაბირო ქუჩების ნაწილებს—შტეკარამდე. ეს ადგილი ორბელიანების საგაერულოს საკარმიდამოს შეადგენდა.

და, გერ კიდევ ერთკვლს მეფობის დროს და შემდეგ უფრო გვიან, გრ. ორბელიანის დანი. ბარათაშვილის სიციოცლის წახანხე ღროგამოშვებით გირბინებდა მისი ზოლი საღამოობით აქ იკრებებოდა სახეირნოდ და ბუნებით დასატებობლად მეტწილად, ყაბახის მახლობლად ე. წ. „გარეთუბანში“ მტბორები არისტორატული საზოგადოება.

სწორედ ამ იმდება მოქმედება გენიალური პოეტის ნიციოლობ ბარათაშვილის უკვდავი ლირიკული სურათისა „ღამე ყაბახზე“, რომლის მსგავსი რამ სინატიფთია, წრფელი პოეტური გრძნობით და შთაბეჭდილებით იშვიათად თუ შეგვეტემა მსოფლიო პოეზიაში.

ლექსის დასაწყისშივე ყაბახის გარგვნილი სანახაობა სულ ორიოდ სიტუციითა გამოსახული და ეს ძეწვად მოსახული სურათი უფრო მეოცნებე და შეყვარებული პოეტის სულიერ განწყობილებას გვაშენობს, ვიდრე გვიხატავს მანინდელი ყაბახის რეალურ პეიზაჟს.

პოეტს უყვარს ყაბახის „თელად საამო“ არემარე, მეტადრე წყნარ მთვარიან ღამით:

...როს შოვარე შექით მოფენს ყაბახსა და კოჯარი დაქქრის ნიავით, და მომდინარე ხან ზეირთცემით, ხან ნელად მტყარი, მოობზავს შორით, ვით მიკეტერი, გამთმოწივარი!

ბუნების ამ რომანტიკულ კუთხეს აქოებენ, მასში სიციოცლის ერთაშული შეაკვთ ყაბახზე მოსეირნეთ. ნ. ბარათაშვილი ვირტუოზული ლაკონიზმით გვიხატავს ნატიფსა და მიშიბეველ ფანრულ სურათს, აქა-იქ ყაბახზე სეირნობენ „გუნდ-გუნდად“ ანდა პირად-პირადად... „აკვლემოსილინი ქალი“. მათ „შეფრფინეიან“ ყმაწვილკანი. შესანიშნავ ზერის მიმართავს ბარათაშვილი ყაბახის დამამშვენებელ ასულთა სილამაზის გადმოსაცემად, — არა პირდაპირ აღწერას, არამედ მხატვრულ იგავთქმას,—მთვარე მოწინებით მიფარა ღრუბლებს, რადგან მთვარის მსგავსმა ასულმა დაარდილეს მისი შექა. ამ მნათობ—ასულეს შეფრფინეიან ყმაწვილ კანი. ზოგი მათგანს უკვ დაღინჯებული, დაბრჭენებულია, ზოგი—ახალგაზრდული ცუცხლოთ აღსავსე, ანცი, ხოლო ზოგნი — „ტრფიალ“ შეყვარებულნი, სწორედ ამ „ტრფიალთ“ გუტფინის თვით „ფიქრით მოცულთ“, ყაბახზე მოსეირნ პოეტი.

პოეტურ განწყობილებას აძლიერებს და მიჯნურთ ტრფიალს კიდევ უფრო აღაგზნებს ყაფლან ორბელიანის სიმღერა, რომელიც მოსეირნეთა თხოვნით, სიყვარულის ყოვლის შემძლებელ ძალას ქებათა—ქებას უგალობს ალ. ჰეკავაძის ცნობილი ლექსის სიტყვებდ:

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ, ყოველთ ესრედ გაიგონეთ!

ერთგვარად თქვენად ტრფილებად  
ჩემებარ მწარედ დაგვიმონებთ.

აღმათ თვით მომღერალიც შეყვარებულაი:  
ას ჯერ დაიღიღინებს, შემდეგ კი ყელს მოი-  
ღერებს და ხმას ემატებს. სიმღერას ახალგაზრ-  
დებზე უღრმეს შთაბეჭდილებას ტოვებს:

ვის არ სმენია ლექსი ესე, რომ მვის  
სევდები  
არა ამლოდეს, ჩვენსა ქალებს — ტრფობის  
ქირები!

ყაბახის საამო ბუნებამ, მისის მშვენიერმა  
მთვარიანმა ღამემ, მოსიერნე ქალეათო სი-  
ღამაზემ, საამყო განწყობილებამ და, ბოლოს,  
ყაფლანის სასიყვარულო გზებით აღსავსე  
სიმღერამ, — ყველაფერმა ამან იმოგვამდე აი-  
ყვანა პოეტის გულსთქმა, მოაზნადა ფსიქო-  
ლოგიურად კელმინაცია ლექსისა, — პოეტის  
შეხვედრა სასურველთან, რომელიც ვგზომ  
გვაგონებს დანტეს შეხვედრას ბეატრიჩესთან,  
იღწერილს დიდი იტალიელი პოეტის უკვდავ  
ქმნილებაში „Vita nuova“. ნ. ბარათაშვილის  
სათაყვანებელი არსებაც, დანტეს ბეატრიჩეს  
მსგავსად, „თუთრკაბანაი“, ისიც პოეტს მანამ-  
დე მხოლოდ ერთხელ უნახავს „საღადაც ქალთა  
კრებაში“, მანაც იცინო მგოსანი, თვალს შეას-  
წრო, შესცინა და საამოვნებით მიიღო მისგან  
გულთაღობითა და მოწიწებით აღსავსე სა-  
ღამი.

როგორი სისათუთით ვაღმოგვეცემს პოეტი, თუ  
ვით შეაკრთოთ იგი სათაყვანებელი არსების და-  
ხანება:

არ ვიცი, ამ დროს რად აღვიგზენ უფროს  
ცუცხლსა?  
ხად არს სიღაღე, ხად არს ძალი გრილის  
გულია?

წარმტაცი და სპეტაკი, მოკრძალებული სიყვარ-  
რული აღსავსეა ყაბახის იდილია, — პოეტისა  
და მისი სათაყვანებელი სატრფოს ხანმოკლე  
საუბარი, სულ რამდენიმე ფრაზა, თითქოს უშ-  
ნიშვნელო, მაგრამ ნამდვილად დიდად საგული-  
სხმო და მრავალსმთქმელი. პოეტი ახერხებს  
ნატივით, ზრდილობიანი საუბრის ყველა წესის  
დაკვირვებით, ამცნოს ასულს თავისი იდუმალი  
გრძნობა:

დარწმუნებელი ბრძანდებოდეთ, რომ ვერც  
მოღებია  
ვერ მამიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც  
დროებია!

ასული მიუხვდა პოეტს, იმიტომ იყო, რომ  
„ვარდი დაწვე მვის აფერცელა“. თითქოს  
ბუნებაც თანაგრძნობით გამოეხსურა პოეტის  
გულს, — ნაიკმაღ ცელქად მიმოუჭროდა „ცი-  
სიერს“ თუთრი კაბა, მთავარმაც „შექი თვისი  
მისტუხა ბროლსა“ და მოაფინა მშვენიება — სი-  
ღამაზე ყაბახსაც. პოეტის წინ მდგარ განსა-  
ხივრებულ ოცნებას სიყვარულისა და თვით

მის გულსაც, — მაგრამ სატრფიო ვილიცამ მოი-  
ხმო და მსწრაფლ გაქრა გასხვიოსნებულ სურ-  
ათი წუთიერი ბედნიერებისა, რათა მისთვის სა-  
მარადისო სიღრმეებზე მოეპოვებინა დიდი შემე-  
ქმედის უკვდავ პოეტური ხილიაში.

ყაბახს, ქართველი არისტოკრატიის ამ საყვარ-  
რულ სასიერო ადგილს, იხსენებს ნ. ბარათა-  
შვილი აგრეთვე ლექსში „ძია ვასთან“, რომე-  
ლიც დაიწერა 1836 წელს და გაავრცენა გადასა-  
ხლებადში მეოფე გრ. ორბელიანს. ამ პატრიოტუ-  
რი სურსიყვებით გამსჭვალულ ლექსში ყაბა-  
ხი სამშობლოს სიმბოლოდაა წარმოდგენილი,  
რომელიც „ავი ენის გესლმა“, ე. ი. 1832 წლის  
შეთქმულების მუხანათრქმა გამოქვეყნებამ,  
წარითვა გარდახვეწილ პოეტს. მაგრამ შმო-  
ბლიური კუთხის, ყაბახის სიყვარული მას თან  
წაყვია.

იცო, ბარათაშვილს გული სტყვია იმის გამო,  
რომ ჩრდილოეთში გარდახვეწილ მის ბაძის-  
თის დახმულია ყაბახისა და იქ მოსიერნე  
უშვენიერეს არსებათა ხილია, დახმულია ხი-  
ლია უტბეში მშობლიური მხარისა.

თვით გრ. ორბელიანს პოეზიაში ყაბახი,  
თბილისის ეს საყვარელი კუთხე, სულ სხვა  
სახით არის წარმოდგენილი. იგი აგონებს გრ.  
ორბელიანს წარსულ დღეთა დიდებას, იმ  
ბრწყინვალე ჯიბითებსა და შეჯობრებებს ვა-  
ჟაკობაში და ცხენოსნობაში, რომლებიც  
ჯერ კიდევ მეფე ირაკლის დროს ყაბახის მოე-  
დახმე იმართებოდა.

ლექსში „იარალს“ გრ. ორბელიანი იხსენებს  
ყაბახს არა როგორც სატრფილო შეხვედრათა  
სანუკვარ გარემოს, არამედ სწორედ როგორც  
საჯიბითო მოედანს, ქართული რაინდული  
ტურნირების სასაბარჯოს.

„ღონით აღსილინი“ მოქიფე ახალგაზრ-  
დებს უამბობს იარალი მანშიაშვილი ძველად  
ყაბახზე გამართულ ჯიბითების შესახებ, ახალ-  
გაზრდებიც ყურადღებითა და პოკრძალებით  
უსმენენ მას. აქ გრ. ორბელიანი გვიხატავს ყა-  
ბახზე ჯიბითის სხარტსა და მოხდენილ სუ-  
რათს.

ყაბახზე მოწყობილი ჯიბითის ასაწერად  
პოეტი ნახულოს მინაარხის შესაბამის მოყ-  
ლეზომოვიან რიტმს ლექსისა. იგი გვიხატავს  
ჯიბითის სცენას ისეთი ხალისიანი გრძნობითა  
და მჩქეფარე ტუშუარამენტით, რომ აქ თამა-  
მად უტოლდება ბატალური პოეზიასა საყვე-  
თესო ნიმუშებს. ეს აღმათ იმიტომ, რომ თვით  
გრ. ორბელიანი გამოცდილი მხედრობა იყო,  
ბრძოლისა და ჯიბითის სტატიონში თავს  
მშვენიერად გრძნობდა და მისი დასურათები-  
თაც გულწრფელად ტუშუბოდა.

ისტორიულ წარსულში ყაბახზე გამართული  
ჯიბითის სურათი ამოთვლით მთავრდება:  
თვით მეფე ირაკლი უშუბრს მოჯიბითე მხე-

დარებს, ტყემა მათა ვეჯაცობსა და სიხატუქი სილეთ.

ჩვენი რომანტიკოსების ისტორიულ პატრიოტულ პოეზიაში თბილისის პოეტური სახე იხატება, — ხან დიდებისა და სიხარულის შარაყენდით გაშეკებელი, ხან კი ვაებისა და გლოვის ძაძით შემოსილი.

თბილისის მისადგომებთან გაშლილ ველს, კრწანისს წილად ზედა გამბარაიყო საკართველოს ერთენელი ტრაგედის სიმბოლოდ, ქართველთა ლაშქრისა და აღა-შაჰმად-ხანის ურდოების სახედისწერო შებმის ასპარეზად, კრწანისის ბრძოლამ გადამწყვიტა „ბედი ქართლისა“, კრწანისთა ნიკ. ბარათაშვილის უყვდავი პოემის სამოქმედო არე.

აქედან აღვლინა მეფე ირაკლიმ თავისი მხურვალე ლოცვა საქართველოს ხსნის შესახებ. ამ მიმართა მან, როგორც დიდმა მხედარ-მთავარმა და სახელმწიფოს ღვაწლმოსილმა მეთაურმა, ქართველთა ლაშქარს გაამბხევებული სიტყვით სახედისწერო ბრძოლის დაწყების წინ.

კრწანისის ბრძოლას მივძღვნეს ღრმა ტრაგიზმით, მწარე ნაღველითა და სამშობლოსადმი მხურვალე სიუყარულით გამსჭვალული სტიქიონები ჩვენმა დიდმა რომანტიკოსებმა-ნიკ. ბარათაშვილმა პოემაში „ბედი ქართლისა“ და გრ. ორბელიანმა — „სადღევრძელო-ში.“

ნ. ბარათაშვილი ბრძოლის მიმდინარეობას სხარტად, მაგრამ გულში ჩამჭვლიძი გრძნობით აღწერს, ის ასახელებს კრწანისის გმირებს, ცნობილ ქართველ მხედრებს, რომლებმაც ამ შებთალ დღეს თავი შეწყწირეს სამშობლოს.

ნ. ბარათაშვილის მიერ ნახსენებ გმირთა წყებას შეავსებს გრ. ორბელიანი, რომელმაც ეპიკური სიდიადითა და მგზნებარე პატრიოტული გრძნობით გამოსახა თავის „სადღევრძელოში“ საჯათ არაგველის, ქართველი ერის ამ ერთგული და ამყვი შეილების თავგანწირვა სამშობლოსათვის.

ვაიღა დრო, თბილისი კვლავ დასახლდა, კვლავ აღდგა ფერფლიდან მაგრამ დასუსტებულ ფეოდალურ საქართველოს აღარ ძალქდა ილაღინა თბილისი მისი ძველი, დიდებელი სახით.

გრ. ორბელიანიც გელისტკვილით აღნიშნავს, რომ თბილისის დაეცემას მოჰყვა ძველი საქართველოს დამბობა.

კრწანისის ტრაგედის საშლოვიარო ეპილოგად ისმის გრ. ორბელიანის მწარე სიტყვები მის შესახებ, რომ მიაი დროს კრწანისი, მოშენებული მწვანე პალატის, უმეკარ მომლხნათა საქეთო ადგილია და „ამ წმიდა აღაგას, თაყვანსაცემსა“ უგნური შთამომავლობა „ფხიქვემე მათარუნავს გულით უკრძნობით!“

ეპიკურ-მონუმენტური განწყობილობითა აღსავსე „სადღევრძელოს“ ის ტაქტები, სადაც აღწერილია ლაშქრობის წინ შეკრებულ ლაშქართველოს ჯარის სახეიმ აღდგენა. მხედრთა თამარის შეფობით დროს, დიდების მინდორზე. დიდებუ, დღეს მწერდროდ დასახლებული და ერთ-ერთი უმშენიერესი ნაწილი თბილისისა, ამ დროს გაშლილი ველი, აღდგომის ჩასატარებელი, ლაშქრის შესაკრები და დასაწყობი ადგილი ყოფილა: „თამარის დრომა გამაღეს, შეკრბა დიდებეს ლაშქარი...“

თბილისისა და მის მიდამოთა ბუნების მშენიერებამ შთააგონა ნ. ბარათაშვილი ფილოსოფიური ლირიკის ისეთი უღრმესი ნიმუშების შესაქმნელად, როგორცაა „შემოღამება მთაწმინდაზე“ და „ფიქრნი მტერის პირას“.

ნიკ. ბარათაშვილი, როგორც კუმარტიტი რომანტიკოსი, ბუნების წილში ეძებდა დასვენებასა და შეებას არა სინამდვილისაგან, სიყოფილისაგან გასამოჯნავად, არამედ იმისთვის, რომ მოშორებულად ადამიანთა საუოველდუო ცხოვრების ფესფესს, პოეტურ გარემოში უფრო ღრმად ჩაფიქრებოდა კაცობრიობის და თავისი ერის ბედის, ადამიანის ცხოვრების აზრისა და დანიშნულების, სიბოროტისა და სიკეთის ბრძოლის საკითხებს.

ბუნება ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედებაში გვეხატება, როგორც ცოცხალი, გააზრებული-ასეთთა თბილისის მიდამოთა პეიზაჟიც. პოეტი არ ისახავს ამოყანას ავეიწეროს ბუნების გარეგანი მშენიერებანი, მას სწადია პოეტურ სახეებში ჩამოსახსნ თბილისის ბუნების შინაგანი შინაარსი, პარნიონელად შერწყმული თვით პოეტის სულიერ მდგომარეობათან. ბუნება ნ. ბარათაშვილთან ყოველთვის გააზრებულია, როგორც პოეტის სულიერი ცხოვრების ანარქული.

ესევე, როგორც სხვა დიდ პოეტებს, ბუნების შესაიდუმლეთ, ბარათაშვილსაც ქონდა პოეტისათვის სუყარელი, და ამიტომ ხშირად განმეორებელი სახეები ბუნებისა. თუ ბაირონი მისი ამყვი და ბობოქარი სულის შესატყვის ოყანავს სტიქიონსა და თვალწვადენელ მათთა მწეკრვალეობაში პოეებდა ბუნების არსსა და მშენიერებას, თუ შალის ბუნებაში მდმნივე მოძრაობა და ცვალებადობა უყვარს, ხოლო მიცვეიზის მისი მშობლიერი ტყეებისა და ტბების იდუმალი სილამაზე, — ბარათაშვილსათვის არ არის უცხო ბუნების არც დიად და ბობოქარი, არც წყნარი და დამამშვიდებელი არსი და საზე. კოსმოსური ვარემო, არც შერანის მხედრის დაუსრულებელი ღრულის და მისი ბედთან შეიიდებისა ისევე ახლოსაა ნ. ბარათაშვილის სულთან, როგორც მთვარისა და მისი ყაბახზე, მოდუდუნე მტერის ნაპირი და ფილოსოფიური მედიტაციისგან განწყობი მოაწმინდის კალთა.



მთაწმინდა, ეს მაღლიანი მთა, ორჯის უკუ-  
დაუყოფილ იქნა ქართულ კლასიკურ პოეზია-  
ში,—ნაჲ ბარათაშვილის და აკაკის შემოქმედ-  
ებაში. მთაწმინდა იყო ამ ორი სწორუბოვარი  
პოეტის შესაიდუმლე, შუების მომცემი, მთით  
ღარიკელი აღსატების მიმღები, მათში უფლთ-  
დადეს გრძნობათა და უღრმეს ფიქრთა გამომ-  
წვევი, — და მთაწმინდის მიწამ შეიერღობა და  
მიიბარა ის, რაც მომავლად იყო მთაში,  
მთაწმინდა ვახდა საყენე. განსასვენებელი  
პანთეონი იმით, ვინც ქართული ლიტერატურ-  
ისა და კულტურის დიდება და საიამყარა.

„შემოღამება მთაწმინდაზე“ — ერთიანი მე-  
დიტატიერი განწყობილებით დაწერილი ლექ-  
სია, მაგრამ, ამავე დროს, როგორი საინდივიდუ-  
ალური სიუხვე ემოციისა და აზრისა ამ შესანი-  
შნავ ნაწარმოებში. როგორი ნიუანსები, გაღას-  
ვლები ერთი განწყობილებიდან მეორეში დიდ  
პოეტურ სენთიქაზე დაწერილ, შემოღამებურ  
ბუნების განსჭერტით შთაგონებულ ამ ლექსში  
ბუნება და პოეტის გრძნობა შერწყმულია. გვი-  
ხატავს მთაწმინდის „უღაბერსა და დამაფიქ-  
რებელ“ ადგილებს, თუ „შემოღამების“ სიმ-  
ფონიას, პოეტი საგნობრძე სახეს აძლევს თავის  
ფიქრებსა და განცდებს, ხოლო გამოთავიანებს  
მათ მთაწმინდისა და დიხის ხატოვან სურა-  
თებში. ეს არის ბუნება, განცდილი პოეტის მი-  
ერ და პოეტის მედიტაცია, ბუნების სურათში  
ჩამოსხმული და გამოსახული. თვით მთაწმინ-  
დის ზეგნება, თავისთავად, როგორც ცალკე  
აღებული პოეტური სურათისა, არ წარმოად-  
გენს პოეტის ამოცანას. ამიტომია, რომ ლექ-  
სში არც მამა დავითის მონასტერისა ნახსენები,  
არც გრიბოედოვის საფლავი, — თუმცა ერთსა  
და მეორესაც, ალბათ, ზედავდა პოეტი, მაგრამ  
ეს საფლავისმო ადგილები არ იხყრობდნენ მის  
სულიერ შერკას.

„პოე მთაწმინდაჲ, მთაო წმინდაჲ...“ — პოე-  
ტი ესაუბრება მთაწმინდის ბუნებას, როგორც  
ცოცხალს, მიმართავს დიდებულ მთას, ამ თავის  
მღვმარესა და ამ დემილით შრავალისმთქმელ  
მეგობარსა და თანამოსუბერეს. ლექსის დასა-  
წყისშივე ლექსის რიტმი, ზომა, სიტყვების  
შერჩევა — ქმნიან ღრმა დაფიქრებისა და გან-  
სჭერტების განწყობილებას. კლდე ბუნდოვანი,  
ვიწრო ბილიე უღაბერი და დამაფიქრებელი  
ადგილები, — ასეთია მთაწმინდის ფსიქოლოგი-  
ური პეიზაჲ, ესოდენ შესატყვისი თვით პოე-  
ტის ფიქრებისა და გრძნობებისა. არეობრძე  
დასადგურებელი სიწყნარე პოეტის შინა-  
გრძნობასთან სრულ პარონიაში იწყობება  
მისი მეგობარია მშვიდი საღამოე და ჩამავალი  
მზის უყანასნული სხივებიც, „ცოცხლი ნელნი“,  
რომელნაც მთაწმინდას იღვრებლებით აღსავსე  
შუქით მოსავენ.

მთაწმინდის ბუნება აღვიძებს ნ. ბარათაშვილ-

ში ზეცის უსაზღვრო ლავარდის სიყვარულს;  
პოეტს სერს ფიქრთა უსასრულობით ცას  
გაუტოლდებს, მაგრამ აღმაიანებას, მთაწმინდის  
დაკავშირებელი მისი ფიქრითა ვერ აღწევს  
ცამდე და „მაერშივე განიბნევიან“. აქ უკვე იზ-  
რანობა „მერანის“ ავტორი, რომელიც მიილ-  
ტის გაღასვლის ადამიანის გონებისათვის მი-  
საწვდომი ზღუდე და მიადრის იმას, რაც მო-  
უწევრომელ რამედ, ადამიანის შესაძლებლობა-  
თა მიღმა მდებარე არსადა აღიარებული. მწე-  
ლია იმის თქმა, თუ რას ნიშნავს ეს ზეცის უსა-  
სრულობისაჲც ღტოლა პოეტისა; არის ეს  
მეტაფიზიკური ძიება აბსოლუტისა, ანდა ნოე-  
მენტო საწყაროს მიწოდების ცდა, პანთეისტურ-  
მისტიკური სურვილი ბუნების უსასრულობას-  
თან შერწყმისა თუ წმინდა რომანტიკული  
ღტოლა იდეალურისაღმწი... ერთი რამ ცხადია:  
ეს კოსმოსური მასშტაბის მისწრაფებანი ნიკ-  
ბარათაშვილს თბილისის ცამ გაუღვიძა, ამიტო-  
მია, რომ პოეტი სიყვარულით მიმართავს  
მთაწმინდას, როგორც ერთგულსა და საიმედო  
მეგობარს.

მწუხრის ღამე მოჰყვა, ცის ლავარდს ბინდი  
გაღაფრა, მთარემ განანათა მთაწმინდის მიღა-  
მოები, შექმნიბინდელმა მთარემ, რომელსაც  
მგოსანი უმანყო, მზურვალე ლოცვით მოქან-  
ცულ სულს ადარებს. მთეირიანი ღამეც  
მთაწმინდაზე, ისევე, როგორც საღამო,  
ღაისი, შემოღამება — თვით ნიკ. ბარათა-  
შვილის შინაგანი საწყაროა, მისი მა-  
ღალი აზრია, თბილისის ბუნების სახეებში  
გამობტეული. დიდი პოეტის სული კი მსოფლიო  
კავშირს, მისი სამშობლოს ბედუცელმართობითა  
და საკუთარი უბედობის ტრაგეზიმით გამსჭე-  
დელი, მაინც უოყველთვის სინათლისა და სხ-  
ნარტლისაჲც მისწრაფეოდა. ამიტომია, რომ  
ლექსის დასასრულს შთაგონების მქალავრი  
ფრთები ასტორტყნიან მის სინათლის საწყარო-  
საჲც. უკუნი ღამე და პასორეი სასოწარკვე-  
თა, — ეს არ არის ბარათაშვილის შემოქმედე-  
ბითი თეოთგარძნობა. მთაწმინდაზე გატარებულ  
საღამო არა მარტო დაამწოდებს პოეტს, არა  
მარტო აღამაღლებს მას უსასრულობის განცდა-  
მდე, მომავლის იმედსაც განამტკიცებს მის  
გულში:

„პოე საღამოე, მეუდრო, საამოე, შენ დამშოი  
ჩემად საწუვემებლად!  
როს მუმენვარება შემომესევის, შენდა მო-  
ველტეი განსაქარებლად!  
მწუხრი გულისა — სევედა გულისა — ნეგვსა  
ამას შენვან მიიღებს.

რომ ვათენდება დღა მზიანი და ყოველს  
ბინდას ის განანათლებს!“  
მტკერის ნაბირი, ისევე როგორც მთაწმინდა,  
ბარათაშვილის პოეტურ გასიერებათა უსაყვარ-  
ლესი ადგილი იყო. ჩვენმა დიდებულმა მდინა-  
რემ ჩაავგონა ნ. ბარათაშვილს „ფიქრნი მტკერის



პირას — ქართული სოციალ-ფილოსოფიური ლირიკის სწორტოპოგრაფი მარგალიტი, თავისი კომპოზიციით, ენითა და სტილით ეს ჩვენი მშობლიური პოეზიის უხადო ქმნილებაა.

თითქმის დაზუსტებულია ის აღგარა, საიდანაც ბაჩათაშვილს უყვარდა მტკერის მზერა, — ეს ახლანდელი წელის სადგურის მიღამოებაა. აქ ნაპირთან ლეილაებუნ მტკერის ტალღები, აქთ მოაშურებდა სევდიანი პოეტი „ფიქრით გასართყვალად“ „განასევებდალ“, რათა მარტოვ მარტოს, მთფსთფულ ბრბოსავან მომორებით დაეფრქვია ცრემლი „ღბილს მდელზე“ და ამ ცრემლებში ნეგეში და დამწვიდებმა მოეყოლებინა.

გენიალური ჰაბტუი მწვევედ გრძნობდა სულერ სიმარტოვეს, სულიერ ობლობას თავის წრეში. მასთან შეზრდილი ახალგაზრდა ნეკობზები, მასზე უფროსები, თვით რჩეულნიც კი მათ შორის ბოლომდე ვერ ჩასწვდებოდნენ სიღრმეს მისი გრძნობისა, სიძალეს მისი აზრისა. მხოლოდ ბუნების წიაღში თუ აპოეიდა ბაჩათაშვილის გულსთქმა გამოძახილს და მოლოდიანი არ ამტყუნებდა მას: მტკერის პირას „უოველოვე არე-მარე იყო მოწვენიო“, ისევე როგორც სევდიანი პოეტის გვარი.

მან ყური მიუგდო მტკერის დუღუნს, იგი გსცქეროდა საფარული მდინარის ზეირთებზე არეული ცის ლავარდს, მისი ტალღების ნელს, მაგრამ მუღმივს მოძრაობასა და მდინარეებს, რამაც აღუტარა ფიქრი ადამიანის, სახელმწიფოთა, კაცობრიობის და თვით სამყაროს ცვალებადობის შესახებ.

მართლაც, ჩვენი ერის რამდენი შაებნელი დღის მოწამეა მტკერი... მაგრამ პოეტის აზრი უფრო შორს მიისწრაფვის, იგი საყოველთაო წარმყოლიანობასა და ამოებებზე ფიქრობს:

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფეჟი, და მხოლოდ ამოება?... საყოველთაო ცვალებადობის ფილოსოფიური

აღეა უფრო კონკრეტი, სოციალური პესიმიზმის ხასიათს იღებს, — რათა ადამიანის ცხოვრება, თუ არ „სასწაველი იღვსებელი“. აერთო სურვილის შესრულებას მეორის ჩასახება მისდევს, ერთი მიზნის მოღწევისთანავე მეორე მიზანი ესახება ადამიანს და მთელი სიცოცხლე ჯაბედა წუთიერ კმაყოფილებათა და მუღმივ აბებათა. და თუ ეს ასეა, ცხოვრებას არ ჰქონია ერთი შტეციე აზრი და დანიშნულება; ყოველი მოზანი, დასახელი ადამიანის მიერ ისეთივე მსწრაფლწარმავალი და წუთიერი ყოფილა, როგორც მტკერის ტალღები, ერთიმეორეს რომ მისდევან.

ასევე ფეჟად და უმიზნოდ ეჩვენება ბაჩათაშვილს არა მარტო ჩვეულებრივ ადამიანთა, არამედ მეფეთა ცხოვრებაც.

სრული ბედნაერება, უველა სურვილის ერთობლივი დაკმაყოფილება მეფეყოფისუცეცი მიუღწევიალა.

„მსოფლიო კაეშანი“, გაგებელი როგორც უქმაყოფილება სამყაროს წყობით, ბაჩათაშვილის შემოქმედებამი პირველად ამ ლექსში განისმა: „მაგრამ თუ ერთხელ სოფელს ბოლო მოეღოს, მაშინ ეიღას სთქვას მათი საქმე, ვინ სადლა იყოს?“

თვით სამყაროც მუღმივ ცვლილებას განიცდის. ჩვენს დედამიწასაც, კაცობრიობას, მის კულტურას ერთ დროს ბოლო მოეღება. წარმავლობა და აღუტებლობა ადამიანის სურვილებისა, მუღმივი უქმაყოფილება, დაბუღებელი ადამიანის გულში, სახელმწიფოთა სეებედისა და თვით სამყაროს უმდგრადობა, ასეთთა ბაჩათაშვილის ფიქრები „მტკერის პირას“.

მაგრამ პოეტი არ ეძლევა სასოწარკვეთილებას, ფარ-ხმალს არ ყრის, უღოთო ჩივილი მას არ სჩვევია. ეიღრე ადამიანი ცოცხალია, თავისი ერის, ხალხის პირშმოა, მან უნდა შეასრულოს თავისი ადამიანური და მოქალაქეობრივი მოვალეობა საზოგადოებასა და სამშობლოს წინაშე, ღატოვოს კვალი, არ აიღოს ხელი სიცოცხლის ძირითად გამოტოლებებზე, — სოციალურ აქტუალობაზე. ერისათვის ზრუნეულაწლზე: „მაგრამ რადგანაც კაცნი გეჟვიან— შეიღნი სოფლისა...“

ქართულში რომანტიკოსებში მოიხადეს შემოქმედებითი ეალი ჩვენი ტრეფა და საამყოფ დედა-ქალაქის წინაშე. მათ დავიხატეს თბილისის პოეტური სახე, თითქმის, უველა, იმ დროს შესაძლებელ ასეჟტში.

გავიდა დრო, საუენზეუ მტეი. ეს იყო ჩვენი ერის ისტორიის, მისი კულტურული აღმავლობის უქმსანიშნავეცი ხანი, გარეშე მტერთა შემოსევისაგან დაღუღო საქართველოს მიეცა შესაძლებლობა დაწაფებობა დიდი რუსი ხალხის და მთელი კაცობრიული კულტურის წყაროს, აუთვისებია კაცობრიობის უდიდესი კულტურული მონაბოვარნი და, მასთან მჟიდრო ურთიერთობაში შეეჟქნა საყუთარი, დიდ ეროვნული კულტურა, გაეგრძელებინა და უდიდესი წარმატებებით გაემდგრებინა თავისი მრავალსაუენუენიანი სულერი ცხოვრების საგანმებრი.

გავა დრო... კიდევ უფრო ნათელი და ბედნიერი იქნება ჩვენი ერის მომავალი, კიდევ უფრო გამწვერიერდება ჩვენი თბილისი. ბევრი ზღოვანი მიქედენისა მის თავისი აღმავრების საუენუთის მარგალიტს, მაგრამ თბილისის პოეტური სახე, აღბეჟილი ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში და, კრძოდ, ჩვენი რომანტიკოსების პოეზიაში მარად იცოცხლებს იღვარებას ჰაბტური მწვენიერებით.



დასავლეთ საქართველოზე, უფრო იდრინდელი პერიოდის ამბებია მოთხრობილი ვიდრე ლამბერტისა და ჯედლიჩის აქვთ დასხვები. მათ ემატება აგრეთვე ახლკა ბორომეოს წერილი, ავტორი თვითმიხველია იმ ისტორიული მოვლენების, რომლის აღწერელიცაა. მისი შრომა სანდო წყაროა და ბევრი ისეთი ფაქტის შესამოწმებლად გამოდგება, რომელიც სხვა ავტორებსაც მოეპოვებათ, მხოლოდ განსხვავებული ვერსიით.

ომანის-ძე ირუბაქიძე — ჩოლოყაშვილი ანუ ნიკოფორე ბერი, დიდად ცნობილი პიროვნება თეიმურაზ I მეფობის დროს, რომელსაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზნით ელჩობა გაუწევია ვეროპოლის ხელშეწყობა კარზე, ჩვენ გვევლინება დიდად განათლებულ და მოამბეულ ქართველ ექვტერტისა. მისი ავტორობითა და ხელმძღვანელობით, პატრ პაოლინოსთან ერთად, რომენი დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი: იტალიურ-ქართული ლექსიკონი 1629 წელს, რამაც დასაბამი მისცა ქართული ბეჭდვითი ხელოვნების განვითარებას საქართველოში. მის საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ არა ერთი საფუძვლიანი დოკუმენტი მოგვეპოვება საეკლესიო თუ წმინდა პოლიტიკური მსოფლმხედველობის მიუხედავად, რომელშიაც მისი ნიჭი და ერუდიცია მოჩანს. იმ ეპოქის სოციალ-ექვტერტი დონის შესასწავლად, რომელ ხანსაც ეკუთვნის მისი გამოსვლა სახელმწიფოებრივ ყველა სარბიელზე, გასათვალისწინებელი ხდება მისი თანამოღვაწე დასის მსოფლმხედველობაც და ის სოციალური წრე, რომლის წარმოადგენლებდაც ითვლებოდნენ, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში.

ნიკოფორე ირბანის (ირბანი) არა ქართველობის შესახებ (რადგან არსებობდა თანამოსახელე ნიკოფორე, ტომით ბერძენი) კარიკაშვილის მღვდარი შეხედულების გასაბათილებლად საფუძვლიანი გამოკვლევა უძღვნა კ. კეკელიძემ, რომელიც არსებულ ქართულ-ეკსოტურ წყაროებზე დაყრდნობით ნათელი და უღაი გახადა ქართული ექვტერტის დიდი წარმომადგენლის ვინაობა და მტკიცედ დაადგინა მისი გვარი და შთამომავლობა. გარდა იმ ცნობებისა, რომელიც ხელთა ჰქონდა მცხოვრებ მეცნიერს, მას ემატება გამოუქვეყნებელი დოკუმენტი თვითმხრელი ავტორისა, რომელშიაც ნიკოლოზ ბერის შესახებ ახალი ფაქტია დადასტურებული.

უცნობი მწერალი გვიამბობს, რომ ლევან დადიანს გარდაცვალებამდე თავის შემკვიდრად მცირეწლოვანი შვილიშვილი დაუტოვებია, რადგან მისი ვაჟიშვილი დამბლა დაყარდნილი და ყოველგვარ უნარს მოკლებული ყოფილანდერძად დაუღვია, რომ თავის ბიძის ლიპარტიანის დახმარებით სამთავროს მმართველობას

ამ ბავშვის დედა გასტროლოდა, მაგრამ მომეტედა თუ არა ლევან დადიანი, მის ბიძას, ლიპარტიანს, იმერეთის მეფისათვის მიუხედავად, რომ მას ჯარის დახმარებით ქვეყნმშენებლობაში თავრობი გაემატონებინა, პირობად და საწინდარიდ თავისი ერთგულება და მორჩილება შეეთავაზებია. გარდა ამისა სამეგრელოს სამთავროს საუბრტლოს მესამედი ნაწილი დაუთმია. იმერეთის მეფე ალექსანდრე თავისი ჯარით დაუბრკოლებლივ შესულა სამეგრელოში და ყველა საქმეები მოუგვარებია ლიპარტიანის სასარკვებლოდ. მაგრამ ერთი თვის შემდეგ სამეგრელოსა და აფხაზეთის ხალხი ლიპარტიანის წინააღმდეგ აჯანყებულა და მთავრად მისი ცნობა არ მოუხსტრებიათ, ამისათვის იმერეთის მეფე ხელმეორედ შესულა სამეგრელოში და სამოქალაქო ომი ჩაუქრია, ლიპარტიანს ამ უზურპაციის შემდეგ სასტიკი ზომები მიუღია და მისი მოწინააღმდეგე ზოგიერთი თავდასათვისი თვალები დაუთხრია და ამ გზით მორჩილებამო მოუყვანია და სხვა.

ახლკა ბორომეო სასულიერო საქმიანობის თხრობისას ჩვენ გვაცნობს ერთ ფრიად საყურადღებო მომენტს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოღვაწეობიდან, რომელსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა მის დამოკიდებულებას სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის, სეპარატული პოლიტიკის გატარებაში იმერეთის სამეფოს მიმართ. ავტორის უტყუარი მოწმობა ისტორიულ სინამდვილეს გადმოგვცემს, როდესაც გვიამბობს, რომ ლევან დადიანის საყურადღებო ეგვირო და პოლიტიკურ საქითებში მარტველი პატრიარქ-კათოლიკოსად დაუსვამს სამეგრელო — აფხაზეთში, მაგრამ ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1658 წ.), მას შემდეგ, როდესაც მისმა ბიძამ ლიპარტიანმა უზურპაციით სამთავროს გამგებლობა მიიტაცა, ნიკოფორე ირბანი ანუ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილთან უსამოყვება მოსვლა რელიგიურ პოლიტიკურ საქითებში — იგი გადაუყენებია და ერთ რომელიცაც ცხე-კოშკში გამოუწყვედვია, სადაც გარდაცვილდა კიდევ, რომლის შემდეგ ერთი იმერელი ეპისკოპოსი კათოლიკოსად მასვე დაუდგენიათ.

ფრანკ დამახსოვებელი ეს ფაქტი დამატებით ცნობებს გვაწვდის იმ ეპოქის ზოგიერთ მხარეზე, რომელიც სხვა ავტორებს არ მოეპოვებათ. ასეთი ხასიათის ანგარიშგასაწევი მასალა მხედველობაშია მისაღები, რომ კათოლიკოსობის ქრონოლოგიაში მან ეუწყენილი ადგილი დაიკავოს.

მასშალამე მუსომე მჭუტრაძის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. 1657 წელს ლევან დადიანის მიერ კათოლიკოს — პატრიარქად დადგენილი ნიკოლოზ ბერი 1658 წლამდე მჯდარა, რომლის შემდეგ ლიპარტიანს გადაუყენებია, ე. ი. ირუბაქიძე — ჩოლოყაშვილი დაახლოვე-

ბით ერთი წელი ყოფილა კათოლიკოს — პატრიარქად სამეგრელო-აფხაზეთისა.

ახლა ამ ფაქტს ახსნა უნდა მოეძებნოს, თუ რა ვითარებაში იყო შესაძლებელი, კათოლიკოსად დასმის საყთხის სინამდვილედ ქვეყნო?

აქ ჩვენ ხომ არა გვაქვს ერთ-ერთი ელემენტი სეპარატისტული პოლიტიკისა, რომელსაც ლევან დადიანი იჩინდა იმერეთის მეფის მიმართ? ირუბაქიძე — ჩოლოყაშვილის კათოლიკოს — პატრიარქად დასმა, ნიშანდობლივ სამეგრელო — აფხაზეთისა, უნდა მოწმობდეს განხეთქილების გადრმავებას იმერეთისა და სამეგრელოს შორის. ახალმა მთავარმა ლიპარტიანმა შესაძლებელია იმის გამოც ვადაყენა ნიკოლოზ ბერი პატრიარქობიდან, რომ იმერეთის მეფის სურველობა უფრო განუმტკიცებინა. იგი ხომ აღქვანდრე III იმერთა მეფის დასმული იყო მთავრად სამეგრელო — აფხაზეთში. ამისათვის იყო, რომ იმერეთის მეფის მფარველობაში და მასთანადე მის მორჩილებაში უვლელ ლიპარტიანს მისი წინაშობედი დადიანის პოლიტიკა რადიკალურად უნდა შეეცვალა და ნორმალურ ვასალურ პირობებში დაჩუნილიყო თავის სურველთან, როგორც დადგენილი მოხელე სამთავროსა. რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ირუბაქიძე — ჩოლოყაშვილის კათოლიკოს — პატრიარქობიდან გადაყენება. როგორც ჩანს იმერეთის მეფესთან შეთანხმებით ზეპირია ქვირინისათვის ჩუბარება კათოლიკოსობა, იმეამდ მთელი დასავლეთ საქართველოსა. ან შესაძლებელია ერთსა და იმავე დროს ორი კათოლიკოსი მხდარიყო დასავლეთ საქართველოში, ერთი სამეგრელო-აფხაზეთში და მეორე მთლიან დასავლეთ საქართველოში ანუ იმერეთ-გურისის, სამეგრელო-აფხაზეთისა, რასაც აღნიშნული ავტორის მოტანილი ცნობა არ გამოჩინავს ასეთ შესაძლებლობას, თუმცა საამისო საბუთი ჯერ არ გავაჩინა ამ ვერაუდის გასამაგრებლად.

ლევან დადიანს განცალკევებისადმი მიდრეკილება თავიდანვე ახასიათებდა და ნიკოლოზ ბერის დამოუკიდებელი გელსიის მეთაურად აჩვენავ უსათოდ ნაყარახევი უნდა ყოფილიყო სავრთაშორისო ვითარებში შექმნილი მდგომარეობით. თავისი ქვეყნის მშვიდობის უზრუნველსაყოფად, სამეგრელოს დასავლეთით მებრძო აგრესიული თურქეთის საყთხის უმტკუნეულოდ მოგვარებისათვის, ლევან დადიანს ბერიც თვალთმაქცობა და დიპლომატიური ხერხების გამოყენება დასჭირდა, რომ მას შორიგებოდა და საოსმალო ხარჯი ვისრა. მეორეს მხრით მას ანგარიში უნდა გაეწია თურქეთის სულთნის პოლიტიკური მიზნისათვის, რომლის ინტერესში შედიოდა დასავლეთ საქართველოს დამოლო საბით არსებობა. საბოლოოდ მისი დაპყრობის გასაადვილებლად, რა-

საც დადიანი უნებლიედ ხელს უწყობდა განცალკევებისადმი მიწრაფებით. ერთდროულად ვის პოზიციებს იმაგრებდა იმერეთის მთავრებს ასეთ ფონზე შეიძლება გასაგები გახდეს დადიანის პოლიტიკის მიმართულების ზოგიერთი დეტალი, ამ შემთხვევაში კათოლიკოს-პატრიარქის დამოუკიდებელი ცენტრის ჩამოყალიბება სამეგრელოსათვის. ერთი გარემოება გასათვალისწინებელი ნიკოლოზ ბერის მსოფლმხედველობის შესამოწმებლად, ეს ის, რომ კახელ ჩოლოყაშვილს რა ვითარებაში შეიძლებოდა მხარი დაეჭირა ლევან დადიანის სეპარატისტულ პოლიტიკისათვის და ცალკე სამთავროში სამეგრელო — აფხაზეთის კათოლიკოს — პატრიარქად კერძობეცხე დათანხმებოდა? თვით ეს ფაქტი ხომ არ მოწმობს მისი პირადი უთანხმოების გამომვლავნებას თემურაზ მეფესთან და ამის გამო კახეთიდან სამეგრელოში დამკვიდრებას? თემურაზ მეფესთან პირადი უთანხმოების შედეგად გამოწვეულ ნაბიჯს თავისი კვალი უნდა დაეჭინა და არა შორსმჭერები გადაწყვეტილებები მიეღებებინა. იქნებ კახეთის დამოუკიდებელი პოლიტიკის ანალიზით ურჩევდა ნიკოლოზ ბერი დადიანს საერთო სახელმწიფოებრივ გეგმიდან გამოთმევი საქმის წარმოებას? სამეგრელოს მთავრის მიერ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მიღებული ზომები უფრო აღრეა დაწყებული და საფუძველ ჩაყრილი, ვიდრე იგი მას სისტულემი მოიყვანდა და იერილილ უფლებასაც მოიპოვებდა. ჯერ იყო და ამ მიზნით შეთანხმდა როსტომ მეფეს, რომ იმერეთი ერთმანეთში გაეყოთ, რის საწინდარც ვახდა მისი დის შარიაშის სადღოფლოდ მიეცემა. ყველა ეს და სხვა გარემოებანი კათოქებრინებს, რომ ლევან დადიანის მიერ კათოლიკოს — პატრიარქად დასმა ირუბაქიძე — ჩოლოყაშვილისა სინამდვილიდან აღებული მომეტა და მოწმობს მისი საბოლოო მიწრაფების ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტს, რომლის გავთვალისწინებლობა ნაკლებად წარმოგვიდგენდა დასავ. საქართველოს პატრიარქ კათოლიკოსთა ქრონოლოგიას.

ამგვარად ქვემოთმოტანილი წერილი ფასადედებულ დოკუმენტია დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარების გასათვალისწინებლად, აქედან შესაძლებელი ხდება არა ერთი საყთხის შესწავლა და დადგენა.

**უწარჩინებულესო და დიდად პატივცემული სანიორა!**

ჩვენი რწმუნებული პატრი გალანოს (Galano) წერილთან ერთად ჩემთან მოაღწია ცნობამ, რომ სარწმუნოების გამაერკულეული წმიდა კონგრეტორს მღვიწის თანამდებობა მიეღია

<sup>1</sup> იხ. ხელნაწერი: Archivio della S. C. de Propaganda Fide-Asia, Georg a, Mengrelia, vol. 229, 11.

თქვენი უწარჩინებულობის ხელქვეით პირს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, როგორც იშვიათი ნიჭის პატრონს, მადლიანსა და კეთილი ბუნების მატარებელს. ეს დიდმნიშვნელოვანი თანამდებობა სწორედ მისი შესაფერისია. გამოთქმული სიმშვიდე განვიცადე, ამასთანავე სურვილი დამებადა მას ვეახლო, როგორც წმიდა კონგრეგაციის ღირსეულ მმართველს, ჩვენს საყვარელ შამსასა და უფროსს, და გამოვსიტყვა ჩემი სიხარული და მისდამი თანაგრძნობის გამოხატული პატივისცემის მოვალეობა და ვანუცხადო მორჩილება, რომ მისიონში შექმნილი ახალი მდგომარეობისათვის მივიღოთ საჭირო ზომები ერთად, რადგან ჩვენი მეგობრების სიკეთლის გამო შემეცირდა ჩვენი მისიონი. დღეს მხოლოდ ორი მღვდლისა და ერთი მორჩილი მძისავანლა შესდგება: ერთია პატრიცამპი (Zampi) და მორჩილი შამა ფრანჩესკო (Laico Francesco), რომელთაც ამ სამსახურში უკვე ათი წლის სტაჟი აქვთ შესრულებული — ყოველგვარი გაიჭრევებისა და სიმძლეების გადალახვის შედეგად. თქვენი უწმიდესი უწარჩინებულობა თუ ისურვებდა ჩვენი კმაყოფილება და სიმშვიდე გამოეწვია, ამისათვის უნდა მოაშველეთ ამ მისიონს დანარჩენი ჩვენი მეგობარი პატრები, რომელნიც ფრიად საჭირონი არიან. შამინ ჩემს სიმზნევეს ახალი ძალა შეემატებოდა და სამოციქულო მოვალეობასაც წარმატებით შეასრულებდით. მაგრამ როდესაც ვხედავთ, რომ ასე მარტონი და არასაკმარისნი ვართ ამისათვის, რომ მრავალი კეთილი საქმე შეგასრულოთ აქ, ამასთანავე მიტოვებულნი და მიუწყებულნი ჩვენი სარწმუნეობის მფარ, ცოტას ან სრულიად არაფერს რომ არ ზრუნავს ჩვენს დახმარებაზე, ჩამდენადმე ნაწყენი ვრჩები.

აქ ასეთი ამბავი მოხდა: რამდენიმე თვეა, რაც სამეგრელოს მთავარი დადიანი გარდაიცვალა, რომელიც თავისი ძლიერებითა და ბრძნული მმართველობით თავის გამაჩრევების წარმატებას ორმოცდაათ წელზე მეტ ხანს დღესსწავლობდა; მისომბელ მთავრებს ხარკს ახდენებდა, როგორც აფხაზებს (Abcassi), ასევე იმერეთსაც — სხვა ერისთავთა შორის იმერეთში მედის სახელს რომ ატარებს. მისი გარდაცვალებით ჩვენ დიდი მფარველი და ქველმოქმედი დაკარგეთ, თუმა კი მის მემკვიდრეს დღემდე ჩვენთვის წყალობა და მფარველობა არ მოუკლია. სამეგრელომ უფრო მეტი დაკარგა. უკვე ჩამოქვეითდა მისი გავლენა აბსოლუტურ და ფართე სამფლობელოებზე, რომელიც იმების წყალობითა ჰქონდა შექმნილი გარდაცვლილ მთავარ დადიანს. ამისი მიზეზი ის იყო, რომ ამ მთავარს სხვა შეილი არ ღარჩა, ვარდა ერთი ვაჟისა, სახელად ალექსანდრე, მმართველობის უნარს მოკლებული, რადგან დამბლად იყო ჩაყარდნილი და

არავითარი ნიჭი არ შესწევდა, თუმცა ცოლაცა ჰყავდა და ერთი პატარა ვაჟიშვილიცა დადიანის გარდაცვალებამდე სამეგრელოს მეშვიდობრდ მთავარი შეილშვილი დასტრეა, მის წინაშე ყველა თავისი ღიღებელი (Principali baroni) დააფიცა ერთგულებასა და მორჩილებას. ამასთან ერთად ხელშეკრულებაც დაუდო, რომ სახელმწიფოს მმართველად ბაეშვის დედა, ალექსანდრის მუღლე, იქნებოდა და მას დადიანის ბიძა, ლიპარტიანი (Lipardian) დაეხმარებოდა. როდესაც დადიანი მოკვდა, გამოცდილმა ლიპარტიანმა თავისი მმართველობის უზრუნველსაყოფად სამეგრელოს აბსოლუტურ მთავრად ვახლომა მოიწადინა, ამ მიზნით იმერეთის მეფეს ზრდილობიანი წერილი მისწერა, რომეღშიაც სთხოვდა, რომ გადმოსულიყო თავისი ჯარით და ამ სამფლობელოში გაემატონებინა. არწუნებდა, რომ თუ ასე მოხდებოდა, მისი სამუდამო ერთგული დარჩებოდა, ამისათვის მას საძურგლის მესამე ნაწილს მისცემდა და აგრეთვე სხვა თუ რამე კარგი მოაქებებოდა სამეგრელოში. მეფე წინადადებაზე დათანხმდა და ისე შემოვიდა თავისი ჯარით, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ლიპარტიანს სასურველი სამფლობელო ჩააბარა, თუმცა თავადები (baroni) ასეთი უზრუნავის წინააღმდეგნი იყვნენ. დამცველ რაზმზე თავისი ჯარის ნაწილი დაეტოვა და თვითონ კი უკან გაბრუნდა და რასაც ლიპარტიანი დაჰპირდა თან წაიღო ის, რაც დადიანს ბრძოლებში ჰქონდა მოზოგებულა. ბევრი ებრაელი და სომეხი სამეგრელოდან იმერეთში (Giorgia) გადმოიყვანა, აგრეთვე ამ ქვეყნის უბიჯველს თავადთა (baroni piu principali) პირში შვილები წამოიყვანა იმ მიზნით, რომ უფრო უზრუნველყო მის მიერ ახლად დასმული მთავრის უშიშროება, რომ მას არ აჯანყებოდნენ. ეს საცმარისი არ გამოდგა იმისათვის, რომ ლიპარტიანს ყველა მორჩილებაში ჰყოლიდა. აფხაზებს მისი ცნობა არა სურდათ, სამეგრელოს მრავალი თავადი ყოფილ მთავრისადმი უმოძას აცხადებდა. ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ერთმა თემმ ვაწელო. ამ დროის განმავლობაში სამეგრელოში სამოქალაქო ომი მთენივარებდა: ძარცვა-გლეჯა, ჯარისკაცების თოვდასმები და სხვა...<sup>1</sup>

<sup>1</sup> ამის გაგრძელება გადამწერის მიერია გამოტოვებული.

ვართვა... როგორც ამბობდნენ მეფე სამეგრელოს საზღვრებს ხელახლად ეხსილავებოდა აქედლობის ჩასაქრობად, როდესაც მოახლოვდა, ჩვენ იგი ვინახულეთ და აუხსენით ჩვენი ტანჯვა; მან დიდი სიყვარულით მივიკლო, თავის სუფრასზე მივიკატიე და სიყვარულის ნიშნად თავისი ჯამიდან ღვინოს მასმედეა. ძლიერა გვთხოვა მის სამფლობელოში წავსულიყვიეთ და იქ გვეცხოვრა, მე ვუბასუხე, რომ სხვა ჩვენი მეგობრები აქ რომ ყოფილიყვენ, რომელთა იმედოვა გვაქვს, სიამოვნებით წამოვდლოდით და გემსახურებოდით-ოქო. ბოლოს თავისი დამცველი გვარდია მოგვცა. სხვათა შორის გაეცნობებთ, რომ ლიპარტიანმა თავის სამფლობელოში ზოგიერთ თავადს თვალეზი დათხარა, რომელთაც მისი ბატონობის აღიარება არა სურდათ და ბოლოს ისინი დაიმორჩილა. ვინც ახლა მოუსვენარ ცხოვრებას აქვდავენებს — მალე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. ამის შემდეგ ჩვენ წავედით და მთავარი ლიპარტიანი ვინახულეთ და მოგასხენეთ თუ როგორ ავიკლო და ძალმობრება იხმარა ჩვენზე მეზობელმა თავადმა Scathia მ., მასეს ახმავე უყვინა და მამინე ბრძანება გასცა, რომ რაც კი რამ ჰქონდა წაღებული ჩვენგან უკანვე დაებრუნებინა. ემების ის სახლებიც, რომელიც აწ განსვენებულმა მეფემ-re მოგვცა. უთავაზმა განაცხადა, რომ მისი პრეტენციები უსაფუძვლოა, მაშასადამე ამ არეულობაში რაც კი რამ დავკარგეთ, ყველაფერი უკანვე დაგვიბრუნა.

ახლა რაც შეეხება სასულიერო საქმიანობას: მთავრობის გამოცდის დროს, აქ ჩვენ დავკარგეთ კათოლიკოს — პატრიარქი, რომელსაც ნიკოლოზ-Nicolo<sup>1</sup> ერქვა, თედევლი ქართველი თავადიშვილი, რომელიც დიდდათი წლის წინათ უბრალო ბერათ მივიდა რომში და კათოლიკობა აღიარა, მისმა უწმიდესობამ პაპმა ურბანო მეორევენ ძალიან კარგად მიიღო იგი. დადიანს ეს ბერი ძალიან უყვარდა და ამიტომ სამეგრელოსა და აფხაზეთის პატრიარქად დანიშნა, რადგან ზემოაღნიშნულად მთავარ ლიპარტიანს ბევრი უსიამოვნება მიყენა, ამიტომ მისთვის შეუძლებელი შეიქმნა მისი დატოვება, იგი გადააყენა და ციხეუბოტში გაგზავნა, მის ადგილას პატრიარქად ქართველი აზნაური (nobile) დანიშნა. მისი მეოხებით ჩვენ ვცდილობთ სამეგობრო ურთიერთობის დამყარებას, ისე როგორც უწინ, მეგრელ ეპისკოპოსებთან. ამ მხარეში ჩვენს საქმიანობას შეადგენს (ამ ქვეყანაში, სადაც არც ქალაქი და არც სასახლეებია, არამედ ხის სახლებია ერთმანეთის მოშორებით გაფანტული), მთელი პროვინციის ირგვლივ სიარული. დღემდამდე ყოველი თავადი გვეძახის თავის სახლში, რომ მის

ავადყოფ ემებს საეკიმო დახმარება აღმოუჩინოთ. ასეთ შემთხვევით ვსარგებდებოდეთ: ამ ნიადაგზე კეშმარბტ სარწმუნოებას და უმადურების სხნის გზას ვასწავლით. მრავალ ბავშვს ვნათლავთ, რომელნიც უკანონო იყვნენ მონათლენი მათი უფრო მღვდლების მიერ და მოუნათლავნი კვდებოდნენ. ვნათლავით და აგრეთვე სხვა წმიდა საიდუმლოებას ვასრულებდით განსაკუთრებით (in articulo mortis) რაც შეეხება მომავლიდებულ ცოდვას ამ მოზრდილებზე, რომელთაც მაიძინეს...<sup>1</sup> მღვდლები, ნათლობის ცერემონიისათვის აუცილებელი წმიდა მსხვერპლის შეწირვა და სხვა საიდუმლოებანი, მათგან აუარებელი ცრუმორწმუნოების განდევნა. განუწყვეტლივ ვუქადავებთ თავადებს, რომ ისინი ქრისტიანულ ცხოვრებას შეუდგნენ, ცოდვებს მოერიდონ და თავიანთი ემები თურქებზე არ გაჰყიდონ. თუმცა ზოგერთი, მიუხედავად ჩვენი უკადავებისა, თავისს არ იშლის. სამეგრელოში ცხოვრობს აგრეთვე რამდენიმე ფრანგი ვაჭარი, რომელნიც ჩვენთან წმიდა ზიარებას იღებენ. სხვა სთვალსაჩინო და საყოველთაო დიდ წარმატებას ვერ მივალწვიეთ, რადგან უუცობა უფროა გავრცელებული ვიდრე მწვალებლობა. წმიდა სილვესტრო (Silvestro) პაპის დროიდან მიღებული სარწმუნოება, რომელიც ამ ხალხს აქვს, ყოველთვის მორჩილებდნენ ანტიოქიის ბერძენთა პატრიარქს. ბერძენები ყოველ დროესა ხმარობენ, რომ მორჩილებაში იყოლიონ. ცოტანი რიდი არიან, რომელნიც ლათინელებსაღმებერთვლებსა, პატივისცემასა და სიყვარულს იჩენენ. ბევრი კი ბერძენებს უსმენს, რადგან ზედყენ, რომ ჩვენ ძალზე შეემციადით.

დასასრულს ვთხოვთ, თქვენი უწმიდესი უკანთლუბულებსავე საჩუქროდ ახალგაზრდა მღვდელიც გამოგზავნოთ დასახმარებლად. ისეთები, რომელნიც ენას დაუფლებიან, ურობლისოდაც მისიაში დიდ სიძინელებსა ვხედებთ, და ვინციობაა ჩვენს სარწმუნოებას არა სურს ვინმე გამოგზავნას, მაშინ თქვენი უწმიდესი უკანთლუბულებსავე გვიწოდებოდით და გვეცნობეთ თუ როგორ მოვიქცეთ, რადგან ასეთ მდგომარეობაში უფროა შეუძლებელია, გარდა ამისა, რომ ბევრ ტანჯვასა და გაქირვებას განვიცდით, ვერ დავირდებთ, რომ ჩვენი სიცოცხლე ხანგრძლივი იქნება.

დაბოლოს მე, პატრი ცაშინი და მორჩილი ძმა ფრანჩესკო თქვენს უწმიდეს უკანთლუბულებსობას თავს მდაბლად ვუკრავთ და ზელებ გვაშობრებთ.

თქვენი უწმიდესი უკანთლუბულებსობისა და დიდად პატივცემულობის უმდაბლესი მონა-მორჩილი.

ანდრეა ბორთიშო-რეგოლარების მღვდელი. სამეგრელო, 1658 წლის 8 თბათვე

<sup>1</sup> ნიკოლოზ-ნიკიფორე — ერბაში — ირბაში ომანისძე ირუბაძე — ჩოლოყაშვილი.





## კვანძი ღუნდაკნი



### კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა და მემკვიდრეობა

კოტე მარჯანიშვილმა ორმოცი წლის მანძილზე თავდავიწყებით იმუშავა თეატრში, მას შესწრა თავისი ძალ-ღონე, თავისი არაჩვეულებრივი ნიჭი, თეატრისმცოდნეთა და თეატრის მოყვარულთა — საბჭოთა ქვეყნის ხუთი დედაქალაქის — მკვიდრთა! აქამდე არ დაეიწყებოდათ კოლორიტული ანეკდოტები ამ დიდსა და თავისებურ მხატვარზე; მახიობებს, დეკორატორებს, მუსიკოსებს თავიანთ სიცოცხლის მიწურულში აგონდებდნენ ის დღეები, როდესაც მ.სთან ერთად იბრძოდნენ ნათელი, სიხარულის მომტანი ხელოვნებისათვის, და განა უცნაურა არაა, რომ მხოლოდ უკანასკნელ დროს, კოტეს გარდაცვალებიდან დაახლოებით ოცდახუთი წლის შემდეგ, იწყება გამოყვანილები მის შემოქმედებაზე და იბეჭდება ჯერ კიდევ უსისტიმოდ თავმოყრილი მასალების კრებული მასზე?

ჩვენ ვეცნობით მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეულ ეპიზოდებს, მაგრამ უწინდებურად გავრკვეველი რჩება მხატვრის შემოქმედებითი გზა, ამ გზის ძირითადი ეტაპები არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

უადრესად მაძიებელ და მოუხეხარ ოსტატს, კოტეს შინადაშინა არ უყვარდა თეატრის თეორეტიკოსები და არც ფარავდა თავის, თუმცა საესეებით დასაბუთებულ, ფიზიკურ დამოკიდებულებას მათთან პირისპირ შეხვედრისას. მისი საერთო თეორიული შეხედულებები კი, სანამ ჩამოყალიბდებოდნენ, თითქოს იწართობოდნენ შემოქმედებითი შთანთქმების ცეცხლში. იგი აზროვნებდა საქმით და საქმიანე გასცემდა ხოლმე პასუხს თავის მოწინააღმდეგეებს, და სიმაართე უნდა იქცა მოწინააღმდეგეში, თუნდ მეტად პატივცემულნი, განცეიფრებულნი მარჯანიშვილის ფერებით, თითქოს ლოთონზე ამოკეთილი მიზანსცენებითა

და ღრმად ნაგრძნობი მუსიკით, რომელიც მის დადგმების ემოციურ შემოქმედებას აღრმავებდა, უკან იხევდნენ.

თეორეტიკოსებსა და კრიტიკოსებს სწავნიდათ მარჯანიშვილის ეთომდაც კედმაღლობა, მაშინ როდესაც საქმე ბევრად უფრო მარტივად აიხსნებოდა. ჩვეულებრივ, მეტადრე კი, როდესაც კოტე კარგ გუნებაზე იყო ხოლმე, იგი მგზნებარე უშუალობით და გატაცებით მუშაობდა. ეს უშუალობა წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს სპექტაკლის დადგმის ცოცხალ შემოქმედებითს პროცესში. უნდობელი დიმილი, უდროო დროს გაკეთებული კრიტიკული შენიშვნა და თვით შესაძლებლობა ასეთი რეაგირებისა, მარჯანიშვილზე ძალიან მოქმედებდა და მუშაობის ხალისს აკარგვინებდა. ამიტომაც იგი ასეთი თავდასხმების ასაყლებლად ამა თუ იმ ნიღაბს ამოეფარებოდა ხოლმე.

ამგვარი იყო იგი, ჯერ კიდევ გამოუცდილი, შემოქმედებითი გზის დასაწყისში, ამგვარივე დარჩა, როცა მოწიფელი, დასრულებული ოსტატი გახდა: „ეტყობა, ასეთი ბედი მხვდა ხელოვნებაში, — ამბობდა იგი, — მაფრ უკიდურესობამდე უნდა მივიდე, რომ შევიგნო ჩემი შეცდომა, ზვალ კი გავაყეთო სრულიად საწინააღმდეგო იმისა, რაც გუშინ გავაყეთე“...!

ამასთან ერთად მარჯანიშვილს არ შეშინებდა არც შინაგანი წინააღმდეგობისა, არც შეცდომებისა, არც „ჩაყარდნისა“. წინააღმდეგობათა შუახება იტაცებდა ხოლმე მხატვარს და ტალღასავით აყუანდა ახალ შემოქმედებითს სიმაღლეზე.

„გააფთრებული ტემპერამენტიო“, — ამბობდნენ და წერდნენ მის შესახებ, მაგრამ კოტე ეინმე მის თანამედროეთაგან თუ აფასებდა ღირსეულად მის განსაკვირებულ შრომის-

1. თბილისი, რიგა, მოსკოვი, ისევ რიგა, კიევი, ოდესა, მოსკოვი, ლენინგრადი და ისევ თბილისი.

1. Подлинная (критичеки მომყავს ხელთაწყების მიხედვით).



ნარიანობას, შეუღრეკელობას მიზნის მისაღწევად, დაკორწების უნარს და თანდაყოლილ დახვეწილ გემოვნებას.

ამ თვისებების აღნიშვნის ნაცვლად მის შეკლომებასა და ვადაბარებს ხსნიდნენ არეული, დაუღვებელი აზროვნებით და მოთხოვნიდნენ ოსტატისაგან სიმკვეთის შენელებას, მის დადგმათა თვალისმომკრელი ფერების შერბილებას. მაყურებლებმა და მსახიობებმა უფრო ადრე შეიყვარეს და აღიარეს მარჯანიშვილი, ვიდრე ნაფიქმა კრიტიკოსებმა და თეატრალბმა. თუმცა იგი კი იშვიათად თუ დათმობდა თავის მრწამსს და „საშუალო გემოვნების“ წარმომადგენლებთან კარგი შეტაკება ყოველთვის ერჩია, „ცუდ შევიდობას“.

ყველაფერი ეს დიდი ხანია ჩაბარდა წარსულს. თბილისში არსებობს მარჯანიშვილის სახელობის ქართული თეატრი, რომელიც შეძლებისდაგვარად აგრძელებს მის ტრადიციას. მაგრამ მისი შემოქმედების ნამდვილ ანალოზს ჩვენ ჯერ ვერ ვეძიებთ, ოსტატის ფსიქოლოგიური პორტრეტები და მისი მოღვაწეობის ქრონიკელი ნუსხები წარსულისკენ იხედებიან და არა მომავლისაკენ. მარჯანიშვილის მხატვრული გამოცდილება რომ სრულად გამოიყენოთ, საჭიროა გარკვეული შევიგნოთ, თუ რას ეძებდა იგი და საითკენ მიდიოდა. ისიც უნდა ათქვას, რომ ჭეშმარიტი სინთეტური თეატრის პრობლემა, რომლითაც იგი ძლიერ იყო გატაცებული, საღდაც ბნელ კუთხეში ჩამოღული აღმოჩნდა, თითქმის მას უცყე დაკარგოს თავისი აქტუალობა.

შესანიშნავად თქვა კ. სტანისლავსკიმ: „ტრადიციას ჭირვეულია, იგი ვადაგვარდება, როგორც შეტარლიჩის ლურჯი ფრინველი, და გადაიქცევა ხელობად, და მშობლად, ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი მისი მარცხელი დაჩრება თეატრის ახალ აღორძინებაზე, თეატრი აიღებს შემოვიდრეობით ვადმოცემულ დიალესა და უეღაღის ამ მარცხელს და თავის ახალს მიემატებს.“<sup>1</sup>

კრეე მარჯანიშვილი თავის არტისტულ მოღვაწეობას იმ დროს შეუდგა, როდესაც რამდენიმე მოღვნიებული წლის შემდეგ რუსულ თეატრში დრამატურგიისა და სასცენო ხელოვნების ვაუგონარი აღორძინება დაიწყო.

მოუსვენარმა მსახიობმა (მარჯანიშვილი არც ისეთი უნესური იყო სცენაზე, როგორც თეითონ მიანდა) 1910 წელს, შორეულ ვიატკაში დადგა ჩეხოვის „ძია იანო“ და ამიერიდან რეჟისორად იქცა. „მიზანსცენიერების ბრწყინვალე ხელოვნებას, რომლის სრულყოფილი ოსტატი იყო მარჯანიშვილი, იგი ძალიან გვიან დაეუფლა. ნ. დ. ვიოკინი — მარჯანიშვილისა

მიამობდა — წერს გ. კრიევიცი, — რომ თავისი პირველი რეჟისორული ცდებნს დრამის მარჯანიშვილი როდესაც რეპერტუბისასახელებდა, სახლში პიესის მოქმედ პირებს „დააწყობდა“ ხოლმე ასანთისა და პურის ცომისაგან გამოქმერილი ფიგურების საშუალებით.“

კ. მარჯანიშვილმა სერიოზული რეჟისორული მუშაობა დაიწყო 1904 — 1906 წლებში, როდესაც იგი მსახურობდა რიგაში, კ. ნ. ნეზლობინის დასში. მაშინ იგი მოსკოვის სამხატვრო თეატრის მგზნებარე მიმდევარად ითვლებოდა, მაქსიმ დაგორკის რჩევა — დარიგებას ბრუნვობა და გორკის პიესებს რამდენიმე ბრწყინვალე დადგმა განახორციელა. მოკლე ხანში მარჯანიშვილს რუსული საზოგადოების მოწინავე წრეებთან იდუერად დაკავშირებული, გაბედული და ნიჭიერი რეჟისორის რეპუტაცია შეეკმნა.

1905 წლის დასასრულამდე მარჯანიშვილის, როგორც რეჟისორის, აქტიუმი იყო ისეთი პიესები, როგორიცაა იბსენის „კონსული ბერნიკი“ და „ნოა“, შილერის „ვილიჰელმ ტელი“, შექსპირის „ჰამლეტი“, ნილდენოვის „ვინიუშინის ოჯახი“ და სხვა. რიგაში ყველაზე დიდი წარმატება ჰქონდა გორკის პიესას — „მოავარაკინი“. „სტეტიკალი ჩემ მიერ დადგმული იყო განსაკუთრებულ გულმოდგინებით, ყოველგვარი რეალისტური წერილმანებით“, — წერს მარჯანიშვილი თავის „მოგონებაში“, — „პიესის წარმატებამ ჩაავონა ნეზლობინს წელო იგი საგანტროლოდ მოსკოვიში... დედაქალაქში პროვინციული თეატრის ჩასვლა გაუგონარი ფაქტი იყო, მაგრამ ახალგაზრდობა გაბედულია. მე არამთუ შემიშინა ამ აზრმა, არამედ მხურბალედ შეუდგეკი მის განხორციელებას...“

„პრემიერაზე იყო მთელი სამხატვრო მოსკოვი. მარჯანიშვილს მოუწყვეს ოვაცია.“<sup>2</sup> აგონს მოეედი მხოლოდ ჩემს კაბინეტში, სადაც შემოვიდნენ ვასაცნობად სტანისლავსკი, ნემბროვიჩი, იუტინ—სუმბათაშვილი, მრავალი მავურბედი, კრიტიკოსი... — წერს მარჯანიშვილი თავის მოგონებაში, — სწორედ ერთი წლის წინათ ყველასათვის უცნობი, ნახევარდმხიერი მსახიობი და დამწყვეტი რეჟისორი ეოუვი, ახლა კი მოსკოვი ვისმენ პროფესორების, კრიტიკოსების, იურისტების და თეატრის შემფასებლების სადღევარბელოებსა და სიტყვებს“.

1905 წლის რეკოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთის მსხვილ კულტურულ ცენტრებში თეატრების რეპერტუარი მკვეთრად იცვლებდა. რუს რეალისტ ავტორებს მოუხდათ იდ-

<sup>1</sup> К. С. Станиславский. «Мои жизни. в искусстве», 1926, стр. 51.

Г. Крыжичский. «К. А. Марджанов» изд. «Искусство» 1946, стр. 12 — 13.  
С. Дурыйли. Горький на сцене. сб. «Горький и театр». 1938.

გელის დამთმობა დასავლეთ ევროპის დრამატურ-კატებისათვის — იმპერიალისთვის, შინაგარეისათვის, პუბლიცისტებისათვის და რასაკვირველია, მოდერნიზმის ისეთი წარმომადგენლებისათვის, როგორცაა მეტრლინკა, დანტენკო, პშინიშვილი, რომელთა პიესები გამოირჩევიან ვართლუბელი ფსიქოლოგიური ნიუანსებით, „სულიერი უსუსრულებით“, ზოგჯერ ერთიკისა და მისტიციზმისადმი გაძლიერებული ინტერესით.

იმდროინდელ თეატრალურ მოღვაწეთა უმრავლესობის მსგავსად, მარჯანიშვილი ვადავლია სხვა პოზიციებზე, და თუმცა არ მიაღწევდა თავის ვატაცებას მოდერნიზტული პიესებით, მაინც იგი არ უარყოფდა რეალიზმსაც. თეატრალური კრიტიკა, მიუხედავად ახალგაზრდა რევიზორის ამ ვადავლებისა, უწინდებურად საეხებით საფუძვლიანად თვლიდა მას სამხატვრო თეატრის სკოლის რევიზორად. მარჯანიშვილი კი ამ დროს საეხტე პევიით იღებდა სამკალს მოდერნიზტული დრამატურგიისაგან. იგი ახდენს „აღმოჩენებს“, რომლებიც დასს ასევე მენ შიველ მის შემდგომს მოღვაწეობას. მისი პალიტრა საღებავებით მღვდლდება, მსახიობთან შემოხიბვისა იგი აფართოვებს და ამრავლებს თავის მოთხოვნებს და შედარებით უწინდელთან სხვაგვარად აფორმებს სცენურ მსახლს.

„ამტოთ ჩემო! — წერს კოტე თავის „მოგონებებში“, — როგორი სწაულებრივი სიჩემე ჩემოარდებოდა ხოლმე ფოიეში, როცა დაეწყებოდა მსახიობის გრძობის ფაქიზი განწყობილების ნიუანსირებას... მე-სულ უფრო ნაკლებად მაინტერესებდა სპექტაკლის გარეგნული მხარე. მტკიცედ ვიცი, რომ სპექტაკლის გარეგნობა ისეთი უნდა იყოს, რომ დახმაროს არტისტს თავისი გრძობა რაც შეიძლება სრულად გამოამყვანოს. ახლა ხშირად დეკორაციები ხელს მისილიდენენ.“

„ჩემთვის ცხადი გახდა, რომ დეკორაცია კი არაა მსახიობის გრძობის მთავარი დამხმარე, არამედ ბეგია, და ჩემი დადგმები ავსებდნენ მისი. იშვიათად თუ იდგებოდა რომელიმე პიესა მუსიკის გარეშე, მსახიობთა ხმების პარაზიტულად დაყენება კი ანსამბლში ჩემთვის უკვე წესი გახდა.“

შეადაროთ ერთმანეთს კ. მარჯანიშვილის რამდენიმე ეპონათქამი თავისი საყუთარი დადგმების შესახებ რაზა დაუდგინოთ, თუ რამდენად მარჯობდა იგი რეალისტურ და მოდერნიზტულ თეატრალურ მიმდინარეობათა შორის.

1904 წელი. რიგა. კ. ნ. ნეზლობინის ანტრეპრია.

„სეზონი გაგხენით ჩემი დადგმით ოსტროვსკის პიესისა — „სიზმარი ეოლავზე“. მაშინ ისეთი რეალიზმით ვიყავი შეპყრობილი, რო-

მელიც თითქმის ნატურალიზმად აღწევდა ყოველ შემთხვევაში, ვწუხდი, რომ არ შემეძლო შეთხვე კედლის აგება, რომ სკენაზე ისე იყოს, როგორც ცხოვრებაში... მოქმედება, რასაკვირველია, აღსავსე იყო ქალაქის ხმებით: ფაბრიკის საყვირით, მატარებლის ვრიალით, ვტრის ტრის გრუნებით ქვაფენილზე; უკარავდა გარშინი, წყარუნობდა მაღალადა და ა. შ...“

„ჩვენ ვაღმერთებდით განწყობილებით აღსავსე პაუზას...“

ერთი წლის შემდეგ მკაცრ რეალისტურ ფერებში გაყვებული გორკის „მოაგარაკენის“ დადგმამ დაპყრო მისკოეი.“

„მე სულ უფროდაუფრო ვწყვეტილი კავშირს რეალიზმთან, სულ უფრო ძლიერ დამეფელა იმპრესიონიზმი“, — ასე ახასიათებს კოტე თავის რევიზორულ შემოხიბს კიევიში, სოლოვოვის თეატრში (სეზონი 1907—1908 წ. წ.): — ჩემთვის ძვირფასი გახდა სპექტაკლის მთლიანობა არა მისი გარეგნულობის მხრივ (დეკორაციულობა და მიზანსცენირება), არამედ მისი შინაგანი მხარდასა. პიესის ფსიქოლოგიური გარეგნობა ახლა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია იყო, ვიდრე სპექტაკლის ბრწყინვალე გარეგნობა.“

მაგრამ, აი, ვ. ხოროლი სტატიაში „კ. მარჯანიშვილი უკრაინაში“ კოტეს რევიზორული მოღვაწეობის უფრო რთულ სურათს გვიხატავს. ვ. ხოროლი კოტეს ექვემდებარება თავის „სამხატვრო თეატრის მიმდევრად და თავყვანისკენად“. მარჯანიშვილის პირველი დადგმა სოლოვოვის თეატრში იყო ჩეხოვის „სამი და“. ამ დადგმასთან დაკავშირებით პრესა იწყებდა: „ახალ რევიზორს მ. მარჯანიშვილს, სტანისლავსკის მოწაფეს, განზრახული აქვს შექმნას კიევიში სამხატვრო თეატრი. რევიზორის მთელი უნარდება მიქცეული იქნება გარეგნულ მოწყობილობაზე და ცხოვრებისეულ განწყობილების გადმოცემაზე.“

„მეუფემა წყვილიაღისა“, რომელიც ამავე თეატრში დაიტანა ლ. ტოლსტოის ლიტერატურული მოღვაწეობის ირმოცი წლის შესრულებასთან დაკავშირებით, მოგვაგონებს მარჯანიშვილის აღრინდელ ნამუშევრებს, რომელიც ნატურალიზმს ემიჯნებოდნენ. „სცენაზე — წერს ვ. ხოროლი, — წარმოსახული იყო რეფორმადელი, პნელი, დატანჯული რუსული სოფელი მთელი თავისი ბენაივი ცხოვრებით. მსახიობებმა რეალისტური თამაშით შექმნეს ნამდვილი ცოცხალი სახეები ხასიათების ფსიქოლოგიური ნიუანსების გახსნილი... კ. ა. მარჯანიშვილი გატაცებული იყო ყოფა-ცხოვრების

<sup>1</sup> «Книга Марджанишвили». сб. материалов, Тбилиси, 1958, стр. 414.

წვენივით. ამიტომ სცენაზე გამოიყვანეს ცოცხალი ცენი, ბატები, გოკი და სხვ.<sup>1</sup>

მეგრამ, როგორც ერთი კიეველი კრიტიკოსი აღნიშნავს, „მთხედვადვე შემოქმედებითი შთანთქმისა და იდეების არაბეჭდვებრივი სხვადასხვაობისა... ძნელია გამოიკვცეს კონსტანტინე ალექსანდრეს ძის შემოქმედებითი მიპართულების მთავარი იდეური ხაზი იმ დროს. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ იგი მედღე „ქაივებდა“, ოცნებობდა უფრო ბრწყინვალე, უფრო მართალ, უფრო სრულყოფილ თეატრალურ ხელოვნებაზე“.

ამ რამდენიმედ შიამიტ დახასიათებაში სწორად არის ხაზგასმული რეცისორის ერთი თვისსება: მარჯანიშვილი თავის დადგმებს სტილის უცვლელის იმის მიხედვით, თუ რა მასალას ეხება, რათა მაქსიმალურ გამოშავებულობას მიაღწიოს. მას იშვიათად მოუვა სტილის აღრევა, მეგრამ რეალისტურ დადგმებშიც კი მოითხოვდა ხოლმე დიალოგის გამოშავებულობითობაზე, გამოიყენებდა რა „ფსიქოლოგიურ დროშაზე“ შემოაბის გამოცდლებას.

ამ ორმაგობის შესახებ თვითონ მარჯანიშვილიც ლაპარაკობს, როლდ იმ განსხვავებით რომ ვ. ხოროლი და იმდროინდელი კიეველი კრიტიკოსები ხაზს უსვამენ რეცისორის „სამხატვრო თეატრისეულ განწყობილებებზე“, თეითონ რეცისორი კი უპირატესად ჩერდებდა, ზოგჯერ მონანიების სახით, უფრო კი სიამოვნებით, თავის „გადახარებზე“ იმპრესიონიზმისა და სიმბოლიზმისაკენ, თანაც ამ ტერმინებში არსებითად განვლილი ეპოქის სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებს გულისხმობს.

უნდა ვთვქოროთ, რომ ინტერესთა ეს ორმაგობა არცთუ ისე მტკივნეულად ამჩიებდა ოსტატის არტიტულ სინდიისს. როგორც მოქალაქე, იგი იღუშებოდა და ეწინააღმდეგებოდა ამას, როგორც მხატვარი, იგი დინებას მიჰყვებოდა და უხაროდა, რომ მხოლოდ ერთი მიმდროი არ უნდა დემუშავებინა მას თავისი ნიქიერი ხელებით და არა მხოლოდ ქართლითა ვთესა იგი. მას ძველი სიბრძნე ჰქონდა მოხმობილი: „ქმა არს დღისად მის სიბრძოტეც თესი“. „განა მარტო მე შემართება ეს! — გვიძისს კოტე თავის „მოგონებებში“, — შეხედეთ იმავე მხატვრულ თეატრს, რომელმაც უძვე დადგა, ჩეხოვის ნაცვლად ჰამსუნის „ცხოვრების დრამა“, მეტერლინკის „ბრმებო“ და, ბოლოს, „ადამიანის ცხოვრება“. შეხედეთ შეიერბოლდის ძიებებს იმავე პერიოდში კომისარევესაიას თეატრში. არ ვიცი, ვამოტყუებინა ისინი თუ არა, მე პატიოსნად ვაღიარებ, რომ სწორედ რევილუციის შემდეგ გამეფებულმა დაბნეულობამ და სულიერმა დაცემამ მიიყვანა ახალ მსოფლშეგარქმებადღე, მისტიციზმისა და სიმ-

ბოლიზმადღე“. და, რაც ყველაზე საყურადღებოა, მრავალ წლის შემდეგ, ექვსი საექვთო ეპოქაში, ა. ლენინარსკი, მიმოხილვას, რა მარჯანიშვილის მიერ განვლილ გზას, ამართლებს მის ძიებებს: „რუსული თეატრის, თუნდაც რომ მრევილუციამდელი თეატრის, საშუალებით, იგი (მარჯანიშვილი) ეხიარა მთელ მსოფლიო ხელოვნებას და მსოფლიო ლიტერატურას, მან თავისი ძალღონე შეაღლია სხვადასხვადანარი თეატრალურ სისტემათა განხორციელებას; და აი, ასეთი დიდოკულტურით დაუბრუნა: მან თავისი ნიქი საბჭოთა საქართველოს“.

1909 წ. იანვარში კ. მარჯანიშვილი, კ. ნეზლობინთან ხანგრძლივი უთანხობების შემდეგ, დათანხმდა, მიეღო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა, როდესაც თეატრი, მრავალი წარმატების შემდეგ, რივიდან მოსკოვს გადავიდა.

ამჯერად ნეზლობინის თეატრის რეპერტუარში შიტანულ იყო უმთავრესად თანამედროვე რუსი შექრლების პიესები.

ყოველთაის, როცა ახალ საქმეს შეუდგებოდა, კოტე განიცდიდა არაჩვეულებრივ აღმადრენას და უფრო ფართოდ გამოდიდა ხოლმე მუშაობას, ვიდრე ეს იყო მის მიერ ამა თუ იმ მიზეზის გამო შიტოებულ თეატრში. ასე მოხდა ახლაც: „დედღაღამის განმავლობაში ემუშაობდი ზვიდმეტი, თარამეტი საათი, — წერს იგი თავის „მოგონებებში“, — ოთხ, ხოთ საათზე მეტი არ მეძინა, მეგრამ თავს ვგრძნობდი შესანიშნავად. ცხალია, მეშინოდა, როგორ შეგუხებდა ჩენ, უცხოებს მოსკოვი, რომელიც ყოლაფერს შიერბოებით ხედებოდა, მეგრამ ჰაბუერერი თავგამოდება დაუძლეველია“...

ნეზლობინის თეატრში, მოსკოვში, კოტე, ნებსით თუ უნებლოთ, აგრძელებს იმავე ორმავე ხაზს პიესების არჩევის დროს, როგორც ეს იყო განვლილ ორი სეზონის განმავლობაში კიევისა და ოდესაში.

იგი ამვლავნებდა ჩვეულებრივ „სიხარბეს“ სხვადასხვა სტილის დრამატურგიული მასალის არჩევის დროს და შეუდგა ერთბაშად რუსული დეკლერტური დრამატურგიის წარმომადგენელთა ოთხი პიესის მზადებას: ლეონიდ ანდრეევის მისტიკური „შავი ნიღბების“, თ. სოლოვუბის უსამართლოდ დაიწყებული სატირული რომანიდან გადაკეთებული პიესისა „წერბიანი მეჩენ“, მოდერნიზმისა და რეალიზმის შორის მოხეტიალე ნიქიერი ეპიკოსის ო. დიშოის პიესისა „ნიუ“, ევგ. ჩირიკოვის ტყის ზღაპრის „ჯადოქარი — ქალისას“ და თითქოს ყველა ამ პიესის საწინააღმდეგოდ დაუმატა

<sup>1</sup> გვ. 426.

მეხუთე — პუბლიკაციის შესანიშნავი რეალისტური დრამა „შლეჟი და იაუ“.

ცოტა მოგვიანებით კოტეშ ლიბსეულად შეადგინა იმ უღიმღამო წლებს დრამატურგია, რომელიც 1910 წლის რევოლუციური აღშავლების დასაწყისშია და არ ჰკვირდა მყურებელს სიხარულსა და მხნობას. მაშ რა ძალა აკეთებდა კოტეშს სიმბოლიზმა და მოდერნიზმთან, რამაც ერთხელ კიდევ აიძულა იგი ამ ბონდის არემი შესულიყო მთლიანად? მხატვარი გულახდილად აღიარებს, თუ რა ცუდენებას მიეკუთვნება ანდრეევის „შეა ნილბუმი“ იგი დაინტერესდა ჰერკოგ ლორენსოს, მთავარი გმირის, გარბების თემით „თანაც ყველაფერი, რაც ხდებოდა მთავარი მოქმედი პირის გარშემო, ყოველდღიურა რეალობა კი არ იყო, არამედ მის წარმოდგენაში შექმნილი ფანტაზმაგორია“.

ვეგ. ზირიკოვის „ჯადოქარი — ქალი“<sup>1</sup>. მარჯანიშვილმა რეალისტურ ტონებში დადგა, ოღონდ „სტილიზაციაში“ გადასვლით, რაც პიესის მთავარ განწყობილებებს ხაზს უსვამდა. „მსახიობების გამოქვეყნება არ იყო ყოფითი კილოს მიზანძე. იყო მხოლოდ გამოყენებული ელემენტარა რუსული კილოს რიტმი და მისი ეფერადობა“.

ი. დიმიოვის „ნიუ“ კოტეშ გადწყვიტა მყურებლისათვის ზღერული უბრალოებით მიეწოდებინა, რომ მყურებელს შესძლებოდა ყურადღების გაუფანტავად და დაბრკოლებათა გარეშე გულისყური გაეშვებინა პიესის შინაგანი აზრის მიმართ. სცენა განტვირთული იყო ყოველგვარი საღებავისაგან, გარდა ყავისფერისა.

პუბლიკაციის „შლეჟი და იაუ“ პირველი დადგმა იყო რუსეთში, მუდმივ გაკეთებული<sup>2</sup>. ც. ი. დადგმა, რომელშიც დეკორაციები შეცვლილი იყო მუდმივით). „სცენის მარტივი მორთობა ძალიან ეხმარებოდა მსახიობების გამოყოფას, — წერს კოტეშ თავის „მოგონებებში“, — საერთო, გლუვი ფონი მკვეთრად გამოაჩენდა თითოეულ ფიგურას“...

„პირველად „შლეჟი და იაუში“ ამიზილა თავი მსახიობის გაწერითი სხედლის მნიშვნელობაზე“ — აგრძელებს იგი. „ამქედან მოყოლებული, იმ მოთხოვნილებებში, რასაც

ვუყვებოდა მსახიობს, მე შევიტანე საკუთარი ფიგურით სარგებლობის უნარი“. ეს კიდევ ცოტაა. „შლეჟი და იაუ“ (რეჟისორის პრეტორით დიდი წარმატება; თანამხატვრის უწყობა დებს ამ სპექტაკლს „მომზიბლავიო“) გზის მაჩვენებელ „ეტაჟდ“ იქცა იმ იდეებისაკენ, რომლებთაც უფრო მოგვიანებით გატაცებული იყო მარჯანიშვილი.

არაკეთილმოსურნეები გესილიანდ ლამარაკობდნენ იმ „ამომიენის“ შესახებ, თითქოს „მარჯანიშვილს ბალერინები და აკრობატები სჭირდება და არა დრამატული მსახიობებიო“. მაგრამ, როგორც არა ერთხელ მომხდარა კოტეშს მშობითარ ცხოვრებაში, დაიცავდა მხოლოდ დღესა კრავდა მის აზრს და ათქვეყნებდა მის შეუდრეკლობას. იგი კიდევ ერთ ნახტომს აკეთებს მომავლისაკენ, ყოველივე იმის გამოყენების შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა (მსახიობის გმრნობათა ნიუანსირება, ბეგრების პრიორიტეტი საღებავებთან შედარებით, პიესის შინაგანი აზრის გამოშვლავება, ყოფითი ლტობების ასტიკი „დობირება“ და „სტილიზაცია“ და, ბოლოს, მსახიობისაგან საკუთარი სხედლის დაუფლება): „და სწორედ მაშინ პირველად გაივლა ჩემს შეგნებაში აზრმა სინთეტური მსახიობის შესახებ, რომელიც ერთნაირად დაუფლებულია სიტყვას, ხმას და სხედლს“.

არტიტული განცდებით აღსავსე და მდიდარი წელიწადის (1909 წლის) დაჯამებით, წლისა, როდესაც განხორციელდა ხუთი ბრწყინვალე დადგმა, ერთმანეთს რომ არ ჰკავდნენ თავისი ფორმალური მზანსწრაფით, სტილით, იდეური წყობით, უნდა ვილაიროთ, რომ მათ შემქმნელს მგზნებარე წარმოსახვა ჰქონდა, სრულიადაც არა „სუმბერული“, როგორც ამას მისი მამაკებელი ამბობდნენ, არამედ აღფრთოვანებული — მიზანსცენებიანი, რომელიც ექვემდებარება რაღაც, ჯერ კიდევ გაუსხნელ შემოქმედულ დიალექტიკას და, ამასთან, — რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, — ერთი წუთითაც არ იმყოფებოდა მხატვრის კონტროლის გარეშე.

მარჯანიშვილი სწრაფად და ადვილად გამოეთხოვა მისტიკისა და ინდივიდუალიზმის ყოველგვარ „შეა ნილბუმს“, რომლებმაც მას ესოდენ დიდი სახელი მოუხვეჭა რეაქციითა და ტერორით პარალიზებული რუსული ინტელიგენციის წრეებში. მან საბოლოოდ დაგმო დეკადენტობა და თავის თავიც შერისხა სიმბოლიზმა და უფროსი მსახიობისათვის: „მე დამიწყადა, ან, უფრო სწორედ რომ ეთქვა, ჯერ არ მქონდა ის შეგნება, რომ ხელოვნების მიზანი სულ უბრალო რამაა — მიანიჭოს ადამიანს სიხარული, მთაბეროს მას მხნობა. მე უფრო ვხრწნილა უამისოდაც შემფრთხეულ სულს და, სიხარულის ნაცვლად ვუნე-

1. ამ დადგმას დაწერილებით იზილავს ხორბლი წერილში „მარჯანიშვილი უკრაინაში“, გვ. 427.

2. ეს არა მთლად მართალი. ჯერ კიდევ 1906 წ. თათონ მარჯანიშვილმა მუდმის საშუალებით დადგა ლ. ანდრეევის „ადამიანის ცხოვრება“. „რადგან დრო ცოტა დარჩა-ასეთ მორტიერებას იძლევა იგი — საჭირო იყო სადადგმო ნაწილის შექმნისდაგვირად გამარტივება“.

რაველი შიშს... ახლა ის მავიწყდება, თუ რა კოტა ვინმეს ესმოდა მაშინ ჩემი დანაშაული, რა დღიად მადისებდნენ იმ დროს ამ დანაშაულისათვის ავტორიცი, მავურებელიც, პრესაც!...

2

როდესაც მონანიების ამ სტრიქონებს ვითხოვლობთ, არაფერს მოუვა აზრად, კოტეს არაფერად აღიქვამთ დასწამოს. მოქალაქეობრივი გრანობების მიმოქცევის იგი ისევე მძაფრად განიცდიდა, როგორც სხვა ემოციებს. საყურადღებოა, რომ მას აქვე მოჰყავს თავისი ყველაზე ურყვევი და საყურადღებო იდეა, რომელიც პირველად გამოთქვა ასეთი კატეგორიულობით: „ხელოვნების მიზანი სულ უბრალო რამაა—მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“.

აქვე საყვედურის სიტყვები იმ „ცოტუნების“ შესახებ, რომელსაც ის მიუცა „უმეცრებთ“ (აჯერ არ მქონდა ის შევნიშნა), რამაშაც უფრო სერიოზულად დანაშაული შეიძლება „მავურებელს“, „ავტორს“, „პრესას“, თუ არ ჩავთვლით საქმოსან — ანტრეპრენიორებს, რომელთაც ბურჟუაზიის პატრონობის დროს ეყრდნობოდა თეატრი.

მაშ რა აიღია — განწყობილებებმა? შეუწყვეს ხელი კოტეს ამ ცოტუნების დასაძლევად? მოდერნიზმულ დადგმებზე მის მიერ გაკერით გამოთქმული ასხნა-განმარტებებსა და რემარკებს თუ გადაეთვალისწინებთ მაშინ მიეზღვებით, რომ არც იდეური სიახლეა, არც რომელიმე სულიერი მიდრეკილება სიმბოლიზმისა ან მისტიციზმისადმი მას არ მქონია და არც შეიძლება მქონოდა პოზიტივისტურად განწყობილ, ყოფიერებას შეეყარებულ, მზიანი საქართველოს შვილს, იგი გატაცებულ იყო ლ. ანდრეევის „მავი ნიღბების“ მოჩვენებითი სამყაროთი და თ. სოლოგების „წერილობანი მავნით“, ისე როგორც გატაცებული იყვნენ სრულიად სხვადასხვა ავტორის ინტელიგენტები ედვარ პოტი, პოფმანიო, ბრეგელიო, ვიიათი, საშინელებისა და სიმბახჯის პოეზიით.

ამგვარი მხატვრები და მწერლები, საუკუნეთა მანძილზე ყოველთვის თავიდან იჭეუბდნენ აშლს ადამიანთა ფსიქიკაში დაღვიწილი შრეებისა, რომელნიც იქმნებოდნენ შიშით, პათოლოგიით, უიმედობით, ცოცხალი ცხოვრებიდან წასვლით; არტისტი—ექსპერიმენტატორი მხერვალედ ეჭიდებოდა შორეული წარსულიდან უცნაურ ამოტივტივებულ დაბანდულ ათწლეულთა თემებს, რეაქციის დროს ხელოვნების ჭერში თავიდან აღორძინებულებს, რასაც მწერარმე-სათვის მოგვება, ხოლო მხატვრისა, მსახიობისა და მუსიკოსისათვის დიდება მოჰქონდა.

საინტერესოა, რომ რთულ მოდერნიზმულ დადგმებზე გამოყენებული რეჟისორისა და მხატვრის გამოყენებლობა, მთელი თავისი

„მიგნებანი“, „აღმოჩენანი“, „მონაპოვარი“ მარჯანიშვილს გადაქონდა კლასიკაში, მუსიკალურ კომედიასა და ისტორიულ დრამაში.

იგი არ იყო მარტოდაპირველად მწერალი, რომლისა რე სეზონისათვის პიესების ამორჩევაში, უმთავრესად ზრუნავდა იმაზე, თუ რა ახალი მასალის მოცემა შეუძლია პიესებს მისთვის, როგორც დამდგმელისათვის.

ეს-ეს არის ჩატარდა პრემიერები, თუმცა არა თანაბარი წარმატებით, (მეტადრე ბევრი წყენა მიაყენა მარჯანიშვილს მისმა ყაყისფერმა „ნიუმ“) ერთბაშად თეატრის დირექტორს ნეზლობინსა და რეჟისორს შორის მკეთობა კონფლიქტა იზინა თავი, რის შემდეგაც მარჯანიშვილმა აიღო ჭედი და დირექტორს უთხრა: „ახლავე გტოვებთ და მივდივარ“.

პირველ ხანებში ჩემი მდგომარეობა მართლბა კიდევ—გვიამბობს მარჯანიშვილი, — მე, ერთ-ერთი იმ დროის მოსკოვის „მოდალი“ მყოფი კაოთავანი, დილით ეკამდი პერს, მობარშულ კოტეკსს, ვსვამდი აღუღებულ წყალს ზაის ნაყელად. ქერტის ლომბარდში დი-გირავება არ შეშვდო, რადგან არ მინდოდა ვისთვისმე შეჩვენებინა ჩემი უმწეო მდგომარეობა... დამეწყო წიგნების გაყიდვა, ამ ერთად-ერთი ქონებისა, რაც კი მე ოდესმე ვამარჩნდა, ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა... ასე იყო ერთ თვემდე...“

და უცებ ორი წინადადება მიიღო, და შერე როგორი! ერთი—ბულგარეთში წასვლა სოფლის სახელმწიფო თეატრის შთაჯარ რეჟისორად და პროდუქციის თეატრების ინსტრუქტორად, მეორე — რეჟისორად მოსკოვის სამხატვრო თეატრში. მარჯანიშვილი ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა...

„იმ დროს სამხატვრო თეატრს პირველ თეატრად ვთვლიდი. და განა მარტო მე?—წერს კოტე ამ უკანასკნელ წინადადებებსთან დაკავშირებით, — ბედნიერება როგორღაც თვითონ მომადგა კარზე, არაფერითაც ცდა ჩემი მზიით ამ თეატრში შესვლისა არ ყოფილა... მართალია, მატერიალურად ბევრსა ეკარგავდი, მაგრამ, სამაგიეროდ, მორალურად უსაზღვროდ მდიდრად ვგრძნობდი თავს“.

რატომ მოხდა, რომ როცა ნემიროვიჩმა და სტანისლავსკიმ მიიწვიეს იგი თავის თეატრში, კოტეს ასეთი ბავშვური მიმბოტობით უზაროდა, რატომ იგრძნო თავი „უსაზღვროდ მდიდრად“?

სტანისლავსკისა და ნემიროვიჩის იგი თავყენასა სცემდა და ბევრიც ისწავლა მათთან. მაგრამ კოტე მივიდა მათთან, თავისდა სასიხარულოდ არა როგორც „მოწოდ“ ან როგორც „ახალგაზრდა რეჟისორი“, არამედ—როგორც მათი ტოლი: „არაფერითაც ცდა ჩემი მზიით ამ თეატრში შესვლისა არა ყოფილა“. ამასთანავე, როგორც ფიქრობდა მარჯანიშვილი, სამხატვრო თეატრში შესვლისთანავე იგი და-

მაკედონელი აღარ იქნებოდა ანტრეპრენიორებზე: „დამთავრდა ხელისდულ დღეზე ფიქტი, მოხეტიალე სოფრებზე“. მარჯანიშვილი შევიდა „ერთთან მონოლითურ თეატრში“, რომელი უფროდ მისცემს თავის რეჟისორს საშუალებას, ფართოდ ვაშალოს თავისი შესაძლებლობანი.

კ. მარჯანიშვილი მერად გულხმეირი და შთაბეჭდილებანი კაცი იყო იმ საკითხებში, რაც მისთვის საყვარელ ხელოვნებას ეხებოდა. ნემიროვიჩთან და სტანისლავსკისთან მეშაობის დაწვევის პირველსავე დღეებში მან იგრძნო, რომ ამ „ერთთან და მონოლითურ“ კოლექტივში ყველაფერი რიგზე როდა იყო.

სტანისლავსკი და ნემიროვიჩი, ცალ-ცალკედ და ერთადვე წმირად დღისას ესაუბრებოდნენ მარჯანიშვილს, და, ორივე აღნიშნავდა, რომ მათ სურდათ კოტე თვითოეული მათგანის მეშაობის განმგრძობი ყოფილიყო.

სხეანიარად რომ ეთქვათ, კ. მარჯანიშვილს, კოტა არ იყო, დამოუკიდებელ მეშაობაზე ხელს უნდა აეღო, რაც სამხატვრო თეატრში მისილმადეუ და მის შემდგავ კოტეს გააფორმებულ წინააღმდეგობას იწვევდა. „მეშაობის განგრძობი“, შერე ეისი? სტანისლავსკისა თუ ნემიროვიჩისა?

„თვითელი მათგანი შეორეზე ყოველთვის დიდი პატივისცემით ლაპარაკობდა, მაგრამ ამ ლაპარაკში შე ეამწნედი რაღაც უკმაყოფილებას ერთმანეთისადმი...“ „და უეცრად... თვით აქტიორებს შორისაც კი შეენიშნე დაჯგუფება: სტანისლავსკის მომხრეები და ნემიროვიჩის მომხრეები... და რანიარად შტკიოდა გული ამის გამო, რომდენი უძილო ლამე გამიტარებია ამაზე ფიქრში“.

### 3

კ. მარჯანიშვილი თანარევისორი ვახდა სტანისლავსკისა კრევის შიერ „ამალეტის“ დიდგმაში, მონაწილეობდა ნემიროვიჩთან ერთად თეატრის ერთერთ ყველაზე მკვეთარ სპექტაკლის — „ძმები კარამაზოვის“ შექმნაში. დიდგა იხსენის „პერ გიუნტი“ და დამოუკიდებლად პამსუნის „ცხოვრების ბრკუალბში“, — თითქოს-და ყველაფერი იყო შექმნილი იმისათვის, რომ თეატრთან მჭიდრო კავშირი დამეუარებინა; ნამდვილად კი „სამხატვრო თეატრში“ კოტე თავის თავს უცხო აღამიანად გრძნობდა. იგი შიინე პატიოსნად და სულითა და გულით მეშაობს, მაგრამ გულის სიღრმეში ელოდებდა იმ ვაშს, რომელიც მისი ნიჭის ვაშლას აუწყებდა, ბერი რამ შეითვისა, ბევრიც უარყო — ეს შინაგანი პროცესი შეუმწყნელად, უხმუროდ მიმდინარეობდა, რაც მისთვის, კოტა არ იყო, უჩვეულო იყო, მაგრამ ამას შიინე გრძნობდნენ მისი პარტნიორები.

თუმცა კრიტიკოსები ტრაფარეტულად ვაი-

ძახოდნენ, ეითომ მარჯანიშვილს მეშაობის „მეთოდი“ არ გაჩინაო, მაგრამ კრევისა და სამხატვრო თეატრს შორის გულგრილი დამოუკიდებულების დამყარება სწორედ თეატრალური მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდა.

როდესაც მარჯანიშვილს წინადადება მისცეს, გადაესინჯა და თეატრის მოთხოვნილებებისათვის შეეგუებინა კრევის წინასწარი ესკიზები „ამალეტისა“, მან შედარებულად შეასრულა სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელების დავალება, მაგრამ მამინვე შლოხანად მიემხრო კრევს.

„როგონებების“ იმ ფერცლებზე, სადაც თავისი შემოქმედებისათვის ამ მნიშვნელოვან ეპიზოდებს ეხება, მარჯანიშვილი წვენ წინაშე კოტეპალით დგას. აღამიანი, რომელიც მგზობარედ იცის სიუარული და, ამავე დროს, ძლიერი სიძულელიც კაცი, რომელიც თავისი არტისტული ინტელიცის სიხუსტითა და სიფაქიზით ირჩევდა ხელოვნებაში, ისე როგორც ცხოვრებაში იმას, რაც სჭირდებოდა და უეუაფდებოდა, რაც არ გამოადგებოდა.

როგორც ოდესლაც დღესე მშვენიერმა ხელებმა და მისმა პარმონიელმა შორაობამ შთაფონა მას აქტიორის სხეულის სრულყოფილი პლასტიკის დიდი როლის მნიშვნელობა სცენისათვის, ასევე ახლა, შესანიშნავ ფინელ მხატვარ, აქსელ ვალენთან შეხვედრამ, რომლის მოწვევა უნდოდა მარჯანიშვილს იხსენის „ქალი ზღვიდან“ დადგმის გასაფორმებლად, აიძულა კოტე ხელახლა, ერთხელ და სამუდამოდ, გადაესინჯა „სიმართლისა“ და „გამონაგონის“ თანაფარდობის საკითხი.

ვალენთან რომ მიეღა, მარჯანიშვილმა აუხსნა მას, რომ სამხატვრო თეატრი ეძებს ისეთ მხატვარს, რომელსაც ყველაზე უკეთესად შეუძლია იგრძნოს ჩრდილოეთის ბუნება, იხსენის ფსიქოლოგია და სხვა. რესი მხატვრებისათვის კი შეიძლება ყველაფერი ეს უცხო აღმოჩნდეს, და ამიტომ ისინი მიმართვენ დაუჯერებელ გამონაგონს.

„ლიმილი ათამაშდა ვალენის შტეველ სახეზე, — გატაცებით გადმოგვეცმს მარჯანიშვილი ამ საუბარს, რომელსაც სერიოზული შედეგი მოჰყვა. აი, თურმე რა! — თქვა მან. გთხოვთ ერთი წუთით მომიცადოთ“. იგი მალე დაბრუნდა აფრაკელი ესკიზებით ხელში. ჩამოყდა ეს ესკიზები ორ ცალკე ჯგუფად და შკითხა: რომელი უფრო მოგწონთო. ერთ ჯგუფში დახატული იყო შხის სხივებით აღსავსე, შტქ-ჩრდილოთ აფერადებული ქალთა მკერდები სხეულები, ცხოველყოფილი სიციცხლე აესებდა გულს, როცა ამ ენერჯის უმზერდით... მეორე ჯგუფი გლუმე ყუთული ფერისა იყო, თითქმის უჩრდილო და წარმოადგენდა აფრაკელ ქალებს, ერთფეროვანი, შხისგან ამომწვარი პეიზაჟის ფონზე.



პირველი ის აფრიაკ იყო, რომელიც გალენს თავის წარმოდგენაში ჰქონდა, მეორე მხატვარმა შეიქმნა ადგილობრივი, შავი კონტინენტზე, სადაც მან იმოგზაურა, რათა შეტად „გაქცეულიყო“ აფრიაკული ეგზოტიკით“.

„და მეც გაეკეთე დასკვნა, — წერს მარჯანიშვილი, — დიდი მადლობა აქვს გალენს მე უკვე წინათაც ვგრძობიდი მართალი ხელოვნების უმართლობას. მე უკვე ვიცი, რომ უხეში რეალიზმა გაყვალა უფრო ნაყლები დარბეზებისა, ვიდრე კარგი ფიგურაონი... ახელ გალენმა საკმაოდ ჩამაფიქრა“.

„თი, ჩემ წინ ორი დიდი ისტატია სცენისა: კრევი და სტანისლავსკი. პირველი — პოეტის, რომელიც ხელოვნებაში რიტუებს ძებნას: კითხვაში, პოეზიაში, სცენურ მოქმედებაში; მეორე — სიმართლის მაძიებელია ხელოვნებაში: სხედის მოძრაობაში, ლექსის წარმოქმნაში, ფსიქოლოგიური ამოცანების გეგმის განვითარებაში, და მე მივხვდი, თუ რა ახსრდია ამ ორი შემოქმედის შერთება, მაგრამ ვერ გავედლე მაშინ ფერმადაც კი დავპირისპირებოდი სამხატვრო თეატრს“.

დრო მიდის, განხეთქილება მარჯანიშვილსა და სამხატვრო თეატრს შორის ღრმადდება, განსჯა თანდათან იცვლება თავიანთად შენობული თავდასხმით თეატრის ბუკებზე.

ის, თუ როგორი ინტერპრეტაცია მოსცა მარჯანიშვილმა ჰამსუნის პიესას — „ცხოვრების ბრწყინებში“, უკვე იყო დამდგმელის საკუთარი ვემოციების გაბედული დამპირისპირება თეატრის ტენდენციისადმი. „დავფიქრდი იმაზე, შეიძლება თუ არა ამ პიესიდან ისეთი ნაწერი, მზერა სპექტაკლის შექმნა, რომ გაეხდებოდა ამდღევანდელი ცხოვრების ყოველდღიურობაზე და გაშინაოების ფუნქციონირებაზე და ვადავწყვიტე: „შეიძლება“.. პიესა რომ სტანისლავსკის უფინის დროს დადგმოლიყო (სტანისლავსკი წასული იყო), ან მემორიოის თეოთი დადგმა, იგი გამოვიდოდა ერთი იმ წარმოდგენათაგანი, რომელიც იმორჩილებს მუდრებელს თავისი „განწყობილებით“, თავისი ჩვეულებრივი ფსიქოლოგიით“.

კ. სტანისლავსკიმ არ მიიღო „ცხოვრების ბრწყინებში“ მარჯანიშვილისეული ინტერპრეტაცია, მაგრამ ერთი სიტუაც არ უთქვამს პიესაზე შემოდგომი შემოაბის წინააღმდეგ. კოტემ თანდათან გადაიხირა „სამხატვროელება“, ხბზავდა რა მათ სინახაობის არაწვეულებრიობით.

მხატვარი სიმოვი დაეხმარა მას „მოემენა ფერადების ისეთი მკაფიო გამა, რომელიც ერთბაშად გაფანტავდა სამხატვრო თეატრის ჩვეულ „განწყობილებას“, რაც ასე მოსწონდა საზოგადოებას.

მსახიობები აღაშფოთა მოთხენამ, რომ დაე-

რღვიათ მეტყველების უბრალოება და ბუნებრიობა, „ელაპარაკათ რაც შეიძლება მკვეთრად, ფერადოვნათ, გამომეტყველს ქსტებში“<sup>1</sup> ვ. კახლოვი „უხედა მიხვდა შემოქმედების ეგზოტიკურობას და თითოეული მისი სიტუაც, თითოეული მოძრაობა ისეთი წვენიით იყო გაფრთხილი, რომ მარჯანიშვილს სხვაზე ოცნებაც არ შეეძლო. „და საცი... ეს გადარეული, თითქმის ბენიოსი საცი... ქმნიდა ისეთ განსაკუთრებულ აკორდებს, რომელთა ელერისის შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი კილოთი თქმა: „რას უუტრებთ, ფრევენი“?

კრევისა და სტანისლავსკის კონფლიქტზე ერთბაშად გაიზარდა და ახლებურად შეიქნა თავისი თავი კოტემ.

ამის შემდეგ ვასაკირველი არაა, რომ კ. სტანისლავსკი თავის წიგნში „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“ მხოლოდ ერთ ფრაზით კმაყოფილება: „კრევი ზღმძღვანელობდა, მე და სულერციკი კი მისი თანაშემწეები გავხდით. ჩვენს კომპანიაში დაშვებული იქნა კიდევ რევისორი მარჯანიშვილი, რომელიც შემდეგში „თავისუფალი თეატრის“ შემქმნელი გახდა... ესაა და ეს! სიტუაციები „დაშვებული იქნა“ და „თავისუფალი თეატრის“ ხსენება საესებით დამახასიათებელია იმ დროს თეატრში შექმნილი ურთოერთდამოკიდებულებისათვის.

საინტერესოა, რომ თეოთონ კ. სტანისლავსკისათვის, „სამხატვროელების“ უმრავლესობისაგან განსხვავებით, აგრეთვე მოსკოვისათვის, საციასათვის და ბუერი სხვისათვისაც მარჯანიშვილის ზოგი მიდრეკილება არ იყო უცხო ასეთია, მაგალითად, სპექტაკლის თეატრალურობისა და ფერადოვნების პრინციპული დამკვიდრება. „რეალისტური თეატრი მიზანი გახდა, მაშინ როდესაც იგი საშუალება უნდა იყოს“, წერდა კოტე. აღბათ, სამხატვრო თეატრიდან წასვლის შემდეგ! „მამ, როგორი უნდა იყოს ჩვენი თეატრი?... თეატრი ჩვენ გეხიზლავს, გოტაცებს ცხოვრებისეული ძალით და დამატობელი სილამაზით, დაწყებული შვიდი წლის ასაკიდან, როდესაც პირველად შევიყვარებთ მას“...

თავის ბოგრაფიაში კ. სტანისლავსკი ერთგან აღიარებს: მე მიუიარს თეატრში ეშმაკური ოინების მოგონება. მიხარია, როცა ისეთ ტრიუქს მოვინახვ, რაც მუდრებელს ატუვებს ფანტასტიკის დარგში სცენას შეუძლია ვერ კიდევ ბუერი რამის გაყეთება. მას არ მოუცია ნახვარიც კი იმისა, რაც შეუძლია“.

<sup>1</sup> „Заметки о театре“, გვ. 93. საშუუზაროდ ამ ქაოსურა, მაგრამ შინაარსიანი „შენიშვნების“ დაწერის თარიღი არაა დადგენილი.  
2. დაყოფა ჩემია (ე. ლ.)



მარჯანიშვილმა უდიდესი თავგამოდებით გამოიყენა სცენაზე ის, რასაც სტანისლავსკი ზემოთი „შემაკობას“ უწოდებდა. საქმით სტანისლავსკი ასე თუ ისე იყენებდა საკუთარ „შემაკობას“, ცხადია, თვითშეზღუდვით, მაგრამ სხვის სითამამეს მიაინდამაინც არ თანუგრძნობდა; მას ერთია ყოფილაყენენ ისინი სამხატვრო თეატრის ტრადიციის ფარგლებში. მარჯანიშვილთან კი თეატრალური სანახაობის მისი ყველა საყვარელი კომპონენტი „ზომიერებას თავს აღწევდა“ ისე, რომ ზოგჯერ დამდგმული ამჟამა შეცდომასაც და გემოვნების დარღვევასაც კი უშუალებდა, რაშიც თვითონ არა ერთხელ გამოტყუდებოდა ხოლმე ჰუმორით.

ე. ვახტანგოვი თავის დღიურში წერს: „თუ იგი (სტანისლავსკი) არ აღიარებს სხვის სითამამეს, იგი არ განხორციელებს, და თუ აღიარებს, მაშინ იგი უკვე აღარაა სითამამე“.

ამ სტრიქონების დამწერს კოტე უაზობობდა სამხატვრო თეატრის, განსაკუთრებით კ. სტანისლავსკისთან მეშობის მთელ რიგ ეპიზოდებს. ამ მოგონებებში ბევრი გულთბილობა იყო და უშუალო აღტაცება ზელოვნებაში უფროსი მშის ოსტატობით. მარჯანიშვილი მახვილად შენიშნავდა, თუ როგორ ამჩნევდა სტანისლავსკი მხატვრის თვალთ ყოველდღიური ცხოვრების სხედასხვა წერალმანს, შემოქმედებითად გადაამუშავებდა ხოლმე მათ, რითაც ზოგიერთი ძნელი სცენური ამოცანისათვის პოულობდა ორგინალურ გადაწყვეტას.

განსაკუთრებით ნათელი იყო კოტეს ნამშობი სტანისლავსკიზე, რომელმაც დადგმის მოწყობილობით გაღიზიანებულმა, გორკის ქუჩაზე გაღლისას შენიშნა მღებავი ვედროთი და ფრჯით ჩაქადარი „აყვანში“ მეოთხე სართულის სიმაღლეზე. კონსტანტინე სერგის ძე შეჩერდა, ერთ წუთს უტყუროდა და ერთმანედ ფართო ნაბიჯით გასწია თეატრისაკენ, რათა „აყვანში“ ჩაქადარი მღებავთან დაკავშირებით მოხული იდეა განეხორციელებინა. ამას ვარდა კოტეს გაახსენდა კიდევ „ლურჯი ფრინველის“ უსულ პერსონაჟებისათვისა და ოთხეუბა ცხოველებისათვის კოსტუმებისა და ნიღბების შექმნის საინტერესო ისტორია („შაქარი“, „პედელი“, „სურდა“ და სხვ.). კოლექციონერის გატაცებით ჰყვებოდა ის ათობით შემთხვევებს „წრთენით“ დაღლილი აქტიორების საოცარ უფერგლობაზე („გამეტრება“) ან, პირიქით, ელვისებურ გამოგონებლობასა და მახელოვანი იმპროვიზაციებზე, როცა სპექტაკლის დროს ჩაიშლებოდა დიალოგი ან მიზანსცენა. განსაკუთრებით შეჩერდებოდა ხოლმე აქტიორის პედანტური „წრთენის“ შედეგებზე და აქვე, ცეცხლით საესე თალებით, გვისხნიდა, თუ როგორ მივიდა იგი სწავლების „თავის სისტემამდე“, როგორ ემზარებოდა აქ-

ტიორს, როგორ აწყავდა იგი როლის განხორციელებისათვის საფეხურიდან საფეხურამდე, რომ მსახიობს უფოლ სწამდეს, რამ შეუძლებელი ველოდები თვითგანსნას, და მარჯანიშვილმა ჩემს კარნახს მისდევდეს, როგორც ბრამშლოლს“...

მარჯანიშვილის ერთ-ერთი საყვარელი თემა იყო ლტოლნი და საფუძლიანი გარჩევა იმისა, თუ რა შექონდა ამა თუ იმ დამდგმულს პიესაში და რას იყვებოდა მსახიობებთან, და როგორ იცვლებოდა მსახიობი, და მთელი სპექტაკლიც, მის შემდეგ, რაც კონსტანტინე სერგის ძე შეამოწმებდა და გამოასწორებდა რეჟისორის ნაშეშვარს.

რეჟისორის რა მთავარი ინტერესებია გამომდინარეებული ამ ისტორიულ ანეგდოტებში? პირველ ყოვლისა მისწრაფება სპექტაკლის ელემენტების გამრავლოვროვნებისაკენ. შემდეგ შეუდრაველი, მტკიცედ მოტივირებული მიღრეკლება მოპრაობისა, რიტმისა, მიზანსცენების სულბურელი გამომეტყველებისადმი. ე. კრიტიკურ აღნიშნავს, რომ მარჯანიშვილის მეშობაში ადამიანის სხეულის გამოტყუისათვის იყო რაღაც როდენისებური... მარჯანიშვილი აწყობს ჯგუფებს და აფორმებს პოზებს თითქოს ზემოთი, უფოდავი ვარაყიით, თანაც არასოდეს არ იშორებდა ერთსა და იმავეს, არ მისდევს შაბლონს. ა. ამას ჩვენ კიდევ დავუმატებთ, რომ მარჯანიშვილი ამდინარეებდა პიესაში აღებული ეპოქის, კლასისა და, ბოლოს, გმირის ინდივიდუალური თვისებების კონკრეტულ კოდნას. მისი „ყარგი გამონაგონი“ არსდროს არ ეწინააღმდეგებოდა „ცხოვრებისეულ სიმართლეს“, ისტორიულს თუ თანამედროვეს.

დაუღალავი ექსპერიმენტატორი აქტიორშიც აღასებდა მოქნილობას, გამომგონებლობას, ცდებზე და ვარიანტებზე ფიზიკური და სულიერი ძალ-ღონის დაუზოგავად დაპარჯის სურვილს. როცა მეგობრები თუ მტრები ჩურჩულდებდნენ, „მარჯანიშვილი ხარბობსო“ ნამდვილად ეს იყო ტონებისა და ფერადების, ინტონაციებისა და ენსტების, პოზებისა და მიზანსცენების მრავალწარობის წურვილი, რასაც ზელოვნების ჯერ კიდევ გამოცენისას ზღერებს იქით მიყავდა დამდგმელი. მის სცენური განსახიერების პროცესი ისევე უყვარდა, როგორც ამ პროცესის შედეგები. მის რეპტიციებში იყო შემოქმედებითი თამაშის დამთობული რაღაც, რაც აბობობდა შრომის დროს ამ თავშეუცებელ თეატრალურ დემიურგს და, ამავე დროს, ამდგრად, ახალ პერსპექტივებს უხსნიდა მსახიობს, ქორეოგრაფს, მუსიკოსს.

4

შემოქმედებითი მუშაობა და „განსჯანი“ (კობე უწყარდა ეს სიტყვა) დაახლოებით 1906 და 1910 წლების შუა პერიოდში, კობეს სულში აღვიძებენ ძალას, რომელიც ვარემოებათა გამო რატომღაც დიდხანს თვლემდა.

იმის ფიქრში, თუ როგორ უფრო დამაჯერებლად გააღვიოს ქაშისუნის დრამის — „ცხოვრების ბრწყინებში“ საფუძველზე „ისეთი მგზნებარე და ცეცხლოვანი რამ, რომ მას, როგორც „კარმენს“ თავისი თავდაუქრებლობით შეეძლოს მოხიბლა“, მარჯანიშვილმა უცხად იფრინო, რომ მის სულში „იღვიძებს სპაშობლის მზე“ და „სისხლი აუღვლდა, ქართული სისხლი...“ თან ახლებურად შეიგრძნო ორგანული კავშირი რუსულ ელტერასთან, რუსულ ხელოვნებასთან: „გულითადი მადლობა რუსეთს, მან მომცა ჩაწვდომის დიდი უნარი, უნარი აღამაინოს სულის ენებულებაში ჩაბედვისა. ეს ჰქმნა დოსტოვესკიმ. მან მიმანგია ცხოვრების შინაგანი არსის განჭვრეტას, ვატიარებულს ჩემი საკუთარი სულის ქურბა. ეს ჰქმნა ვრუბელმა მან მასწავლა ჩემს გულში უსასაო ქვეთინის მოსმენა. ეს ჰქმნა სკრიბინმა... მას ერთი წუთითაც არ ვაუწუნებია ჩემი კახური სისხლი, ჩემი დედის სისხლი... მის — რუსეთის — შვიდი გულკეთილობას ერთი წუთითაც არ შეუკავებია მშობლიური რიტმები, ქართული ტემპერამენტი, ფანტაზიის თავშეუვალებელი სრბოლა, რაც მომცა მე ჩემმა პატარა, საყვარელმა საქართველომ. ქეშმარიტად, ყველაფერი, რასაც მე აქამდე ვაყვებოდი, ჩემი შემოქმედება სცენაზე, რუსული იყო, რუსეთთან მიღებული, მაგრამ მისი დიდი კეთილის მყოფელი წრთენის პერიოდი დამთავრდა, და მე გამოვდიოდი დამოუკიდებლად გზაზე. ქეშმარიტად, „ცხოვრების ბრწყინებში“ პირველი ჩემი ქართული წარმოდგენა იყო...“<sup>1</sup>

კობეს შექმნილი ამისათვის დაერთო, რომ ბეჭი მისი ნოვატორული წამოწევა ბავშვობის წლებში მიღებულ შთაბეჭდილებების კვალს იტარებს. მისი მისწრაფება სცენაზე მოქმედების სწრაფად განვითარებასა უთუოდ ქართული პოეტიკის საფუძველზე აღმოცენდა. იგი ოპტიმურად „რანდავდა“, აუბრალოდმა მოქმედებას თვით ხელშეუხებელ კლასიკურ თხზულებებშიაც კი. როცა მარჯანიშვილი მო-

თხოვდა, რომ მსახიობი თავის სხეულს ისე უნდა ფლობდეს, როგორც ინსტრუმენტს, მის მუხსიერებაში დგებოდნენ ტანფორმები, ქვეყრდანი ქართული სუბიექტი, ბავშვობიდანვე მოძრავ თამაშს, სცენაზე ჯდომას და ჯირითის მიჩვეულებას. დიალოგში მსახიობების პარტიების პარპონიზაციისადმი მისწრაფება შთაგონებული იყო ქართული ხალხური სიმღერების დამახასიათებელი თავისებურებებით. ყველაფერი ეს საუფრობრივი მშობლიური ელტერის ოქროს მარცვლები იყო. რუს მსახიობს იგი არაფერს არ მოახვედდა თავს, სცენურ ხელოვნებაში იგი მოითხოვდა ნამდვილ მხატვრულ შენაწინებს, ისევე როგორც თხუთმეტი წლის შემდეგ თავისი რუსული გამოცდილება ვადაიტანა მან საქართველოში შექმნილი რევოლუციური თეატრის სცენაზე.

1913 წელს მოსკოვში შექმნილი „თავისუფალი თეატრი“ მარჯანიშვილს წარმოდგებოდა, ბირველ ყოვლისა, როგორც სამხატვრო თეატრის ანტითეზა. კობემ რეალიზმს, მისი აზრით, მყარო თეორიული ბაზისი შეუქმნა: „არც ალისტერის თეატრი არა არა როგორც მიზანი, არამედ როგორც საშუალება“<sup>1</sup>. თუ შევჯამებთ მარჯანიშვილის ჩანაწერებს, რომლებსაც ის აწარმოებდა „თავისუფალი თეატრის“ პერიოდში, აშკარად გამოვყავილება ოსტატის მთავარი ტენდენცია, რომელიც განსაზღვრავდა რეპერტუარსაც და განზრახული დადგმების ხასიათსაც: „როგორი უნდა იყოს ჩვენი თეატრი? რეალისტური, რომანტიკული, სიმბოლური, ლირიკული — ოღონდ იყოს მომზობლავი, იყოს დამაბრძობელი“<sup>2</sup>. ცხოველმყოფელი, ოპტიმისტური თეატრის დამკვიდრების აზრს კობე უბრალოდ თავის წერილებშიაც და ინტიმურ გამოხატვებებშიაც უცხადია, ეს არ იყო მხოლოდ უბრალო დეკლარაცია თავის ხელოვნებაში შეყვარებული მხატვრისა. კ. სტანისლავსკი აგრეთვე უწოდებდა მსახიობებს „სამშობლოს მზიარულ მსახურებს“. მაგრამ მაინც ეს ორი თეატრი სხვადასხვა გზით მიდიოდა. ეს გზები მხოლოდ მაშინ დაეახლოვდნენ ერთმანეთს, ისიც ნაწილობრივ, როდესაც რევოლუციურმა ქარიშხალმა ისინი ახალი ამოცანების წინაშე დააყენა.

<sup>1</sup> „მოგონებანი“

<sup>1</sup> „Заметки о театре“ გვ. 93.

<sup>2</sup> იქვე, 84.

# ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ მნახე



ქართული ლიტერატურის კულტურული ძეგლების თარგმნას უცხოურ ენებზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. უძველ დროში და უძველ ეპოქაში გამოუჩნდებოდა ხოლმე ამ საშვილი-შვილო და მამულიშვილურ საქმეს ხან უცხოელი და ხან კიდევ ქართველი მოღვაწე, ასეთთა თავდადებას, ღვაწლსა და ამავს განსაუფრებთ აფასებდა და პატივსცემდა ქართველი საზოგადოება.

...1948 წელს ინგლისურ ენაზე გამოვიდა ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელიც ეკუთვნოდა მთარგმნელ ვენერა ურუშაძეს. ანთოლოგიაში თავმოყრილი იყო ქართული პოეზიის ნიმუშები, დაწყებული რუსთაველიდან დღევანდლობის ჩათვლით. ამ შრომატყუადმა, ფრიად რთულმა და საპასუხისმგებლო საქმემ თავის დროზე დიდი გამოხმაურება გამოა, როგორც ქართველ საზოგადოებაში, ასევე უცხოეთში.

ათი წლის შემდეგ, — 1958 წელს გამოვიდა ამ ანთოლოგიის მეორე გამოცემა, შეესებელი და გადამუშავებული სახით. ამჯერად მის უფრო მეტი გამოხმაურება ზედა წილად და ქართულ კლასიკურ და თანამედროვე პოეზიის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში უფრო მეტი მკითხველი და თავიანთსმეველი გამოუჩნდა.

ქართული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევებს რომ მუდამ ჰყავდა თავისი მკითხველი და დამფასებელი — ეს ფაქტია, მაგრამ, ჩვენი ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოსვლას ინგლისურ ენაზე კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ პირობებში, როდესაც კაცობრიობა იბრძვის მშვიდობისათვის და მიისწრაფის ხალხთა ურთიერთობის უკეთესი ვაგებისაკენ. ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტს დიდი გულისყურითა და სიღვაძებით იზიარებენ კეთილი ნების ადამიანები.

ჩვენ ქვეით მოგვყავს რამდენიმე ამონაწერი, რომლებიც გამოგზავნეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან იმ ადამიანებმა, რომლებმაც ზელი მიუწვდამთ ვენერა ურუშაძის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგიაზე. ამ მნიშვნელოვანი ფაქტის გამო თავიანთი აღფრთოვანება და სიზარტული გაუზიარეს მთარგმნელს მსოფლიოს ისეთმა ცნობილმა პიროვნებებმა, როგორიცაა:

ჯგე ლინდსეი, სტივენსონი, დ. მ. ლენგი, ჰეგა ჰეპერტი და სხვ.

თი, რას წერს ზოგიერთი მათგანი:  
„...მიხლოდ ეხლა მომეცა საშუალება გადამეხედა თქვენი ანთოლოგიისათვის, სურვილი მაქვს უფრო ღრმად ჩაეწვდე მის, რადგან ეხედავ, შემოძლია უფრო საფუძვლიანად გავეცნო მის უსაზღვრო სიღრმეს. უპირველესად ყოველისა, ჩემის აზრით ანთოლოგია სიინტერესოა იმიტომ, რომ ის წარმოადგენს პირველ წიგნს, რომელიც ინგლისელ მკითხველს აძლევს ერთგვარ კონსპექტს ქართული პოეზიის რაობაზე. ცხადია, ჩემთვის ძნელია, ქართულის არ ცოდნის გამო, ვიმსჯელო თუ რამდენად ახლია თარგმანი ორიგინალთან, მაგრამ ვგრძნობ ძალზე მუსიკალურ და ლირიულ ტრადიციას; თქვენ კარგად ფლობთ ინგლისური ლექსის რიტმს. კვლავ არ შემოძლია ვთქვა, თუ კრებული რაიგე სრულად წარმოგიდგინებს ქართულ პოეზიას, მაგრამ თქვენი ლექსების გამო მოწუხრებული ვარ შევისწავლო ქართული პოეზია — ეს კი მაღალი ღირსების მქონე თარგმანის ნამდვილად კუშმარხი ნიშანია. როგორც აღვნიშნე, თქვენი მეტრიკა მოქნილია და ბრწყინვალე, ფრაზები და სახეები ცოცხლადაა გამოკეთილი. ვფიქრობ, ჩიქოვანის, იაშვილისა და ასათიანის ლექსები საქართველოზე კოცხლდება, როგორც პოეზიის მშვენიერი ნიმუშები“.

### ჯგე ლინდსეი

ქართული პოეზიის ანთოლოგია დიდებული წიგნია. ძალზე აღფრთოვანებული ვარ, მიიღეთ ჩემი უღრმესი მადლობა იმ სიამოვნებისათვის, რაც თქვენმა თარგმანებმა მომანიჭა. რა ღრმა პატივოტრიაზეა, რა მუხნებაზე ემოციებით ხასიათდება ქართული პოეზია. ვერ ავიწყრთ, როგორ მხხარია ამ წიგნის კონა“.

### თ. ი. ნიკოლას — უელსის უდადესი პოეტი

„უცხო ენაზე წერის სიძნელე, თქვენდამი უდიდესი თავიანთსმეველი მჯავს. სიანს ჩინებულად შევისწავლიათ და შევიგარქენათ ჩვენი პოეზია. თქვენს ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დასავლეთის ქვეყნებში ქართული ლიტერატურის დარობად გაცნობისათვის...“  
„ვახანსკირიის „ზამთარი“ თავისი სადა, უმუ-

აღო ენით, ჩემის აზრით, თქვენი თარგმანის დიდ წარმატებას მოასწავებს. რამდენი მშვენიერება, სამშობლო ქვეყნისადმი რა დიდი გრძნობა ჩაქსოვილი აბაშიძის „საქართველოსა“, და „ყველა სიმღერა“-ში თქვენ, მართლაც, გვეუბნებით შოლოცვა, რომ შესძელით ინგლისელ მკითხველამდე ამის მიტანა. მე უნდა შევეცადო ერთგულ კიდევ გამოვხატო ჩემი თაყვანისცემა ქემშიარტი „tour de force“ — ის გამო, რომელის შსგავსს აქამდე არასოდეს შეეხვედრივარ. ვიმედოვნებ, რომ თქვენ კვლავაც ვცდებით ქართული ლიტერატურა უფრო ფართოდ გაგვაცნოთ.

არაფერს შეუძლია უფრო დიდი სიამოვნება მომანიჭოს, ვიდრე დისკუსია, განსაკუთრებით კი რთულ პრობლემებზე, რომლებიც წამოიჭრებთან ხოლმე რუსთაველის ინგლისურად თარგმანის დროს და მე სიამოვნებით მივიღებდი აზრთა გაცვლა — გამოცვლას. ჩემი ვერსია, რომელიც „იუნესკო“-მ დაამკვიდრა, პროზაული აქნება, ზოგიერთი ადგილის შემოკლებებით“.

**„ამირან — დარჯჯანიანი“-ს ცნობილი მთარგმნელი სტივენსონ.**

„რა საუცხოოა თქვენი თარგმანები, რომლებიც ასე ტოპიურია, საქართველოსა და მისი მშვენიერი ბუნებისათვის, არა მხოლოდ ჩვენ დავტყობთ ამ წიგნით, ყველა სტუდენტს (რუსულ და ქართულ სექტორებისას) მიეცა ამის საშუალება. ისინი აღფრთოვანებულნი არიან ლექსებით. ჩვენ ყველანი გაკვირვებულნი ვართ ქართული ლიტერატურის ვასაოცარი ლირიზმით“.

**ნიუ-იორკის კორნელის უნივერსიტეტის პროფესორი დიან მელრო.**

„ქემშიარტიდან დიდად სასიამოვნოა იმის ხილვა, თუ თქვენმა ფაქიზმა პოეტურმა შეგარძნებამ როგორ მოახერხა ინგლისურ ენაზეც კი გადაეტანა თქვენი მშობლიური პოეზია. ამ ვასაოცარი კრებულის მრავალფეროვნება და მისდამი ინტერესი, მკვება გასცდება საზღვრებს, რათა ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს დაანახოს ქართული პოეზიის მრავალფეროვნება და ქემშიარტი რაობა... აღფრთოვანებულნი ვარ, რომ წიგნი ყოველ მხრივ ზედმიწევნით კარგადაა გამოცემული“.

**ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფ. ს. ლ. რენ.**

„მთელი კვირადღე გვატარე ამ ლექსების კითხვაში, რუსთაველიდან მოყოლებული... ვერ წარმომდგინა რომ თქვენი ლიტერატურა ასე მდიდარ და მშვენიერი იყო. სამწუხაროა, რომ

არ შემიძლია ორიგინალში მათი წაკითხვა; თარგმანი შესანიშნავადა შესრულებული ბუნებრივია ვარ, რომ მისი საშუალებით შემძღობა უნარმოდგენა ვიქონიო თქვენი უდიდესი ცივილიზაციასა და მდიდარ კულტურულ ტრადიციებზე“.

**მიზას (იტალია) უნივერსიტეტის პროფ. გუზუეტი მორაკი**

„დიდად ვისიამოვნეთ თქვენი აღმფრთოვანებული ქართული პოეზიის ანთოლოგიის კითხვით, ენაობით კი, რომ არ ვიცით ქართული ენა ისე, რომ შეეძლოთ ლექსების ორიგინალში წაკითხვა.“

„აღბთ თქვენს მიერ წაკითხულ ლექსებს ჩასწერდით და ვთხოვთ გამომიგზავნოთ ფირები, ამერიკის რადიოგადაცემისათვის. მოხარული ვიქნებით მოვისმინოთ, აქ, ამერიკაში, თქვენს მიერ წაკითხული ლექსები, გერ ქართულად, შემდეგ, იგვე ინგლისურად.“

**კალიფორნიის უნივერსიტეტი — ს. ბ. კან.**

„მე წარმოდგენა არ მჭონდა თქვენი ქვეყნის შესანიშნავი მწერლობის შესახებ. აღფრთოვანებული ვარ ამ მომხიბლავი ლექსებით. დიდი სურვილი მამოძრავებს—წაკითხოთ ისინი ორიგინალში“.

**ინგლისელი პროფ. გრეი უოლტერ.**

„გულთადად უნდა მოგილოცოთ თქვენი თარგმანის ბრწყინვალეობისა და მშვენიერებისათვის“.

**ა. შ. შ. ინდიანის უნივერსიტეტის პრეზიდენტი პროფ. მერმან ბ. უელს**

„გადავათვალერე ანთოლოგია, შევიგრძენი უდიდესი პოეტური მგრძნობელობა, რომლითაც შათავონებულა თარგმანი; აღფრთოვანებული ვარ თქვენს მიერ ინგლისური იდიომებისა და სალექსო ფორმების შესანიშნავი დარუფლებით. დიდად ნასიამოვნები ვარ ქართველ პოეტთა პორტრეტების ხილვით, რაც კიდევ უფრო ამკობს ამ კარგად დაბეჭდილ წიგნს.“

წიგნი მიმართა კარგად გამოჩნულად იმისათვის, რომ ინგლისელ საზოგადოებას სწორი წარმოდგენა შეუქმნას ქართველი პოეტური გენიასა და გვირუღ სულზე.

ვეფიქრობ, რომ კარგ შედეგს შეიძლება მივალწოთ თუ წიგნი ხელმისაწვდომი გახდება აქ ლონდონში „კოლტის უცხოური წიგნის მაღაზიისა“ და „მედეუნაროდნაი კნიგსა“ — სააგენტოთა შემწეობით. ვეფიქრობ ეს შრომა



დიდ გამოხატულებას გამოიწვევს ინგლისელ მკითხველ საზოგადოებაში“.

**ოქსფორდის უნივერსიტეტის ქართულთმცოდნეობის პროფ. დ. მ. ლენჯ.**

«ცხადია, მშობლიური ქვეყნისა და ბუნების მშვენიერების სიყვარული, რაც ასე ცხადად არუკვლავია თქვენს მთერჩეულ ლექსებში, სახეთა განსაკუთრებული მრავალფეროვნება, რის გადატანაც თქვენთვის უცხო ენაზე შესძლებოდა.—ყველა ჩვენგანზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს. განსაკუთრებით იმოქმედდა ჩემზე. ჩვენი უღელსა და მორტანდიელი პოეტები უფრო დიდ შეფასებას მისცემენ მათ, რადგან მათი საკუთარი პოეზია სულიერად ენათესავენა თქვენსას...»

თქვენ უეჭველად უნდა გავზავნოთ წიგნები სხვადასხვა ქვეყნებში.

„ბრიტანეთ—საბჭოთა კავშირის მეგობრობა“ თქვენი ანთოლოგიიდან რამდენიმე ლექსს გადავუღავეს.

**ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფ. ანდრიუ როთშტაინი**

ვენერა ურუშაძის მთარგმნელობითი მუშაობის გაცნობის შემდეგ,—რის საფუძველზედაც მან ქართული პოეზიის თვალსაჩინო ანთოლოგია შექმნა,—შეუძლებელია რეცენზენტმა არ აღნიშნოს პირველი შთაბეჭდილებანი:—ეს არის პოეზია, ეს არის ინგლისური პოეზია, რომელიც გვეჩერავს არა მარტო რაციონალურ, არამედ (პირველ ყოვლისა) ემოციონალურ აღმქმელობას.

ვენერა ურუშაძის ანთოლოგია დამუშავებულია სპეციფიკური ინგლისური სალექსო ტრადიციებისა და წესების ფაქტში, ნამდვილი ცოდნით, აგრეთვე გულისხმიერით ოსტატობით. მათში გამოყენებულია ბრიტანეთის დასავლური ლექსის მუდმივური შემკვიდრება, ინგლისური ლექსის ფორმის ტექნიკოლოგიასთან ერთად.

ინგლისური ეპიკური და ბალადური პოეზიის თავისებური ხერხები, თავისი დანაწევრებული ხმინობითა და დრამატუზმით, რომელსაც დასამღერა იამბიკური საწყისებისა და ინტონაციისაყენ მრავალფეროვანი მიღრეკილება აქვს—ყველაფერი ეს ვენერა ურუშაძის მიერ შეცნობილია, როგორც მოცემული „სააღმშენებლო მასალა“, რომლის ოსტატურად გამოყენება საჭირო, რათა პოეტური ადეკვატურობით ხორცი შეასხა უცხო მასალას, ქართულ პოეზიის, ქართულ პოეტურ ენას, მის ღირებულებას და თხრობით ლექსს, რომელიც საფუძველში ქორეულია.

ურუშაძემ ეს ძნელი დავლება შეასრულა

საქმის განსაცდებელი ცოდნითა და უპირველეს ყოვლისა, ნამდვილი პოეტური ნიჭით.

თუკი ქართული პოეზიის მთარგმნა გერმანულ ენაზე არის ერთნაირი ტონალობის გადაღება, რადგანაც ქართული ტონალური—სილაბური გერმანულ სალექსო ენაში, ძირითად პოეტურ აღნაგობაში ბევრ საერთოსა და მისასადაგებულს პოელობს—მშინ საჭიროა ითქვას, იგივე ქართული ლექსების მთარგმნა ინგლისურ ენაზე უფრო ძნელია, რადგანაც ინგლისური ლექსის ტრადიციითა და სტრუქტურაში არ არის ის საერთო, მისასადაგებელი, რიტმიკისა და ტონალობის ანალოგიური მონაცემები,—რომლებიც არის გერმანული ლექსის ტრადიციებსა და სტრუქტურაში.

ყველა ეს თავისებურება პოეტებსა ვენერა ურუშაძის მიერ გააზრებული და გავრებულია და პრაქტიკული დასკვნები, რომელსაც იგი აკეთებს მთარგმნის პროცესში, ქართული ლექსის გადატანა ინგლისურ ყოიდაზე—სწორად და მთლად გამართლებულია ძლიერი და მდიდარი შედეგებით.

როცა კონკრეტულად ვლაპარაკობთ ინგლისურ მთარგმანებზე მე გგონია, რომ ზოგ ადგილებში ისინი უფრო პოეტურია, უფრო მჭაფურია, ვიდრე ამავე ლექსების რუსული მთარგმანები.

როცა ვცოხებლობთ ვ. ურუშაძის მთარგმანებს ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილ პოეზიასთან, ქართულ-ინგლისურ პოეზიის მაღალ ოსტატობასთან.

ასეთი კლასიფიკაცია იმედს გვაძლევს, რომ ქართული პოეზია, როგორც კლასიკური ასევე თანამედროვე, მიღწევს ინგლისური ენის საშუალოს მრავალმიოიონიან მისაღწე და ფართო მკითხველი წრეების საკუთრებად იქცევა.

სასურველი იქნებოდა, რომ პოეტებსა ვენერა ურუშაძე ინტენსიურად და ხშირად შეასრულებდეს დიდი მასშტაბის შემოქმედებით დავალებებს, მხოლოდ მას შეუძლია, ჩემის აზრით, ბოლოს და ბოლოს განახორციელოს სრულფასოვანი მსატრეული მთარგმნა „ევეფხისტყაოსნისა“ ინგლისურ ენაზე; ეს უკვე დიდი ხნის მომწიფებული კუდტურულ—ისტორიული დავალებაა.

ისეთი ძალა, როგორცაა პოეტებსა ვენერა ურუშაძე, საჭიროა უკეთ იქნას გამოყენებული მაღალხარისხიანი პოეტური შემკვიდრებისა და ახალი საბჭოთა ქართული პოეზიის მთარგმნის საქმეში. ეს არის ხალხთა კუდტურული ურთიერთობის სულიერი სიახლოვისა და ურთიერთდაახლოების ბრწყინვალე ნიმუში.

**შუგო ზუგერტი**



## პროზის საკვებო ლექსები



საბავშვო პოეზია მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი რთული და სპეციფიკური დარგია. ბავშვებისათვის წერა რომ ძნელი და თანაც საპატიო საქმეა, ეს კარგად არის ცნობილი. საბავშვო პოეტად უნდა დაიბადო და არა გახდეს, ეს თავისებური მოწოდებაა—წერს პ. ბელინსკი. დიდი კრიტიკოსი ხაზს უსვამს მრავალ პირობას, რაც საჭიროა ჰემარტი საბავშვო ნაწარმოების შესაქმნელად.

პირველ ყოვლისა, ის, ვინც საბავშვო ნაწარმოებს წერს, უნდა იყოს, გულწრფელი და ბავშვების მოსიყვარულე, მას უნდა ჰქონდეს საგნებზე ნათელი შეხედულება და ცოცხალი პოეტური წარმოსახვის უნარი.

პატარებს ძალიან იტაცებთ ის, რაც უშუალო და ბუნებრივია, ისეთი რეალური და ფანტასტიკური ამბავიც კი, რაც ვადმოცემული იქნება ნათელა ფერებითა და მოქნილი მხატვრული სახეებით. ამ ასპექტში უნდა განვიხილოთ არნო ონლის საბავშვო ლექსების წიგნი „რას ამბობს ჩიტა-ჩიორა“. წიგნში მოთავსებული ლექსები უმეტესწილად ეძღვნება უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს.

არნო ონლს კარგად ეხერხება წერა პატარებისათვის და კიდევ ნაყოფიერად მუშაობს ამ დარგში, წერს გასაგებად, მიმზიდველად და მხატვრული სიმართლით.

წიგნი იხსნება ლექსით „სკოლაში და სკოლის გარეთ“, რომელსაც აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ლექსის გმირი—პატარა გელა მასწავლებლებისა და ტოლ-მეგობრების საუფარელი ბიჭუნაა. მან ბევრი რამ იცის:

მართლაც, სწავლის ოსტატია,  
იცის წიგნის ყოლა ბქარი,  
იცის, საი რა ქალაქია,  
რა ქვეყანა საით არი.

გელა კარგად იცის ზნობრივი ნორმებს: მუდამ დინჯი, თავდაპყრილი, წესიერი და კეთი-

არნო ონლი: „რას ამბობს ჩიტა-ჩიორა“. ხაზლიტავში, 1959 წ.

ლია, მაგრამ ეს მხოლოდ სკოლაში. სულ სხვაგვარია იგი სკოლის გარეთ, თუჯანში, ვხოგარემოში:

იი, დილით იდგა იგი,  
პირი არც კი დაიბანა  
და დედამისს უკითხავად  
ბაღისაკენ გაიხარა.

„დედამისს უკითხავად“ გაპარეს, გელამ კიდევ ახალი დანაშაული დაუმატა. ბაღში უმწიფო ფრინველებს დაერია და შავი დღე გაუთენა. კიდევ მეტი: პატარა თინას, რომელიც მას ეძებდა, გელა უსამართლოდ მოექცა: ყურო იუწია და აატირა. რა თქმა უნდა, დედამ და მამამ ამ ურცხო საქციელისათვის იგი დატყვეს.

ბოლოს პოეტი ყველა ბავშვის გასაცონად ამბობს:

თუ არ გინდა გაეციონოთ,  
გაეხაროთ ქვეყნის მტერი,  
და ყოველთვის გვეწოდეს სახე  
ნათელი და მომღიმარე —  
ერთნაირად კარგი ვიყოთ  
სკოლაში და სკოლის გარეთ.

პოეტის ეს მორალური შეგონება ერთნაირი ძალით მოქმედებს ბავშვის გრძნობასა და განსჯაზე: ცოცხალ თვალსაჩინო სურათად წარმოუდგინა იმას, რაც კონკრეტულად გელაზე ნათქვამი. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პატარებს არ ძალით დასცინა გააყეთონ ზოგიერთი მათი უწესო ქცევის გამო. ითვალისწინებს რა ამას. პოეტი მიათოთ, ლაკონური სტილიზაციით ხსნის და განმარტავს, თუ რა ცოლი შთაიგი მოსუვა ზნობრივად გაუმართლებელი ქცევის.

არნო ონლის ლექსებში ფართოდ იჭრება დიდაქტიკური ნაყოფი. ზოგ ლექსს თან ახლავს მკითხველს დამრავებლობითი ტონი, მაგრამ აქ არაა მოსაწყინი და რეზონანსი მსჯელობა, ანტირეალური საუბარი ნორმ მოქალაქეებთან.



ლექსში „რას ამბობს ჩიტი—ჩიორა“ ავტორი მოხდენილად გამოხატავს თავისი საბავშვო პოეზიის ლიტმობის, შთაბრძნობის, რას შთაგონებს ნორჩ თაობას ჩიტი-ჩიორა, ასე ვის ეფერება და ესაფერება იგი? პოეტი წერს:

მის ტბილ სიმღერას უსმენდა ყველა:  
გიგი, ნანული, ლამა და გელა,—  
თვით ყუაველებსაც მიეღოთ ფერი  
უფრო ლამაზი და მშვენიერი.  
ნეტავ რას ამბობს ჩიტი-ჩიორა,  
ასე გულთბილად ვის ეფერება?  
—ენიც კარგად სწავლობს და კარგი  
სწავლით

ქვეყნისთვის მოაქვს ბედნიერება.

ამ სულისკეთებითაა გამსჭვალული მთელი წიგნი, ეს არის თითქმის ყველა ლექსის დედაპირი, წამყვანი პოტივი და ამიტომ შემთხვევითი როდია წიგნის საერთო სახელწოდება, რაც კერძოდ ამ ლექსიდან წარმოსდგება.

არხო ონელის ბევრი ლექსი („მოდლოცეს“, „დაგვიანებული ზრდილობა“, „ინორა“, „მოგზაურები“ და სხვ.) ნამდვილად ხელს შეუწყობს ბავშვთა ჯანსაღ აღზრდას, სწორ ორიენტაციას მისცემს მათ იმაზე, რაც ღირსეული და დადებითია, რაც უნდა დამკვიდრდეს და განმტკიცდეს ყოველდღიურ ყოფი-ცხოვრებაში. შთაბრძნობს მინც ის არის, რომ პოეტი ბავშვებს უნერგავს აქტიურობისა და პრძობის სურვილს მომავლისათვის, უძლიერებს სწრაფვას უკეთესის დაუფლებასავე, განგებრივი და ზნეობრივი სრულყოფისაკენ.

არხო ონელის საბავშვო პოეზია საინტერესოა სხვადასხვა თვალსაზრისით. ჯერ ერთი, ამ ლექსებს ახასიათებს თემატიკური მრავალმხრიობა, მკორეც, პოეტს შესწევს უნარი შეამჩნიოს ბავშვთა ყოფითი დეტალები და სწორად განაზოგადოს ისინი. ლექსები „დაგვიანებული ზრდილობა“, „გულმეიწყვი“, „გზა, როელიც ბრწყინავს მარად“, „თქვენ რას იტყვით“ ყურადღებას იქცევს მორალური ტენდენციებით, ნორჩ მკითხველს ჩაავიანებს უფროსებისადმი თავიანი დამოკიდებულებას. შრომისა და სწავლის თემას ეხება „შეოთხეში გაღვიძალი“, „დაიკვიანა“, „ტყვის მეგობრები“, „სექტემბრიდან“ და სხვ.

შრომისმოყვარეობის გრძნობის დანერგვა ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის მთავარი პირობაა. ამ მიზნით ახლა მრავალი საინტერესო ღონისძიება ხორციელდება. საბავშვო მწერლობის მოწოდებას შეადგენს მხარი დაუპრობის ცხოვრებით ნაქარნაზე ყოველ ახალ ღონისძიებას, ნოვატორულ წამოწყებას მოზარდი თაობის აღზრდის ყველა სფეროში. ამას შიითხივს სკოლის ცხოვრებასთან მჭიდრო კავ-

შირის, სკოლასა და ოჯახს შორის კონტაქტის გაძლიერების ინტერესებიც. **ერკინეშვილი** ამგვარ თემატიკურ მასალას **„წიგნების მიმოხილვა“** ამუშავებს მთელ რიგ ლექსებში: „თინა და ცაცხვი“, „ტირიფის ჩივილი“, „მეგობრობაც ამს სჭვია“ და სხვ.

„ტირიფის ჩივილი“ კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლირიული ლექსია. ტირიფი სასოწარკვეთით ამბობს: წყაროს მახლობლად ეცხოვრობდი ტბილად და ბედნიერად, „რამდენჯერ მითქვამს სიმღერა, მზის და სიცოცხლის ქება“, მაგრამ ერთხელ ბიჭუნა მოვიდა დანით და შეუბრალებლად დამისერა ტანიო.

ეუთხარი: ბიჭო, გრცხვენოდეს, როგორ მიმეტებ ასე:

მეც ხომ მომავალს შევხარი გული შევბოთ მაქვს საესე.  
მეც ხომ შენსავეთ ნორჩი ვარ, მეც ხომ სიცოცხლე მინდა!

ბავშვმა შეისმინა ტირიფის ვედრება, კიდევ ინანა ასეთი მოქმედება, ბოლოს ბოდიშიც მომხდა, რომ ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებდა. სკოლამდელი ასაკის ბავშვის სულიერი განწყობილების შეცვლა სკოლაში შესვლის წინადლით მიგნებულად და ოსტატურად არის გადამწვეტილი ლექსში „როდის“.

ფორმის კაბა შეუყერეს, რვეულიც აქვს, წიგნებიც. როდის? მალე სექტემბრიდან შენც მოსწავლე იქნები. ის უმცროსი დას მოეხეია, გაუბრწყინდა თვალები, დაო, შენთვის მიჩქენია ჩემი დედოფალები.

არხო ონელის საბავშვო ლექსები გვარწმუნებს, რომ ავტორს კარგად ესმის ბავშვის თვისებებზე, იცის ის ცხოვრებისეული მასალა, რაზედაც წერს, დამაჯერებლად ხატავს ბავშვის განზოგადებულ სახეს, მის გრძნობას და მისწრაფებას.

შრობიური ქვეყნის განახლებისა და სიმდიდრის, სიღამაზისა და პატრიოტული სიამაყის გრძნობითაა გაიცისკოვნიებული ლექსები „რას ვეიამბობს ტყე“, „ჩვენი გაზაფხული“, „ჩვენი ახალი სახლი“, „ჩვენი ფერმა“.

ტყე, რომელიც საშობლოს მშვენივანა, ადამიანთა სიცოცხლის, „კაცთა დღეგრძელობის“ დაუშრეტელი სათავეა, ამავე დროს არის ფართი, რომელიც იცავს „გლეხის ნაშრომ-ნაჯიფას“.

ჩვენი დროის ახალგაზრდას შეუძლია იამაყოს იმით, რომ იგი თავისუფალი ქვეყნის შეილია, ახალი ცხოვრების განახლებით დამტკბარი. უცხოეთში კი მის ტოლებს ენატრებათ





სწავლა და თავისუფლება „სკოლის კარი ენატრებათ ირანელს და პაისტანელს“, („ჩვენი გაზაფხული“).

მთელ რიგ ლექსებში („ილიას სურათთან“, „შიო მღვიმელი“, „მასწავლებელი“) ავტორი მღელვარებით გვაცნობს სახელოვან წინაპართა დეაწლას და დამსახურებას, ფასდაუდებელ ზრუნვას ახალგაზრდობის ბედნიერებისა და აღზრდისათვის.

ბრძენი ილია ხომ იმისათვის იბრძოდა, რომ „რეგრავი შოეყვანა საქართველის შოა და ვე-ლად, რომ ცეცხილა ჩვენ ამ ქვეყნად ზნის და ძღვეის ცისარტყელა“, ხოლო შოა შიო. როგორც „სათნოებისა და სიკეთის დიდი წი-გნი“ ყველა ბავშვის გულთან სათეთო სულთ-ერი ხიმებითაა გადანასკველი.

სარეცენზიო წიგნში, ვარდა ლექსებისა. არხო ონელი შეუტანია ორი ზღაპარი „რატომ ყოვის მამა“ და „აღოუღამია“. აგრეთვე ორიოდ იგაჟარაყელი ქაწრის ლექსი. მათში მოქმედ პერსონაჟებად უბრატესად გვევლინებიან ფრინველები და ცხოველები, რომლებიც სის-ბიძღურად გამოხატავენ აღამიანური ყოფის ამო თუ იმ მხარეს. მათგან საინტერესოა „ეურ-ღელი და ნაყადელი“, რომლის დედაბარბა აღგვორიულია და დიალოგის ფორმაში ვითა-რდება. მთის ნაყადელი პატარაა, მა-გრამ, სხვა ნაყადლებთან ერთად, შესძლებს წისქვილის ამოძრავებას. სწორი და მოსწრე-ბულია ნაყადელის სიტყვა: „გახა, ვინც რომ პატარაა, დიდ საქმეზე არა ზრუნავს“.

ამ ლექსის შინაარსი ემსახურება აგრეთვე ბავშვებში კოლექტივიზმის გრძელვადიან ზრდას, განცალკევებისა და მშვიდობის დამღვეას მათს ადრეულ ასაკში. „რად არ იცი, ერთობაში იქედება დიდი ძალია? შიმართავს კერძელს ნაყადელი და ამგვარი შეგონებით გახდის მას თავის თანამოაზრედ. ასე ლამაზად შემოდის ლექსში სადღეისო, თანადროლო-ბის აქტუალური იდეა და პოულობს კიდევ სათანადო მხატვრულ ხორცშესხმას.

მაგრამ, არხო ონელის ყველა ლექსი როდია თანაბარი მხატვრული სიძლიერით დწერილი. მის ზოგიერთ ლექსში („პატარების გასაგონად“, „პიონერული ზაფხული მოდის“, „თინათლის ბეკვა“, „ასე იმგზავრეს“) სკაპობს რიტო-რიკა, ამბავი ვაჟიანურებულია, ალაგ-ალაგ რი-ტმი დუნეა. ზოგი ლექსში ცხოვრებიდან აღებუ-ლი მასალა პოეტის მიერ არაა აღქმული კონ-კრეტულად. ზოგი ლექსი კიდევ მთარულ იდე-ას შეიცავს და ზოგალობს ელფერი დასკრავს, ხოლო ზნეობრივი დასყენა ყოველთვის როდი წარმოადგენს მთლიანი ტექსტის ლოგიკურ შე-ღვეს. ლექსებში აქა-იქ გახანულია უხერხული გამოთქმები, არაკეთილშოგანი რითმები, რაც ლექსის მულოდროობას და ემოციური ზემო-ქმედების ეფექტს ანელებს. მაგრამ ყველა ეს ნაკლოვანება ლექსების იმდენად მკითხე რიცხვს ევლენის, რომ ვერ ჩრდილავს იმას რაც საბავშვო ლექსების წიგნის უდავო ღირსებას შეადგენს.

სიმონე არგვლაძე

### დიდი გზის დასაწყისთან



მწელია წერო პოეტზე, რომელსაც პირადად ცნობ, თითქმის ყოველდღე ზღვები, ესაუბრე-ბი, უყამათობა. ეს ნაცნობობა თითქოს ხელს ვაძლავს მისი ლექსების შეფასებისას. ზოგ-ჯერ შეიძლება სტრიქონებში ის დანახო. რაც იქ არ არის, რაზე გააზვადო, შენ თვი-თონ „დაასრულო“, დაუმეტო ლექსს ის, რაც ნაგულისხმევია შენსა და მახლობელი ავტორის ურთიერთობაში; ან, პირიქით, ვერ შეინიშნო ისეთი რამ, რაც ცხოვრებაში არ შეგინიშნავს პოეტისათვის, რაც ქვეცნობიერად თუ ინტუი-ციის ძალით ვამედგანებულა პოეზიაში, რაც ცხოვრებიდან მოდის, მაგრამ ცხოვრებას ყო-ველთვის როდი ჰგავს. ჯ. ზაქციანის პირველ წიგნში ჯერ კიდევ გრძელდება დადუღე-ბის, ზმის დაყენების მეტად რთული პროცესი, ვოკალურ ხელოვნებაში კარგად იციან რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრლის მო-

მავალი ბედისათვის სწორედ ზმის დაყენებას, საკუთარი ტემპრის, ინტონაციის მონახვას. ამ მხრზე პოეზიაც სიმღერას ჰგავს და რაც ახალ-გაზრდობაშივე დადგინდება პოეტური მანერის სახით, ბოლომდე გაყვება ხოლმე შემოქმედის ცხოვრებას. მოსალოდნელია და საქირიც პოე-ტმა, ხელოვნებაში ყოველთვის ეძებოს ახალი თემები და გამოხატვის საშუალებები, ღრმა სი-ბერეშიც შერჩევს მამიებლის დაუცხრომელი პუნება, მაგრამ ის მთავარი, იმთავითვე გამო-ყვეილი, მისთვის და მხოლოდ მისთვის ნიშა-ნდობლივი ბოლომდე გაყვება. ამ მთავარ არ-სებობს ეეჭებდი ჯ. ჩარკიანის ლექსებში და ზმირად ეპოულობდი კიდევ, ეპოულობდი მა-შინ, როცა ლექსის სტრიქონებში ვერძნობდი ნიმღეიდ ხასიათს, მის ხმას, შინაგან სიმარ-თლეს. აქვე იყო ისეთი ლექსებიც სადაც პოე-ტის პიროვნების ეს ხელშესახება ნიშნება

კრებოდნენ, ლექსები ადრე წაიკითხეს მოგვაგონებდნენ. აქ ლამაზაია არა შეგნებულ გავლენაზე, არამედ პოეზიაში თავისი თავის არა ყოველთვის, არ ნაკლები სიცხადით, პლასტიკრობით გამოამტკიცებდა. პოეტურ ხელშეწყობაში ყოველთვის არის მსგავსების მომენტები. ამას ერთი მხრივ თვით პოეზიის ბუნება განსაზღვრავს. უფრო მეტიც: ბევრ რამეში პევანან ერთმანეთს ერთი ეპოქის, ერთი თაობის პოეტები. და პევანან არა მარტო თემებით, განწყობილებებით, საერთო სტრიქონი მდებარებით, არამედ პოეტური ხერხებითაც. ოღონდ ვაჩნია სანამდე მიდის ეს „მსგავსება“, რადგან ყოველი პოეტი ფასდება იმით, რითი განსხვავდება სხვა პოეტისაგან, თუნდაც მისივე თანამედროვისა თუ თანატოლისაგან. აქ სწორედ აქ, ნიჭიერების ძალა და „განსხვავების კოდეციენტრი“ ემთხვევა ერთმანეთს. ამ მხრივ არის საინტერესო ჯ. ჩარკვიანის ლექსებიც.

პირველივე მოვლოდნელობა—სათავარი „ერთი ღამის სიზმეში“. მყვიარა, დეკლარაციული სათაურების შემდეგ, რომელიც სწორად წინ უძღვის პოეტურ კრებულს, „ერთი ღამის სიზმეში“ რადიკალი კონტრასტია, რომანტიკული თუ სენტიმენტალურის მომსწავებელია. იგი თითქოს უცხოა ახალგაზრდა ქალის დაუდგარი ტემპერამენტისთვის, მეოცნებე, გატაცებული ქაბიკოსთვის, „ვისი გული იწვის და კოკონივით ანთია, ენც საესეა მიწის და დიდი ზეცის ნათელი“ („სადღებრძელო“). მაგრამ ჯ. ჩარკვიანის წიგნში არ არის ვაბატონებული არც ღამის მუდროება და არც უფართო, ცივი სიზმე. უფრო მეტიც: პოეტის ფიგურა აქ იშვიათად ჩნდება ღამის იღვრებად, მედამ გაზაფხულის ფერებით. მდღეობა ხმებით არის ვარგოცელი. ღამის სიზმეში მას ესმის ის „მიძინებული ხმები“, რომლებიც უფრო ხმამაღლა ამტკიცებენ სიციხეებს, ადამიანის გულს. ედრე ყოვინა, ვარგული ხმური, მოყრიკებული ომბიანიობა. სულერთია რითი ვადმოსიემ ცხოვრების მდღეობებს, დაფდაფით თუ ვილინოთი. თითქმის საწინაღმდეგო ხერხით აქ უფრო უკეთ, ედრე პირდაპირი მინიშნებით, უკეთ ნაოქეპია ახალგაზრდა ადამიანის სულიერ მდღეობებს ლექსის ტემპს. იშვიათად აღს „ტრიბუნაზე“, იშვიათად მღერის მაღალ ხმაზე. მაგრამ სწორედ ამ თავშეკავებაში მგლავნდება მისი ლექსების შინაგანი ხმაინობა. არსად, თითქმის არსად არ არის აქ დალოილი ადამიანის გლორვა სიზმისსაყენ, ავადმყოფური სწრაფვა განმარტობისსყენ, პირაქით. დიდი ხმების მოსმენით ვარინდება, ვატაცებულის წუთიერი გაუჩნება აქ გულისხმობს ვარემოცელო სამყაროს ცხოველყოფილ ვარიმულს. ესაა ადამიანის განცდა, რომელსაც სჯერა, რომ „სიკვამლე ყვაილებს ერთის — ერთის, მტკვნებს და ეახებს სისხლივით“. და ეს დასაწყისობი ბელი თვისება ბევრ რამეს ხსნის ჯ. ჩარკვიანის ლირიულ ბუნებაში. აქ მგლავნდება რიტორიკის, ყალიბ ხმურის სიმტკიცე, „გულის ხმით“ ამტკიცებულის სტრუქტურა. მისთვის შემთხვევითი არ არის ფეროვანი ხმები და ხმაინი ფერები. „სიზმეში ნახი და თეთრი“, „ყვილი ფერა“ მისი ლექსების ერთ ნაწილს ანიჭებს მთლიან განწყობას, მხატვრულ აზრს, ზოგჯერ არა საჭირო სიტუელეს, ბუნდოვანებაც შეაქვს ლექსებში. ასეთი სახეები ხშირად ნასესხებივით გამოიფურებიან, მწიგნობრულ გავლენებს გულისხმობენ.

არა ერთი პოეტი ესწრაფოდა ჩვენში ვრძობაქვარ ამღერებას. ამან შექმნა ისეთი წარმოდგენა თითქოს ემოციების სიმძაფრე, პოეტური ვადპარბება ნიჭის მთავარი თვისება იყოს, ხოლო აზრი, ინტელექტუალური საფუძველი პოეზიაში ნაკლებ მნიშვნელოვანი. ბუნდოვი სურწყმა ორივესი დიდი პოეტების თვისებას წარმოადგენდა მდღამ. მაგრამ ახალგაზრდობა უმოყვარესად განცდების სიუხვით, ინტენსივობით აღინიშნება და, ამდენად ქაბუკი პოეტის სწრაფვა ემოციის „მაღალ ძაბვის“ მისაღწევად გამართლებულიც უნდა იყოს. ჯ. ჩარკვიანისთვის დამახასიათებელია ეს შინაგანი დაქიბელობა, რომელიც უცებ ღირილ სიმშვიდეში, მოშვებუნებაში ვადდის ხოლმე, და ამით უფრო მძაფრი ხდება. მისი ვანცდების სფეროში თითქოს უსიტემოდ, ქოსტრად ბევრი რამ თავსდება: ქარი და ღამე, წვიმა და თოელი, მზე ბალახი და ცისარტყელები... „მდინარე, დედე, თეთავი, ტარი, აყვანი მშა და ყოვილი მიწის, რაც ქვეყნად ცოცხლობს, რაც ქვეყნად ზარობს, რაც იცინის და რაც სულით იწვის“. ესაა მისი ლექსების ნათელი მსოფლმეგარტება. ბუნების სავსეობის შეგრძნება ასაზრდოებს მის პოეტურ შთაგონებას და აღტაცებაში იბადება სიმღერები სიკვამლეზე, ვაზაფხულზე, სიციხეზე, ქვეყანაზე: „როცა დაიწყებს წყარი საუბარს, მზეს რომ მისწვდება ირმის ბლავილი, შემოსაყდება რიცა აღუბალს მუღლე კამა და გულზე ყვაილი: „როცა არმშა დაფთვებთან მზეს შეზღადვენ რქებში ჩაწირკლს“... „ირემი აპილს კარებს შეუტყერებს და ატმის რტოებს რქებად დიდგამს“... ესაა ის მართალი განცდის სიკვამლე, რომლდანაც იბადება პოეტური ხმები. მაგრამ ყველაფერი ამით როდი თავდება. მისი პარალელურად, მოზღვაებელი განცდების და შთაბეჭდილებების პარალელურად, პოეტის სულიერ ცხოვრებაში მუშავდება „ფორმის გრძობა“, მხატვრულ სიხალისეენ სწრაფვა და ეს „ესტეტიკური მომენტ“ ამ თავითვე ვადრმავებას საჭიროებს

შემოქმედებაში. გჯერათ, როდესაც ვაზაფხულით მთარაღს და ვაბრებულ პოეტს უსმენთ:

როცა ძეწნები ატირდებიან და აყოცებენ ვაზებს ხარღნები, შეხედდა ზეცას ნატერის თვლებიანს ავტირდები და აეხარხარდები.

ეს პოეტის ხმაა, რომელსაც ცრემლებამდე უყვარს ბუნება, საესეა სიკაბუციო, სილაშაზის, სიციხის სიყვარულით. გჯერათ ისიც, რომ ავტირი ლამარაყობს თანატოლების სახელით, რომ უბრალო კვებნა არ არის მისი სტრატეგია: „რომ სიკაბუცე დიდა მზეზე, რომ მოდის სიხეთი კვლავად თაობა რომ გამწვევ ქელზე ეტეობს მოხვერს ოჯახის ბედი და ვამტანობა“. აქ არის საკეთარი ძალების გახვევადებელი რწმენა, არის დიდი სიმღერის წუთრული, როგორც აქვს ალბინისტს უფრო მაღალი მწერტვალზე ასეღის ოცნება, მფრინავს უფრო მაღალი „ჭერის აღების“ ვატაცება. ამიტომ სულიერი ძალების ასეთ ჭაბუკურ მოძალადებასთან ერთად პოეტისათვის უცხო არ უნდა იყოს „სწრაფვა სიბზალს და არა დაღლა“ და პირდაპირ უნდა ითქვას: ეს მხარე გჯერჯერობით ჯ. ჩარკვიანის ლექსებში შედარებით მერთალაა. მას საღდაც ვტოობა ტრადიციული ფორმის დაფუძვებით გამოწვეული კმაყოფილება და იშვიათად თუ ამეღავენებს ნოვატორობის ტენდენციებს. მართალია, ლექსში იგი ზოგჯერ თავისებურადაც ვიტყვავლება, მაგრამ მინც თავი ვერ დაუღწევია საერთო ინერციისთვის, უკვე დიდხინის აღმოჩენილი მხატვრული ხერხებისთვის. ზოგჯერ ეს გულგრილობა ფორმისადმი, სხვისი გახუნებული ტანსაცმელის მხარებზე შორკება, იწვევს მისი პოეზიის აზრობრივი მხარის გაღარიბებასაც. ახალგაზრდა პოეტი ამაღეღებულად საუბრობს ვაზაფხულზე, ატმის ყვავილებზე და შეყვარებულ ქალიშვილზე, მაგრამ მეთბველის ბოლომდე ვატაცებისათვის ვტრია საჭარო. ამ ვეტის სათქმელად თვითონ ცხოვრება იძლევა უდაღეს მასალას ყველა დროის პოეტისათვის და საჭირთა ხელთავეს ჰქონდეს ვტეი წუთრული ახალ სინამდელიღში ჩაღრმავებისა, ახალი საგნების უფრო ვაბედულად შემოტანისა ლექსებში. უფრო ვტრეც, ახალი მესიკის, ახალი რიტმის „დაჭერისა“ და სრულიად სხვანაირი ეღერაღობის პოეზიის შექმნისა. ჯ. ჩარკვიანის კრებულში არის ლექსები, სადაც არამარტო ფორმის მხრები, არამედ პოეტური აზრის მიხედვითაც ზოგი რამ მოძველებულად ვამოიყურება. მე არ მომეწონა ვანსაკუთრებოთ ის ლექსები, სადაც „რომანსული ვანწყობილების“ წყაღობით ცხოვრებასთან ვეტად იოლი, ნამდვილ დრამატიზმს მოცლებული, დამოკლებულება ვეღაენდება:

მე რომ პატარა ბილიც შეწნატიო, ჩარგებულან თეთრი ბეკლები. რა ახლო ვზაა, კარგი შეწანდნ და მინც ნეტა რად ვეწიწნა... (არად ვეწიწნა)

ანი: იმებს გვიშლიდეს მთების სით სულ წელი. აკაციის რტო ყვავილებს ვეწსროდეს. მომენატრა შენი თმების სურწელი, როგორ მინდა შენი სუნთქვა მესწიოდეს. ვამეცე და ვანგებ ვერ დაგწიო, ვიმზერად და თვალი ვერ მოვაცილო. როგორ მინდა, ყვავილებით მეწიო, როგორ მინდა ვატირო და ვაცირო. (სიმებს გვიშლიდეს...)

პოეტი თითქოს „ვამოცევაღეს“, როდესაც იგი რაჟა—ლენხუმზე ან სვანეთზე წერს. აქ კვლავ იტრება მის სტრატეგიაში კოლორიტი, წელი სიტყვებით, ინტენსიური ფერებით ცოცხლება „წვეღანა, საღაც სიმღერა არ ვამოილევა“ (რაჟა—ლენხუმის ვზაზე“, „სვანეთი“). აქ არის ფორმის ვრწნობა, მახვილი თვალით დანახვა ჯერ უნახავი ფერებისა, შეეცლებია ლექსის რიტმული ძარღვი, ნებისმიერი, თთქმის თავისუფალი ლექსისათვის დამახასიათებელი დსმარმონიღობაში დაჭერულია ცხენისწულის ხეობის ხმებისა და ფერების თავისებურება. ფერწერული ხერხების სიჭარბე ჩვენს პოეზიაში საერთოდ შეინიშნება. ეს ბუნებასთან დიდი სიახლოვის შედეგია. ამ სიახლოვეში არის პოეტის თავისებური უპირატესობაც. მას ძველთავე მოღვამს ბუნებისმზიღველის მახვილი თვალი, დიდი ქართული პოეზიის ტრადიცია აყენდაწვე აჩვევს ბუნების იღვშალი ხმების მოსმენას. ასეა ჯ. ჩარკვიანიც. „სიციხელის გზებზე თუნდაც დათოვოს, თოელის ქვეშ მწვანე ვაზაფხული...“ ყვავილები კი ეღებთან ისე თითქოს ხელახლა იზადებიან...“ მერე მოკედეები ისე ლამაზად, ვით დაიბადა ეს ყველაფერი“ — ამ სიახლოვიდან წამოსწული ვანცდება. ასეთ მოტევებში, ფერთა სუნების ჭაბუკურ ვანცლებში წიღება ვევაფშავებს პოეტრტიც—ლაკონიერად, მახვილგონიერად, სიხარტად შესრულებული:

ის იყო დიდი და ის იყო სხვა მისი მართალი სულის ცხოვნებამ. მერე ცხოვრებას მოუტრა ვზა და შრის ვასწროთ თვითონ ცხოვრებას... (ავევა)

ვანცდილია და თავისებურად დანახული წარსულის გახუნებული ფერები ლექსში „ღვით ვარეჯის უდაბნო“. აქ ისმის მიტოვებული საუყუნოვანი თაღების ყრუ ხმები. „ჩიტის გულვით პატარა მთები, ზოხბის ფერი და ავტრის ფერი“... ვზად ვაწოლოლი ლამაზი

